ბრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურა

ხელნაწერის უფლებით

ანა ჭიღიტაშვილი

ტერორიზმი, როგორც გლობალური პრობლემა: კრიმინოლოგიური ანალიზი და ბრძოლის მეთოდები საქართველოში

სპეციალობა: სისხლის სამართალი;
სისხლის სამართლის პროცესი;
კრიმინალისტიკა;
კრიმინოლოგია;
სასჯელაღსრულებითი სამართალი.

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი
გიორგი ღლონტი

თბილისი
2009

შინაარსი

შესავალი 5

თავი I.
ტერორიზმის ცნება და ძირითადი მაჩვენებლები

§ 1.1. ტერორიზმის კონტექსტუალური შინაარსი (დეფინიციები) 7

§ 1.2. საერთაშორისო ტერორიზმის ისტორიული მიმოხილვა 25

§ 1.3. ტერორიზმის ფენომენი საქართველოში: წარსული და რეალობა 47

თავი II.
ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება

§ 2.1. ტერორიზმის ფორმები და სახეები 52

§ 2.2. ტერორიზმის ხარისხობრივი და რიცხობრივი მაჩვენებლები საქართველოში 97

§ 2.3. ტერორიზმი, როგორც ტრანსნაციონალური დანაშაული (საერთაშორისო მიდგომები) 123

§ 2.4. ტერორიზმის და ორგანიზებული დანაშაულობის თავისებურებანი 174

თავი III.
ტერორიზმის კრიმინალისტიკური თავისებურებანი

§ 3.1. ტერორიზმის კლასიფიკაცია 184

§ 3.2. ტერორიზმის სისხლისსამართლებრივი დახასიათება 191

§ 3.3. ტერორისტული აქტების გამოძიების სტრატეგია 211

§ 3.4. ტერორიზმის ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ტაქტიკა 235

თავი IV.

ტერორიზმის პრევენციასთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტები

§ 4.1. საქართველოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკა და სამართალდამცავი ორგანოების როლი ტერორიზმთან ბრძოლაში..... 246

§ 4.2. ტერორიზმის თავიდან აცილების სამართლებრივი თავისებურებანი 250

§ 4.3. ტერორიზმის პრევენცია, მსოფლიო გამოცდილება 251

§ 4.4. საერთაშორისო თანამშრომლობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში (საერთაშორისო ორგანიზაციები) 256

დასკვნა 259

გამოყენებული ლიტერატურა 263

დანართი (სქემები დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებთან) 271

თემის აქტუალობა: საკვლევი თემა თანამედროვე პერიოდში განსაკუთრებით დიდ აქტუალობას იძენს, ვინაიდან:

- ტერორიზმი უდიდეს საფრთხეს უქმნის სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და დემოკრატიის შემდგომ განვითარებას;
- ტერორიზმი საზოგადოებაში იწვევს ნეგატიურ შედეგებს;
- სრულიად უდანაშაულო მოსახლეობაში ამყარებს მუდმივი შიშის სინდრომს;
- ტერორიზმი ხელყოფს მოსახლეობის სიცოცხლეს;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია ტერორიზმის არსის შესწავლა და მისი გამომწვევი მიზეზების გაანალიზება, მოსალოდნელი საფრთხის პრევენციისა და უკვე ჩადენილი, გამოვლენილი დანაშაულის წარმატებული ძიებისათვის.

კვლევის მიზანი: კვლევა მიზნად ისახავს, განხილულ იქნას:

- ტერორიზმის, როგორც პრობლემის არსი და გამომწვევი მიზეზები;
- ტერორიზმის, როგორც კაცობრიობისათვის საფრთხის შემცველი მოვლენის გლობალური მასშტაბები;

კვლევის ამოცანები: განისაზღვროს ტერორიზმის დეფინიცია, მისი გამოვლენის ფორმები, ტერორიზმის გამოძიების ტაქტიკის თავისებურებები და მეთოდიკის ასპექტები;

მეცნიერული სიახლეები ნაშრომში:

1. ახლებურადაა განმარტებული ტერორიზმის დეფინიცია, რომელიც ხშირად აზრთა სხვადასხვაობას იწვევს მეცნიერთა შორის;
2. წინა პლანზეა წამოწეული ტერორიზმის, როგორც გლობალური მოვლენის გამომწვევი მიზეზები;
3. ტერორიზმის ფსიქოლოგიური სტრუქტურის ანალიზიდან გამომდინარე გამოკვეთილია ახალი ხედვა აღნიშნული დანაშაულის ეფექტურად გამოძიებასთან დაკავშირებით;
4. განვითარებულია იდეა ეთნო-კრიმინალური თანასაზოგადოებების არსებობის და მათ მიერ გამოწვეული დაძაბულობების შესახებ საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვრებთან;

5. ფართოდაა განხილული პოლიტიკური ტერორიზმი და მისი თანმდევი მძიმე შედეგები;
6. პირველადაა გაშუქებული ტერორიზმის გამოძიების აქტუალური საკითხები. ამ მიზნით ჩატარებულია კვლევები უსაფრთხოების საკითხებში;
7. განხილულია ახალი მიდგომები ტერორიზმთან ბრძოლისადმი საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილების მიხედვით, გაანალიზებულია საქართველოს თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
8. დეტალურადაა განხილული ტერორისტული აქტის დროს შემთხვევის ადგილის დათვალიერებასთან დაკავშირებული პრობლემები;
9. გაშუქებულია ტერორიზმის პრევენციასთან დაკავშირებული საკითხები;
10. განსაზღვრულია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტული მეთოდები;

კვლევის მეთოდები: კვლევისას გამოყენებულია პრაქტიკაში მომხდარი ფაქტების ანალიზი და წინამდებარე თემაზე მომუშავე მეცნიერების შეხედულებები, აგრეთვე ფსიქოლოგიური ასპექტები, რომლებიც გავლენას ახდენენ კონკრეტული პირების და სხვადასხვა ჯგუფის ტერორისტებად ჩამოყალიბებაზე.

დანაშაულის გამომწვევი მიზეზების შესწავლის და გამოძიების მიზნით გამოყენებულია კრიმინოლოგიისა და კრიმინალისტიკის კვლევის მეთოდები.

ნაშრომში წარმოჩენილი მეცნიერული ხედვა და ანალიზი ხელს შეუწყობს ტერორიზმის, როგორც პრობლემის უკეთ გაანალიზებას, მისი განმარტების დახვეწას, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს დანაშაულისთვის სწორი კვალიფიკაციის მინიჭებას. პრაქტიკაში ტერორისტული აქტების გამოძიების დროს გამოყენებული იქნება საგამოძიებო ტაქტიკაში განხილული მეთოდები და რეკომენდაციები. ტერორისტის ფსიქოლოგიის თავისებურებების დადგენა და განზოგადება ხელს შეუწყობს აღნიშნული დანაშაულის პრევენციას, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია მასთან ბრძოლისათვის.

შესავალი

საქართველოს ხელისუფლება განაგრძობს საერთაშორისო და შიდა ტერორიზმთან ბრძოლას. იგი საჯაროდ გმობს ტერორისტულ აქტებს, მაგრამ ტერორისტები გარკვეულწილად მაინც ახერხებენ გამოიყენონ საქართველო, როგორც სატრანზიტო ქვეყანა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მათი შესაძლებლობები ამ მხრივ საგრძნობლად შეიზღუდა, განსაკუთრებით 2002 წლის ბოლოს, პანკისის ხეობაში ჩატარებული სამთავრობო იერიშის შედეგად.

2004 წლის სექტემბერში ბესლანში მომხდარი ტერორისტული აქტის შემდეგ, ქართული სამართალდამცავი ორგანოების მიერ პანკისში 2004 წლის ბოლოს ჩატარებულმა გაძლიერებულმა ანტიტერორისტულმა ოპერაციებმა მკვეთრად შეამცირა ტრანსნაციონალურ ტერორისტულ ჯგუფთა შესაძლებლობა სატრანზიტოდ გამოეყენებინათ პანკისის ხეობა.

ქართული სამართალდამცავი ორგანოების შესაძლებლობები შეზღუდულია, თუმცა შიდა რეფორმების, აშშ-ის მთავრობისა და დასავლური დონორების ტექნიკური და ფინანსური დახმარების წყალობით მდგომარეობა ამ მხრივ უმჯობესდება. კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატები უზრუნველყოფენ ჩვენი კადრების კონტრტერორისტულ მომზადებას სახელმწიფო დეპარტამენტის ანტიტერორისტული დახმარების პროგრამის ფარგლებში. პროკურატურაში მოქმედებს ექვსი გამომძიებლისა და პროკურორისგან შემდგარი სპეციალური დანაყოფი, რომელიც უშუალოდ ტერორიზმის დაფინანსებისა და ფულის გათეთრების საქმეებს იძიებს. შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების რეფორმირებისა და მათი კონტრტერორისტული პოტენციალის გაძლიერებას ხელს უშლის სათანადო რესურსების, აღჭურვილობისა და, რაც მთავარია, მომზადების ნაკლებობა. რეფორმატორული ძალისხმევა კადრების დენადობის მაღალ მაჩვენებელთან ერთად გაურკვევლობის მიზეზი გახდა და ხელი შეუშალა ერთიანი ანტიტერორისტული პოლიტიკის შემუშავებას.

„ტერორიზმი“, „ტერორისტები“, „ტერორისტული საქმიანობა“ – ეს ტერმინები პრაქტიკულად ყოველდღიურად ჩნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რაც ჩვენს მოსახლეობას გაურკვევლობასა და შიშს უნერგავს საკუთარი აწმყოსა და მომავლის, ასევე საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების შესაძლო ხელყოფის გამო.

დღეისათვის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემის შესწავლა ორი მიმართულებით მიმდინარეობს.

პირველი მიმართულება უკავშირდება ტერორიზმის, როგორც პოლიტიკური ხასიათის მქონე საერთაშორისო–სამართლებლივი კატეგორიის შესწავლას. ამ კუთხით მეტად მნიშვნელოვანი კვლევები გვხვდება ნ.ს. ბეგლოვას, ი.პ. ბლიშენკოს, ვ.ი. ბლიშენკოს, ტ.ს. ბოიარ–სოზონოვიჩის, ლ.ნ. გალენსკაიას, ნ.ვ. ჟდანოვის, ი.პ. კარპეცის, ე.გ. ლიახოვის, ლ.ა. მოჯორიანის, ი.ა. რეშეტოვისა და სხვათა სამეცნიერო ნაშრომებში.

აღსანიშნავია ბოლო წლებში გამოქვეყნებული სხვა მიმართულების სამეცნიერო ნაშრომები, რომლებშიც ტერორიზმის პრობლემა სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური პოზიციებიდან არის განხილული. ამ მიმართულებით განსაკუთრებით საფუძვლიანი ნაშრომები აქვთ ი.უ. ანტონიანს, ტ.ა. ბოგოლიუბოვას, ს.ს. ბოსხოლოვს, ა.ი. დოლგოვას, ვ.პ. ემელიანოვს, მ.პ. კირეევს, ვ.ს. კომისაროვს, გ.მ. მინკოვსკის, ა.ვ. ნაუმოვს, გ.ვ. ოვჩინიკოვს, ვ.ე. პეტრიშევს, ვ.პ რევინს, კ.ნ. სალიმოვს, ო.ფ. შიშოვს და მრავალ სხვა მეცნიერს.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემა დღესდღეობით კვლავაც აქტუალური რჩება. ამას ადასტურებს 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ იორკში, ვაშინგტონსა და პენსილვანიაში, ხოლო 2002 წლის 23 - 26 ოქტომბერს მოსკოვში, „ნორდ – ოსტის“ მიუზიკლზე მომხდარი საყოველთაოდ ცნობილი ტრაგიკული მოვლენები.

თანამედროვე ტერორისტებს გააჩნიათ მზარდი ტექნიკური აღჭურვილობა, საკმაოდ დიდი ფინანსური სახსრები და ორგანიზების მაღალი დონე. მოცემული დანაშაულებრივი საქმიანობის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი შიდა და საერთაშორისო ტერორიზმს შორის ზღვარის არარსებობაა. ტერორისტულ ორგანიზაციათა კავშირები ნარკობიზნესთან და იარაღით უკანონო ვაჭრობასთან ფართოვდება. ფიქსირდება ტერორისტული ჯგუფების ზრდის დინამიკა. [74-75]

შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტურად ბრძოლის აუცილებლობა აქტუალურს ხდის მოცემულ საკვალიფიკაციო ნაშრომს, ვინაიდან ის ტერორიზმის ცნებისა და არსის, სახეებისა და ფორმების, ტერორიზმის გამო პასუხისგებისა და მისი პრევენციის ზომების კვლევას ეძღვნება.

თავი I.

ტერორიზმის ცნება და ძირითადი მაჩვენებლები

§ 1. 1. ტერორიზმის კონტექსტუალური შინაარსი (დეფინიციები)

ტერორიზმის ცნების განსაზღვრა მსოფლიო მეცნიერებისა და დანაშაულთან ბრძოლის პრაქტიკის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას წარმოადგენს. ამჟამად ტერორიზმის დაახლოებით 200-მდე განსაზღვრება არსებობს და მათგან არცერთია საყოველთაოდ მიღებული, რაც განპირობებულია, როგორც ტერორიზმის ფენომენის სირთულით, ასევე შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო დონეზე არსებული სუბიექტური ფაქტორებით.

ტერორიზმის ცნება. ტერორიზმი უმთავრესად განმარტებულია, როგორც დაშინება, ძალადობრივი ქმედება, ძალადობა ან ძალადობრივი ქმედებით მუქარა.

თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში ტერორიზმის (ლათინურიდან ტერორი – შიში, საშინელება) ცნება გულისხმობს პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური თუ ტერორისტებისათვის მისაღები სხვა სახის სარგებლის მოპოვების მიზნით ცალკეული პირის, პირთა ჯგუფის თუ სხვა ობიექტების წინააღმდეგ ძალადობის გამოყენებას, ან მისი გამოყენების მუქარას

ამასთან, რუსეთის ფედერაციის 25.07.1998 წ. № 130- ფედერალური კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ მოცემული მოვლენის ძალზე რთულ განმარტებას იძლევა. კერძოდ, კანონში ნათქვამია, რომ ტერორიზმი არის: ძალადობა ან მისი გამოყენების მუქარა, მიმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ, აგრეთვე ქონებისა და სხვა მატერიალური ობიექტის განადგურება (დაზიანება) ან მათი განადგურების (დაზიანების) მუქარა, რომელიც იწვევს ადამიანთა დაღუპვის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზარალის მიყენების საშიშროებას ან სხვა საზოგადოებრივად სახიფათო შედეგს; ხორციელდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელყოფის, მოსახლეობის დაშინების ან ტერორისტების სასარგებლოდ სახელისუფლებო ორგანოების გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის მიზნით, ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ინტერესების დაკმაყოფილებისთვის; სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მოღვაწის სიცოცხლის ხელყოფა მისი სახელმწიფო ან სხვა პოლიტიკური მოღვაწეობის შეწყვეტის, ან აღნიშნული მოღვაწეობის გამო შურისძიების მიზნით; უცხო ქვეყნის წარმომადგენელზე ან საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელზე

თავდასხმა ომის პროვოცირების ან საერთაშორისო ურთიერთობების გამწვავების მიზნით.

ამავე დროს, ტერორიზმის განმარტებისადმი მიძღვნილი განსაზღრული ნაშრომების ანალიზი ცხადყოფს, რომ განმარტების შემუშავებისას თითქმის ყველა მკვლევარს ამოძრავებს საერთო სურვილი - უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბოს „ტერორის“, „ტერორიზმისა“ და „ტერორისტული აქტის“ ცნებები.

ტერორიზმის სისხლისსამართლებრივ განსაზღვრებასთან დაკავშირებით მეცნიერებში აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგი მათგანი (ს.ა. ეფიროვი, ა.ვ. ნაუმოვი) მიიჩნევს, რომ გაცილებით ნაყოფიერია არა ტერორიზმის უნივერსალური განსაზღვრების ძიება, არამედ მისი რამოდენიმე ნიშნით შემოფარგვლა. სხვების აზრით (ა.ე. ჟალინსკი), სასარგებლო იქნებოდა ტერორიზმის სამუშაო განმარტების მონახვა სამართლებრივ დონეზე. მსგავს აზრს ზოგიერთი უცხოელი მკვლევარიც იზიარებს (მაგალითად, ა.მ. ლიზენი), სხვები კი (მაგ. ვ. მალისონი, ს. მალისონი), პირიქით, ტერორსა და ტერორიზმს, მათი ფართო აზრობრივი დატვირთვის გამო, არ მიიჩნევენ ისეთ ცნებებად, რომელთა იდენტიფიცირება მკაფიოდ განსაზღვრული ფაქტობრივი მოვლენებითაა შესაძლებელი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის მიხედვით – ტერორიზმი არის, დანაშაული, რომელიც ხელყოფს სახელმწიფო ხელისუფლების ინტერესებს (სტრატეგიულს, პოლიტიკურსა და ეკონომიკურს), ასევე საზოგადოებრივ უსაფრთხოებას (ვინაიდან მოსახლეობაში ტერორისტთა წინაშე უმწეობის, დაუცველობის განცდას და შიშს ბადებს), ადამიანთა ჯანმრთელობას, სიცოცხლეს და ქონებას.

ჩვენი აზრით, **ტერორიზმში უნდა ვიგულისხმოთ** დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც გამოიხატება ძალადობაში ან მისი გამოყენების მუქარაში ცალკეულ პირთა ან პირთა ჯგუფის წინააღმდეგ; რომელსაც თან ერთვის მოსახლეობის დაშინება, ადამიანებში დეპრესიის, დაძაბულობისა და შიშის დანერგვა ტერორისტებისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენის მიზნით; იგი გამოირჩევა გაზრდილი საზოგადოებრივი საშიშროებით და ტერორისტული აქტის ჩადენის საჯაროობით. ამასთან, ტერორისტთა მიზნები შეიძლება სხვადასხვა იყოს: რელიგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური და ა.შ.

ტერორიზმის არსი. ტერორიზმის არსის განსაზღვრის მნიშვნელობას განაპირობებს ტერორიზმის, როგორც დამოუკიდებელი ცნების განმარტების აუცილებლობა. მკვლევარები დიდი ხანია ცდილობენ, ზუსტად განმარტონ აღნიშნული არსი, თუმცა, კვლევის სირთულისა და სხვა დამატებითი დაბრკოლებების წარმოქმნის გამო, საყოველთაოდ არცერთი განმარტება იქნა მიღებული. დამაბრკოლებლად იქცა ის გარემოებაც, რომ ტერორიზმი, როგორც მოვლენა სხვადასხვა ასპექტში (ფილოსოფიური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, სამართლებრივი და ა.შ.) შეისწავლებოდა. თითოეული მკვლევარი მოცემულ მოვლენას მისთვის საინტერესო კუთხით განიხილავდა და „ტერორიზმის განმარტებას საკუთარ ინტერპრეტაციას ანიჭებდა. [92–23,24,33]

ჩვენი აზრით, **ტერორიზმის არსში უნდა ვიგულისხმოთ** მოცემული მოვლენისათვის დამახასიათებელი თვისებების, ორიგინალური ნიშნებისა და მისი განმასხვავებელი თავისებურებების ერთობლიობა, რაც ტერორიზმისთვის, როგორც სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი კატეგორიისთვის არის ნიშანდობლივი. თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში ტერორიზმის, როგორც დანაშაულებრივი ქმედების შემდეგ განმასხვავებელ ნიშნებს გამოყოფენ:

I. ტერორიზმი ქმნის დიდ საზოგადოებრივ საფრთხეს, რომელიც საყოველთაოდ სახიფათო ქმედების ან ამ ქმედების ჩადენის მუქარის შედეგად წარმოიშვება.

II. ტერორისტის განზრახვაა მძევლად აყვანილ პირთა ან აფეთქების ადგილის მახლობლად მყოფ ადამიანთა სიცოცხლის მოსპობა.

III. ტერორისტული აქტი საჯაროდ სრულდება. სხვა დანაშაულებრივი ქმედება გამორიცხავს საჯაროობას. ის ხორციელდება მხოლოდ იმ პირთა ინფორმირებით, რომელთა ქმედებაშიც თავად დამნაშავეა დაინტერესებული. ტერორიზმი კი, საყოველთაო გახმაურების, პირობების ღიად წაყენების გარეშე არ არსებობს.

IV. ტერორიზმისთვის დამახასიათებელია შიშის, დეპრესიისა და დაძაბულობის განზრახ დანერგვა. ამასთან, მსგავსი გარემო იქმნება არა ინდივიდუალურ ან ვიწროჯგუფურ, არამედ სოციალურ დონეზე და წარმოადგენს ობიექტურად აღმოცენებულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს სხვა პირებზე და უბიძგებს მათ ტერორისტთა ინტერესების სასარგებლოდ გარკვეული ქმედების ჩადენის ან მათი პირობების მიღებისკენ.

აღნიშნული გარემოების იგნორირება იწვევს იმას, რომ ხშირ შემთხვევაში ტერორიზმად სოციალურ გარემოში შიშისა და დაძაბულობის გამომწვევ ნებისმიერ ქმედებას შერაცხავენ. თუმცა, ტერორიზმი სწორედ იმით განსხვავდება აღნიშნული ქმედებებისგან, რომ საფრთხისშემცველი გარემო იქმნება არა უშუალოდ დაშინების, არამედ სხვა მიზნების მიღწევისთვის. შიში ამ შემთხვევაში არის მიზანმიმართული ზეგავლენის ერთგვარი ობიექტური ბერკეტი, რომლის დროსაც მისი დანერგვა არა თვითმიზანი, არამედ გარკვეული მიზნის მიღწევის საშუალებაა. ამგვარად, საფრთხისშემცველი გარემოს შექმნა არის ტერორიზმის გამოხატულება, მისი არსის გამომჟღავნება და არა საბოლოო მიზანი.

V. ტერორიზმისთვის დამახასიათებელია ისიც, რომ ძალადობა მიმართულია ერთ ობიექტზე (ადამიანზე, ადამიანთა ჯგუფზე, ქონებაზე), ხოლო გარკვეული ქმედების განხორციელებაზე დაყოლიების მიზნით ფსიქოლოგიური ზემოქმედება ხორციელდება სხვა პირზე. ანუ კონკრეტული პირის გადაწყვეტილებაზე გავლენა მიიღწევა არა უშუალოდ მის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებით, არამედ გარეშე დამაშინებელი ფაქტორების გამოყენებით, როდესაც ეს პირი თავად (თუმცა იძულებით) იღებს გადაწყვეტილებას, დააკმაყოფილოს ტერორისტების მოთხოვნები.

ამასთან, ზეგავლენა იმ ადამიანებზე, ვისგანაც ტერორისტები გარკვეულ შედეგს მოელიან, შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი. მაგალითად, მთავრობისაგან გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, ნაციონალ-სეპარატისტების მიერ საზოგადობის თავშეყრის ადგილებში მოწყობილი აფეთქებები სოციუმზე პირდაპირი ზეგავლენის მოხდენის კლასიკური ნიმუშია. იგივე ქმედება, ჩადენილი რომელიმე პირის მიერ საზოგადოებაში სახელისუფლებო პარტიის, როგორც წესრიგის დამყარების „უუნარო“ ძალის მიმართ უნდობლობის დათესვის მიზნით, რათა ამ ფონზე დაიწყოს მოსახლეობისთვის რეგიონში ან ქვეყანაში ვითარების გაუმჯობესების დაპირების მიცემა გარკვეული კანდიდატისთვის არჩევნებზე უპირატესობის მინიჭების სანაცვლოდ, არის არაპირდაპირი ზეგავლენის მაგალითი. [82–34,38]

ტერორიზმის არსის შესწავლისას თავს იჩენს გარკვეული სირთულეები. ასე მაგალითად, გ.ვ.ოვჩინიკოვა აღნიშნავს, რომ ტერორიზმის განსაზღვრისა და მისი იურიდიული გაფორმებისადმი ერთიანი მიდგომის მთავარი

დამაბრკოლებელი ფაქტორი უკიდურესად პოლიტიზირებული შეფასებებია.[104–7]

ტერორიზმის არსისა და ცნების განსაზღვრის კიდევ ერთ დამაბრკოლებელ ფაქტორს ტერორიზმისა და ტერორის ცნებების გაიგივების პრობლემა წარმოადგენს. ხშირად ეს ცნებები სინონიმებად იხმარება. [118 -289]

მიგვაჩნია, რომ უფრო მართებულია იმ ავტორთა შეხედულება, რომლის მიხედვითაც ტერორიზმი დანაშაულებრივი ქმედებაა, ხოლო ტერორი – ნებისმიერი სუბიექტის (სახელმწიფოს, ორგანიზაციის თუ ფიზიკური პირის) ქცევის ხერხი ძალის გამოყენებითა და მუქარით შიში დანერგოს. ვ.პ. ემელიანოვი „ტერორს“ ადარებს ისეთ ცნებებს, როგორიცაა „აგრესია“, „გენოციდი“, „ომი“; მიიჩნევს რომ ტერორი სახელისუფლებო სუბიექტის მიერ გამოყენებული მასობრივი ძალადობაა. ამასთან დაკავშირებით ავტორი განიხილავს ისეთ ცნებებს, როგორიცაა „იდეოლოგიური ტერორი“, „სახელმწიფო ტერორი“, „ადმინისტრაციული ტერორი“ [80–15,16,18,41]

აუცილებელია გავითვალისწინოთ აგრეთვე, რომ ახლოს დგას, მაგრამ არა ტერორიზმის იდენტურია ტერორისტული აქტის ცნება. როგორც ვ.პ. ემელიანოვი აღნიშნავს, ისინი ხშირად იგივე თანაფარდობაში იმყოფებიან ერთმანეთთან, როგორშიც მთელი და ნაწილი, განსაკუთრებით, თუ საქმე რეალურად ჩადენილ ძალადობრივ აქტს შეეხება. ქმედების ტერორისტულ აქტად აღიარებისთვის არ არის აუცილებელი, ის ჩადენილი იყოს საყოველთაოდ საშიში მეთოდით, რომელიც ზიანს მიაყენებს და ამა თუ იმ სახის მძიმე შედეგის დადგომის საფრთხეს შეუქმნის პირთა განუსაზღვრელ რაოდენობას. ასე რომ, ტერორისტული აქტისთვის სავალდებულოა ტერორიზმის ყველა ნიშანი, გარდა პირველისა (საზოგადოებრივი საფრთხის შექმნა), თუმცა, არც მისი თანაობაა გამორიცხული.

განსახილველი მოვლენების საფუძველს წარმოადგენს დატერორება (ფრ. ტერორისერ), რომელიც გულისხმობს დევნას, დაშინებას ანგარიშსწორებისა და ძალადობის მუქარით.

დატერორებას, როგორც დანაშაულებრივი ქმედების დამოუკიდებელ თვისებას, შემდეგი განმასხვავებელი ნიშნები ახასიათებს:

1. დამნაშავის ძალადობრივი და სხვა ქმედებანი წარმოადგენს არა თვითმიზანს, არამედ სხვა მიზნის მიღწევის საშუალებას.
2. შიშს დამნაშავე მიზანმიმართულად ნერგავს, რაც ეხმარება მას დანაშაულებრივი მიზნის მიღწევაში და აიძულებს სხვა პირს/პირებს ჩაიდინონ ტერორისტთა ინტერესების სასარგებლო ქმედება.
3. საბოლოო შედეგი მიიღწევა არა თავად დამნაშავის (ტერორისტის), არამედ იმ პირთა ქმედებების ხარჯზე, რომლებზედაც ხორციელდება ზეწოლა.
4. ძალადობრივი და დანაშაულებრივი ქმედებები შეიძლება იყოს მიმართული ერთი პირის წინააღმდეგ, ხოლო საბოლოო დანაშაულებრივი შედეგი მიღწეულ იქნას მესამე პირთა მოქმედების შედეგად. ამასთან, შესაძლებელია, რომ დამნაშავემ ქმედების მიმართულება და საბოლოო დანაშაულებრივი შედეგის მიღწევა ერთსა და იმავე პირს დაუკავშიროს. [82–34,38]

აღსანიშნავია, რომ რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში ტერორიზმი განიხილება როგორც ექსტრემიზმის გამოვლინების უკიდურესი ფორმა.

რუსული სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით, ექსტრემიზმში (ექსტრემისტულ საქმიანობაში) იგულისხმება:

1. ფიზიკურ პირთა და გარკვეულ ორგანიზაციათა (რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სხვ.) საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს კონსტიტუციური წყობის საფუძვლების ძალადობრივი გზით შეცვლას, რუსეთის სახელმწიფოებრივი მთლიანობის ხელყოფას, რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების შერყევას, სახელისუფლებო ძალაუფლების მითვისებას ან ხელში ჩაგდებას, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნას, ტერორისტული საქმიანობის ორგანიზებასა და განხორციელებას;
2. ნაცისტური ან მსგავსი ატრიბუტიკისა და სიმბოლიკის პროპაგანდასა და საჯარო დემონსტრირებას;
3. მსგავსი საქმიანობისკენ საჯარო მოწოდებას
4. აღნიშნული საქმიანობის დაფინანსებას.

ტერმინმა "ტერორიზმი" ცხარე დებატები გამოიწვია. ნაცვლად იმისა, რომ შეთანხმდნენ ტერორიზმის დეფინიციაზე, სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლები, პოლიტიკოსები, იურისტები და უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე სპეციალისტები უბრალოდ კამათობენ ტერმინის მნიშვნელობაზე. დალასში ტეხასის უნივერსიტეტის ცნობილმა ექსპერტმა ტერორიზმის

საკითხებში ჰ. კუპერმა [58–233] სცადა პრობლემის შეჯამება და დასკვნის გამოტანა. მისი სიტყვებით, „პრობლემა პრობლემის დეფინიციაშია.“ ჩვენ შეგვიძლია შევთანხმდეთ, რომ ტერორიზმი პრობლემაა, მაგრამ ვერ შევთანხმდით იმაზე, თუ რა არის ტერორიზმი.

ტერორიზმის განსაზღვრა რთულია, იგი ხშირად გარკვეულ დაბნეულობას იწვევს. დაბნეულობას აძლიერებს ის ფაქტი, რომ ადამიანები ერთმანეთს უკავშირებენ სიტყვებს *შიში (ინგ. ტერორ)* და *ტერორიზმი.* სამხედრო ძალების მიზანი, მაგალითად, მტრის გულში შიშის ჩანერგვაა, ხოლო სისტემატური ტერორი ძირითად იარაღს წარმოადგენდა სხვადასხვა კონფლიქტში ისტორიის მანძილზე. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ სამხედრო ძალმომრეობასა და ტერორიზმს შორის განსხვავება არ არსებობს. ანტიბირთვული მოძრაობის ბევრი წევრი ამ მოსაზრებას იმით ხსნის, რომ გამოსაყენებლად მზა ბირთვული იარაღი ტერორიზმის გაგრძელებას წარმოადგენს. ბევრი ამავე ლოგიკას ემხრობა და აცხადებს, რომ ქუჩის ბანდები და კრიმინალები ტერორში ამყოფებენ საზოგადოებას. თუ აღნიშნული ლოგიკით ვიმსჯელეთ და მივიჩნიეთ, რომ ყველა ქმედება, რომელიც შიშს იწვევს ტერორიზმს განეკუთვნება, პოტენციური დეფინიციების რაოდენობა შეიძლება უსასრულოდ გაიზარდოს.

ერთ-ერთი უპირველესი მიზეზი, რომელიც ართულებს ტერორიზმის დეფინიციის ჩამოყალიბებას, არის ის, რომ მისი მნიშვნელობა იცვლება სოციალურ და ისტორიულ კონტექსტში. ეს არ ნიშნავს, რომ „ადამიანი, რომელიც ერთისთვის ტერორისტია, მეორესთვის შეიძლება მშვიდობისათვის მებრძოლს წარმოადგენდეს,“ მაგრამ ის, რომ მისი მნიშვნელობა ცვალებადია, ფაქტია. ასეთი ცვალებადობა გამოწვეულია იმით, რომ ტერორიზმი არ არის მყარი მოვლენა. დანაშაულის მსგავსად, ისიც სოციალური ფაქტორებით განისაზღვრება და სოციუმის ცვალებადობის პარალელურად მნიშვნელობას იცვლის.

წინამდებარე თავში განხილულია ტერორიზმის რამდენიმე გავრცელებული დეფინიცია. ეს დეფინიციები საყურადღებოა, თუმცა მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ არც თუ ისე გამოსადეგი. აუცილებელია, რომ გააზრებული გვქონდეს დეფინიციის კონტექსტი, ვიდრე ტერმინს გამოვიყენებდეთ. ტერორიზმის განსაზღვრება იცვლება სოციალური და ისტორიული მოვლენების ფონზე. შედეგად, ტერორიზმი პრობლემას წარმოადგენს. [54–33]

ტერორიზმის რამდენიმე გავრცელებული კონტექსტუალური მნიშვნელობა. ტერორიზმის დეფინიციების გაცნობამდე, ალბათ, სასურველია მისი მნიშვნელობა სპეციფიკურ ჩარჩოში განვიხილოთ. ბევრად უფრო გამოსადეგია ტერორიზმის კონტექსტუალური მნიშვნელობების ჩამოწერა, ვიდრე სხვადასხვა დეფინიციის დამახსოვრება. ქვემოთ განხილულია რამდენიმე კონტექსტუალური საკითხი.

ისტორია. *ტერორიზმის* მნიშვნელობა დროთა განმავლობაში შეიცვალა. შეუძლებელია ტერორიზმზე საუბარი წინა ისტორიული კონტექსტის გათვალისწინების გარეშე. ტექსტის შემდეგი ნაწილი სწორედ ტერორიზმის განვითარებას ასახავს მსოფლიო ისტორიაში.

თანამედროვე ტერორიზმი წარმოიშვა საფრანგეთის რევოლუციის დროს (1789-1795). ეს ტერმინი გამოიყენებოდა საფრანგეთის მთავრობის მიერ განხორციელებული ქმედებების აღწერისთვის. 1848 წლისთვის ტერმინის მნიშვნელობა შეიცვალა. მას იყენებდნენ მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლი აგრესიული რევოლუციონერების ქმედებების აღსანიშნავად. 1800-იანი წლების ბოლოს და 1900-იანების დასაწყისში ტერორიზმი იმ ძალადობრივ ქმედებებს გულისხმობდა, რომლებსაც ახორციელებდა სხვადასხვა დაჯგუფება (მუშათა ორგანიზაციები, ანარქისტები, ეროვნული დაჯგუფებები, რომლებიც უცხო ძალების წინააღმდეგ იბრძოდნენ, ულტრანაციონალისტური პოლიტიკური ორგანიზაციები და სხვა).

II მსოფლიო ომის (1939-1945) შემდეგ ტერორიზმის მნიშვნელობა კვლავ შეიცვალა. როდესაც ხალხი წინ აღუდგა მსოფლიოში ევროპის დომინანტობას, ნაციონალისტურ ჯგუფებს ტერორისტული დაჯგუფებები ეწოდათ. 1964 წლიდან ადრეულ 1980-იან წლებამდე ტერმინი ტერორიზმი გამოიყენებოდა აგრესორი მემარცხენე დაჯგუფებებისა და ნაციონალისტების აღსანიშნავად. 1980-იანი წლების შუა ხანებში შეერთებულ შტატებში ტერორიზმად ე.წ. სიძულვილის ჯგუფთა მოძრაობის ძალადობრივი ქმედებები მოინათლა. საერთაშორისო დონეზე კი ტერორიზმი მოიაზრებოდა, როგორც სუბნაციონალური (სუბნატიონალ) ბრძოლა. [51- 15-18]

მეორე ათასწლეულის შეცვლასთან ერთად შეიცვალა ტერორიზმის დეფინიციებიც. დღეს ტერორიზმით დაკავებული არიან დიდი დაჯგუფებები, რომლებიც სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად არსებობენ და მისი წევრები

ძირითადად რელიგიური ფანატიკოსები არიან. ტერორისტულ დანაშაულს სჩადიან აგრეთვე სხვა ძალადობრივი დაჯგუფებები, რომლებიც უკმაყოფილონი არიან არსებული სოციალური გარემოთი. ასე რომ, ტერორიზმის დეფინიციის ჩამოყალიბებისას ისტორიული კონტექსტის გავლენა მოცემულ ნეგატიურ მოვლენაზე აუცილებლად გასათვალისწინებელია.

კონფლიქტი. ტერორიზმის მნიშვნელობა იცვლება სხვადასხვა ტიპის ომების ზეგავლენითაც. ჩვეულებრივი ომის პირობებში არმიები იყენებენ კომანდოს ტაქტიკას, რაც ძალიან ჰგავს ტერორიზმს. ამერიკის სამოქალაქო ომის დროს ფედერალურმა არმიამ მაიორ ჯონ ანდერსონს კონფედერატებს სარკინიგზო გზის დარბევის უფლება მისცა. კონფედერატებმა ანდერსონი შეიპყრეს და ჯაშუშობაში დაადანაშაულეს. ამის მიუხედავად, ანდერსონს ჩრდილოეთში გმირად მიიჩნევდნენ. იგი არ ატარებდა უნიფორმას და არც მიღებული ნორმების შესაბამისად იბრძოდა, მაგრამ არმიები, როგორც წესი, აქტიურად იყენებდნენ ზემოთ აღწერილ ტაქტიკას ომის პერიოდში და მსგავს ქმედებებს ტერორიზმის კვალიფიკაცია არასოდეს ეძლეოდა.

პარტიზანულ ომებში პარტიზანები ტერორისტულ ტაქტიკას იყენებენ ხოლმე მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასეთ დროს მათ შეიძლება საკუთარი მხარდამჭერებიც იყოლიონ ტერორის ქვეშ დამორჩილების მიზნით. ტოტალურ ომში საჰაერო ძალები მთელ ქალაქებს ანადგურებენ ხოლმე ცეცხლით. სწორედ ასე მოიქცა გერმანიის საჰაერო ძალები (*ლუფტწაფფე*) სტალინგრადში 1942 წელს, ხოლო ბრიტანეთისა და ამერიკის საჰაერო ძალები – დრეზდენში 1945 წელს. არც ერთ მხარეს მიუჩნევია, რომ მსგავსი ქმედებები ტერორიზმთან იყო ასოცირებული. შეიძლება კიდევ მთელი რიგი წინააღმდეგობრივი მაგალითების მოყვანა, რაც ნათლად დაგვანახებს, თუ როგორ იცვლება ტერორიზმის შინაარსი კონფლიქტის ტიპის მიხედვით. თუმცა, ტერმინი *ტერორიზმი* უფრო ისეთ ძალადობრივ ქმედებას აღნიშნავს, რომელიც მშვიდობიან პერიოდში იჩენს თავს. [58—20-22]

პოლიტიკური ძალა. ტერორიზმის განსაზღვრება პოლიტიკურ ძალაზეა დამოკიდებული. მთავრობებს შეუძლიათ გაზარდონ საკუთარი ძალა, თუ ოპონენტებს ტერორისტებად მოიხსენიებენ. მოქალაქეები სამთავრობო ძალების მხრიდან წამოსულ შეურაცხყოფას უფრო იოლად ეგუებიან, როდესაც კონტრტერორისტული კამპანია წარმოებს. „ტერორისტები“ არ სარგებლობენ იმავე ჰუმანური პრივილეგიებით, როგორითაც „ადამიანები.“ საზოგადოების

აზრით, არალეგალური დაკავება და ზოგჯერ წამებაც კი მისაღები მეთოდებია ტერორისტების დასასჯელად. ტერორისტის დამდამ შესაძლოა ფატალური შედეგები გამოიღოს.

რეპრესია. რეპრესიის ცნება თავისი შინაარსით ძალიან უახლოვდება ძალადობისას. ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა სისტემატურად იყენებს ტერორიზმს, რათა თავისი მოქალაქეები მუდმივი შიშის მდგომარეობაში ჰყავდეს. მსგავსი სახის რეპრესიები ტარდება ქვეყნის პოლიტიკურ სტრუქტურებში, როდესაც ლიდერები საიდუმლო პოლიციურ ძალებს იყენებენ ძალაუფლების შესანარჩუნებლად. იოსებ სტალინი (1879 - 1953) საბჭოთა კავშირს 1924 წლიდან 1953 წლამდე ტერორის მეშვეობით მართავდა. იგივე მეთოდებს იყენებდა სადამ ჰუსეინიც ერაყის მართვისას. ლათინური ამერიკა რამდენჯერმე მოექცა რეპრესორი ლიდერების მმართველობის ქვეშ (ხშირად შეერთებული შტატების ხელშეწყობით).

რეპრესია შეიძლება ოფიციალური პოლიტიკური სტრუქტურების გარეთაც წარმოებდეს. ეს ე.წ. *კანონგარეშე (ეხტრაჯურიდიცალ) რეპრესიაა* და მას ახორციელებენ რეპრესიული დაჯგუფებები, რომლებიც ცდილობენ სხვების დაშინებას გარკვეული ქმედებებით. პოლიტიკური რეპრესია ტერორიზმის ერთ-ერთი ფორმაა, მაგრამ ადამიანები იშვიათად უკავშირებენ ასეთი ტიპის ძალადობას ტერორიზმს.[59- 11-13]

მედია. ჟურნალისტები და ტელერეპორტიორები ხშირად ტერმინს "*ტერორიზმი"* პოლიტიკური ძალადობის აღსანიშნავად გამოიყენებენ. მიუხედავად ამისა, არ არსებობს გარკვეული სტანდარტი, რომელიც მათ დაეხმარება დეფინიციის სწორად გაგებაში. ხშირად ისინი აღნიშნულ ტერმინს მხოლოდ იმიტომ იყენებენ, რომ მეტი ყურადღება მიიპყრონ. ასე რომ, ტერორიზმის არსის განსაზღვრაში მედიის როლი შედარებით უმნიშვნელოა.

დანაშაული. შეიძლება ვიფიქროთ, რომ დამნაშავეები და ტერორისტები ორი სხვადასხვა ტიპის ძალადობრივ ქმედებებს სჩადიან. ზოგიერთი ანალიტიკოსი ამაზე თანხმდება, მაგრამ გარკვეული კითხვის ნიშნები მაინც რჩება. რამდენიმე წლის წინ სისხლის სამართლის საკითხებში საპრეზიდენტო კომისიამ განაცხადა, რომ აუცილებელი იყო სისხლისსამართლებრივი აქტის მოტივაციის გადახედვა, რათა განესაზღვრათ, იყო თუ არა კონკრეტული ქმედება ტერორისტიული აქტი (სახელმწიფო მრჩეველთა კომიტეტი სისხლის სამართლის

საქმეთა წარმოების სტანდარტებისა და მიზნების საკითხებში, 1976). კომისიის ანგარიშის თანახმად, როდესაც დანაშაული პოლიტიკურად მოტივირებულია, მას ტერორიზმის კვალიფიკაცია ეძლევა. ამ მიდგომის პრობლემა ისაა, რომ დანაშაული დანაშაულად რჩება იმის მიუხედავად, თუ რა მოტივაცია იმალება მოცემული ქმედების უკან. კონფლიქტისა და სამთავრობო რეპრესიების გარდა, ტერორიზმის ყველა ფორმა სისხლის სამართლის დანაშაულს უკავშირდება. შეერთებულ შტატებშიც კი გამოძიების ფედერალური ბიურო თავის ოქმებში პოლიტიკურ დანაშაულს არ მიაწერს ტერორიზმს.[9- 40-45]

რელიგია. უკანასკნელი წლების განმავლობაში რელიგიურმა დაჯგუფებებმა (ან კონკრეტულად რომელიმე რელიგიამ) დიდი როლი ითამაშა ტერორიზმის განვითარებაში. ექსტრემალური რელიგიური რწმენა ნოყიერ ნიადაგს ქმნის ტერორიზმის გასავრცელებლად. რელიგიური ძალადობას საფუძვლად სამი ძირითადი მოტივი ედება [54–152] (1) გარკვეული რელიგიური დაჯგუფებები მიიჩნევენ, რომ მათ უნდა გაწმინდონ სამყარო ახალი ეპოქის შესაქმნელად. ამას *ძალადობრივი ესქატოლოგია* ეწოდება; (2) ზოგიერთი სხვა დაჯგუფება მიიჩნევს, რომ ისინი რჩეულები არიან და სამართლიანობის აღდგენისთვის შეუძლიათ ხელი აღმართონ სხვა ადამიანებზე. ასეთი მიდგომა ფრიად სახიფათოა და მას ძალადობრივ შეუწყნარებლობასა და რელიგიურ ომებამდე მივყავართ. და ბოლოს, (3) ზოგიერთი ადამიანი, რომელზეც ესა თუ ის მოვლენა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, თავად იგონებს სუროგატულ რელიგიას და საკუთარი რწმენის გასავრცელებლად ძალადობრივ ქმედებებს მიმართავს. ეკოლოგიური ტერორისტების საქმიანობა ამ ტიპის ფსევდორელიგიური ტერორიზმის შესანიშნავი მაგალითია.

განსაკუთრებული ფორმები. ზოგჯერ *ტერორიზმს* განსაკუთრებულ კონტექსტში მოიხსენიებენ. ასეთია მაგალითად, *ტექნოლოგიური ტერორიზმი,* რომელზეც ქვემოთ დაწვრილებით გვექნება საუბარი. ტერორიზმის კიდევ ერთი სპეციფიკური ფორმა შეეხება კომპიუტერულ თავდასხმებს, ვირუსებს და ინფორმაციული ინფრასტრუქტურის დარღვევას. ამას *კიბერტერორიზმი* ეწოდება. და ბოლოს, ნარკოტიკული დანაშაულებრივი ორგანიზაციები ხშირად იყენებენ ტერორისტულ ტაქტიკას, ზოგიერთი ტერორისტული ორგანიზაცია კი ნარკოტიკებითაც ვაჭრობს, რათა პოლიტიკური მიზნებით ნაკარნახევი ქმედებები დააფინანსოს. ანალიტიკოსების ნაწილი აღნიშნული ტიპის ძალადობას *ნარკოტერორიზმს* უწოდებს. გამოძიების ფედერალური ბიუროს ყოფილი

თანამშრომელი უილიამ დაისონი ამტკიცებს, რომ ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი არ წარმოადგენს ტერორიზმის ცალკეულ ფორმას და ისინი უნდა განვიხილოთ, როგორც გარკვეული თავდასხმები პოლიტიკური ტერორისტების მხრიდან.

ცვალებადი კონტექსტი. სია კონტექსტუალური ფაქტორებისა, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ტერორიზმის დეფინიციაზე, შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. საკმარისია იმის თქმაც, რომ ტერორიზმი პოლიტიკური თუ სოციალური კონტექსტის შეცვლის პარალელურად იცვლება. ტერორიზმის საკითხებზე მომუშავე ანალიტიკოსი ალექს შმიდი (1983) ამბობს, რომ მნიშვნელობა არ აქვს, როგორ განვსაზღვრავთ ტერორიზმს. დეფინიცია ყოველთვის შეიცვლება, რადგან იცვლება ძალადობრივი ქმედების მნიშვნელობაც. ჩვენ არ შეგვიძლია ტერორიზმის განსაზღვრა. [47-256-266]

ამგვარი დასკვნის ფონზე განვიხილოთ შესასწავლი მოვლენის შედარებით ცნობილი დეფინიციები.

რამდენიმე ცნობილი დეფინიცია. ყველაზე ფართოდ გავრცელებული და გამოყენებადი დეფინიცია, რომლითაც სარგებლობენ სისხლის სამართლის საქმეთწარმოებაში და ასევე სამხედრო და უსაფრთხოების სფეროებში, შემოგვთავაზეს ცნობილმა სპეციალისტმა კონტრტერორისტულ საკითხებში ბრაიან ჯენკინსმა [57–8,9] და ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის თანამშრომელმა უოლტერ ლექვერმა. [57–72] მათ ტერორიზმის ცნება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განსაზღვრეს, მაგრამ მსგავს დასკვნამდე მივიდნენ.

ჯენკინსმა მოგვაწოდა დეფინიცია, რომელსაც თავად ხშირად იყენებდა უშიშროების ძალებთან კონსულტაციების წარმოებისას. ჯენკინსი (1984) ტერორიზმს უწოდებს პოლიტიკური ცვლილების გამოწვევის მიზნით დაშინებისთვის ძალის გამოყენებას. ლექვერი თავის განმარტებაში უახლოვდება ჯენკინსს და აღნიშნავს, რომ ტერორიზმი წარმოადგენს ძალის არალეგიტიმურ გამოყენებას გარკვეული პოლიტიკური მიზნის მიღწევისთვის უდანაშაულო ხალხის მიზანში ამოღებით. იგი დასძენს, რომ მარტივი დეფინიციის სიღრმეებში ქექვა და დამატებითი ინფორმაციის ამოღების მცდელობა უსარგებლოა, რადგან ტერმინი ძალზე წინააღმდეგობრივია. ლექვერი სქოლიოში აღნიშნავს, რომ ტერორიზმის დეფინიციაზე მთელი ტომები შეიძლება დაიწეროს, მაგრამ ეს ტომები იოტისოდენადაც ვერ გაზრდის ჩვენს გაგებას ტერორიზმის არსზე.

თავის გვიანდელ ნამუშევრებში ლექვერი განავრცობს მარტივ დეფინიციას მხოლოდ იმიტომ, რომ ის იცვლება ისტორიის მსვლელობის პარალელურად.

ჯენკინსი და ლექვერი მარტივი მიდგომით თავისუფლად განიხილავენ პრობლემებს, თუმცა, არ არსებობს გააზრებული მეთოდი გარკვეული ტერორისტული აქტებისთვის მარტივი დეფინიციების შესამუშავებლად. მარტივი დეფინიციები სოციალური მეცნიერებების მუშაკებსა და პოლიტიკოსებს უკმარისობის გრძნობას უტოვებს და სიმარტივე პრობლემას ვერ გადაწყვეტს.[57-33-35]

მიუხედავად ამისა, ლექვერი მიიჩნევს, რომ აუცილებელია მარტივი დეფინიციები შევინარჩუნოთ, თუნდაც მათი სუსტი მხარეებით, რადგან სხვადასხვა ადამიანისთვის ტერორიზმის მნიშვნელობა ყოველთვის განსხვავებული იქნება. უშიშროების თვალსაზრისით ლექვერის დასკვნას აქვს გარკვეული აზრობრივი დატვირთვა: ტერორიზმი არის პოლიტიკური ან კრიმინალური (სისხლის სამართლის) ძალადობრივი ქმედების ერთ-ერთი ფორმა სამხედრო ტაქტიკის გამოყენებით, რათა დაშინების გზით მოხდეს გარკვეული სისტემის შეცვლა. მაგრამ აღნიშნული დეფინიცია ვერ ჭრის პრობლემის პოლიტიკურ ასპექტებს, თუმცა, გაუთავებელი დებატების საფუძველს აძლევს უსაფრთხოების უზრუნველმყოფელ სტრუქტურებს.

დეფინიციების ნაკლი მხოლოდ პრაგმატულ სიმარტივეში არ მდგომარეობს. გერმანიამ, გაერთიანებულმა სამეფომ და ესპანეთმა ტერორიზმი 10 წელიწადზე მეტია კანონგარეშედ გამოაცხადეს, ამერიკა კი ცდილობს ამ მოვლენას სამართლებრივი დეფინიცია მოუძებნოს (მულენდორი და უაითი, [59–409]. სამართლებრივი დეფინიციების მომხიბლავი მხარე ისაა, რომ ის მთავრობას ერთგვარ უფლებას აძლევს, ჩაიდინოს გარკვეული დანაშაულები, რომლებიც ტერორისტული აქტების წინააღმდეგ შეიძლება გამოიყენონ. თუმცა, სამართლებრივი დეფინიციები საკმაოდ უსარგებლოა, რადგან ტერორიზმის არც სოციალურ და არც პოლიტიკურ ხასიათს არ ასახავს და მათი არასწორად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

სამართლებრივ დეფინიციებში შიდა წინააღმდეგობებიც იჩენს თავს. მაგალითად, შეერთებული შტატების სამართლებრივ დებულებებში წერია: „ზოგიერთ დაჯგუფებას შეიძლება ტერორისტული ვუწოდოთ, მაშინ როდესაც, სხვა დაჯგუფება, რომელიც ანალოგიურ ქმედებას სჩადის, ლეგიტიმური

რევოლუციონერების ჯგუფად მიიჩნევა.“ შეერთებული შტატებისადმი მეგობრულად განწყობილმა მთავრობებმა ლათინურ ამერიკაში რამდენიმე ისტორიულად უსასტიკესი ქმედება ჩაიდინეს კონტრტერორიზმის სახელით, ზოგიერთი ლათინო-ამერიკელი რევოლუციონერი კი თავის სასარგებლოდ იყენებს აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციასა და კონსტიტუციაში ჩამოყალიბებულ უფლებებს, თუმცა, მათ მაინც ტერორისტებად მოვიხსენიებთ. ასე რომ, სამართლებრივი დეფინიციები ხშირად არაშორსმჭვრეტელურია.[42- 20-25]

მარტა ქრენშოუ [47–1-10] მიიჩნევს, რომ ტერორიზმის განსაზღვრა შეუძლებელია, თუ თავად ქმედება, მიზანი და წარმატების შესაძლებლობა არ იქნა გაანალიზებული. ამ მიდგომით თავისუფლებისთვის მებრძოლები იყენებენ ლეგიტიმურ სამხედრო მეთოდებს ლეგიტიმურ პოლიტიკურ სამიზნეებზე თავდასხმისათვის. მათი ქმედებები ლეგიტიმურობის ჩარჩოში უფრო მაშინ ჯდება, როდესაც არის კონფლიქტში გამარჯვების შესაძლებლობა (შანსი). ტერორისტები ლეგიტიმურობის სამი კრიტერიუმიდან (სამხედრო მეთოდები, სამხედრო სამიზნეები და გამარჯვების გარკვეული შანსი), როგორც წესი, ერთ-ერთს ვერ აკმაყოფილებენ.

ქრენშოუ ასევე აცხადებს, რომ რევოლუციური ხასიათის ძალადობრივი ქმედება არ უნდა აგვერიოს ტერორიზმში. ქრენშოუსთვის ტერორიზმი სოციალურად და პოლიტიკურად მიუღებელ ძალადობას ნიშნავს, რომელსაც უდანაშაულო სამიზნე ჰყავს ამოღებული ფსიქოლოგიური ეფექტის მისაღწევად. მსგავსი ანალიტიკური გამიჯვნა დაეხმარა ქრენშოუს, რომ გამხდარიყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ექსპერტი ტერორიზმის საკითხებში, მაგრამ ორი საკითხი მაინც პრობლემად რჩება. ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს პოლიტიკური უფლებამოსილება ტერორიზმის „ლეგიტიმურობის“ განსასაზღვრავად, აქვს ტერორისტული აქტების განხორციელების ძალაუფლებაც. გარდა ამისა, ანალიტიკური დეფინიცია დიდად არ განსხვავდება მარტივი დეფინიციისგან.

რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდში (1981-1989) ძალზე პოპულარული გახდა ტერორიზმის განსაზღვრა სახელმწიფო პოლიტიკური ტერმინების გამოყენებით. ანალიტიკოსები ასახელებდნენ ტერორისტულ სახელმწიფოებს, რომლებიც ტერორიზმს იყენებდნენ ამერიკის ინტერესების წინააღმდეგ. ნილ ლივინგსტონი ლივინგსტონი [47–176] და არნოლდი [43–5,15] გამოყოფდა ხუთ ტერორისტულ ძალას, რომლებიც ყოფილ საბჭოთა კავშირს დაქვემდებარებულ

სახელმწიფოებს ემსახურებოდნენ. ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბენჯამინ ნეტანიაჰუ (*ენჯამინ ეტანიაჰუ*) დასავლეთს ტერორისტული სახელმწიფოების წინააღმდეგ მოუწოდებდა. ამ ლოგიკით დეფინიციის დილემის გადაჭრაც შესაძლებელი ხდებოდა – ტერორისტები იყვნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების ბიუროს (კგბ) დაქვემდებარებაში მყოფი „აჩრდილი მეომრები“ (*შპადოწ ჭარრიორს*) ლიბიიდან, სირიიდან, ბულგარეთიდან, აღმ. გერმანიიდან და სამხრეთ კორეიდან.

თუმცა, სახელმწიფო პოლიტიკური ტერმინებით გაჯერებულმა დეფინიციებმა კომუნისტური იმპერიის დანგრევამდე რთული პერიოდი გამოიარეს. ჯეიმს ადამსმა [45 –32,33] გვიჩვენა, რომ ტერორისტები არ კონტროლდებიან და არც არასოდეს კონტროლდებოდნენ მხარდამჭერი (დამფინანსებელი) სახელწიფოების მიერ. ზოგიერთი ტერორიზმის მომხრე სახელმწიფო მართლაც უმაგრებდა ზურგს გარკვეულ ტერორისტულ დაჯგუფებებს ლოგისტიკური და მორალური მხარდაჭერით, მაგრამ მათი გავლენა მთლიანობაში ძალზე უმნიშვნელო იყო. ტერორიზმი ძალზე კომპლექსური და მნიშვნელოვანი მოვლენაა იმისთვის, რომ სახელმწიფოებმა აკონტროლონ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არგუმენტები სახელმწიფო დაფინანსების შესახებ შესუსტდა მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ტერორისტი, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპაში იმალებოდნენ, დააპატიმრეს.

განსხვავებულ დეფინიციას გვთავაზობს ედვარდ ჰერმანი, რომელიც ამბობს, რომ ტერორიზმი სახელმწიფო რეპრესიების კონტექსტში უნდა განისაზღვროს. ჰერმანს მოჰყავს ლათინოამერიკული მთავრობების მაგალითი და ამბობს, რომ რეპრესიულმა პოლიტიკამ უფრო მეტი უბედურება მოუტანა ხალხს, ვიდრე სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულმა ტერორისტურმა ფორმირერებმა მოუტანეს. მაიკლ სტოლი [51–20-28] ცალკე გამოცემაში აღნიშნავს, რომ ტერორიზმი ყველაზე ხშირად გამოიყენება მთავრობების მიერ ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით. უოლტერ ლექვერის [57–6] აზრით, უგუნურება იქნება იმის უარყოფა, რომ სახელმწიფო რეპრესიებმა უფრო ნაკლები ზიანი მიაყენა ხალხს, ვიდრე თანამედროვე ტერორიზმმა. თუმცა, ლექვერი იმასაც აღნიშნავს, რომ სამთავრობო რეპრესიები გრძელვადიანი პოლიტიკური პრობლემაა და განსხვავდება თანამედროვე ტერორიზმისგან. თუმცა, საკითხის ჩართვა დისკუსიაში მეტ გაუგებრობას გამოიწვევს და დიდად ვერც ტერორიზმის არსის გაგებაში დაგვეხმარება.

დეფინიციის დილემის გადაჭრის მიზნით, ალექს შმიდი [57–70-111] შეეცადა სხვადასხვა პოზიციის შეჯერებას. მან დაასკვნა, რომ არ არსებობს ჭეშმარიტი და სწორი დეფინიცია, რადგან ტერორიზმი აბსტრაქტული ცნებაა და ფიზიკურად არ არსებობს. მარტივი დეფინიცია ვერ გასწვდება ტერმინის ყველა პოტენციურ მნიშვნელობას. მიუხედავად ამისა, შმიდი აცხადებს, რომ რიგი ელემენტისა საერთოა ცნობილ დეფინიციებში და მათ უმრავლესობას ორი ამგვარი ელემენტი აერთიანებს, კერძოდ: 1. ის პირები, რომლებიც ტერორის (შიშის) ქვეშ იმყოფებიან და 2. ტერორისტების სამიზნეები და მსხვერპლი.

შმიდმა ასევე შემოგვთავაზა ტერორიზმის კონგლომერატული დეფინიცია. მის მიერ ჩატარებული ემპირიული ანალიზის შედეგად უკვე არსებულ განსაზღვრებებში 22 საერთო ელემენტი გამოიკვეთა. შმიდმა ჩამოაყალიბა დეფინიცია, რომელშიც 13 ასეთი ელემენტი გააერთიანა. მეცნიერი ტერორიზმს განიხილავს, როგორც ბრძოლის მეთოდს, რომელშიც მსხვერპლი სიმბოლურ სამიზნეს წარმოადგენს. აგრესიულ შემსრულებლებს შეუძლიათ შიშის ქრონიკული გარემო შექმნან ზღვარგადასული ძალადობის გამოყენებით. პროცესში უშუალო მსხვერპლის გარდა ზარალდება საზოგადოებაც, რომელშიც უიმედობა და შიში ისადგურებს.

ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ შმიდმა დეფინიციების კომბინირებით ერთი განსაზღვრების ჩამოყალიბების დილემა გადაწყვიტა. ზოგი კი ფიქრობს, რომ მან უბრალოდ შედარებით დახვეწა უკვე არსებული დეფინიციები. მოცემული პრობლემის განხილვისას, ანალიტიკოსები ძირითადად სამ დასკვნამდე მიდიან. ზოგიერთი ქრენშოუსა და თომას თორტონის აზრს იზიარებს და მიაჩნია, რომ ტერორიზმის შემთხვევაში უფრო არალეგიტიმურ ძალადობასთან გვაქვს საქმე, ვიდრე პოლიტიკურ რევოლუციასთან. სხვები შმიდის მოსაზრებებს ემხრობიან, დეფინიციების სინთეზს მიმართავენ ან სხვების დეფინიციებს იყენებენ. და ბოლოს, ზოგიერთები საერთოდ უგულებელყოფენ პრობლემის არსებობას. ისინი საუბრობენ ტერორიზმზე და გულისხმობენ, რომ ყველამ იცის მისი მნიშვნელობა.[43- 7-17]

ძირითადი კონცეფციების სახელმძღვანელო პრინციპები

1. ტერორიზმი განისაზღვრება სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტში. ეს არის უპირველესი მიზეზი იმისა, რომ ტერორიზმის არც ერთი დეფინიცია არ არის წარმატებული.

2. კონტექსტუალური დეფინიციების თვალსაზრისით ტერორიზმის შინაარსზე გავლენას ახდენს ისტორიული და პოლიტიკური ფაქტორები, კონფლიქტები, პოლიტიკური რეპრესიები და ძალადობა, მასმედია, დანაშაულობა და სხვა.

3. ვინაიდან ტერორიზმის მნიშვნელობა ცვალებადია, მარტივი დეფინიცია, ალბათ, საუკეთესო გამოსავალია;

4. თუ უსაფრთხოებაზე ვაკეთებთ აქცენტს, ჩვენი აზრით, უმჯობესია, ტერორიზმი ტაქტიკური თვალსაზრისით შევაფასოთ, რადგან მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ნეგატიური მოვლენა ბრძოლის ერთერთი მეთოდია, იგი საზოგადოებას აშინებს (ტერორში ამყოფებს) და უქრობს სტაბილურობისა და უსაფრთხოების განცდას.

5. ტერორიზმის ტაქტიკა მოიცავს: დაბომბვას, შენობისთვის ცეცხლის წაკიდებას, თვითმფრინავის გატაცებას, თავდასხმას, ადამიანის გატაცებას, მძევლად აყვანას და ტექნოლოგიური სერვისის მწყობრიდან გამოყვანას.

6. თავდასხმის ეფექტურობის გაზრდისთვის ტერორისტები იყენებენ ე.წ. გამაძლიერებელ ფაქტორებს. ასეთი ფაქტორებია: ტრანსნაციონალური მხარდაჭერა, მედია, რელიგიური ფანატიზმი, ტექნოლოგიები.

ტერორიზმის ტიპოლოგია. ტიპოლოგია კლასიფიკაციის სისტემაა და ტერორიზმის იმდენი ტიპოლოგია შეიძლება არსებობდეს, რამდენიც დეფინიცია. მიუხედავად ამისა, მოდელები, კლასიფიკაციის სისტემები და ტიპოლოგიები დეფინიციების ალტერნატივას გვთავაზობენ. მათ რამდენიმე უპირატესობა აქვთ. პირველ რიგში, პრობლემის მთელი მასშტაბით წარმოჩენა შეუძლიათ. ტერორიზმი არ არის ერთი კონკრეტულად განსაზღვრული ქმედება, ის სხვადასხვა ქმედების კომბინაციებისგან შედგება. ტიპოლოგია ტერორისტულ ქმედებათა თავისებურებებს უკეთ ასახავს, ვიდრე დეფინიციათა უმრავლესობა. მეორე მხრივ, პრობლემის მასშტაბი მის დონეს ავლენს. ტერორიზმი შეიძლება იყოს ლოკალური, სახელმწიფო ან საერთაშორისო. ტიპოლოგია გვეხმარება იმის გარკვევაში, რა სახის ტერორიზმთან გვაქვს საქმე. და ბოლოს: როდესაც ტერორიზმის დონე გაირკვევა, რეაგირების დონის დადგენაც გაადვილდება.

ტიპოლოგიები არ წარმოადგენს პანაცეას და ისინი ვერ წყვეტენ ყველა დეფინიციურ დილემას. პირველ რიგში, ტერორიზმი, როგორც პროცესი მუდმივი ცვალებადობის რეჟიმშია. ტიპოლოგიებმა შეიძლება გააღრმავოს ჩვენი ცოდნა

ტერორიზმის შესახებ, მაგრამ თითოეული ტერორისტული შემთხვევა უნიკალურია და უნდა განვიხილოთ კონკრეტული სოციალური, ისტორიული და პოლიტიკური გარემოს გათვალისწინებით.

ტიპოლოგიის კიდევ ერთი სუსტი მხარეა ის, რომ იგი რეალობას ამახინჯებს. კონკრეტული მოდელის შემუშავების შემდეგ, ზოგიერთი ადამიანი (მათ შორის მეცნიერიც) ცდილობს, ტერორიზმის გარკვეული ფორმები უკვე მზა ტიპოლოგიის მოდელს მოარგოს. ლათინურ ამერიკაში წარმართული პროცესები ამის ცოცხალი მაგალითია. მთავრობებმა, ჟურნალისტებმა, მასწავლებლებმა და რევოლუციონერებმა ჩამოაყალიბეს იდეოლოგიური ტიპოლოგიები ლათინური ამერიკისთვის და შემდეგ რეალობა თავიანთ პოლიტიკურ თვალსაზრისს მოარგეს. მოვლენების შეცვლამ ნიმუშზე მორგების მიზნით შეიძლება რეალობის დამახინჯება გამოიწვიოს. ასეთ დროს მკვლევარები, როგორც წესი, ხედავენ იმას, რაც სურთ რომ დაინახონ. გარდა ამისა, ტიპოლოგიები ჩქმალავს დეტალებს. ისინი გვთავაზობენ ზოგად და არა კონკრეტულ ნიმუშებს მაშინაც კი, თუ სწორად არიან შედგენილი.

პიტერ ფლემინგი, მაიკლ სტოლი და ალექს შმიდი [47 -153,159] აკრიტიკებენ ტერორიზმის აღწერის მიზნით ტიპოლოგიის გამოყენებას აცხადებენ რა, რომ ტიპოლოგიებს საფუძვლად მკვლევართა მოსაზრებები უდევს და შესაბამისად, მათ აზრებს ასახავს. ტიპოლოგიები ასევე გვთავაზობენ სხვადასხვა ვერსიის შედარებას, რაც რიგ შემთხვევაში მიზანშეუწონელია. ფლემინგი, სტოლი და შმიდი კრიტიკულად უდგებიან ტიპოლოგიებს, რადგან მათი აზრით, არც ერთი მათგანი არ მოიცავს სიღრმისეულ პოლიტიკურ ანალიზს.

თუ დავეთანხმებით ფლემინგის, სტოლისა და შმიდის მოსაზრებებს, შეიძლება უარვყოთ ტიპოლოგიების გამოყენება. თუმცა, მათ მაინც შეიძლება შეზღუდული უპირატესობა ჰქონდეთ. მართალია, ისინი ვერ წყვეტენ დეფინიციის პრობლემას და ვერც ღრმა პოლიტიკური და სოციალური საკითხების გაშუქების მეთოდს გვთავაზობენ, მაგრამ ტიპოლოგიების გამოყენება შეიძლება შედარებით შეზღუდული ფუნქციისთვის – უსაფრთხოების პრობლემის ტაქტიკური განსაზღვრისათვის. [44-66,67] ზოგიერთი ცნობილი მკვლევარი სწორედ ამ მიდგომას იყენებდა ტერორიზმის შესწავლისას.

ტერორიზმის ტაქტიკური ტიპოლოგია. ადამიანები მუდმივი კონფლიქტის მდგომარეობაში ცხოვრობენ. მართლაც, შეუძლებელია ადამიანთა სოციალური

ორგანიზაცია კონფლიქტების გარეშე. ორგანიზება ყველაზე მშვიდობიან საზოგადოებაშიც კი აუცილებელია, რადგან მაკონტროლებელ ორგანოს შეუძლია ხალხი ჩართოს ორგანიზაციაში და აიძულოს მისი წევრები, რომ წესებს დაემორჩილონ. ძალის ჭარბი რაოდენობა შეზღუდვებს უნდა დაექვემდებაროს. ამიტომ, სოციალური ორგანიზაციები სინამდვილეში არასოდეს არიან „მშვიდობიანად". პირიქით, ყოველთვის „ომის" მდგომარეობაში იმყოფებიან. კონფლიქტის მასშტაბურობა და დონე, მართალია, განსხვავდება, მაგრამ გარკვეულ ნორმებში ჯდება (კონფლიქტი ნორმატიულია). თუ ამ ვარაუდს გავიზიარებთ, შევძლებთ ტერორიზმის არსში ჩაწვდომას. აღნიშნულის საილუსტრაციოდ განვიხილოთ შეერთებული შტატების არმიის მიერ გასული საუკუნის 70-იან წლებში შემუშავებული კონცეფცია. ვიეტნამის ომის შემდეგ არმია მიხვდა, რომ მისი მისია იცვლებოდა და იგი მომზადებული უნდა ყოფილიყო სხვა ტიპის ომებისთვისაც. კონფლიქტები შეიძლება ნებისმიერი სახის ყოფილიყო – დაწყებული უმნიშვნელო დაპირისპირებიდან (ადგილობრივი ომები), დამთავრებული ბირთვული განადგურებით. ომის მნიშვნელობაც (უკეთეს შემთხვევაში) ბუნდოვანია. ამ სიტუაციის ნათელსაყოფად შეერთებული შტატების არმიამ შემოგვთავაზა კონფლიქტების სპექტრი, რომელიც იწყება დაბალი ინტენსივობის კონფლიქტებიდან და მთავრდება ყოვლისმომცველი ომით. ეს სურათი, ალბათ, უფრო ადამიანის დამოკიდებულებას ასახავს, ვიდრე იმის გარკვევის საშუალებას იძლევა – ომის მდგომარეობაში შეიძლება აღმოვჩნდეთ თუ მშვიდობის, თუმცა, ტერორიზმის არსის გაგებაში ნამდვილად გვეხმარება.

§ 1. 2. საერთაშორისო ტერორიზმის ისტორიული მიმოხილვა ტერორიზმის საწყისები

რეალურად შეუძლებელია ტერორიზმის არსში ჩაწვდომა, თუ არ განვიხილავთ როდის და სად მოხდა მისი აღმოცენება-განვითარება. ტერორიზმი ისეთივე ძველი მოვლენაა, როგორიც კონფლიქტები. იგი ცხრამეტი საუკუნის განმავლობაში ვითარდებოდა და იცვლიდა ფორმასა და იდეოლოგიას. მაგრამ თანამედროვე ტერორიზმი სათავეს განმანათლებლობის ეპოქაში იღებს. თანამედროვე ტერორიზმი ევროპაში წარმოიშვა და მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში გავრცელდა. იგი თანამედროვე საერთაშორისო ტერორიზმის გამოცდილების საფუძვლებს მოიცავს.

განასხვავებენ ტერორიზმის შვიდ სახეობას:

1. უცხო, მტრულად განწყობილი ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ არამეგობრულ სახელმწიფოში ტერორისტულ ქმედებათა დაგეგმვა დესტაბილიზაციის ინსპირირებისა და იქ არსებული ხელისუფლების დამხობის ან მისი დაშინებისა და დამორჩილების მიზნით.

2. ინდივიდუალური ხასიათის ტერორისტული აქტი პოლიტიკური ანდა ფინანსური მოტივებით.

3. ადამიანთა დატყვევება და გატაცება სხვადასხვა პოლიტიკური ან მერკანტული მოსაზრებით.

4. აფეთქებათა ორგანიზაცია სხვადასხვა მეთოდებით, მათ შორის, დღეისათვის ფართოდ გავრცელებულ კამიკაძეთა გამოყენებით.

5. საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო სატრანსპორტო საშუალებათა ხელში ჩაგდება და მათი ტერორისტული მიზნით გამოყენება.

6. შენობა-ნაგებობებსა თუ სატრანსპორტო საშუალებებში მძევალთა მასობრივი აყვანა შანტაჟის მოწყობისთვის.

7. ბიოქიმიური და ბაქტერიოლოგიური ტერორიზმი თავდასხმის ობიექტის განადგურების ანდა პარალიზების მიზნით. [21-216,217]

განმანათლებლობა, რევოლუცია და ტერორიზმი

ისტორიკოსები მეცხრამეტე საუკუნეს ხშირად განმანათლებლობის ხანას უწოდებენ. ევროპასა და ამერიკაში დროის ეს მონაკვეთი სოციალური პრობლემების მიმართ ინტელექტუალური დამოკიდებულების შეცვლით აღინიშნა. განმანათლებლობამდე რიგით ადამიანებს სახელმწიფოს საკუთრებად, ხოლო სახელმწიფოს დიდგვაროვანთა კლასის საკუთრებად თვლიდნენ, რომელიც თავის მხრივ სასოფლო სამეურნეო მიწებს ფლობდა. განმანათლებლობითი მოძრაობის შემდეგ, რევოლუციურმა ძალებმა მოქალაქეობრივი აზროვნების ახალი სტილი დაამკვიდრეს. რიგითი ადამიანები დარწმუნდნენ, რომ სახელმწოფო ყველას დასაცავად არსებობდა და არა მარტო დიდებულებისა. მათ, ვისაც ხელში ძალაუფლება ეპყრათ, ასეთი აზროვნება აშინებდათ.

მოაზროვნეებმა ევროპის სოციალური წყობის კრიტიკას მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდან მიჰყვეს ხელი. შემდგომში მეცნიერულმა რევოლუციამ,

განმანათლებელი ფილოსოფოსებისთვის სოციალური საკითხების წინა პლანზე წამოწევისთვის ხელსაყრელი ატმოსფერო შექმნა. მეჩვიდმეტე საუკუნეში მომხდარმა აღმოჩენებმა შეარყია საუკუნეების წინანდელი წარმოდგენა სამყაროს შექმნის თაობაზე, რაც შუა საუკუნეების ეკლესიის მიერ არისტოტელეს იდეების ინტერპრეტირების შედეგს წარმოადგენდა. ფილოსოფოსების აზრით, თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებას შეეძლო კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინა ეკლესიის შესაძლებლობა, მაშინ სოციალურ მეცნიერებას შეეძლო ეჭვქვეშ დაეყენებინა საზოგადოების ეკონომიკური და პოლიტიკური წყობის პრინციპები.

სოციალური ფილოსოფიის მიმდევრებს სჯეროდათ, რომ, ისევე როგორც, ისააკ ნიუტონმა აღმოაჩინა მოძრაობის კანონები, შეიძლებოდა სოციალური ორგანიზაციის წარმმართველი კანონების მიგნებაც. ისინი ერთმანეთთან მოკამათე ფილოსოფიურ სკოლებში გაერთიანდნენ და ისეთი გარემოს შექმნას შეუწყვეს ხელი, სადაც სოციალური წესრიგის ძველი წესები თავს ვეღარ იმკვიდრებდნენ. ახალი პოზიციებიდან მეცნიერებმა მეფის ძალაუფლების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებაც დაიწყეს. მეფეები და სხვა დიდებულები აზროვნების ამ მიმართულებით მოხიბლულები არ იყვნენ. [44-66,67]

განმანათლებლობა საერთაშორისო ინტელექტუალური მოძრაობა იყო. სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, ფილოსოფოსებმა შექმნეს საერთო აზრი ხელისუფლების თაობაზე. მათ სჯეროდათ, რომ მთავრობა ან მმართველი კლასი კონკრეტული უფლებების დასაცავად უნდა არსებობდეს და მმართველობის საუკეთესო ფორმად დემოკრატია აღიარეს. ფოლოსოფოსები ამტკიცებდნენ, რომ მოქალაქეებს ჰქონდათ უფლებები და ხელისუფლება ამ უფლებების დასაცავად უნდა შექმნილიყო. მთავრობა რიგით ადამიანებს უნდა ეკონტროლებინათ სოციალური კონტრაქტის ან კონსტიტუციის საშუალებით, რომელშიც გაზრდილი იქნებოდა მოქალაქეების უფლებები, ხოლო ხელისუფლებისა – შემცირებული.

ბრიტანეთის, ჩრდილოეთ ამერიკის (მაშინდელი კოლონიის) მცხოვრებლები გრძნობდნენ, რომ დიდი ბრიტანეთის განვითარების მიმართულება უფლებებისა და ქონების დაცვას მოიტანდა შედეგად. თუმცა, ბევრი ამერიკელი კოლონიზატორი დარწმუნებული იყო, რომ მათი ეს უფლებები ირღვეოდა. 1775 წლისთვის ამერიკაში დაწყებული საუბრები ინტელექტუალურ წრეებს გასცდა

და ქუჩაში, შემდეგ კი ბრძოლის ველზე გადაინაცვლა. ბრძოლა კი 1783 წელს ამერიკის შეერთებული შტატების შექმნით დასრულდა.

ამერიკის რევოლუციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპისთვის, მაგრამ თავიდან ამ მოვლენას "კონსერვატიულ" რევოლუციად აღიქვამდნენ. ძალაუფლების ცენტრმა ლონდონიდან ფილადელფიაში გადაინაცვლა და ამერიკელი ლიდერების უმრავლესობა (რიგი გამოჩენილი პიროვნების გარდა, როგორიც იყო, მაგალითად, თომას ჯეფერსონი) შეერთებულ შტატებს ბრიტანულ დემოკრატიად მიიჩნევდა, ოღონდ ბრიტანეთის გარეშე. შეერთებული შტატების დაბადება ევოლუციური პროცესი იყო. რევოლუციური ომი განიხილებოდა ევროპაში ძალაუფლებისთვის ბრძოლის ტრადიციულ კონტექსტში და მისი შედეგი იყო ბრიტანეთი მეფის გარეშე.

1789-1795 წლების საფრანგეთის რევოლუცია განმანათლებლობის იგივე პრინციპებს ეფუძნებოდა, რასაც ამერიკის რევოლიცია, თუმცა განსხვავებული და უფრო სისხლიანი ელფერი ჰქონდა. ამერიკის რევოლუციით ძალაუფლება ბრიტანეთის მმართველი კლასიდან ამერიკის მმართველ კლასს გადაეცა. საფრანგეთში ძალაუფლება კლასებს შორის გადანაწილდა. საშუალო კლასმა ძალაუფლება დიდებულებს გამოსტაცა და ეს განსხვავებული იდეოლოგიით გამოწვეული ბრძოლის პირობებში მოხდა, რაც თანამედროვე სისხლიანი რევოლუციის პირველი შემთხვევა გახლდათ.

თუ ამერიკაში რევოლუცია დემოკრატიისკენ მიმართული გრძელვადიანი პროცესი იყო, 1795 წელს საფრანგეთში ხელისუფლების სტრუქტურების რადიკალური ცვლილება მოხდა. ევროპის სახელმწიფოები შეაშფოთა განვითარებულმა მოვლენებმა, დიდებულები და მათი მხარდამჭერი მმართველი კლასის წარმომადგენლები კოშმარულ სიზმრებშიც ვერ წარმოიდგენდნენ არსებულ რეალობას. მათ საკუთარი სამხედრო ძალების მობილიზაცია მოახდინეს და ევროპა ოცწლიან ომში ჩააბეს.

ტერმინი „ტერორიზმი“ ამ პერიოდში გაჩნდა. მეთვრამეტე საუკუნის გამოჩენილმა ბრიტანელმა პოლიტიკურმა მოაზროვნემ ედმუნდ ბერკმა ეს ტერმინი რევოლუციურ პარიზში შექმნილი ვითარების აღწერისას გამოიყენა. მან ძალადობა "ტერორის სამეფოდ" მოიხსენია და ტერმინი "ტერორიზმი" ახალი ხელისუფლების ქმედებების დახასიათებისთვის გამოიყენა. ტერორიზმი საფრანგეთის დიდებულთა, მათი ოჯახის წევრთა და და მხარდამჭერთა ხოცვას

აღნიშნავდა. შემდეგი 50 წლის მანძილზე კი, რამდენადაც ირონიული უნდა იყოს, ტერორიზმმა მნიშვნელობა შეიცვალა. [44-66,67]

კლასობრივი რევოლუცია და ტერორიზმის მნიშვნელობის (შინაარსის) ცვალებადობა

დასავლეთის ქვეყნების მოქალაქეთა გონებაში "ტერორიზმის" შინაარსის შეცვლის არსებითი მიზეზი მეცხრამეტე საუკუნის ევროპაში გამეფებული ძალადობის თავისებურება იყო. საფრანგეთის რევოლუციამ დემოკრატიის მაგივრად ნაპოლეონი წარმოშვა. თუმცა, მოთხოვნილება დემოკრატიაზე იზრდებოდა, რასაც შედეგად ახალი მოთხოვნები და პოლიტიკური ბრძოლა მოჰყვა.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში დემოკრატიის მხარდამჭერები ერთიან ძალას არ წარმოადგენდნენ. მათ უმეტესობას საშუალო კლასის დემოკრატიის სჯეროდა, საკანონმდებლო პროცესის იმედი ჰქონდა და ქუჩის აქციებს არ მიმართავდა. მათ ეგონათ, რომ შეძლებდნენ კონსტიტუციური მონარქიის შექმნას და შეერთებული შტატების მსგავსად, დემოკრატიული სისტემის მქონე ქვეყნებად ჩამოყალიბებას. ევროპის საშუალო კლასის დემოკრატთა უმრავლესობისთვის 1815-1848 წლების მთავარი ამოცანა კონსტიტუციის მიღება იყო, რომელიც თავისუფლებას უზრუნველყობდა. [45-18-30]

სხვების მიდგომა დემოკრატიისადმი ასეთი შეზღუდული არ ყოფილა. მათი შეხედულებები ეკონომიკურ განვითარებას ეფუძნებოდა. მთელი დასავლეთ სამყარო ეკონომიკური ექსპანსიის და სწრაფი ინდუსტრიული ზრდის მტკივნეულ პროცესს გადიოდა (ისტორიკოსები ამ პერიოდს "ინდუსტრიულ რევოლუციას" უწოდებენ). ინდუსტრიული რევოლუციის მიერ გამოწვეული პრობლემებიდან და კაპიტალისტების ძალაუფლების ზრდიდან გამომდინარე, რადიკალ-დემოკრატები ამტკიცებდნენ, რომ დემოკრატია არა მხოლოდ თავისუფლებაზე, არამედ სოციალურ თანასწორობაზეც უნდა ყოფილიყო დაფუძნებული. ეს იმას ნიშნავდა, რომ კლასობრივი სტრუქტურა და ქონების გადანაწილების წესი უნდა შეცვლილიყო. საშუალო კლასის დემოკრატიული კონსტიტუციის იდეასთან შედარებით, ეს რადიკალური აზრი იყო და რადიკალური რევოლუციონერები კლასობრივი რევოლუციის იდეას მიემხრნენ.

რადიკალ-დემოკრატებს, რომლებიც ქონების გადანაწილების იდეას ემხრობოდნენ, სოციალისტები ეწოდათ. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ქონება

(საწარმო საშუალებების ჩათვლით) კერძო საკუთრებაში არ უნდა ყოფილიყო – ის ყველას ეკუთვნოდა. რადიკალ-დემოკრატებს სწამდათ, რომ პოლიტიკური ძალაუფლება ერთობლივად უნდა განეკარგათ. სოციალიზმის კონცეფცია განსაკუთრებით პოპულარული საკუთარი ოჯახებისგან შორს მყოფი მუშების ზოგიერთ ჯგუფს შორის გახლდათ. [44-67-69]

სოციალისტების მთავარი წარმომადგენელი და მოაზროვნე კარლ მარქსი იყო. წარმოშობით გერმანელმა მარქსმა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ორმოციან წლებში საკუთარ ნაშრომებს ლონდონიდან ავრცელებდა, მიმდევართა საერთაშორისო ჯგუფი შექმნა. იგი ამტკიცებდა, რომ დემოკრატია ეკონომიკური ძალაუფლების მართვის უნარში გამოიხატებოდა და საკუთარი პოზიციის გასამართლებელი არგუმენტიც შეიმუშავა. მარქსი და მისი მომდევრები ამტკიცებდნენ, რომ კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემა ქვედა კლასების ექსპლუატაციას ეწეოდა სხვების საკეთილდღეოდ და სისტემის შეცვლის მოწოდებით გამოდიოდა.

თუმცა, დემოკრატიზაციის პროცესი ნელა ვითარდებოდა და ზოგიერთ რადიკალ-დემოკრატს იმის რწმენა უმყარდებოდა, რომ ძალადობრივი რევოლუცია მიზნის მიღწევის ერთადერთი საშუალება იყო. რადიკალ-დემოკრატთა მცირე ნაწილი იატაკქვეშეთში გადავიდა და ხელისუფლებასთან დასაპირისპირებლად ძალადობის გზა არჩია. ისინი ხალხში "ტეროროსტების" სახელით გახდნენ ცნობილნი, რადგან კაპიტალისტებისა და მათი მხარდაჭერების დატერორებით სოციალისტური რევოლუციის გაჩაღების იმედი ჰქონდათ.

მიკერებული მრავალი იარლიყის მიუხედავად, კარლ მარქსი ტერორიზმის მომხრე არასოდეს ყოფილა. კარლ მარქსი "რევოლუციურ" ცვლილებებზე საუბრობდა, მაგრამ არასოდეს განუმარტავს რას გულისხმობდა რევოლუციაში. ამის გარდა, იგი არასოდეს ამართლებდა პოლიტიკურ მკვლელობებსა და აფეთქებებს. ფაქტობრივად, ის ხშირად სახალხოდ გმობდა ასეთ ქმედებებს. მისი აზრით, სოციალიზმი დემოკრატიაში უნდა ყოფილიყო გამოხატული და არა ძალადობაში; მოსახლეობის მიერ ძალაუფლების ხელში მასიურად აღება შეიძლება გამართლებული ყოფილიყო, მაგრამ მკველობის ცალკეული შემთხვევები – არა.[47-256-266]

როდესაც 1848 წლის დასაწყისში პარიზში მუშებმა და საშუალო კლასის ვაჭრებმა რევოლუცია მოაწყვეს და ახალი დემოკრატიული რესპუბლიკა გამოაცხადეს, გაბატონებული კლასის წარმომადგენელთა შიში სოციალიზმის მიმართ გაიზარდა. რევოლუციის იდეა ხანძარივით მოედო ევროპას და სულ მალე მისი ყველა დიდი ქალაქი ძალადობრივი პროტესტის ამა თუ იმ ფორმამ მოიცვა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ დემოკრატიამ გამარჯვება იზეიმა. თუმცა, დემოკრატებმა საკუთარი მოძრაობების ეფექტურად კონსოლიდირება ვერ მოახერხეს. საფრანგეთში კიდევ ერთი ბონაპარტი, ნაპოლეონ მესამე ავიდა ტახტზე, ცენტრალურ ევროპაში კი სამხედროებმა სამეფო ოჯახების მმართველობა აღადგინეს. ევროპულ ქარიშხალს მხოლოდ დიდი ბრიტანეთი გადაურჩა, სადაც დემოკრატიული წყობილება ნელა-ნელა, მაგრამ მაინც ვითარდებოდა.

1848 წლის რევოლუციური მოძრაობების ჩაცხრომის შემდეგ ინიციატივა ძალადობრივი მეთოდებით მოქმედი რადიკალ-დემოკრატების ხელში გადავიდა. დასახული მიზნისკენ გზას ისინი ფარული ძალადობითა და მკვლელობებით მიიკვლევდნენ და მიუხედავად იმისა, რომ პარიზის, ვენის ან ბერლინის პოლიციასთან და სამხედრო ძალებთან ბრძოლაში წარუმატებლობას განიცდიდნენ, ახერხებდნენ, მოეწყოთ აფეთქებები და გადაეწვათ ქარხნები. ამ პროცესს ძირგამომთხრელი რევოლუციური ძალადობის კამპანია მოჰყვა. ტერმინი "ტერორიზმი" კი სულ უფრო ხშირად გამოიყენებოდა ამ ძალადობის აღსანიშნავად.

ტერორიზმი და ანარქისტების როლი

1850-იანი წლებისთვის რადიკალ-დემოკრატები ორ ჯგუფად გაიყვნენ. მილიტარისტი სოციალისტები გამოეყვნენ შედარებით მშვიდობისმოყვარე სოციალისტებს. ბევრი ადამიანი, რომელიც მშვიდობას უჭერდა მხარს, მილიტარისტების მოძრაობას ანარქიზმად მოიხსენიებდა. ტერმინი "ანარქია" ახალი არ ყოფილა. ის რამდენიმე საუკუნით ადრე წარმოიშვა, როდესაც ბერძენი ფილოსოფოსები მთავრობების დამხობაზე ალაპარაკდნენ. უბრალოდ XIX საუკუნეში მან ახალი დატვირთვა შეიძინა.

თანამედროვე ანარქიზმის სათავეებთან პიერ ჟოზეფ პრუდონი (1809-1865) იდგა. თავისმა პოლიტიკურმა საქმიანობამ მას საბოლოოდ საფრანგეთის ციხეში ამოაყოფინა თავი, მაგრამ პრუდონი ძალისმიერ ქმედებებს პირადად არასოდეს

მიმართავდა. იგი დემოკრატიის გავრცელებას ყველა კლასისთვის თანაბრად მოითხოვდა, რაც საკუთრების და ხელისუფლების მოსპობით უნდა მომხდარიყო. ქონება ყველას საკუთრება უნდა გამხდარიყო და ცენტრალიზებული მთავრობა ფართო მასშტაბის კომუნებში მცხოვრებ ოჯახებს უნდა შეეცვალათ.

პრუდონი არ ეთანხმებოდა მარქსისა და სხვა სოციალისტების მოსაზრებას ხელისუფლების როლის თაობაზე. სოციალისტების უმრავლესობა ცენტრალიზებულ ხელისუფლებას აუცილებელ ბოროტებად მიიჩნევდა. დემოკრატების მსგავსად, სოციალისტებსაც სწამდათ, რომ მოქალაქეების კონკრეტული უფლებების დასაცავად აუცილებელი იყო მთავრობის არსებობა. პრუდონი უარყოფდა ამას და თანდათან საერთოდ გაემიჯნა სოციალისტებს. მისი რწმენით, ყველა მთავრობა ბოროტება იყო, რომელიც მუდამ კონფლიქტში იქნებოდა ადამიანების უფლებასთან საკუთარი სურვილისამებრ ემოქმედა.

პრუდონს ჰქონდა რევოლუციური იდეალები, მაგრამ მისი გამოსვლები მშვიდობიანი ცვლილებებისკენ მარქსის მოწოდებებს ემსგავსებოდა, მის ნაშრომებში არსებული ბევრი არათანმიმდევრულობის მიუხედავად, პრუდონს ზოგადად სწამდა, რომ გონივრული და ლოგიკური ქცევა დასავლური საზოგადოების მშვიდობიან რღვევას გამოიწვევდა. მსუბუქი ანარქია ადამიანთა აზროვნებაში ბუნებრივი ევოლუციის გზით განვითარდებოდა.

პრუდონის მოწოდებებს ლოგიკური ევოლუციის თაობაზე მისი ყველა მიმდევარი არ იზიარებდა. მათი ნაწილი დარწმუნებული იყო, რომ საზოგადოება ძალადობრივი გზით უნდა დაშლილიყო. ისტორიაში ისინი ანარქისტი ტერორისტების სახელით შევიდნენ და დასავლურ ცივილიზაციაში ანარქიზმის მნიშვნელობაც შეცვალეს. ანარქისტებს შორის რამდენიმე მნიშვნელოვანი ტერორისტი იყო, მათ შორის: მიხეილ ბაკუნინი, სერგეი ნეჩაევი, პიტერ კროპოტკინი, იოჰან მოსტი, ემა გოლდმანი, ნიკოლაი მოროზოვი და კარლ ჰეინზენი.

რუსი რევოლუციონერი მიხეილ ბაკუნინი რუსეთის მეფეს ებრძოდა. ბრძოლაში მას მხარში ედგა სერგეი ნეჩაევი. მოგვიანებით რუსმა ტერორისტებმა ანარქისტული ორგანიზაცია შექმნეს, სახელწოდებით "ნაროდნაია ვოლია", რომელიც 1878-1881 წლებში მოქმედებდა. "ნაროდნაია ვოლიას" მთავარი წარმომადგენელი ნიკოლაი მოროზოვი იყო. ორგანიზაციის ძირითად ტაქტიკას რუსეთის მთავრობის წევრების მკვლელობა წარმოადგენდა. რუსმა ანარქისტებმა

რამდენიმე თანამდებობის პირი მოკლეს, მათ შორის მეფე ალექსანდრე მეორე. [44-69-71]

ანარქისტების საქმიანობა მხოლოდ რუსეთით არ შემოიფარგლებოდა. კარლ ჰეინზენი (1809-1880) გერმანელი რადიკალ-დემოკრატი გახლდათ, რომელიც ანარქისტებს შეუერთდა. 1848 წელს ევროპაში რევოლუციის დამარცხების შემდეგ, იგი შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. პრინცი პიტერ კროპოტკინი (1842-1921) რუსეთიდან იყო დევნილი. საფრანგეთში ემიგრაციაში მყოფი, ის რევოლუციას ამართლებდა. იოჰან მოსტი 1864 წელს დაიბადა. ამარიკაში ემიგრაციაში ყოფნის დროს ნიუ ჯერსიში გამოცემულ გაზეთში იგი ტერორიზმს უჭერდა მხარს და "საქმეზე ორიენტირებული პროპაგანდითა" და "ნაღმების ფილოსოფიის" მოწოდებებით გამოდიოდა. მოსტის მტკიცებით, ძალისმიერი ქმედებები პროპაგანდის საუკეთესო ფორმას წარმოადგენდა. მის აზრს იზიარებდა ემა გოლდმანიც (1869-1940).

ანარქიზმი საერთაშორისო მოძრაობა იყო. მისმა მიმდევარმა ტერორისტებმა სხვადასხვა ქვეყნის რამდენიმე ლიდერი გამოასალმეს სიცოცხლეს, რამაც მათ მოწინააღმდეგეებს მიზეზი მისცა ემტკიცებინათ, თითქოს ანარქისტების საერთაშორისო შეთქმულების მიზანი მსოფლიო წესრიგის დარღვევა იყო. ეს სინამდვილსგან საკმაოდ შორს იდგა, რადგანაც ანარქისტებს მხოლოდ საერთო სულისკვეთება აერთიანებდათ. სინამდვილეში, ანარქისტების საერთაშორისო მოძრაობა წინააღმდეგობრივი გახლდათ, რადგან მასში ერთამნეთთან მოქიშპე დიდი დაჯგუფებები მონაწილეობდნენ. მიუხედავად ამისა, შეთქმულების შიში იზრდებოდა და ბევრ ადამიანს სწამდა, რომ ანარქისტები მსოფლიო დონეზე იყვნენ ორგანიზებული.

რამდენადაც ირონიული უნდა იყოს, დასავლეთის ქვეყნებში ანარქისტული ძალადობა ეროვნული ტენდენციების მატარებელი იყო. იმავდროულად ანარქისტები ხელისუფლების მოსპობის მოწოდებით გამოდიოდნენ, მაგრამ გაჩნდა რამდენიმე ორგანიზაცია, რომლებიც თვითმმართველობის დამკვიდრებას მოითხოვდა. მეცხრამეტე საუკუნეში ანარქიზმის მომძლავრების პარალელურად ეროვნული მოძრაობაც იკრეფდა ძალას. უცხო ქვეყნის გავლენის ქვეშ მყოფმა ნაციონალისტებმა ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში ანარქისტების ტაქტიკას მიმართეს, მთელ ევროპაში ეროვნული მორაობის დაჯგუფებებმა "ნაღმების ფილოსოფია" შეითვისეს და ნაციონალისტმა ტერორისტებმაც მოძალადე ანარქისტების მაგალითს მიბაძეს.

ეროვნული მოძრაობის წევრები საკუთარ თავს ტერორისტებად არ მიიჩნევდნენ. მათი აზრით, ანარქისტები იდეისთვის და საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობისთვის იბრძოდნენ. ანარქისტები სოციალურად იზოლირებულები აღმოჩნდნენ, მაგრამ ეროვნული მოძრაობის წევრებს უფრო მეტი მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ. ხელისუფლების წარმომადგენლები ეროვნული მოძრაობის წევრებს "ტერორისტებს" უწოდებდნენ, მაგრამ თავად მოძრაობის წევრები თვლიდნენ, რომ ეროვნული საქმისთვის იბრძოდნენ და ანარქისტებისგან მხოლოდ ტაქტიკა გადაიღეს.[46-31-45]

ანარქისტებისგან განსხვავებით, ნაციონალისტური ირლანდიის რესპუბლიკური არმიის (ირა) წევრებს სჯეროდათ, რომ ირლანდია თვითმმართველობას იმსახურებდა. მათ არ უარუყვიათ სახელისუფლებო კონტროლის იდეა, “ირა”-ს ხელისუფლების ნაციონალიზაცია სურდა. საკუთარმა სისუსტემ აიძულა ირლანდიელები, ანარქისტების ტაქტიკა გამოეყენებინათ. მეოცე საუკუნეში მათ მაგალითს ევროპის სხვა ნაციონალურმა დაჯგუფებებმაც მიმართეს.

მიუხედავად ორი განსხვავებული პოზიციისა, შეუძლებელია მეცხრამეტე საუკუნის ანარქიზმისა და ნაციონალიზმის ერთმანეთისგან გამიჯვნა. გრანტ ვორლდლოუ (1982) ნაციონალურ ტერორიზმს ანარქიზმის ისტორიული განვითარების რგოლად მიიჩნევს. რიჩარდ რუბენშტეინი (1987) ამ საკითხს თანამედროვე ანარქისტებზე და ნაციონალისტურ ჯგუფებზე დაკვირვების შედეგების მიხედვით განიხილავს. მისი თქმით, გზა, რომელსაც ტერორისტები გადიან, სანამ გადაწყვეტენ, რომ ძალადობას მიმართონ, მსგავსია ანარქისტი და ნაციონალისტი ტერორისტების გზისა და მათ მიერ საკუთარი მოქმედებების გასამართლებლად დასახელებული მიზეზებიც ერთმანეთს ჰგავს.

ჯეი ბაუერ ბელი “ირა”-ს მაგალითზე განიხილავს იმ საერთო ნიშნებს, რაც ახასიათებთ ანარქისტულ და ნაციონალისტურ ტრადიციებს. 1916 წლიდან მოყოლებული “ირა”-ს რიგები სოციალისტი რევოლუციონერებით და ნაციონალისტებით აივსო, რომლებიც სოციალიზმის ზოგიერთ ასპექტს უარყოფდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი განსხვავებულ პოზიციებზე იდგნენ, ერთი და იგივე ტრადიციის მემკვიდრეები გახლდნენ. ორივე მათგანის ტრადიციებმა კი ევროპის ტერორიზმის თანამედროვე ფორმა შექმნა.[48-23-28]

ტერორიზმი, თანამედროვე გაგებით, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ანარქიზმიდან იღებს სათავეს. ანარქისტების ძირითადი თავშესაფარი დასავლეთ

ევროპა იყო, მაგრამ საკუთარ კამპანიებს მსოფლიოს სხვა კუთხეებშიც აწარმოებდნენ. მათი ყველაზე წარმატებული ქმედებები რუსეთში 1905 და 1917 წლის რევოლუციების წინ განხორციელდა. ანარქისტების ჯგუფების წევრებმა მოკლეს რუსეთის ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელი, მათ შორის მეფე.

ანარქიზმი ასევე გავრცელდა შეერთებულ შტატებში და მუშათა გამოსვლებში გამოიხატა. ამერიკელი ანარქისტები, რომლებიც, როგორც წესი, ევროპელი ემიგრანტები იყვნენ, საკუთარ თავს მუშათა ორგანიზებული მოძრაობის წევრებად მიიჩნევდნენ. ამერიკელი ანარქისტები ძირითადად ინდუსტრიულ რაიონებში აქტიურობდნენ და ანარქიზმმაც აშშ-ში ისეთი მუხტი ვერ შეიძინა, როგორიც ევროპაში. მემარჯვენე ექსტრემიზმი ანარქისტული მოძრაობის ნაწილს შეადგენდა, მაგრამ მეოცე საუკუნის შუა წლებიდან მემარჯვენე ჯგუფებმა ანარქისტების მაგალითს მიბაძეს და ძალის გამოყენებაზე გადავიდნენ. მსგავსი მოქმედებების დიდმა ნაწილმა თავის დროზე იმპერიულ რუსეთში არეულობა გამოიწვია.

ტერორიზმი და რუსული რევოლუცია

მე-19 საუკუნის ბოლოს რუსეთი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ევროპის სხვა დიდი ქვეყნებისგან. კლასობრივი განსხვავება დიდგვაროვნებსა და გლეხებს შორის თითქმის ისეთივე იყო, როგორიც საფრანგეთის რევოლუციამდე. რუსი გლეხები უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდნენ. მრეწველობა რამდენიმე ქალაქში ვითარდებოდა, მაგრამ რუსეთის ეკონომიკური და სამთავრობო სისტემა არ აღმოჩნდა მზად ძირეული ცვლილებებისთვის. მეფე ალექსანდრე II-მ (1855-1881) ფიცი დადო, რომ სისტემაში ცვლილებებს შეიტანდა. მაგრამ როცა ამის გაკეთება სცადა, რევოლუციური ტერორიზმის ქარცეცხლში მოექცა.

რუსეთში სამ ძალას ჰქონდა პრეტენზია სახელმწიფოს რეფორმირებაზე, მაგრამ მიზნის მისაღწევ ერთიან გზაზე ეს ძალები ვერ შეთანხმდნენ. ალექსანდრე II-ს ჯგუფს რუსეთის სრული მოდერნიზება სურდა. მეორე – ინტელექტუალების ჯგუფი მიიჩნევდა, რომ რუსეთი დასავლური ლიბერალური დემოკრატიის მოდელის მიხედვით უნდა გარდაქმნილიყო. ძალისმიერმა ანარქისტებმა კი სხვა გზა აირჩიეს: მათ მიაჩნდათ, რომ ქვეყნის პრობლემები მხოლოდ რევოლუციით შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო. „ნაროდნაია ვოლია“ ერთ-ერთი ასეთი დაჯგუფება გახლდათ. როდესაც მან 1870 წელს რევოლუციური ტერორიზმის

კამპანია წამოიწყო, ისეთ კონსერვატიულ ინსტიტუტებს დაუპირისპირდა, როგორიცაა: ეკლესია, პოლიცია და სამხედრო ძალები. „ნაროდნაია ვოლიას“ წევრები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აუცილებელი იყო ამ გამანადგურებელი ორგანიზაციების მორჩილებაში ყოლა ტერორის გზით.

„ნაროდნაია ვოლია“ რუსეთის რევოლუციური აზროვნებიდან წარმოიშვა. ლექვერის თანახმად [57 -15,16] ანარქისტული ტერორიზმის ფილოსოფიას რუსეთში მიხეილ ბაკუნინმა და სერგეი ნეჩაევმა შეასხეს ხორცი. მათი რევოლუციური აზროვნება დამოუკიდებლად განვითარდა და 1860 წელს ინტელექტუალურ კავშირად ჩამოყალიბდა. ორივე მეფის წინააღმდეგ აჯანყების მომხრე იყო და ამ მიზნის მიღწევისთვის ძალისმიერ ქმედებებს უჭერდა მხარს. მიუხედავად ამისა, იმ ერშიც კი, რომელმაც ცოტა ხანში ძალისმიერი ანარქისტული კამპანია და კომუნისტური რევოლუცია გადაიტანა, ბაკუნინისა და ნეჩაევის იდეები რიტორიკის დონეზე დარჩა.

ლექვერის აზრით, ბაკუნინისა და ნეჩაევის იდეებმა დიდი გავლენა იქონია გვიანდელი პერიოდის რევოლუციონერებზე. ძალადობასა და მკვლელობებს სწორედ მათმა მოძღვრებამ დაუდო საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ მათი შეხედულებები იდეოლოგიურად დასავლეთ ევროპის ანარქიას ჩამოჰგავდა, მაინც განსხვავდებოდა ანარქიის დასავლეთელი მიმდევრების ნააზრევისგან. რუსი ანარქისტები პროპაგანდას მოსახლეობაში იმ იმედით ეწეოდნენ, რომ მათში დემოკრატიული რევოლუციის ნაპერწკალს შეიტანდნენ. ლექვერის აზრით, ისინი არ იყვნენ რადიკალი რევოლუციონერები [44 -71]

ლექვერს არ ეთანხმება რიჩარდ რუბენშტეინი. რუბენშტეინს სწორედ რუსი რევოლუციონერების მაგალითი მოჰყავს იმის დასტურად, რომ მე-19 და მე-20 საუკუნის ანარქიას შორის ფუნდამენტური განსხვავება არ არსებობს. ორივე საუკუნის ტერორისტები წერდნენ მსგავს ტრაქტატებს და ერთნაერი იდეალების რწმენა ჰქონდათ. “მე-20 და 21-ე საუკუნის ტერორისტების შედარებისას, ერთადერთი განსხვავება 1800-იან წლებსა და დღევანდელობას შორის არსებული დროა”, ამბობს რუბენშტეინი.

მიუხედავად კამათისა, რუსების ნამუშევრებმა უდიდესი გავლენა იქონია. ნეჩაევმა რევოლუციური პრინციპები ჩამოაყალიბა თავის „რევოლუციურ კატეხიზმოში“. მისი სულისკვეთება აისახა გვიანი მეოცე საუკუნის ნაშრომებშიც. რუბენშტაინი „კატეხიზმოს“ კარლოს მარიგელას „თჰე

ინიმანუალ ოფ ტჰე რბან უერილლა“-ს ადარებს და ამბობს, რომ ნიშანდობლივი განსხვავებები მათ შორის არ შეინიშნება.

ბაკუნინი მიიჩნევდა, რომ რუსული მმართველობა ქურდობის საფუძველზე აღმოცენდა. „რევოლუციის, ტერორიზმისა და ბანდიტიზმის“ პირობებში, მისი აზრით, ერთადერთი გზა სახელმწიფო ძალაუფლების დამხობისთვის აჯანყება იყო. ამ რიტორიკის გამო ნეჩაევი და ბაკუნინი მეფის კეთილგანწყობას ვერ მოიპოვებდნენ, სამაგიეროდ ძალზე პოპულარულები გახდნენ გვიანდელ რევოლუციონერებს შორის. ლექვერი [57-15,16] აასკვნის, რომ ასეთი რევოლუციური განცხადებები უფრო რუსულ ექსპრესიონისტულ ლიტერატურას ახასიათებდა, ვიდრე ტერორისტულ ფილოსოფიას.

ამ ფილოსოფიას ეყრდნობოდა „ნაროდნაია ვოლია“. მათ მოკლეს პოლიციის უფროსი მოსკოვში და გააგრძელეს აფეთქებებისა და მკვლელობების კამპანია. 1881 წლის მაისში მიზანს მიაღწიეს და ფიზიკურად გაანადგურეს მეფე ალექსანდრე II. პარადოქსია, მაგრამ ამას მათი დაცემა მოჰყვა. ალექსანდრე III-მ (1881-1894) მსგავს ქმედებებს ბოლო მოუღო. „ნაროდნაია ვოლია“ ჩაცხრა და რევოლუციონერებმა მიწისქვეშეთში გადაინაცვლეს. 1894 წელს ალექსანდრე ნიკოლოზ II-მ (1894-1917) შეცვალა, რომელიც თავიდანვე იყო განწირული ჩამოსაგდებად.

ნიკოლოზ II-მ პირველი რევოლუცია 1905 წელს იგემა, მას შემდეგ, რაც მისი ჯარი დამარცხდა იაპონიასთან ომში. ამ დამარცხებას ემატებოდა რუსეთის ეკონომიკური პრობლემები და ბიუროკრატიული უუნარობა. უმუშევარი მუშების გარკვეულმა ჯგუფმა დემონსტრაციები წამოიწყო სანკტ-პეტერბურგში, პარალელურად რამდენიმე კაცმა ამბოხება მოაწყო რუსულ ნავიგაციაში. მათი ქმედებები სასტიკად ჩაახშეს, მაგრამ რევოლუციური სულისკვეთება მალულად მაინც ღვივდებოდა. რუს რევოლუციონერებს კიდევ ერთი ეროვნული უბედურება “სჭირდებოდათ” საკუთარი ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინებისთვის შესაფერი გარემოს შესაქმნელად. ამანაც არ დააყოვნა და 1914 წელს რუსეთი I მსოფლიო ომში ჩაება.

1917 წლამდე რუსი ხალხი ეკონომიკური გაჭირვებისა და ცარიზმის უღელქვეშ გმინავდა. თებერვალში სანკტ-პეტერბურგში ჩვეულებრივი გაფიცვა რევოლუციაში გადაიზარდა. 1905 წლისგან განსხვავებით, რუსეთის არმია მუშების მხარეს გადავიდა და ახალი მთავრობა ჩამოყალიბდა. რუსები

ცდილობდნენ დაერწმუნებინათ მოკავშირეები, რომ ისინი გააგრძელებდნენ ომს და ეგონათ, რომ კაპიტალისტური ეკონომიკის ზრდა ჩიხში მოქცეულ რუსულ ეკონომიკასაც წაეშველებოდა. რუსეთის დიდ ქალაქებში მუშათა საბჭოები ჩამოყალიბდა.

თებერვლის რევოლუციის (მენშევიკების) ძირითადი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთში არაპოპულარული ომი ჰქონდათ გაჩაღებული. ამან თავისი შედეგი გამოიღო – ქვეყნის შიგნით მდგომარეობა დაიძაბა, რამაც გერმანელები აიძულა, I მსოფლიო ომისგან რუსეთის ჩამოშორების გზები ეძებნა. გამოსავლის ძიებაში მათ ნდობით აღჭურვეს ვ. ი. ლენინი, რომელმაც პირობა დადო, რომ რუსეთს ომის მდგომარეობიდან გამოიყვანდა, თუ გერმანელები ძალაუფლების მოპოვებაში დაეხმარებოდნენ. რუსეთში დაბრუნებულმა ლენინმა ბოლშევიკებზე კონტროლის მოსაპოვებლად 1917 წლის ოქტომბერში მეორე რევოლუცია მოაწყო და რუსეთი ომს ჩამოაშორა.

რუსული რევოლუცია ტერორიზმს ახლებურად იყენებდა. ლენინი და მისი ერთ-ერთი ლეიტენანტი ლეონ ტროცკი მიიჩნევდნენ, რომ ტერორიზმი ბურჟუაზიის, როგორც კლასის განადგურებისთვის და მთავრობის გადაყენებისთვის უნდა გამოეყენებინათ. ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ ტერორიზმს ისინი შინაური მტრებზე კონტროლის წარმოებისა და საერთაშორისო არაკეთილმოსურნე ძალებთან გამკლავებისთვის მიმართავდნენ. ომებმა და რევოლუციამ რუსეთი ძალიან დაასუსტა. ტერორიზმის მუქარით ლენინი და ტროცკი იმედოვნებდნენ, რომ მტრულ სახელმწიფოებს, პირველ რიგში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და და შეერთებულ შტატებს რუსეთის საშინაო საქმეებში ჩარევის საშუალებას არ მისცემდნენ.

ტერორიზმის გავრცელების მუქარით ლენინმა და ტროცკიმ კომუნისტური რევოლუციის შიში ჩაუნერგა დასავლეთში ბევრ ადამიანს. ზოგიერთებისთვის კომუნიზმი და ტერორიზმი იდენტური ცნებები გახდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსები და მოგვიანებით საბჭოელები ნაკლებად ახერხებდნენ აჯანყებების მოწყობას სხვათა ტერიტორიებზე, დასავლელი ლიდერები შეშინდნენ, რომ კომუნისტი ტერორისტები საფრთხეს შეუქმნიდნენ დემოკრატიულ მთავრობებს. მართალია, ლენინი და შემდეგ მისი მიმდევარი, იოსებ სტალინი (მმართველობის წლები: 1922-1953) უფრო წარმატებულები ტერორის განსაკუთრებულ სახეობაში (საკუთარი ხალხის ხოცვაში) იყვნენ, მაგრამ კომუნისტური აჯანყების შიში

მეოცე საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა. ზოგიერთ ადამიანს ეს შიში ჯერ კიდევ ღრმად აქვს გამჯდარი.

1986 წელს ნილ ლივინგსტონმა ტერორიზმი აღწერა, როგორც ყოფილი საბჭოთა ქვეყნების მიერ მხარდაჭერილი ომი. იმავე წელს ჟურნალისტმა კლერ სტერლინგმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ყველა სახის ტერორიზმი კომუნისტური ფაბულის ნაწილს წარმოადგენს. ეჭვგარეშეა, საბჭოელები ცდილობდნენ ტერორისტული ჯგუფების დახმარებას, როგორც კი ამის შანსი მიეცემოდათ, მაგრამ აღნიშნულის გათანაბრება საერთაშორისო ტერორიზმთან მაინც არ შეიძლება. სიმართლე რომ ითქვას, საბჭოთა რიტორიკამ ცოტა რამ თუ გააკეთა ისეთი ანალიტიკოსების იდეების გასაბათილებლად, როგორიც ლივინგსტონი იყო. გარდა ამისა, სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ტერორიზმის ლივინგსტონისეული ანალიზი საკმაოდ ხელსაყრელი აღმოჩნდა.

დღეს ბევრი ცნობილი ექსპერტი ტერორიზმის საკითხებში ამერიკელ ლიდერებს არწმუნებს, რომ ტერორიზმის ძირითადი გამოვლინებები ისლამისტური მოძრაობის შედეგია. სალამ ალ-მარაიათი (1994) კი აღნიშნავს, რომ ისლამის დასახელება ტერორიზმის გამომწვევ მიზეზად ეწინააღმდეგება თავად ამ რელიგიის ძირითად პრინციპებს. უფრო მეტიც, ეს ამახინჯებს მთელ რიგ საკითხებს, რომელთაც საერთაშორისო ტერორიზმი ეფუძნება. ანალოგიურად, გავრცელებული მოსაზრებების მიუხედავად, რუსული რევოლუცია არ წარმოადგენს ტერორიზმის წყაროს მეოცე საუკუნეში. თანამედროვე ტერორიზმი ბევრად უფრო რთული და კომპლექსური მოვლენაა და მხოლოდ ერთ ფაქტორს ვერ დაეფუძნება.

კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ ტერორიზმის საფუძვლად ხშირად რუსული რევოლუცია მოიხსენიება არის ის, რომ ლენინის გამარჯვებამ და მისმა ნაშრომებმა დიდი გავლენა იქონიეს ტერორისტებზე 1917 წლიდან მოყოლებული დღემდე. ტერორისტების ნაწილი ლენინის, ტროცკისა და სხვა რევოლუციონერების ნამუშევრებს თავიანთი თეორიების, ტაქტიკისა და იდეოლოგიის ჩამოსაყალიბებლად იყენებდა და მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაშრომებში ბოროტება არ იყო, გავლენა რეალურად იგრძნობოდა და იგრძნობა დღემდეც. [44-77]

ძველი და ახალი ტერორიზმი

ტერორიზმის დასავლური ტრადიცია ახალი არ არის. თანამედროვე რევოლუციური ტერორიზმი 1800-იან წლებში ანარქისტული ძალადობისაგან წარმოიშვა. დაბნეულობა ამ საკითხში რუსული რევოლუციის შესახებ მცდარი ცნობებიდან მომდინარეობს. II მსოფლიო ომამდე ევროპაში ფაშისტური დაჯგუფებები გამოჩნდნენ და ხელში აიღეს მმართველობა ესპანეთში, იტალიასა და გერმანიაში. საბჭოელების მსგავსად, ფაშისტები ტერორის საშუალებით მართავდნენ, მაგრამ არ იყვნენ ტერორისტები თანამედროვე გაგებით. თანამედროვე ტერორიზმი აღმოცენდა 1950-იან წლებში ანტიკოლონიური რევოლუციებისა და დასავლეთში 1960-იანი წლების ანტიკოლონიური მოძრაობის დროს.

ჯეიმს ფრეიზერი და იან ფულტონი (1984) მიიჩნევენ, რომ უნდა განვასხვავოთ ტერორიზმი II მსოფლიო ომამდე და თანამედროვე ტერორიზმი. ისინი ამ ორ ფაზას „ძველ“ და „ახალ“ ტერორიზმს უწოდებენ. ძველი ტერორიზმი ანარქისტულ იდეოლოგიასთან იყო დაკავშირებული. იგი “ნაღმების რადიკალურ ფილოსოფიას” ეფუძნებოდა და არსებული მმართველობის პირობებში ეფექტურად გამოიყენებოდა.

ფრეიზერი და ფულტონი გამოყოფენ რამდენიმე ფაქტორს, რომლებიც „ახალ“ ტერორიზმს „ძველისგან“ განასხვავებენ. პირველი მათგანია მედია. წარსულისგან განსხვავებით, დღეს ტერორიზმი უფრო მეტ ხალხს სწვდება. ეს ფაქტორი მჭიდროდ არის დაკავშირებული მეორე ისეთ ფაქტორთან, როგორიც კომუნიკაციაა. ტერორისტული აქტების შესახებ ინფორმაცია სწრაფად ვერ გავრცელდებოდა, რომ არა სწრაფი გლობალური საკომუნიკაციო კავშირები. მესამე ფაქტორის ქვეშ თანამედროვე იარაღის დახვეწილობა და დაზიანების ეფექტურობის ფანტასტიკური ზრდა იგულისხმება. „ძველი“ ტერორიზმი დინამიტის გამოყენებას უკავშირდებოდა, „ახალს“ კი თანამედროვე ტექნოლოგიური იარაღის ფართო არჩევანი აქვს. და ბოლოს, „ახალ“ ტერორისტებს აქვთ მზარდი მობილურობის უპირატესობაც.

უოლტერ ლექვერი [57-91] კიდევ ერთ განსხვავებას აღნიშნავს, რომელსაც სამიზნის შერჩევას უკავშირებს. ლექვერის აზრით, თანამედროვე ტერორისტები უფრო უმოწყალოები არიან, ვიდრე მათი ისტორიული წინამორბედები და თავისი მოსაზრების გასამყარებლად რუსეთის გამოცდილება მოჰყავს. ლექვერს

არამარტო სჯერა, რომ ისტორიული ტერორიზმი რიტორიკული ხასითის იყო, არამედ აღნიშნავს, რომ რუსი ანარქისტები ექსტრემალურად სელექციურები იყვნენ თავიანთ სამიზნეებთან მიმართებაში. იგი ამბობს, რომ თანამედროვე ტერორიზმს ახასიათებს განურჩეველი ძალადობა და სამოქალაქო საზოგადოების ინტენსიურ სამიზნედ ამოღება. თანამედროვე ტერორისტები მთავრობებს დარტყმას იმით აყენებენ, რომ კლავენ მოქალაქეებს, თავს ესხმიან თვითმფრინავებს, ავტობუსებს და სხვა სამიზნეებს, სადაც უდანაშაულო მშვიდობიანი პირები იმყოფებიან. თანამედროვე ტერორისტები ჩართულნი არიან უდანაშაულო ადამიანების სენსაციურ ხოცვაში. [44 -71,76]

რიჩარდ რუბენშტაინი [47-264] ძირფესვიანად ეწინააღმდეგება ძალადობის „ძველ“ და „ახალ“ ფაზებად დაყოფის ყოველგვარ მცდელობას. მისი აზრით, არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ტერორისტები უფრო მეტად მოძალადეები გახდნენ. მას მიაჩნია, რომ ეს პირობითი მოსაზრებები არასწორია. რუბენშტაინი მიიჩნევს, რომ ტერორიზმი დღესაც იგივეა, რაც გუშინ იყო და „ძველსა“ და „ახალს“ შორის რეალურად ძალზე მცირე განსხვავებაა.

„ძველი“ და „ახალი“ ტერორიზმის თემა გვერდზე რომ გადავდოთ, ნათელია, რომ ტერორიზმი დასავლეთის გამოცდილებაში გარკვეულ ტრადიციას ეყრდნობოდა. დასავლეთში ტერორისტები მოტივირებულები იყვნენ ან გარკვეული იდეოლოგიით საზღდოობდნენ. ეს ნათელი გახდა II მსოფლიო ომის შემდეგ. ტერორიზმმა ახალი ძალა შეიძინა 1960-იან წლებში და ფანატიკოსების ხელში პოლიტიკურ იარაღად იქცა. ნაციონალისტური და როვულიციური დაჯგუფებები საკუთარ თავს "პროტაგონისტებად" მოიაზრებდნენ დასავლეთის მმართველი პირების წინააღმდეგ ბრძოლაში. დევიდ რაპოპორტის თანახმად, ვიეტნამის ომმა, ანტიკოლონიალისტურმა მოძრაობამ და ზოგადად, საზოგადოებრივი წესრიგის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებამ მჭიდრო კავშირები გააბა ტერორისტულ დაჯგუფებებს შორის.

კიდევ უფრო დიდმა განსხვავებამ იჩინა თავი 1990-იან წლებში, როდესაც ტერორისტულ საქმიანობას საფუძვლად რელიგიური ფანატიზმი და მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება დაედო. ბრუს ჰოფმანი (1999), იან ლესერი (1999) და უოლტერ ლექვერი (1999) აღნიშნულს „ახალ ტერორიზმს“ უწოდებენ. მიუხედავად ამისა, ალბათ უკეთესი იქნებოდა ტერორიზმი, როგორც ძალადობის მანიფესტაცია განგვეხილა.

დროის ამა თუ იმ პერიოდში ტერორიზმი ვითარდება და ვლინდება სხვადასხვაგვარად. ფაქტობრივად ეს იმას ნიშნავს, რომ ტერორიზმი ყოველთვის „ახალია“. [44-74,76]

ტერორიზმი დასავლეთში ჯერ საფრანგეთის რევოლუციის, ხოლო შემდეგ რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის პარალელურად განვითარდა. ირლანდიაში რევოლუციურ ლიდერებზე დიდი გავლენა იქონია ამერიკის ბრძოლამ თავისუფლებისთვის და მებრძოლი ანარქისტების რევოლუციურმა ნაშრომებმა. ბევრმა გაიზიარა იდეები ლენინის ნაშრომებიდან. შედეგად ირლანდიაში განვითარებული მოძრაობა შემდეგი ეტაპია თანამედროვე ტერორიზმის განვითარების ისტორიაში.

თანამედროვე ეტაპზე მრავალმა სახელმწიფომ ეროვნულ უსაფრთხოებას ნარკოპრობლემა დაუკავშირა და მისი გადაჭრა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად მიიჩნია. გაჩნდა ახალი ტერმინი *„ნარკოტიკული ტერორიზმი, ესე იგი დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებების მასობრივი გავრცელება ამა თუ იმ სახელმწიფოს, ან მის რომელიმე ნაწილში, რაც საფრთხეს უქმნის მრავალი ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; ასეთივე მოქმედება, მიმართული რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა სხვა რაიმე ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად.”* [21-29] ამ მხრივ გამონაკლისი არც ჩვენი ქვეყანაა. საქართველოს ნაკისრი აქვს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საერთაშორისო ვალდებულება. გაეროს წევრ სახელმწიფოთა მეთაურების, მსოფლიოს სპეცსამსახურების ხელმძღვანელებისა და საერთაშორისო ექსპერტების აზრით, ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა ხორციელდებოდეს რეგიონული პრინციპით, ნარკობიზნესის საწინააღმდეგოდ მიმართული ერთიანი ძალისხმევით. პრაქტიკულად მთელი მსოფლიო მიესალმა ავღანეთში განხორციელებულ ანტიტერორისტულ კამპანიას. მან საბოლოოდ უნდა აღმოფხვრას ავღანეთის ტერიტორიაზე არამარტო ტერორიზმი, არამედ ნარკოტიკების წარმოება და არალეგალური ტრანსპორტირება თითქმის მთელ მსოფლიოში. ჩვენ შემთხვევით არ ვახსენეთ სიტყვა „საბოლოოდ”. პირველ ეტაპზე ნარკოტიკების გატანა ავღანეთიდან მსოფლიო ნარკობაზარზე შეიძლება გაზრდილი ტემპითაც განხორციელდეს. კონკრეტული დასკვნის გამოტანის საფუძველს ის გარემოება იძლევა, რომ ავღანეთში რამდენიმე ათეული ტონა ოპიუმის მარაგია გადამალული და მისი მფლობელები შეეცდებიან რაც

შეიძლება სწრაფად გათავისუფლდნენ "არასასურველი" ტვირთისგან. შედეგად გაჩნდება უზარმაზარი ოდენობის სახსრები შავი ფულის (ქეშის) სახით, რომელიც ასე ძლიერ სჭირდება დღეს „ალ-ქაიდას" ტერორისტულ სინდიკატს, მითუმეტეს, მათი საბანკო ანგარიშების გაყინვის პირობებში. ასეთ ვითარებაში ბუნებრივია, რომ ნარკოსინდიკატები და ტერორისტული ორგანიზაციები კიდევ უფრო გადაეჯაჭვებიან ერთმანეთს და უფრო ადვილი გახდება თითოეული მათგანის გამოვლენა.

ნიშანდობლივია, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ აღიარებული 24 ტერორისტული ორგანიზაციიდან 12-ს კავშირი აქვს ნარკოტიკული ნივთიერებების საერთაშორისო გადაზიდვასთან. ნარკოსინდიკატებისა და ტერორისტული ორგანიზაციების შერწყმა საერთაშორისო თანასაზოგადოების წინაშე კიდევ უფრო რთულ პრობლემებს აყენებს. აქედან გამომდინარე, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მსოფლიოს გაუჩნდა ახალი საფრთხე – „შავი ჭირი" ნარკოტერორიზმის სახით. აღნიშნული საფრთხის თავიდან აცილება და აღმოფხვრა კი მოითხოვს მასთან ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის განახლებას, ასევე მსოფლიო გაერთიანების ყველა სუბიექტის ერთობლივ ძალისხმევას. [21 -240-243]

დამოუკიდებლად (ხელმძღვანელის გარეშე) მოქმედი მარტოხელა დამნაშავეები და ფანატიკოსები (ბერსეკერები), არსებული წინააღმდეგობები

თანამედროვე ტერორიზმი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოიშვა, როგორც ანტიკოლონიური, ნაციონალისტური და მემარცხენე პოლიტიკური იდეოლოგიის კომბინაცია. მისმა დებიუტმა სამართალდამცავები დააბნია და მათი მოქმედების ტაქტიკა არაეფექტური აღმოჩნდა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ევროპაში ტერორისტები საკუთარ ნებაზე დასეირნობდნენ. შეერთებულ შტატებში ადგილობრივმა და ფედერალურმა სამართალდამცავებმა თითქმის ვერცერთი ტერორისტული დანაშაული გახსნეს. ახლო აღმოსავლეთი ტერორიზმის და რეგიონული ომების ალში გაეხვია. მიუხედავად იმისა, რომ ტერორისტებს არცერთი მთავრობა დაუმხიათ, ისინი თავიანთი პირველი წარმატებებით ტკბებოდნენ.

1990 წლისთვის ვითარება სრულიად შეიცვალა. დასავლეთის ქვეყნების სამართალდამცავებმა ტერორიზმთან გამკლავება დაიწყეს. პოლიცია წარმატებულად ახორციელებდა საკუთარი აგენტების ჩანერგვას და

ტერორისტულ დაჯგუფებებზე დაკვირვებას იმ ქვეყნებშიც კი, სადაც მკაცრი კანონმდებლობა ზღუდავდა სამართალდამცავების მიერ მსგავსი წესით ინფორმაციის მოპოვებას. გაერთიანებული სამეფოს პოლიციის თანამშრომლებმა "ირას" თითქმის ყველა დანაყოფში ინფორმატორები გაიჩინეს. შეერთებულ შტატებში პოლიციის ინფორმატორთა რიცხვის ზრდის პარალელურად მემარჯვენე და მემარცხენე ტერორისტების რაოდენობამ იკლო. ევროპაში მემარცხენე ტერორისტები თითქოსდა გაუჩინარდნენ, თუმცა, ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფი კვლავაც აგრძელებდა საქმიანობას. და როცა ყველას ეგონა, რომ სამართალდამცავებმა წარმატება იზეიმეს, ტერორისტებმა საკუთარი ტაქტიკა შეცვალეს.

ამერიკის ”კუკლუსკლანის" ლიდერი ლუის ბიმი პირველი გაერკვა ვითარებაში. მარკ პიტკავეჯის თანახმად, ბიმს სჯეროდა, რომ ნებისმიერი ჯგუფი, მისი კონსპირაციის მიუხედავად, სამართალდამცავების ბადეს ვერ დაუსხლტებოდა. მართლაც, იქ სადაც ინფორამატორებისა და საიდუმლო თანამშრომლების შეგზავნა ვერ ხერხდებოდა, პოლიცია ფულის კვალს მიჰყვა. მსგავსმა ტაქტიკამ საფრთხე შეუქმნა ყველა ტერრორისტულ ჯგუფს. ლუის ბიმმა გამოსავალს მიაგნო და ჯგუფების ლიკვიდირების გადაწყვეტილება მიიღო.

კარლოს მარიგელას (ბრაზილიელი პარტიზანი) იდეის მიხედვით, ბიმი “ხელმძღვანელის გარეშე არსებული წინააღმდეგობის" თაობაზე ალაპარაკდა. ბიმის აზრით, ექსტრემისტულ ჯგუფებს ფართო ორგანიზაცია არ ესაჭიროებოდათ, საჭირო იყო მხოლოდ მოქმედება. არ არსებობდა მოქმედებების კოორდინირების აუცილებლობა. საკმარისი იყო ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგობა. მაგალითად, მწვანეები გერმანიაში თავიანთი ძირგამომთხრელი საქმიანობისთვის ყველა მეთოდს მიმართავდნენ – დაწყებული აფეთქებების მუქარის შემცველი სატელეფონო ზარებითა და დაკეტილი კარებების წებოთი ამოქოლვით, დამთავრებული ტიმოთი მაკვეის მიერ 1995 წელს ოკლაჰომაში ფედერალური შენობის აფეთქებით. რამოდენიმე მოძრაობა დაეთანხმა ბიმის იდეას. რთულია ჯგუფზე ინფორმაცია შეაგროვო, როდესაც არანაირი ჯგუფი არ არსებობს.

შემდგომში “ხელმძღვანელის გარეშე არსებული წინააღმდეგობის” კიდევ ერთ სიმბოლოდ დამოუკიდებლად (ხელმძღვანელის გარეშე) მოქმედი მარტოხელა დამნაშავეები ("მარტოხელა მგლები") იქცნენ. დამოუკიდებლად მოქმედი მარტოხელა დამნაშავის კონცეფციის პოვნა შეიძლება ფანტასტიკურ ნოველაში

"მონადირე". პირსის, ნოველის ექსტრემისტი ავტორის განმარტებით, პოლიციას არ შეუძლია ადამიანის გონებაში შეაღწიოს. ის მოგვითხრობს, თუ როგორ შეუძლია ერთ ინდივიდუალურად მოქმედ ექსტრემისტს ხოცოს ებრაელები და ფერადკანიანები თეთრკანიანთა უპირატესობის სახელით.

მარტოხელა დამნაშავის მაგალითად ერიკ რუდოლფი გამოდგება. ერიკ რუდოლფი, რომელიც ოთხ აფეთქებასთან დაკავშირებით იძებნებოდა, დაწყებული 1996 წლის ატლანტის ოლომპიადაზე მომხდარი გახმაურებული აფეთქებიდან, დამთავრებული აბორტების კლინიკის აფეთქებით 1998 წელს, რომელსაც პოლიციის ოფიცერი ემსხვერპლა, თითქმის პირსის “მონადირის” ცოცხალი პაროდიაა. “მონადირისგან” განსხვავებით, რუდოლფი თავისი ცხოვრების უდიდეს ნაწილს მიმალვაში ატარებდა. "ატლანტა ჯერნელ-კონსტიტუშენის" ჟურნალისტის, მარლონ მანუელის ინფორმაციით, ადგილობრივმა, შტატის და ფედერალურმა ხელისუფლებამ რუდოლფის უშედეგო დევნაში მილიონობით დოლარი დახარჯა. მარტოხელა დამნაშავეების უმეტესობა ერთადერთი ტერორისტული აქტით შემოიფარგლება, მაგრამ, გავრცელებული ინფორმაციით, ერიკ რუდოლფმა ოთხი თავდასხმის მოწყობა შესძლო: აფეთქება ოლიმპიურ თამაშებზე, აბორტების ორი კლინიკის აფეთქება და თავდასხმა “ცისფერების” კლუბზე, რომლის შედეგადაც 110 ადამიანი დაიჭრა. ამასთანავე, მისი დამცინავი ქმედებები მემარჯვენე ტენდენციის ფოლკლორის ლეგენდებად იქცა.

ჩემი აზრით, ტერმინი "ბერსეკერი" შეიძლება ზოგიერთი ცალკე (მარტო) მოქმედი ტერორისტის დასახასიათებლად გამოვიყენოთ. ტერმინი "მარტოხელა მგელი" გულისხმობს, რომ ადამიანი მოულოდნელად გამოჩნდება თითქმის არსაიდან, ჩაიდენს უკანონო ქმედებას და გაუჩინარდება. მარკ პიტკავაჯის თქმით (1999, 2000), ასე, როგორც წესი, არ ხდება. ერიკ რუდოლფი გამონაკლისია და მისი რეპუტაცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მის მიერ ზიანის მიყენების უნარი. "მარტოხელა მგლების" უმეტესობა “ჭეშმარიტ მორწმუნეებს” წარმოადგენენ. ისინი ცნობილნი არიან თავიანთი კავშირებით ექსტრემისტულ წრეებთან, რომლებიც ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას მიმართავენ. ზოგიერთ "მარტოხელა მგელს" განიხილავენ, როგორც საზოგადოების დაბალი ფენებიდან გამოსულ მორწმუნე ექსტრემისტებს. ეს ტერმინი მათ ქმედებებს თითქოსდა ხოტბას ასხამს და არ უნდა იქნას

გამოყენებული. სწორედ ამ მიზეზით ვიყენებ ტერმინ "ბერსეკერს". ის აკადემიურ ტერმინზე მეტია და საგამოძიებო შედეგებსაც მოიცავს.[64-56,70]

ბერსეკერის კონცეფცია უკეთესად ასახავს ინდივიდუალისტი ექსტრემისტების ძალისმიერ ქმედებებს. ეს მნიშვნელოვანია გამომძიებლებისთვის. ბერსეკერებს შეუძლიათ გასცენ საკუთარი ჩანაფიქრი. მაგალითად, მემარჯვენე ექსტრემისტმა უფორდ ფუროუმ, რომელმაც თავდასხმა მოაწყო ლოს ანჟელესის ებრაულ ცენტრზე, საკუთარი შესაძლო მონაწილეობის შესახებ თავდასხმაში დანაშაულის ჩადენამდე დიდი ხნით ადრე ტელევიზიით განაცხადა. კიდევ ერთი ექსტრემისტი ბენჯამინ სმიტი, რომელმაც ჩიკაგოში მკვლელობების სერია ჩაიდინა, კრიეტორიზმის (რელიგიური სექტა) ცნობილი მხარდამჭერი იყო. რეალურად, ბევრი "მარტოხელა მგელი" “არაფრიდან” არ ჩნდება. ისინი ბერსეკერები არიან, რომლებიც ძალადობრივ და ირაციონალურ ქმედებებს მიმართავენ. როდესაც ექსტრემისტები განუწყვეტლივ ამართლებენ ძალადობრივ ქმედებებს და მკვლელობას, ამით ისინი ხელს უწყობენ შეშლილი ადამიანების გამოჩენას, რომლებიც დაუფიქრებელ ქმედებებს სჩადიან.

ძირითადი კონცეფციები:

1. 1600-იანი წლების სამეცნიერო რევოლუციამ და 1700-იანი წლების განმანათლებლობამ შექმნა პოლიტიკური საფუძველი დემოკრატიული მთავრობისთვის;

2. ამერიკული რევოლუცია მოიცავდა ძალაუფლების კონსერვატულ განაწილებას კლასებს შორის, ხოლო ფრანგულმა რევოლუციამ ძალით წაართვა ძალაუფლება მაღალ კლასებს. თანამედროვე ტერორიზმი ამ პერიოდში ჩამოყალიბდა;

3. 1848 წლისთვის ტერმინი „ტერორიზმი“ გამოიყენებოდა იმ ძალადობრივი რადიკალი დემოკრატების, სოციალისტებისა და ანარქისტების ქმედებების აღსაწერად, რომლებიც უჯანყდებოდნენ არსებულ მმართველობას ეკონომიკური რესტრუქტურიზაციის მიზნით;

4. რუსი ანარქისტებისა და შემდეგ რუსი კომუნისტების ტაქტიკამ დიდი გავლენა მოახდინა დღევანდელ ტერორისტებზე;

5. ტერორიზმი მუდმივად ვითარდება და იცვლება.[65-78]

§ 1. 3. ტერორიზმის ფენომენი საქართველოში:

წარსული და რეალობა

საქართველოში ტერორისტული დანაშაულები ჯერ კიდევ მეფის რუსეთის პარიოდიდან ფიქსირდება. კომუნისტური საქართველოს სამართალწარმოებამ რამდენიმე ფაქტი შემოინახა, რომელთაც ტერორიზმის კვალიფიკაცია მიენიჭათ. მათ შორის არის 1961 წლის თებერვალში, თბილისში სტუმრად მყოფი ხრუშჩოვის ლიკვიდაციის მცდელობა. იმ ხანებში ტერორისტულ შეთქმულებაში ეჭვმიტანილი სამი პირი დააკავეს. გამოძიების მტკიცებით, ანტისაბჭოურად განწყობილ ეჭვმიტანილებს შიდა და საგარეო პოლიტიკის შეცვლის მიზნით საბჭოთა მეთაურის ლიკვიდაცია ჰქონდათ ჩაფიქრებული.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, კარგა ხნის მანძილზე, ქვეყანაში ტერორისტული დანაშაული ლამის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რასაც ასეულობით ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეეწირა.[42-34]

ნიკა კეკელიძე, სოლიკო ხაბეიშვილი, გია გულუა, გია ყარყარაშვილი, გია ჭანტურია, გურამ თევზაძე, ნუგზარ შევარდნაძე, ჯაბა იოსელიანი - ეს საქართველოში განხორციელებული ტერორისტული აქტების სამიზნეების მცირე ჩამონათვალია. თუმცა, საქართველოში ტერორისტთა ყველაზე ხშირი სამიზნე ქვეყნის მეთაური ედუარდ შევარდნაძე იყო. მის მიმართ ტერორისტული აფეთქება ოთხჯერ დაიგეგმა. სხეულის მცირე დაზიანებებს თუ არ ჩავთვლით, ტერორისტებმა მიზანს ვერც ერთხელ მიაღწიეს. გამოძიების მტკიცებით, ქვეყნის პირველი პირის მკვლელობის მიზანი ხელისუფლების შეცვლა იყო.

90-იანი წლების დასაწყისში ტერორისტული დანაშაულების ასპარეზი ძირითადად ქვეყნის დედაქალაქი იყო, თუმცა მოგვიანებით მან რეგიონებში გადაინაცვლა.

დასავლეთ საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ჩვენს ქვეყანაში კვლავინდებურად ძალზე ადვილი იყო სხვადასხვა მასშტაბისა და ხასიათის სპეცოპერაციის განხორციელება საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების სასურველი მიმართულებით წარმართვისათვის.

როგორც ცნობილია, «ზვიადისტთა» ბანდამ ვინმე გოჩა ესებუას ხელმძღვანელობით ზუგდიდის გაეროს ოფისიდან მოიტაცა ოთხი სამხედრო დამკვირვებელი, რომელთაგან ორი ურუგვაელი იყო, ერთი – ჩეხი და ერთიც –

შვედი. ტერორისტები გამაგრდნენ სოფელ ჯიხაშკარის გამგებლის სახლში და ოჯახის წევრები მძევლებად აიყვანეს. სულ აქციაში მონაწილეობდა ოცამდე «ბოევიკი». «ზვიადისტები» მოითხოვდნენ დაპატიმრებულ თანამოაზრეთა გათავისუფლებას, რუსეთის ჯარების გაყვანას საქართველოს ტერიტორიიდან და აფხაზეთიდან, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტთან პირად შეხვედრას.

«ზვიადისტთა» აქციას უმალვე მოჰყვა ფრიად არასასურველი საერთაშორისო რეზონანსი. გაეროს უშიშროების საბჭომ დაგმო ტერორიზმი და მძევალთა უპირობო გათავისუფლება მოითხოვა. «საქართველოს მეგობარმა ქვეყნებმაც» ქარაგმულად გვაგრძნობინეს, რომ ტერორისტულ ქვეყანასთან აღარ «იმეგობრობენ», ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა თავისი მოქალაქეები გააფრთხილა, თავი შეეკავებინათ საქართველოში ვიზიტისაგან.

მანამდე მოვლენები საქართველოს სასარგებლოდ ვითარდებოდა. ბაქო-ჯეიჰანის მარშრუტი ჩვენი ქვეყნის გავლით ეკონომიკურად წამგებიანი იყო ბაქო-ნოვოროსიისკის მიმართულებასთან შედარებით, სამაგიეროდ, მომგებიანი გახლდათ პოლიტიკურად, ოღონდ ერთი ურყევი დათქმით – შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო სტაბილურობა. სახელმწიფოებრივი დესტაბილიზაციის შემთხვევაში, ის ძალები, რომელთა ნებაზეც დამოკიდებული იყო საქართველოს ქცევა სერიოზულ სატრანზიტო სახელმწიფოდ, ცენტრალურ აზიასთან დამაკავშირებელ რგოლად, ჩვენდამი ინტერესს დაკარგავდნენ. მაშასადამე, სრულიად ერთმნიშვნელოვანია, რომ დესტაბილიზაცია საქართველოში ხელსაყრელი იყო იმ ქვეყნისათვის, იმ მსოფლიო ძალისთვის, რომელსაც არ სურდა კომუნიკაციებზე კონტროლის დაკარგვა, რომლის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს თვისებრივად ეწინააღმდეგებოდა «დიდი ნავთობსადენის» გაყვანა საქართველოს ტერიტორიაზე, ისევე როგორც, საქართველოს ჩამოყალიბება სამხრეთ კავკასიის სტაბილურ, დამოუკიდებელ, ეკონომიკურად მძლავრ სახელმწიფოდ. ეს ქვეყანა რუსეთი გახლდათ.

საქართველოს მაშინდელი უშიშროების სამინისტროს ცნობით, ესებუას ქვედანაყოფი წვრთნას გადიოდა ჩეჩნეთისა და დაღესტნის საზღვარზე მდებარე ერთ-ერთი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე. იქვე დისლოცირებული იყვნენ სალმან რადუევისა და მოჰაჯირ ხატაბის რაზმები. ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმის იდეა სწორედ ამ წრეებში მომწიფდა. რუსეთის კონტრდაზვერვას საკუთარი ინფორმატორები ჰყავდა როგორც ხატაბის, ასევე რადუევისა და

ესებუას რაზმებში; ამდენად, უეჭველია, მოსკოვის «კომპეტენტურმა ორგანოებმა» წინასწარ იცოდნენ დაგეგმილი დივერსიის თაობაზე. არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ «გენიალური იდეა» საქართველოს პრეზიდენტის ლიკვიდაციის შესახებ სწორედ ზემოხსენებულმა რეზიდენტებმა ჩააწვეთეს ყურში რადუევ-ხატაბ-ესებუას. ამ უკანასკნელთ კი გადაწყვეტილების მისაღებად დიდი ხვეწნა არ დასჭირვებიათ.

მთავარი აქ ის არის, რომ საზოგადოების დამორჩილებისთვის სხვადასხვა მეთოდით, სხვადასხვა ძალის გამოყენებით იძაბება ვითარება, ინსპირირდება სოციალურ, პოლიტიკურ თუ სახელისუფლებო წრეების დაპირისპირება, სახელმწიფოებრივი მექანიზმების ურთიერთქმედების ჩვეული სისტემის მოშლა, მასობრივი ცნობიერების «არევა». მიზნის მიღწევის საუკეთესო ვარიანტია, თუ მოხერხდება საქმის სისხლისღვრამდე, შეურიგებელ ანტაგონიზმამდე მიყვანა. ასეთ ვითარებაში მოქმედებას იწყებს პოლიტიკური ბრძოლისთვის «ჩვეულებრივი» ლოგიკა: დაპირისპირებული მხარეები უკვე აღარ ერიდებიან არაფერს ერთმანეთის წინააღმდეგ - დახმარებისთვის მიმართავენ იმ ძალებსაც კი, რომელთაც ადრე თითქოს თავად უპირისპირდებოდნენ, მათ შორის, გარეშე ძალებსაც. ინტერესთა თანხვედრის საფუძველზე იქმნება დროებითი ალიანსები, მოსახლეობა კი იბნევა და კარგავს ორიენტაციას.

ხსენებული მოვლენების შემდეგ საქართველოს საერთაშორისო «იმიჯი» ხელის ერთი მოსმით ნულამდე დაეცა. 1994 წლის შემდეგ ცნებები: «სტაბილურობა» და «საქართველო» ნაბიჯ-ნაბიჯ, დიდი გაჭირვებით შეუკავშირდა ერთმანეთს. მანამდე კი ამაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. [16-45-50]

მოგვიანებით, არეულობამ ძირითადად პერიფერიებზე და კონფლიქტის ზონებში გადაინაცვლა. გამოძიებით ოფიციალურად დადასტურდა ისიც, რომ ტერორისტული აქტები სათავეს რუსეთში იღებდა.

შსს-ს ინფორმაციით, 2004 წელს განხორციელებული ტერორისტული აქტების მთელი სერია, რომელიც ძირითადად ოსი სეპარატისტების დაჯგუფებამ განახორციელა, რუსეთში დაიგეგმა. მათ ქმედებებს ზიანი უნდა მიეყენებინა საქართველოს ენერგოსისტემის, კავშირგაბმულობისა და სარკინიგზო ტრანსპორტის ობიექტებისთვის, რაც საბოლოოდ ქვეყნის დასუსტებას გამოიწვევდა.[15-9]

რუსი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით, 2004 წლის ოქტომბერ-დეკემბერში, დაიგეგმა და შიდა ქართლში განხორციელდა დივერსიულ-ტერორისტული აქტების სერია: 2004 წლის 9 ოქტომბერს გორის რაიონის სოფელ შავშვების მიმდებარე ტერიტორიაზე 500-კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზების "ქართლი-2"-ის 365-ე და "ლიახვი"-ს 57-ე ანძების აფეთქება, რამაც საქართველოს ენერგოსისტემა მწყობრიდან გამოიყვანა; 2004 წლის 9 ოქტომბერს კასპის რაიონში "გრკალი-მეტეხი"-ს გადასარბენზე რკინიგზის ლიანდაგის აფეთქება და 2004 წლის 17 ნოემბერს ხაშურის სოფელ ჩორჩანასთან მდებარე ნავთობსადენის რადიოგადამცემი სადგურის აფეთქება. ასევე დაგეგმილი იყო შვეულმფრენის ჩამოგდება საზენიტო კომპლექს "იგლა"-ს გამოყენებით, რაც ჯგუფისგან დამოუკიდებელი მიზეზებით ვერ განხორციელდა. ამ პერიოდის ერთ-ერთი მასშტაბური ტერორისტული აქტი იყო გორის პოლიციის შენობის აფეთქება.

ყველაზე ხმაურიანი ტერორისტული აქტი საქართველოში ვიზიტად მყოფი აშშ-ის პრეზიდენტის – ჯორჯ ბუშის მიმართ განხორციელდა. "მარტოხელა ტერორისტის" - ვლადიმერ არუთინიანის განცხადებით (რომელმაც ბუშს ხელყუმბარა ესროლა), მისი მიზანი ქართულ-ამერიკული ურთიერთობების დაძაბვა იყო.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველო აქტუალური გახდა საერთაშორისო მასშტაბის ტერორიზმის კუთხითაც. მსოფლიო ექსპერტების მტკიცებით, პანკისში ყველაზე რადიკალური ტერორისტული დაჯგუფების – "ალ-ქაიდას" ბაზა იყო განთავსებული, სადაც ტერორისტებს ამზადებდნენ.

ცნობილი ფაქტია, რომ ტერორიზმი "ჭუჭყიანი" ფულით იკვებება. ექსპერტთა განცხადებით, წლების წინ ამ მიმართებით პანკისის ხეობა და საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებადი ტერიტორიები - აფხაზეთი და სამაჩაბლო ძალზე წარმატებულად გამოიყენებოდა. უცხოელ ექსპერტთა ინფორმაციით, ეს ტერიტორიები ძალზე მიმზიდველი წერტილი იყო შავი ფულის გასათეთრებლად. არსებული მასალების მიხედვით, "ჭუჭყიანი" ფულის ერთი ნაწილი პანკისის ხეობას თავშეფარებულ ტერორისტებს უპრობლემოდ ხმარდებოდათ.[22-7]

იმ ჯგუფებსა და ცალკეულ პიროვნებებს, რომლებიც უცხოური მხარდაჭერით სარგებლობენ ქმედების უფრო მაღალი დონე აქვთ.

იხილეთ დანართი№1 (გვ.272)

დღემდე მხოლოდ ზედაპირული ინფორმაცია არსებობს იმის შესახებ, თუ როგორ შედიოდა პანკისის ხეობაში ტერორისტების დაფინანსებისთვის კოლოსალური თანხები. XXI საუკუნის დამდეგის ნებისმიერ საერთაშორისო ანგარიშსა თუ მოხსენებაში, რომელიც კი ტრანსნაციონალურ დანაშაულს ეხებოდა, პანკისის ხეობას მოიხსენიებდნენ, როგორც შავი ფულის გაჩენისთვის ხელსაყრელ ტერიტორიას, თუმცა, როგორ თეთრდებოდა იქ ადამიანის გატაცებით, ნარკოწარმოებითა და იარაღის კონტრაბანდით მიღებული შემოსავლები, ამის შესახებ ფართო საზოგადოებას არაფერი შეუტყვია თუნდაც იმ უბრალო მიზეზიდან გამომდინარე, რომ ამ პროცესში არცთუ მეორეხარისხოვან როლს სწორედ ის მაღალჩინოსნები ასრულებდნენ, რომლებსაც მსგავს დანაშაულთან ბრძოლა უშუალოდ ევალებოდათ.

ადამიანის გატაცება დღევანდელ მსოფლიოში ტერორისტული საქმიანობის ძალზე გავრცელებული სახეობაა. ტერორისტები მას მიმართავენ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების პროცესში, რათა მნიშვნელოვან დათმობებს ან მათთვის სასურველ შედეგებს მიაღწიონ. მაგალითად, 1999 წელს პანკისის ხეობაში, სოფელ დუისიდან ტერორისტული ჯგუფის წევრებმა გაიტაცეს და გადამალეს "წითელი ჯვრის" საერთაშორისო ორგანიზაციის ორი თანამშრომელი ქალბატონი. გარკვეული დროის განმავლობაში მათი ადგილსამყოფელი უცნობი იყო. შემდგომში ანტიტერორისტულმა ცენტრმა კონსპირაციულად დაადგინა მათი ყოფნის ადგილი, მაგრამ უცხოელი ქალბატონების უსაფრთხოების დაცვის მიზეზით სპეცოპერაციის ჩატარება ვერ მოახერხა. ტერორისტული ჯგუფის ერთ-ერთი წევრის ინიციატივით დაიწყო მოლაპარაკება სამართალდამცავ ორგანოებთან, სადაც გამტაცებლებმა დააყენეს კონკრეტული მოთხოვნები, რომელთაგან დაკმაყოფილდა მხოლოდ ერთი (დანარჩენი ოთხიდან), რის შემდეგაც მძევლები გაათავისუფლეს.

გატაცების მცდელობა სატრანსპორტო საშუალებების ხელში ჩაგდებით ტერორისტების მიერ განხორციელდა პანკისის ხეობაში იმავე 1999 წელს, როდესაც მათ სცადეს, გაეტაცებინათ ამერიკის საელჩოს ავტომანქანა მასში მყოფი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლით, ვინმე ბრუს ვალენტათი. ანტიტერორისტული ცენტრის ("ატც") - თანამშრომლების ოპერატიული მოქმედების შედეგად მცდელობა აღიკვეთა, მოგვიანებით კი გამტაცებელთა ჯგუფის წევრები დააკავეს.

თავი II.

ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება

§ 2.1. ტერორიზმის ფორმები და სახეები

განსაკუთრებული სირთულე, ფორმათა მრავალფეროვნება, შეფასებებში პოლიტიკური წინააღმდეგობა განსაზღვრავს ტერორიზმის კლასიფიკაციისადმი ერთიანი მიდგომის არარსებობასაც.

უცხოელი და თანამემამულე პოლიტოლოგები, ისტორიკოსები, ფილოსოფოსები და სამართალმცოდნეები ტერორიზმის სისტემატიზაციასა და კლასიფიკაციას სხვადასხვა ჭრილში ახორციელებენ. ისინი გვთავაზობენ კლასიფიკაციის სპეციფიკურ კრიტერიუმებს, რაც, თავისთავად, ამ მოვლენის მრავალგანზომილებიანობასა და სირთულეს ასახავს. მიდგომათა მრავალფეროვნებისა და ზოგჯერ შეუთავსებლობის მიუხედავად, პრობლემის შესწავლის მსგავსი მრავალწახნაგოვნება მეცნიერებს საშუალებას აძლევს უფრო მყარად დაასაბუთონ ტერორიზმის საზოგადოებრივი საფრთხე და გამოავლინონ ის ნიშნები, რომლებიც მნიშვნელოვანია სისხლისსამართლებრივ ასპექტში, რათა სწორად განსაზღვრონ ტერორისტული დანაშაულის შემადგენლობა.

ტერორიზმისა და მისგან მოსახლეობის დაცვის პრობლემებისადმი მიძღვნილ ტრანსამერიკულ კონფერენციაზე ადამიანთა უფლებების შესახებ (1970წ.), ტერორიზმის სამი ფორმა დასახელდა: **სოციალური, პოლიტიკური და იდეოლოგიური**. [104-9]

პოლიტოლოგი დ.ვ. ოლშანსკი ტერორიზმის განსაკუთრებით „მსხვილ“ სახეობებს მიაკუთვნებს: **პოლიტიკურ** (სხვადასხვა სახის ტერორისტული საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს პოლიტიკურ ლიდერებზე, ხელისუფლებაზე და მათ მიერ გატარებულ პოლიტიკაზე ზეგავლენას, ამა თუ იმ პოლიტიკური ნაბიჯისა თუ სახელისუფლებო გადაწყვეტილების იძულებას), **საინფორმაციო** (უშუალო ზეგავლენა ადამიანთა ფსიქიკასა და ცნობიერებაზე, იმ საჭირო შეხედულებებისა და აზრის ფორმირების მიზნით, რომლებიც გარკვეულწილად წარმართავენ ადამიანთა ქცევას), **ეკონომიკურ** (დისკრიმინაციური ხასიათის სხვადასხვა ეკონომიკური ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკურ კონკურენტებზე, სოციალურ ჯგუფებსა და

მოსახლეობის ფართო ფენებზე, აგრეთვე სახელმწიფოებსა და მათ ლიდერებზე ზეგავლენას ტერორისტებისთვის ეკონომიკურად სარფიანი, კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღწევის მიზნით) და **სოციალურ (საყოფაცხოვრებო) ტერორიზმს** (ქუჩური დანაშაულის თარეში, მზარდი კრიმინალიტეტი, საერთო სოციალური არასტაბილობა და მასობრივი საყოფაცხოვრებო მოუწყობლობა). [105- 19,23]

ლ.ვ. სერდიუკი გამოჰყოფს უანგარო ტერორიზმს და მაგალითისთვის XX საუკუნის დასაწყისში რუს რევოლუციონერ-ტერორისტთა საქმიანობა მოყავს. ავტორის ხაზს უსვამს რევოლუციონერ-ტერორისტთა ფანატიკური საქმიანობის დადებით მომენტს, რაც მათ უანგარობაში, სახელმწიფოს ყველა მოქალაქისთვის სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფისაკენ სწრაფვაში გამოიხატება. [112 -294-295]

აღსანიშნავია, რომ ავტორის პოზიცია ფრიად საკამათოა და ის ქმედება, რომელსაც ლ.ვ. სერდიუკი უანგარო ტერორიზმად მოიხსენიებს, ჩვენი აზრით, სავსებით შეესაბამება **პოლიტიკურ ტერორიზმს,** რომელშიც იგულისხმება ნახევრადლეგალური ან არალეგალური ჯგუფების მიერ საკმარისი პერიოდულობით დაგეგმილი ძალადობრივი შეიარაღებული აქციები, რომელთა მიზანია დაშინების გზით ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოხდენა და გარკვეული შედეგის მიღწევა. [119-50]

იურიდილ ლიტერატურაში გვხვდება ცნება **სუიციდური ტერორიზმი**, რომელიც განმარტებულია, როგორც გარკვეული პოლიტიკური მიზნის მისაღწევად საკუთარი სიცოცხლის შეწირვისათვის მზადყოფნა.

დღესდეღეობით არსებობს ათამდე რელიგიური თუ საზოგადოებრივი ტერორისტული დაჯგუფება, რომლებიც სუიციდურ ტერორიზმს ტაქტიკური ხერხის სახით საკუთარ ან უცხო ქვეყნების მთავრობათა წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებენ. აღნიშნულ დაჯგუფებებს მიეკუთვნება: წინააღმდეგობის ისლამური მოძრაობა („ჰამასი“) და „პალესტინის ისლამური ჯიჰადი“; ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე: „ჰესბოლა“ („ალაჰის პარტია“) ლიბანში; „ეგვიპტის ისლამური ჯიჰადი“ და „ჰამასი ისლამია“ (ისლამისტური დაჯგუფება ეგვიპტეში); „შეიარაღებული ისლამისტური დაჯგუფება“ (GIA) ალჟირში; „ბარაბარ ჰალსა“ (BKI) საერთაშორისო დაჯგუფება ინდოეთში; „ტამილისა და ელამას გათავისუფლების ვეფხვები“ (LTTE) შრი-ლანკაში; ქურთისტანის მუშათა

პარტია (PKK) თურქეთში; უსამა ბენ-ლადენის ტერორისტული ორგანიზაცია „ალ ქაიდას“ ქსელი ავღანეთში. [13 -115] სუიციდური ტერორიზმის მაგალითია 2002 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკში, ვაშინგტონსა და პენსილვანიაში მომხდარი ტრაგიკური მოვლენები, როდესაც თვითმკვლელმა ტერორისტებმა გაიტაცეს სამგზავრო თვითმფრინავები და მიმართეს ისინი სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებზე, რის შედეგადაც თითქმის 7 ათასი ადამიანი დაიღუპა (მათი უმეტესობა დღემდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება), მათგან 266 ადამიანი გატაცებულ თვითმფრინავებში დაიღუპა; 200-ზე მეტი – ვაშინგტონში, 6 333 – ნიუ იორკში. [123 -11,12]

იურიდიულ ლიტერატურაში აგრეთვე გამოყოფენ **ტექნოლოგიურ ტერორიზმს,** რომელიც გულისხმობს ბირთვული, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღის ან მისი კომპონენტების, ატომური, რადიოაქტიური, მაღალტოქსიკური ქიმიური ნივთიერებების, პათოგენური მიკროორგანიზმების უკანონო გამოყენებას ან ქალაქებისა და ინდუსტრიული ცენტრების სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემების მწყობრიდან გამოყვანას, განადგურებას ან ხელში ჩაგდებას პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა მიზნებისათვის. [7-517]

როგორც ა.კ. მიკეევი აღნიშნავს, ქვეყანაში დანაშაულის ზრდის ტენდენციებისა და ოპერატიული და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პოტენციურად სახიფათო ობიექტები ტერორისტთა აქციების სამიზნედ შეიძლება იქცეს. ამასთან, დღესდღეობით საკმაოდ რეალურია ბირთვული მასალების, ბირთვული წარმოებისა და იზოტოპური პროდუქციის ნარჩენების უკანონოდ ხელში ჩაგდების გზით რადიაციული ტერორიზმის განხორციელების საშიშროება.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ატომური საწარმოების დაცვის საინჟინრო-ტექნიკურ საშუალებათა კომპლექსების დაახლოებით 36% და დახურული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების კონტროლირებადი ზონების 76% რეკონსტრუქციას ან კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს, ხოლო დაცული შენობა-ნაგებობების 50%-ს სიგნალიზაციის მეორე ელექტრონული ზღვარი არ გააჩნია, რაც საგრძნობლად ამცირებს დამნაშავეთა გამოვლენის დონეს. ატომური ელექტროსადგურების განლაგების რაიონებში ადამიანთა და სატრანსპორტო საშუალებათა დაშვება შეზღუდული არაა. გარდა ამისა, არცერთ ატომურ ელექტროსადგურზე სანაპირო წყალსატუმბი სადგურის მისადგომებთან არსებული აკვატორიები საინჟინრო-ტექნიკური საშუალებებით

აღჭურვილი არ არის. სწორედ ეს არის ატომურ ელექტროსადგურთა დაცვის სუსტი წერტილი. [99-77-83] ამ გარემოებებმა შეიძლება შეუწყოს ხელი ობიეტზე ან მის მახლობლად ტერორისტული აქტების მოულოდნელი განხორციელებისთვის ფარულ მომზადებას, შეაფერხოს პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება სიტუაციის უცაბედად შეცვლის შემთხვევაში. არანაკლებ სერიოზულ საფრთხეს ის ჰიდროტექნიკური ნაგებობებიც წარმოადგენენ, რომლებიც, როგორც წესი, მსხვილი ქალაქების მიდამოებში ან მდინარის დინების გაყოლებაზეა მაღლა განლაგებული. მათი განადგურება ადამიანთა დაღუპვის, ფართო ტერიტორიების, მათ შორის, ეკონომიკური და სტრატეგიული ობიექტების დატბორვის მიზეზი ხდება.

ჩვენი აზრით, ტექნოლოგიური ტერორიზმი არის ტერორიზმის სხვადასხვა სახეობათა გამოვლინების ერთ-ერთი ფორმა და არა მისი დამოუკიდებელი სახე.

კ.ნ. სალიმოვი გამოყოფს **კრიმინალურ ტერორიზმს.** ავტორის მოსაზრებით, ტერორიზმის აღნიშნული სახე, როგორც ორგანიზებული დანაშაულის უმაღლესი ფორმა, შეიძლება გამოვლინდეს როგორც კრიმინალური გარჩევის უკიდურესი ზომა და არ წარმოადგენს ანგარებით ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულის მხოლოდ თანმხლებ ელემენტს. კ.ნ. სალიმოვის მიხედვით, ტერორისტული კრიმინალური ფორმირებები, პროდუქციის ან გავლენის სფეროს გამო კონკურენტებთან გარჩევების დროს, როგორც წესი, იარაღსა და ასაფეთქებელ მოწყობილობებს იყენებენ და დანაშაულს საჯაროდ, „ზოგჯერ ხელისუფლებისა და სამართალდამცავი ორგანოების თვალწინ“ სჩადიან. [111 - 160-162]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსულ ენაში ცნება „კრიმინალური“ დანაშაულთან დაკავშირებულს, დანაშაულებრივს ნიშნავს. ამგვარად, გამოდის, რომ კრიმინალური ტერორიზმის ცნება დანაშაულებრივ ტერორიზმსა და სისხლისსამართლებრივ ტერორიზმთან არის გაიგივებული. ამასთან, მხედველობაში გვაქვს ის, რომ ტერორიზმი დანაშაულია. საბოლოო ჯამში, დანაშაულებრივი ტერორიზმი ან დანაშაულებრივი დანაშაული ტავტოლოგიაა (ლათ. ეტიტიო პრინციპიი – ლოგიკური შეცდომის უკიდურესი შემთხვევა, როდესაც რაღაცა განისაზღვრება ან მტკიცდება იგივეთი; არგუმენტი ან დასკვნა რომელსაც თვითონ სჭირდება დამტკიცება).

სიტყვათშეთანხმება „სისხლისსამართლებრივი ტერორიზმი“-ს გამოყენება, ჩვენი აზრით ლოგიკურადაც არამართებულია. ამის მიზეზებს შემდგომში განვიხილავთ.

ნ.დ. ლიტვინოვი [93-55-66] გვთავაზობს ცნებას **ანტისახელმწიფოებრივი ტერორიზმი**, რომელშიც ავტორი გულისხმობს გარკვეულ პირთა ან ორგანიზებულ ფორმირებათა მიზანმიმართულ საქმიანობას, რომელიც ორიენტირებულია სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის, მმართველობის ფორმის ან სახელმწიფო-პ ოლიტიკური რეჟიმის შეცვლაზე, სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის მოშლაზე, აგრეთვე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფოს ფუნქციონირების რღვევაზე, რაც ხორციელდება კრიმინალური (ტერორისტული) მეთოდებით.

არ ვერთვებით რა პოლემიკაში, აღვნიშნავთ, რომ ეს მოსაზრება, ჩვენი აზრით, საკამათოა. პირველი, ავტორის მიერ შემოთავაზებული განმარტება უფრო მიესადაგება ექსტრემიზმის ცნებას, რომელიც განმარტებულია რუსეთის ფედერალურ კანონში „ექსტრემისტული საქმიანობის წინააღმდეგობის შესახებ“ და გარკვეულწილად ემთხვევა ავტორისეულ განმარტებას. [123-52-54] მეორე, თავად ცნება „ანტისახელმწიფოებრივი ტერორიზმი“ საეჭვოდ გვესახება. ამასთან, ნ.დ. ლიტვინოვის ნაშრომის ანალიზი საშუალებას გვაძლევს თავად დავასკვნათ, რომ ავტორი ორ განსხვავებულ ცნებას – ტერორსა და ტერორიზმს აიგივებს. ჩვენი შეხედულებით, ეს არის ორი დამოუკიდებელი კატეგორია, რომელსაც საკუთარი შინაარსი გააჩნია, რაზეც უკვე ვისაუბრეთ. ამიტომ მათი გაიგივება დაუშვებელია.

ვ.ვ. ლუნეევის აზრით, ტერორიზმი შეიძლება იყოს: **პოლიტიკური, საერთაშორისო, ეროვნული** და **რელიგიური; სახელმწიფო; სტიქიური** და **ორგანიზებული; საჰაერო; სისხლისსამართლებრივი. [95- 28]**

ჩვენი წარმოდგენით, ამგვარი კლასიფიკაცია იდენტურობის პრინციპის დარღვევაზეა აგებული: ტერორიზმის სახეობები და მათი ფორმები არეულია. ტერორიზმის ზემოაღნიშნული სახეობების უმეტესობა არ შეიძლება იყოს სამართლის საგანი (მაგალითად, შიდასახელმწიფოებრივი ტერორიზმი საკუთარი სახელმწიფოს მოქალაქეების წინააღმდეგ). „ვინაიდან საერთაშორისო სამართალი არ ცნობს სახელმწიფოს დანაშაულის სუბიექტად – ცნება „სახელმწიფო ტერორიზმი“ არაკორექტულად გვეჩვენება,“ – აღნიშნავს ვ.პ.

ემელიანოვი. [80-54-65] ამ კლასიფიკაციაში არეულია ტერორიზმის სახეები და მისი რეალიზაციის ფორმები. ასე მაგალითად, ტერორიზმის ნებისმიერი სახეობა – საერთაშორისო, პოლიტიკური, შეიძლება სტიქიურიც და ორგანიზებულიც იყოს.

ვ.პ. ემელიანოვის აზრით, იურიდიულ მეცნიერებაში არსებობს ტერორიზმის არაზუსტი კლასიფიკაცია, როდესაც სახელმწიფო, პოლიტიკურ, რელიგიურ და ა.შ. ტერორიზმთან ერთად გამოიყოფა სისხლისსამართლებრივი ტერორიზმიც. ნებისმიერი ტერორიზმი, ვ.პ. ემელიანოვის მტკიცებით, სისხლისსამართლებრივია, არასისხლისსამართლებრივი ტერორიზმი უბრალოდ არ არსებობს. თუმცა, თავად სისხლისსამართლებრივი ტერორიზმი შეიძლება დაიყოს დანაშაულის მოტივაციის (პოლიტიკური, რელიგიური, ეკონომიკური და სხვ.) და სუბიექტის (ჩადენილი საკუთარი ქვეყნის მოქალაქის ან უცხოელის, გარკვეული უფლებამოსილების არმქონე პირის ანდა რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლის მიერ) მიხედვით.[81-15]

ამასთან დაკავშირებით მართებულია ა.ვ. ნაუმოვის მოსაზრება, რომლის თანახმად „სისხლისსამართლებრივი“ ტერორიზმის გამიჯვნა „არა-სისხლისსამართლებრივი“ ტერორიზმისგან შესაძლებელია მხოლოდ მისი მოტივაციის მიხედვით, ანუ კრიმინოლოგიურ ან ფსიქოლოგიურ დონეზე. სისხლის სამართლის კანონის ფარგლებში ნებისმიერი ტერორიზმი – სისხლისსამართლებრივია, ვინაიდან ის სისხლის სამართლის კანონის დარღვევას წარმოადგენს. [6-54] ამასთან, არამარტო ეროვნული კანონის მიხედვით, არამედ საერთაშორისო ხელშეკრულებების ჩარჩოებშიც, ტერორიზმი განიხილება როგორც სისხლისსამართლებრივი ქმედება. უცხოელი მკვლევარები გამოყოფენ ტერორიზმის შემდეგ სახეებს:

- **ფსიქიკური და დანაშაულებრივი** (ჯ. ბელი);
- **რევოლუციური, სუბრევოლუციური და რეპრესიული** (პ. უილკინსონი, რ. შულცი);
- **ბირთვული, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური** და სხვ. [126-22]

ჩვენი აზრით, ტერორიზმი შეიძლება დაიყოს შემდეგ დამოუკიდებელ სახეობებად:

I. ტერიტორიული ნიშნით:

- საერთაშორისო;
- შიდასახელმწიფოებრივი;

II. დანაშაულებრივი მოტივაციის მიხედვით:

- პოლიტიკური;
- რელიგიური;
- ნაციონალისტური;
- ეკონომიკური.

ამგვარად, ტერორიზმის სახეობათა მრავალფეროვნების მიუხედავად, მისი კლასიფიკაციის თაობაზე პოლემიკა იურიდიულ მეცნიერებაში მოცემული პრობლემის შემდგომი კვლევის საჭიროებას ცხადყოფს, რაც მწვავე პრაქტიკული აუცილებლობითაც არის განპირობებული.

წინა საუკუნეებთან შედარებით, ტერორიზმმა, როგორც სოციალურმა მოვლენამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. თანამედროვე ტერორიზმი პოლიტიკური პარტიების, სოციალური ფენების, იდეოლოგიების ჩამოყალიბებას უკავშირდება. ის ამა თუ იმ იდეოლოგიას არის ამოფარებული და გარკვეული ძალების რეაქციას წარმოადგენს. ტერორიზმი სოციალურ-პოლიტიკური ექსტრემიზმის ყველაზე საშიში და რადიკალური ფორმაა. ცხადია, ამ გაგებით იგი სცილდება რეპრესიის ცნებას და ნიშნავს დანაშაულს, რომელიც მიზნად ისახავს ხელისუფლებაზე ზემოქმედებას, მის დაშინებასა და იძულებას – გადადგას ტერორისტის (ტერორისტების) ინტერესების შესაბამისი ნაბიჯი პოლიტიკური ამოცანების გადაჭრისას და სხვა.

წინა პერიოდის ტერორისტებისგან განსხვავებით, თანამედროვე ტერორისტებისათვის დამახასიათებელია მრავალრიცხოვნება, უკეთესი ორგანიზებულობა, უახლესი შეიარაღების, ულტრათანამედროვე კავშირგაბმულობის საშუალებებისა და საუკეთესო ტრანსპორტის ფლობა და ა.შ. ძლიერდება ტერორისტთა საქმიანობის სფეროს (ნარკობიზნესი, რეკეტი, ცეცხლსასროლი იარაღის კონტრაბადნა, პროსტიტუცია) გაფართოების ტენდენცია, ფინანსებისა და ეკონომიკის სხვადასხვა დარგში დამნაშავეთა დაჯგუფებების შეღწევის მცდელობა. ტერორისტულ ორგანიზაციებსა და დაჯგუფებებს შორის მყარდება მჭიდრო კავშირები, ისინი უკვე მოქმედებენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მათი ცენტრები ახორციელებენ ტერორისტთა მომზადებას მსოფლიოს სხვადასხვა ტერიტორიებზე განთავსებულ ბაზებზე,

კოორდინაციას უწევენ და აფინანსებენ ტერორისტული აქტების მოწყობას მათთვის სასურველ წერტილში. ამიტომაა, რომ ბოლო წლებში ჩატარებული ტერაქტების შედეგად დაღუპულ ადამიანთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა (2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში ტერაქტის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ 3000 კაცს მიაღწია).[116-14]

ტერორიზმი წარმოადგენს რეალურ საფრთხეს ნებისმიერი სახელმწიფოს ეროვნული უშიშროებისთვის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საერთაშორისო მასშტაბები შეიძინა. პირველი მისი გამოვლინება 1972 წელს მიუნჰენის სტადიონზე დაფიქსირდა, როდესაც ისრაელის ფეხბურთელთა გუნდის გასახდელი არაბმა ტერორისტებმა ("შავი სექტემბრის" ჯგუფის წარმომადგენლებმა) ჩაიგდეს ხელში და შემდეგ ტერორისტული აქტი განახორციელეს, რის შედეგადაც დაიღუპნენ სპორტსმენები და დაინგრა შენობის ნაწილი. [42-50-56]

სპეციალისტების აზრით, დღეისათვის შეიძლება გამოვყოთ ტერორიზმის 20-ზე მეტი ნაირსახეობა, რომელთა შორისაა პოლიტიკური, რელიგიური, ნაციონალურ-სეპარატისტული, ქიმიური, ბიოლოგიური, ნარკოტიკული და კომპიუტერული ტერორიზმიც კი (ამ აქტებს ხშირად კომპიუტერული ჰაკერები მიმართავენ). სპეციალისტების აზრით, ახლო მომავალში შესაძლოა აქტუალური გახდეს კოსმოსური ტერორიზმიც, რომლის დროსაც მუქარა ან ტერაქტი განხორციელდება კოსმოსიდან. ტერორიზმის საფრთხე ემუქრება ყველა ქვეყნის, განსაკუთრებით კი საქართველოს მსგავს დამოუკიდებელ ქვეყნებს, რომლებიც რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეში ცხოვრობენ. საქართველოს ისტორია ამის ნათელი დადასტურებაა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებმა გააქტიურეს თავიანთი საქმიანობა ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ზოგიერთი მათგანი აშკარა ძალისმიერ ქმედებებზეც გადავიდა და ქვეყნის ტერიტორიაზე რამდენიმე ტერორისტული აქტი განხორციელდა, მათ შორის, თვით საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის მიმართაც. ჩვენი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი კი ტერორიზმის ერთ-ერთი ნაირსახეობის – „აგრესიული სეპარატიზმის" პლაცდარმად იქცა.

საქართველოს წინააღმდეგ ტერორისტული აქტების განხორციელებისთვის უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებს გააჩნიათ ძლიერი აპარატი, აქვთ მნიშვნელოვანი ძალები და საშუალებები, მოქმედებენ წინასწარ შემუშავებული სტრატეგიითა

და ტაქტიკით. მუშაობაში ჩართული ჰყავთ როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები. მათი ქმედებები ემსახურება საკუთარ სახელმწიფოთა პოლიტიკურ, სამხედრო მიზნებს და გამოხატავს მმართველი წრეების ნებასა და ინტერესებს. ზოგ შემთხვევაში ადგილი აქვს რამოდენიმე ქვეყნის სპეცსამსახურების კოორდინირებულ მოქმედებას, ისინი ამუშავებენ სახელმწიფოთაშორისო პროგრამებს, რომლებიც ითვალისწინებენ სხვა მათ მიერ მართული ორგანიზაციების გამოყენებას.[43-15]

ახალი, დემოკრატიული საქართველოსადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა პოლიტიკური ამოცანების ცვლილებების შესაბამისად მუდმივად იქნება ტერორისტული საქმიანობის სფეროს გაფართოების ან შემცირების ტენდენცია. პირველ შემთხვევაში გაიზრდება ამ სახელმწიფოთა სპეცსამსახურების ამოცანების წრე; მათ შესაძლებელია დახვეწონ და მოიგონონ ზიანის მიყენების, შიშის დამკვიდრების ახალი საშუალებები და ხერხები, ამიტომ ტერორიზმის პრობლემა საქართველოში სულ უფრო და უფრო აქტიური შეიძლება გახდეს, მით უმეტეს, ამის წინაპირობა 1990-იანი წლებიდან არსებობს, რასაც შემდგომ კრიმინალური მართვადი ქაოსი ეწოდა (1995 წლის 29 აგვისტოსა და 1998 წლის 9 თებერვლის ტერორისტული აქტები, გაეროსა და წითელი ჯვრის წარმომადგენლების მძევლად აყვანის არაერთი შემთხვევა, სახელისუფლებო სტრუქტურების (გვარდია, მხედრიონი,) თუ არასახელისუფლებო დაჯგუფებების („საძმოები", კრიმინალური ელემენტები) ურთიერთანგარიშსწორების ფაქტები და ა.შ.).[123-163]

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მსოფლიოში იწყება ტერორიზმის არნახული აღმავლობა. იგი გადაიქცა როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ასევე საერთაშორისო პრობლემად.

ტეროლოგიაში (მეცნიერება ტერორიზმის შესახებ) ტერორიზმის მიზეზებად თვლიან ნეოკოლონიალიზმს, რასიზმს, აგრესიულ პოლიტიკას, პოლიტიკური რეჟიმის არადემოკრატიულობას, სეპარატიზმს, რელიგიურ ფანატიზმს, ნარკობიზნესს, უსამართლობას და ა.შ.

არსებითად შეიცვალა ტერორისტთა საქმიანობის მოტივაცია. თუ ტერორისტთა პირველი თაობის მოღვაწეობას იდეოლოგიური საფუძველი ჰქონდა, მომდევნო თაობისთვის ის აღარ ყოფილა განმსაზღვრელი და კრიმინალურ და პოლიტიკურ დანაშაულსაც მოიცავდა. ამასთანავე, შიდასახელმწიფოებრივი

ტერორიზმი გაემიჯნა საერთაშორისო ტერორიზმს. თანამედროვე ტერორიზმის დამახასიათებელი თავისებურებაა ის, რომ ერთი ქვეყნის ტერორისტთა გამოცდილებას აქტიურად იყენებენ სხვა ქვეყნის ტერორისტები. ისინი მიმართავენ ძალადობისა და სისასტიკის უკიდურეს ფორმებს, რის შედეგადაც მსხვერპლის რიცხვი უფრო იზრდება, მოიმატა ტერორისტული აქტების რაოდენობამაც; თუ, მაგალითად, 80-იან წლებში მსოფლიოში დაფიქსირებული იყო 800-მდე ტერორისტული აქტი, 90-იანი წლების ბოლოს მათმა საერთო რაოდენობამ 1000-ს გადააჭარბა, 2000-2005 წლებისათვის კი 1500-ს მიაღწია. [43-7-17]

კონკრეტული ტერორისტული აქტის მიზანი ყოველთვის სცდება ფაქტობრივად მიყენებულ ზიანს, ვინაიდან ტერორიზმის მსხვერპლის შერჩევა ძირითადად სიმბოლურად ხდება. სწორედ ამიტომ არის,

<u>რომ ჩვეულებრივი დანაშაულისგან განსხვავებით ტერორიზმში ოთხი მხარეა გამოკვეთილი:</u>



თანამედროვე ტერორიზმის თავისებურებას და მის სოციალურ წყაროს რიგ შემთხვევაში წარმოადგენს ასევე ტერორისტთა კავშირი ოფიციალურ სტრუქტურებთან; მხედველობაშია ტერორისტთა მფარველობა რიგი ქვეყნის (მაგალითად, ირანი, სირია, ლიბანი) მიერ, ფინანსური და საინფორმაციო

მხარდაჭერა როგორც ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, ასევე კერძო სამეწარმეო, რელიგიური, პარტიული და სხვა სტრუქტურებიდან.

მაშასადამე, **ტერორისტული ქმედება მრავალობიექტიან დანაშაულს წარმოადგენს**. მისი სამიზნე შეიძლება გახდეს ყველა და ყველაფერი დაწყებული მოსახლეობიდან (მისი ცალკეული ჯგუფიდან), დამთავრებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი უშიშროებით; მათ ქმედებებს შეიძლება თან სდევდეს როგორც მოსახლეობის სასიცოცხლო სისტემიდან (საინფორმაციო, ენერგეტიკული, საკვები რესურსებით უზრუნველყოფა) ამოვარდნა, ისე სახელმწიფო ინსტიტუტების ნორმალურ ფუნქციონირების მოშლა. ტერორიზმი შეიძლება გამოიხატოს ქმედებათა მთელი სერიის განხორციელებით ან ერთჯერადი ქმედებით; განხორციელდეს გლობალურად ან ლოკალურად. [45-18,30]

ტერორიზმი, რა ფორმითაც არ უნდა გამოვლინდეს ის, განზრახ ჩადენილი დანაშაულია და დიდი მნიშვნელობა აქვს მის **მოტივსა და მიზანს.** ტერორისტებს ხშირად უშუალო მსხვერპლი არ აინტერესებს, მათი **მიზანია საზოგადოების ყურადღების მიქცევა, მოსახლეობისა და ხელისუფლების დაშინება, თავიანთ პოლიტიკურ შეხედულებათა პროპაგანდა. ტერაქტი შეიძლება მიზნად ისახავდეს პოლიტიკური წყობილების შეცვლას, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, დაპატიმრებული ტერორისტების გათავისუფლებას, საომარ მოქმედებათა პროვოცირებას, საერთაშორისო ურთიერთობებისათვის_ზიანის მიყენებას** და ა.შ. მოტივი შეიძლება სრულიად სხვადასხვაგვარი იყოს. კერძოდ, ფუნდამენტური ან სექტანტური, რელიგიური, ნაციონალისტური, სოციალური ფანატიზმი, თვითდამკვიდრებისკენ (განდიდებისაკენ) სწრაფვა, ანგარება, შურისძიება, ეკონომიკური კონკურენცია და სხვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აგრეთვე „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის გათვალისწინებით, ტერორიზმი შეიძლება შემდეგნაირად განვმარტოთ:

ტერორიზმი, ეს არის ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, მიმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ; შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების, კომუნიკაციების და სხვა

მატერიალური ობიექტების განადგურება-დაზიანება ან მათი განადგურება-დაზიანების მუქარა იარაღის, ასაფეთქებელი მასალების, ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური თუ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სხვა საშიში ნივთიერებების გამოყენებით ან ადამიანის გატაცებითა თუ მძევლად აყვანით, რათა ხელისუფლება ანდა მისი რომელიმე ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია იძულებული გახდეს, განახორციელოს გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისაგან, რაც ტერორისტების მართლსაწინააღმდეგო ინტერესებში შედის. [47- 256-266]

მოქმედებათა მასშტაბების მიხედვით განასხვავებენ: შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო ტერორიზმს

მოქმედებათა მასშტაბების მიხედვით



ა) **შიდასახელმწიფოებრივი ტერორიზმი** არის ძალის ან ძალადობის უკანონო გამოყენება ადამიანის ან ქონების წინააღმდეგ, არსებული ხლისუფლების, მთავრობის, სამოქალაქო მოსახლეობის ან ნებისმიერი მისი სეგმენტის დაშინებისათვის პოლიტიკური ან სოციალური მიზნების მიღწევის მიზნით (ბუდაპეშტის რეგიონული კონფერენციის მასალებიდან, რომელიც მიეძღვნა ტერორიზმს, 14-19 მაისი, 2000 წელი) მაგალითად: **IR** -ს (ირლანდიის რესპუბლიკური არმია) საქმიანობა დიდ ბრიტანეთში, **თ** -ს (ბასკების „მამული და თავისუფლება“) საქმიანობა ესპანეთში, კორსიკის „არმატა კორსას“ ბრძოლა საფრანგეთის ხელისუფლების წინააღმდეგ და სხვა.

ბ) **საერთაშორისო** – არის ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის მიმართ ორგანიზებული და დაფინანსებული ტერორისტული ქმედება. საერთაშორისო ტერორიზმი ამა თუ იმ ქვეყნის მიმართ გარედან იმართება ტერორიზმის მხარდამჭერი ქვეყნების ან ორგანიზაციების მიერ. ეს ქვეყნები ტერორიზმს

განიხილავენ, როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტს, თუმცა დღეს იგი შენიღბულად ხორციელდება, კერძოდ, ტერორისტული ორგანიზაციების შექმნით, დაფინანსებით, კოორდინაციით, ტერორისტული ჯგუფების მომზადებით და სხვა. მაგალითად, ერთ დროს თურქეთის საშინაო პრობლემა „ქურთული სეპარატიზმი“ უკანასკნელ პერიოდში საერთაშორისო ტერორისტულ მოძრაობად ჩამოყალიბდა. ამ მოძრაობას სათავეში უდგას – „ქურთების მუშათა პარტია“, რომლის ლიდერიც წლების განმავლობაში იყო აწ დაკავებული აბდულა ოჯალანი.[42-50-56]

მოტივაციის მიხედვით განარჩევენ: პოლიტიკურ, რელიგიურ, ნაციონალურ (ეთნიკურ) **ბიოლოგიურ, ქიმიურ, ბირთვულ და სხვა სახის ტერორიზმს.**

მოტივაციის მიხედვით:



პოლიტიკური ტერორიზმი – ტერორიზმის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ნაირსახეობაა და ნიშნავს ძალადობის ან ძალადობის მუქარის გამოყენებას თანამდებობის პირების, მოსახლეობის, ობიექტების წინააღმდეგ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. იგი ხორციელდება ცალკეული პირის ან პირთა ჯგუფის მიერ, რომლებიც რომელიმე მთავრობის დავალებით ან რომელიმე მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებენ, თუმცა, აქ არ უნდა გამოირიცხოს ისეთი მოტივაცია, როგორიცაა ანგარება, შურისძიება, ეკონომიკური კონკურენცია და სხვა.

პოლიტიკური ტერორიზმისთვის დამახასიათებელია ასევე სახელმწიფოს მიერ ტერორის წარმოება საკუთარი მოსახლეობის ნაწილის მიმართ ამა თუ იმ პოლიტიკური თუ სოციალური მოთხოვნის დაკმაყოფილების თავიდან აცილების მიზნით. (მაგალითად, უზბეკეთის ხელისუფლების პოლიტიკა იქ მცხოვრები თურქი-მესხების წინააღმდეგ). პოლიტიკური ტერორიზმის მაგალითია აგრეთვე: **სახელმწიფოში** მოქმედი (ლეგალური და არალეგალური) რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის ტერორი საკუთარი მოსახლეობის მიმართ იმ მიზნით, რომ აიძულონ სახელმწიფო მიიღოს მათთვის სასარგებლო და სასურველი გადაწყვეტილება (მაგალითად, იგივე **IRA**, კორსიკის „არმატა კორსა“); **სახელმწიფოში არსებული** კრიმინალური დაჯგუფებების ტერორი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების წინააღმდეგ; პოლიტიკური პირების მიმართ განხორციელებული ტერორი, სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის შესაცვლელად.

პოლიტიკური მოტივები ედო საფუძვლად როგორც საქართველოს პრეზიდენტზე განხორციელებულ ორ ტერაქტს, ასევე სომხეთის პარლამენტში მომხდარ ტერაქტსაც.

რელიგიური ტერორიზმი – როცა ერთმანეთს სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები უპირისპირდებიან და ხდება ერთი რელიგიური სარწმუნოების წარმომადგენელთა მიერ მეორე სარწმუნოების მიმდევართა დაშინება ძალადობის გზით. მაგალითად, ირლანდიაში კათოლიკებისა და პროტესტანტების დაპირისპირება. ხშირად რელიგიურ ტერორიზმს საფუძვლად პოლიტიკური მოტივებიც უდევს. ეს ხდება მაშინ, როცა ამა თუ იმ რელიგიის აღმსარებელი ხალხი კარგავს ან ვერ მოიპოვებს პოლიტიკურ სტატუსს და მოწინააღმდეგეზე ძალადობით, მისი დაშინებით ცდილობს მიზნის მიღწევას. მაგალითად, ისრაელში პალესტინელი არაბებისა და ებრაელების დაპირისპირება რელიგიურ-პოლიტიკური ხასიათისაა.[46-31-45]

რელიგიური ტერორიზმის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ისლამური ტერორიზმი. მისი სულიერი ლიდერი ახლო წარსულში შეიხი ომარ აბდულ რაჰმანი იყო, ამჟამად კი მათი სულიერი მამა მდიდარი არაბული ოჯახის წევრი, მილიონერი უსამა ბენ ლადენია. რადიკალ-ისლამისტთა ბუნდოვანი მოტივები მიზანში იღებენ ყველას, ვინც კი ოდნავ მაინც შეეწინააღმდეგება მათ აგრესიულ პოლიტიკას (მათ შორის ზომიერი მუსულმანური ქვეყნების მთავრობებსაც). „ალაჰის ნების“ აღსასრულებლად

ისლამისტ-ფუნდამენტალისტებს ტერორიზმი ყველაზე მძლავრ იარაღად მიაჩნიათ. ისინი ამ გზით ცდილობენ დასაჯონ, შეაშინონ დასავლეთის ქვეყნები და შთააგონონ მუსულმანურ სამყაროს, უარი თქვან დემოკრატიულ ფასეულობებზე.

ნაციონალურ (ეთნიკურ) ტერორიზმს – საფუძვლად ეთნიკური განსხვავება უდევს და ერთი ეთნოსის მოსახლეობის მიერ მეორის დაშინებას გულისხმობს იმ მიზნით, რომ მიაღწიონ დომინირებულ მდგომარეობას, სახელმწიფოსგან მოითხოვონ ტერიტორიული ერთეულების გამოყოფა, მმართველობის ორგანოების შექმნა, სხვადასხვა პრივილეგიები.

საბჭოთა კავშირის დაშლამ მრავალი ნაციონალური დაპირისპირების კერა წარმოშვა. მოლდოვაში (მოლდოველებსა და რუსებს შორის), აზერბაიჯანში (აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის), საქართველოში (ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის) ის ტერორიზმსა და გენოციდშიც კი გადაიზარდა.

ნაციონალურ (ეთნიკური) პრობლემა დგას სხვადასხვა ეროვნების ხალხებით დასახლებული დიდი ქვეყნების წინაშეც. მაგალითად: დიდი ბრიტანეთში ირლანდიელები ითხოვენ დამოუკიდებლობას; კანადაში, ფრანგებით დასახლებული შტატი კვებეკი ითხოვს ავტონომიას; რუსეთში ჩეჩნებს სურთ გამოყოფა; თურქეთში ქურთები ცდილობენ ავტონომიის მოპოვებას; საქართველოში, ორგანიზაციები „ვირქი“ და „ჯავახკი“ სომხურ ავტონომიას მოითხოვენ და ა.შ.

ბოლო პერიოდში ტერორიზმის ერთ-ერთ მასაზრდოებელ წყაროდ უნდა მივიჩნიოთ ნარკობიზნესიც. ტერორიზმი და ნარკობიზნესი ერთმანეთზე გადაბმული ფაქტორებია, რომელთა ლიკვიდირების გარეშე მსოფლიოს დემოკრატიული გარდაქმნა გამორიცხულია. არსებობს მონაცემები, რომ დღეისათვის ნარკობიზნესის შემოსავლების არალეგალური წყაროებიდან 100 მლრდ. აშშ დოლარზე მეტია ჩადებული ტერორიზმის დაფინანსებისთვის, ამიტომ ტერორიზმის სხვადასხვა სახეობასთან ერთად, სპეციალისტები გამოყოფენ ნარკოტერორიზმსაც.

ნარკოტიკული ტერორიზმი – დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებების მასობრივი გავრცელებაა ამა თუ იმ სახელმწიფოში ან მის რომელიმე ნაწილში, რაც საფრთხეს უქმნის მრავალი ადამიანის სიცოცხლესა თუ ჯანმრთელობას;

ასეთივე ქმედებაა, მიმართული რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ან სხვა რაიმე ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად. საკუთარი სახიფათო შედეგებით ის არცერთი ტერორისტული ხასიათის დანაშაულს ჩამოუვარდება, უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ იგი პირდაპირ ემუქრება ქვეყნის, ერის გენოფონდს, ანადგურებს ადამიანთა ფსიქიკას, აპროვოცირებს სხვა მძიმე დანაშაულქმედებებს.[61- 17-40]

ტერორიზმის ზემოთ ჩამოთვლილი სახეობებისთვის დამახასიათებელია ე.წ. **ორმაგი ტერაქტების** განხორციელებაც. „ორმაგი ტერაქტის“ მაგალითია, როდესაც პირველი აფეთქება ხდება ხალხმრავალ ადგილას, მეორე კი იქ, სადაც პირველი აფეთქების შემდეგ გარბის დაშინებული ხალხი; ასევე აფეთქებით ომის პროვოცირება, საომარ მოქმედებათა განახლება.

ბიოლოგიური, ქიმიური, ბირთვული ტერორიზმი – ტერორიზმის სპეციფიკური ნაირსახეობაა, რომლის დროსაც ძალადობის ინსტრუმენტად გამოიყენება ბიოლოგიური, ქიმიური, ბირთვული იარაღი, ან მათი კომპონენტები. მათ გააჩნიათ მოქმედების ფართო დიაპაზონი, როგორც შესაძლო ზიანის ხასიათისა და ხარისხის, ისე მოქმედების ხანგრძლივობის მიხედვით. მსგავსი იარაღის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანთა უზარმაზარი მსხვერპლი, ეპიდემიის დიდი კერების აღმოცენება, ძლიერი ფსიქოლოგიური ზემოქმედება და ა.შ. [21-205-249]

სპეციალისტების ვარაუდით, მაგალითად, ბიოლოგიური ტერორისტული აქტის განხორციელებისთვის ტერორისტებს შესაძლებელია სულაც არ დასჭირდეთ ლაბორატორიები სამეცნიერო კვლევების ჩატარების მიზნით. განზრახვის სისრულეში მოყვანისთვის მათ „თათებიანი” ჯარისკაცების (მწერების) გამოყენებაც შეუძლიათ. კერძოდ, სხვადასხვა დაავადებებით დასნებოვნებული მწერები შეიძლება მიუსიონ კონკრეტულ ადამიანებს ან გაავრცელონ რომელიმე ქვეყნის ტერიტორიაზე.

1999 წელს ციებ-ცხელების აფეთქებამ დასავლეთ ნილოსში 1700 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ამ ეპიდემიის განზრახ გავრცელების უკან კი ერაყის მაშინდელი ლიდერი სადამ ჰუსეინი იდგა.

2000 წლის ოქტომბერში ტაივანის სპეცსამსახურებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ არატიპური პნევმონიის ეპიდემია ჩინეთის ბიოლოგიური იარაღის ტესტირების შედეგი იყო.

აშშ-ის სპეციალურმა კომისიამ ტერორიზმის წინააღმდეგ გააფრთხილა ამერიკის ახლად არჩეული პრეზიდენტი ტერორისტების მიერ 2009 წელს შესაძლო ბიოლოგიური შეტევის განხორციელების თაობაზე. როგორც კომისიის წევრები აღნიშნავენ, ბიოლოგიური იარაღი უფრო ადვილად შეიძლება მოხვდეს ტერორისტების ხელში, ვიდრე ბირთვული. ყველაზე რეალურია ციმბირის წყლულის, გრიპის გამომწვევების გავრცელება, რასაც დიდი კატასტროფების გამოწვევა ძალუძს. [38- 1390]

ტერორისტული მიზნით აღნიშნული იარაღისა და ნივთიერებების გამოყენების შესაძლო ობიექტებია მასობრივი თავშეყრის ადგილები (მეტროპოლიტენი, სადგური, აეროდრომი), წყალგაყვანილობის ქსელი, მათი რეზერვუარები, სურსათის საწყობები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, სამხედრო ბაზები, საკომუნიკაციო კვანძები და სხვა. ტერორიზმის იგივე სახეობად შეიძლება ჩაითვალოს ტერორისტების მიერ ბირთვული, ქიმიური ან ძლიერი ტექნოლოგიური საშიშროების შემცველი ობიექტების ხელში ჩაგდება, რაც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ინტერესებს, იწვევს მოსახლეობის დაშინებას.

ტერორიზმი თავისი ხასიათის მიხედვით შეიძლება ასევე იყოს:

რევოლუციური და კონტრრევოლუციური, სუბვერსიული და რეპრესიული; პირველი მიმართულია არსებული პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაციის ან

სრული განადგურებისკენ, რეჟიმის დამხობის ან მისი შესუსტებისკენ, ასევე უკვე განხორციელებული რევოლუციური ცვლილების ხელახალი კონტრრევოლუციური შეცვლისკენ. (მაგალითად, 1917წლის სოციალისტური რევოლუცია და მის წინააღმდეგ მიმართული კონტრრევოლუციური ქმედებები რუსეთში.) მეორე, პირიქით, ემსახურება რეჟიმის გაძლიერებას. ამ უკანასკნელს არსებული ხელისუფლება მიმართავს ძალაუფლების შენარჩუნების, მისთვის არასასურველი პირების მიმართ რეპრესიების, ტერორისტული აქტების განხორციელების მიზნით. [47-256-266]

ფიზიკური და სულიერი – ფიზიკურ ტერორიზმში იგულისხმება მკვლელობები, ადამიანთა გატაცებები, მძევლად აყვანა და სხვა დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. სულიერი ტერორიზმი – ფიზიკურის დანამატია და გამოიხატება განსხვავებული მსოფლმხედველობის მქონე ადამიანების დევნა-დაშინებაში.

სელექციური და ბრმა – პირველი მიმართულია კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის, ხოლო მეორე – შემთხვევითი ადამიანების წინააღმდეგ.

პროვოკაციული – გულისხმობს სამიზნის პროვოცირებას კონტრზომების მიღების მიზნით. [57-102-106]

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას უაღესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩადენილი ტერაქტების დიფერენციაციას, მათ მოქცევას გარკვეული კლასიფიკაციის ჩარჩოებში, რათა შემუშავდეს ინდივიდუალური მიდგომა ტერორიზმის თითოეული სახეობის წინააღმდეგ ბრძოლის სათანადო ფორმის შერჩევისათვის. აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტა მეტად რთულია, რადგან ძნელია ზღვრის გავლება ერთი მხრივ, ტერორიზმსა და ბანდიტიზმს და მეორე მხრივ, თავისუფლებისათვის მებრძოლი შეიარაღებული ფორმირებების საქმიანობას შორის, მითუმეტეს, რომ ტერორიზმის ერთი რომელიმე სახეობა მრავლად შეიცავს სხვა სახეობისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. ამის გამო უაღრესად რთულდება ტერორიზმის სახეობათა კლასიფიკაცია, მაგრამ გარკვეული მახასიათებლების (ტერორიზმის ფესვების, მიზნებისა და მასშტაბების) მიხედვით, შესაძლებელია გამოვყოთ:

1. კრიმინალური ტერორიზმი, რომელსაც ფესვები თვით ადამიანში და იმ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში აქვს გადგმული, რომელშიც ამ ადამიანს უხდება ცხოვრება. მორალურად და ზნეობრივივად ნაკლებად მდგრადი ინდივიდი ეკონომიკური პრობლემის აღმოცენების შემთხვევაში ინდივიდუალურად ან თანამოაზრეთა ჯგუფთან ერთად ახორციელებს სატრანსპორტო საშუალებებისა და მძევლების აყვანას ფულის გამოძალვის მიზნით. ტერორისტს შეიძლება სხვა მოთხოვნებიც ჰქონდეს. მაგალითად, ახლობელი პატიმრის ციხიდან გათავისუფლება და ა.შ. [55-105-110]

მსგავსი ტერორისტული აქტის ჩამდენი არ ისახავს პოლიტიკურ, იდეოლოგიურ ან რაიმე სხვა მიზანს, გარდა ფულის გამოძალვისა. როგორც წესი, ამგვარ დანაშაულს კრიმინალური წარსულის მქონე პირები იდენენ და რიგ შემთხვევაში წარმატებასაც აღწევენ (განსაკუთრებით ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში).

გამონაკლისის სახით ანალოგიურ მეთოდებს მიმართავენ ორგანიზაციები, რომლებშიც ძირითადად გაერთიანებული არიან ყოფილი სამხედრო პირები. ისინი არ მიეკუთვნებიან რომელიმე პოლიტიკური ან იდეოლოგიური მოტივაციის

მქონე დაჯგუფებას და ტერორისტული აქტების განხორციელებით ირჩენენ თავს. ასეთი ორგანიზაცია არსებობს ნიკარაგაუში და მასში შედიან სამუშაო შტატების შემცირების გამო სამსახურის გარეშე დარჩენილი სანდანისტური არმიის სამხედრო მოსამსახურეები.

2. ფსიქიკურად დაავადებულთა და განდიდების მანიით შეპყრობილ პირთა ტერორიზმი. არცთუ იშვიათად ტერაქტებს ჩადიან ფსიქიკური გადახრების მქონე პირები, რომლებიც ავადმყოფური წარმოსახვის ზემოქმედებით ან განდიდების მანიით შეპყრობილები (ჰეროსტატეს კომპლექსი) თავს ესხმიან გამოჩენილ პიროვნებებს (ანსამბლ „ბითლზის" მომღერლის ჯონ ლენონის მკვლელობა 1979 წელს. ჯონ ჰინკლის თავდასხმა აშშ-ის პრეზიდენტზე, რონალდ რეიგანზე 1981 წელს).

3. იდეოლოგიური ტერორიზმი. დემოკრატიულ საწყისებზე აგებულ სახელმწიფოებში იდეოლოგიური (რევოლუციური და რელიგიურ-ფანატიკური) ტერორიზმი საზრდოობს იმ პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის პრობლემებით, რომელთა აღმოფხვრა ცივილიზებული ფორმით შესაძლებელია. დემოკრატიულ სახელმწიფოებში ამგვარი სახის ტერორიზმი წმინდა დანაშაულებრივ და ფსიქოპათურ ხასიათს ატარებს. ტერორისტების მიზანია ძალის გამოყენებით ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი წყობის შეცვლა საკუთარი პილიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და რელიგიური შეხედულების მიხედვით ან პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ფიზიკური განადგურება. მიუხედავად ტერორისტების მიერ განხორციელებული უამრავი აქტისა და ადამიანთა მრავალრიცხოვანი მსხვერპლისა, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში მათ საქმიანობას წარმატება არ მოჰყოლია და თავიდანვე მარცხისთვის იყო განწირული, რადგან მათ ორგანიზაციებს არასოდეს ჰქონიათ რაიმე სოციალური ბაზა, რომელზე დაყრდნობითაც ისინი საკუთარ მიზანს მიაღწევდნენ. სამწუხაროდ, იდეოლოგიური ტერორიზმის მასშტაბები ფართოა, თუმცა, სწორედ ეს მასშტაბებია მათი „აქილევსის ქუსლი" და ტერორისტების წინააღმდეგ კონკრეტული ღონისძიებების გატარების საშუალებას გვაძლევს. ეფექტურ შედეგს იძლევა პოლიტიკური და კონტრდაზვერვითი მეთოდების გამოყენება. [56-45-34]

იდეოლოგიურ (რევოლუციურ) პრინციპეპზე აგებული ტერორისტული ორგანიზაციების უმრავლესობისათვის დამახასიათებელია მემარცხენე (პროკომუნისტური) პოლიტიკური შეხედულებანი, თუმცა, ლეგალური კომუნისტური პარტიები ცდილობენ, ასეთი ორგანიზაციებისგან თავი შორს

დაიჭირონ და მუდმივად ემიჯნებიან მათ. თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური სისტემის მარცხმა სერიოზული დარტყმა მიაყენა მემარცხენე შეხედულებების მქონე ტერორისტულ ორგანიზაციებს, რის გამოც მათი აქტივობა საგრძნობლად შემცირდა.

იდეოლოგიური ტერორიზმი მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში არსებობდა. მისმა გამოვლინებამ პიკს 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში მიაღწია, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომუნისტური წყობის კრახმა და ამის გამო მსოფლიოში მომხდარმა კარდინალურმა ცვლილებებმა იდიოლოგიურ ტერორიზმს ყოველგვარი საფუძველი გამოაცალა და მან აშკარა რეგრესი განიცადა. განვიხილოთ სხვადასხვა დემოკრატიულ ქვეყანაში მოქმედი მემარცხენე ტერორისტული ორგანიზაციები და მათ მიერ ჩადენილი ყველაზე გახმაურებული ტერაქტები:

<u>საფრანგეთის</u> “Aqsion Direqt” (“უშუალო მოქმედება”) გამოდის მემარცხენე, პროკომუნისტური, ანტიიმპერიალისტური ლოზუნგებით; საკუთარი არსებობის შესახებ პირველად განაცხადა 1979 წელს; ყველაზე გახმაურებული ტერაქტებია: 1980 წელს ქალაქ ოსლოს აეროპორტის აფეთქება, რის შედეგადაც დაიჭრა 8 ადამიანი; 1986 წელს „რენოს”-ს გენერალური დირექტორის – ჟორჟ ბესას მკვლელობა.

<u>გერმანიის</u> „წითელი არმიის ფრაქცია” (RAF) – გამოდის მემარცხენე, პროკომუნისტური, ანტიიმპერიალისტური ლოზუნგებით; პირველად არსებობის შესახებ განაცხადა 60-იანი წლების მიწურულს. დაარსა ადვოკატმა ჰორსტ მიულერმა. ყველაზე გახმაურებული ტერაქტებია: გერმანელი მეწარმის, ჰანს მარტინ ბლეირის მკვლელობა 1977 წლის ოქტომბერში; აშშ-ის ერთერთი საარმიო კორპუსის შტაბის აფეთქება 1972 წელს ქ. ფრანკფურტში. ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა, ულრიკა-მარია მაინხოფმა და ანდრეას ბაადერმა სასამართლო პროცესის დაწყებამდე თავი ჩამოიხრჩეს.

„რევოლუციური უჯრედები” - გამოდის ანალოგიური ლოზუნგებით. პირველად არსებობის შესახებ განაცხადა 1973 წელს.

<u>იტალიის</u> „წითელი ბრიგადები” – პროკუმუნისტური დაჯგუფება. პირველად განაცხადა არსებობის შესახებ 1970 წელს. ყველაზე გახმაურებული ტერაქტებია: პრემიერ-მინისტრ ალდო მოროს მკვლელობა 1978 წელს; ავიაციის გენერლის,

ჯორჯიერის მკვლელობა 1987 წელს. ბოევიკთა საერთო რაოდენობა 100-ს არ აღემატება.

<u>საბერძნეთის</u> „სახალხო რევოლუციური ბრძოლა" (ELA) – პროკომუნისტური ტერორისტული ორგანიზაცია; არსებობის შესახებ განაცხადა 1974 წელს. განახორციელა დაახლოებით 3200 ტერაქტი.

„17 ნოემბერი" – მემარცხენე ტერორისტული ორგანიზაცია. შეიქმნა 1988 წელს. მის შემადგენლობაში 20-25 წევრია. მოქმედებს ძირითადად საბერძნეთში არსებული აშშ-ის წარმომადგენლობების წინააღმდეგ.

<u>აშშ-ის</u> „სახალხო ლაშქარი" – უკიდურესად მემარჯვენე რადიკალების გაერთიანება. მოქმედებს თითქმის ყველა შტატში. განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევა მიჩიგანისა და არიზონას შტატებში. 1995 წლის 19 აპრილამდე არ ეწეოდა ტერორისტულ საქმიანობას. 1995 წელს გადამდგარმა სერჟანტმა ტიმოთი მაქვეიმ მოაწყო აშშ-ის ისტორიაში ერთერთი გახმაურებული ტერაქტი. ოკლაჰომა სიტის ფედერალური შენობის აფეთქების შედეგად დაიღუპა 167 ადამიანი. მაქვეი არ იყო რომელიმე კონკრეტული ორგანიზაციის წევრი, მაგრამ საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა „სახალხო ლაშქრის" წევრებთან და იზიარებდა მათ შეხედულებებს ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის თაობაზე. [130—23-34]

4. დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყებული ორგანიზაციების ტერორიზმი. ამ სახეობის ტერორიზმი ყველაზე მეტად გავრცელებულია ლათინური ამერიკის დიქტატორულ ქვეყნებში. ის საკმაოდ შეიცავს იდეოლოგიური ტერორიზმისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, მაგრამ მისგან მასშტაბებით განსხვავდება, რადგან ასეთ ორგანიზაციებს გარკვეული დასაყრდენი აქვთ მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში და ეწევიან სამოქალაქო ომს ტერორისტული ხერხების გამოყენებით არსებული რეჟიმის დამხობის მიზნით. იდეოლოგიური ტერორიზმისგან განსხვავებით, აჯანყებულთა ორგანიზაციების წინააღმდეგ პოლიციური მეთოდების გამოყენება შეუძლებელია, ამიტომ აჯანყებულებთან ბრძოლის მიზნით ხელისუფლება იყენებს ერთგულ სამხედრო შენაერთებს, რის გამოც სამოქალაქო ომი კიდევ უფრო მწვავდება და იზრდება ადამიანთა მსხვერპლიც. ლათინურ ამერიკაში აჯანყებული ორგანიზაციები დაფინანსების წყაროს მოპოვებისთვის ხშირად ებმებიან ნარკობიზნესში. თავის მხრივ, ნარკომაფია დაინტერესებულია ასეთ ორგანიზაციებთან კონტაქტებით, რადგან მათი

ხელშეწყობით მნიშვნელოვნად უიოლდება დანაშაულებრივი საქმიანობის წარმართვა. ამგვარი კონტაქტების შედეგი კი ისაა, რომ აჯანყებულთა იდეებს კრიმინალური საქმიანობა ენაცვლება. ასეთი ორგანოზაციებია: [132]

<u>კოლუმბიაში</u> „M-19" – მემარცხენე ტერორისტული დაჯგუფება. მისი ყველაზე გახმაურებული ოპერაციაა 1985 წელს ბოგოტაში მართლმსაჯულების სასახლის ხელში ჩაგდება გახლდათ. დაიღუპა 100 ადამიანი. „M-19"-ის ლიდერებს მჭიდრო კავშირები აქვთ კოლუმბიელ ნარკობიზნესმენებთან და საომარი მოქმედებებით ხელს უწყობენ მათ დანაშაულებრივი ოპერაციების განხორციელებაში. „M-19" ლათინურ ამერიკაში გავრცელებული ტერორიზმის ტიპური მიმდევარია, რომელიც მჭიდრო კავშირშია ნარკობიზნესთან და პარველად მიზანს, დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლას, შირმადღა იყენებს კრიმინალური საქმიანობის წარმოებისთვის. [135]

<u>ურუგვაიში</u> „ტუპაკ ამარუ"- ტერორისტული დაჯგუფება, რომელიც მემარცხენე შეხედულების ლოზუნგებით ნიღბავს თავის კრიმინალურ საქმიანობას. დაარსდა 1965 წელს. თავისი არსებობის მანძილზე დაამტკიცა, რომ მის პროგრამასა და საქმიანობას შორის არავითარი კავშირი არსებობს. ახორციელებს თავდასხმებს ბანკებსა და კაზინოებზე. მისმა საქმიანობამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ქვეყანაში მიმდინარე ლიბერალური რეფორმები და ხელი შეუწყო ხელისუფლების სათავეში სამხედრო ხუნტის მოსვლას. [136]

<u>პერუში</u> „სენდერო ლუმინოსო" (ნათელი გზა) ბოლო პერიოდამდე ითვლებოდა მსოფლიოს უდიდეს ტერორისტულ ორგანიზაციად. 1980 წლიდან ეწევა შეიარაღებულ ბრძოლას ხელისუფლების წინააღმდეგ. გამოდიოდა მაოისტური ლოზუნგებით, ტერორს უქვემდებარებდა ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 2/3-ს. ორგანიზაციის განადგურება დაიწყო მისი ლიდერის აბიმაელ გაუსმანის დაპატიმრებისა და დიქტატორ ფუხიმორის მიერ ორგანიზაციის წინააღმდეგ დაწყებული დაუნდობელი ბრძოლის შემდეგ. [120]

<u>გვატემალაში</u> „შეიარაღებული რევოლუციური ძალები"- უდიდესი მემარცხენე ტერორისტული ორგანიზაცია. დაარსდა 1960 წელს. დაარსების დღიდან იბრძვის ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ ხნის მანძილზე დაიღუპა დაახლოებით 200 ადამიანი. მის წინააღმდეგ ბრძოლაში ხელისუფლება აქტიურად იყენებს ტერორისტულ ორგანიზაციებს „თეთრი ხელი" და „სიკვდილის ესკადრონები".

<u>ნიკარაგუაში</u> „კონტრასი"- 1979-1990 წლებში პარტიზანულ ბრძოლას ეწეოდა ნიკარაგუას სანდანისტური მთავრობის წინააღმდეგ. ორგანიზაციის ბირთვს ქმნიან დიქტატორ სომოსას არმიის ყოფილი ოფიცრები და ჯარისკაცები. აქტიურად ეხმარებოდნენ აშშ-ის სპეცსამსახურები (ირან-კონტრასის საქმე). [120]

ეროვნულ - გამათავისუფლებელი მოძრაობის ტერორიზმი (სეპარატისტული ტერორიზმი). აღნიშნული ტერორიზმის ფესვები მჭიდროდაა გადახლართული სეპარატიზმთან და აქვს მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და რელიგიური შინაარსი.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები სეპარატისტულ ტერორიზმს ანიჭებს უაღრესად აგრესიულ ხასიათს და წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ გადაუჭრელ პრობლემას, რომლის მაგალითებიც ნათლად გვაქვს საქართველოშიც, კერძოდ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. სეპარატისტული ტერორიზმის მასშტაბებისა და მოქმედების ფართო არეალის გამო, პრობლემის გადაწყვეტის გასაღები ძევს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის განვითარებასა და ტენდენციებში.[122]

6. "საინფორმაციო ლაშქრობა" და **"კიბერტერორიზმი".** ტერორიზმის უახლეს ფორმად ე.წ. "საინფორმაციო ლაშქრობას" მიიჩნევენ. ამ "ლაშქრობის" მიზანი მოწინააღმდეგის სამოქალაქო და სამხედრო ინფრასტრუქტურაში არსებული ინფორმაციისა და საინფორმაციო სისტემის განადგურებაა. განარჩევენ საინფორმაციო ტერორიზმის ორ სახეს: 1) საინფორმაციო ტექნიკის ისეთი დაზიანება (ელექტრონული ან ფიზიკური), რომელსაც მწყობრიდან გამოჰყავს საინფორმაციო სისტემა და მასზე დამოკიდებული ყველა ინფრასტრუქტურა; 2) საინფორმაციო სისტემით მანიპულირება მონაცემთა შეცვლის, მოპარვის ან საერთოდ სისტემის ფუნქციის შეცვლის გზით.

"კიბერტერორიზმი" შეიძლება განისაზღვროს, როგორც საიდუმლო აგენტებისა თუ სუბნაციონალური ჯგუფის მიერ კარგად დაგეგმილი, პოლიტიკურად მოტივირებული შეტევა ინფორმაციის, კომპიუტერული სისტემის, კომპიუტერული პროგრამებისა და ელექტრონული მონაცემების წინააღმდეგ, რასაც მოჰყვება სამოქალაქო პირთა დაშავება ან დაღუპვა. დღემდე ტერორისტული ჯგუფები ინტერნეტსა და სხვა საკომუნიკაციო ქსელებს ძირითადად პროპაგანდის, უსაფრთხო კავშირის, ინფორმაციის შეგროვების და ფონდების მართვისთვის იყენებდნენ, მაგრამ ბოლო დროს, სამიზნეები სამთავრობო სტრუქტურებიდან

მოქალაქეებზე გადააქვთ. მართალია, ტერორისტული საქმიანობის ეს ტიპი ჯერ ფართოდ არ გავრცელებულა, მაგრამ მთავრობა ამგვარ შესაძლებლობათა არსებობის შესახებ კარგად უნდა იყოს ინფორმირებული, რათა შეძლოს მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვა.

ინტერნეტის გაფართოვებამ "ჰაკერთა" რაოდენობის ზრდა გამოიწვია, რომლებმაც შეიძლება იერიში მიიტანონ ბანკებზე და სამხედრო სატელიტებზე. ხშირად ხდება ჰაკერის და კრეკერის ტერმინების ერთმანეთში არევა. ტერმინი "ჰაკერი" მიუთითებს პიროვნებაზე, რომელსაც კარგად ესმის კომპიუტერი, ხოლო "კრეკერი" ხსნის სხვის კოდებს და იჭრება კომპიუტერულ სისტემაში. უნდა აღინიშნის, რომ განსხვავება ამ ორ ტერმინს შორის თითქმის წაშლილია. თავად "ჰაკერები" თავიანთ თავს ორ ნაწილად ყოფენ: "თეთრქუდიან ჰაკერებად" ("ეთიკურ ჰაკერებად") და "შავქუდიან ჰაკერებად", ანუ "კრეკერებად".

"კრეკერების" 90%-ს ჩვეულებრივ წარმოადგენენ ახალგაზრდები, რომლებსაც გააჩნიათ უნარი, შესაძლებლობა და სურვილი, შეაღწიონ სხვათა საინფორმაციო ბაზებში. მათი სამიზნე, ჩვეულებრივ, „NASA", პენტაგონი და თეთრი სახლია. გამოცდილ "კრეკერებს" შეუძლიათ სახე შეუცვალონ ვებ-საიტებსაც. [137]

კომპიუტერულ ქსელში არასანქცირებული შეღწევის მიზანი შეიძლება იყოს არამარტო საინფორმაციო ბაზის განადგურება, არამედ ტერორისტისთვის ობიექტზე თავდასხმის გაადვილება.

აღსანიშნავია, რომ კიბერტერორისტული აქტი საფრთხეს წარმოადგენს როგორც მსხვერპლის, ასევე თავდამსხმელისთვის, რადგან შესაძლებელია ამ უკანასკნელის ადგილმდებარეობის დადგენა და შესაბამისი ზომების მიღება.

ქვეყნის სამხედრო თუ სპეცსამსახურებისთვის განკუთვნილ საიდუმლო სისტემაში კომპიუტერთა გარკვეული ნაწილი შორს უნდა იყოს ინტერნეტიდან, რაც გამორიცხავს მასზე პირდაპირი იერიშის მიტანის შესაძლებლობას, ვინაიდან "კიბერტერორისტები" არა მარტო აზიანებენ სისტემას, არამედ ეწევიან სადაზვერვო საქმიანობასაც (ასევე დეზინფორმაციის გავრცელებასაც).

<u>ტერორისტული აქტების სახეები:</u>

პრაქტიკაში ტერორისტული საქმიანობის დროს ტერორისტები ძირითადად იყენებენ შემდეგი სახის ტერორისტულ აქტებს:

1. პოლიტიკური მკვლელობები;

2. აფეთქებები, ცეცხლის წაკიდება და მათი ორგანიზება;

3. სატრანსპორტო (საჰაერო, საზღვაო, სახმელეთო) საშუალებების ხელში ჩაგდება;

4. ადამიანის გატაცება;

5. მძევლად აყვანა;

6. ცრუ განგაში.[14]

1. პოლიტიკური მკვლელობები: – ტერორისტული აქტის ეს სახე ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში ჩამოყალიბდა, როდესაც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფი მიზნის მისაღწევად ტერორს მიმართავდა. შემდგომში იგი უფრო დაიხვეწა და თანამედროვე ხასიათი მიიღო. პოლიტიკურ მკვლელობას ახორციელებდნენ იმ შემთხვევაში, როდესაც ესა თუ ის ძალები მშვიდობიანი გზით, პოლიტიკური მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით ვერ აღწევდნენ დასახულ მიზანს.

პოლიტიკური მკვლელობებისა და ტერაქტების ორგანიზების მხრივ საბჭოთა სპეცსამსახურები ყოველთვის გამოირჩეოდნენ „ნოვატორული" იდეებით. სანამ დიდი საბჭოთა დიქტატორი – სტალინი ცოცხალი იყო, ლიკვიდაციის ყველა მნიშვნელოვანი ოპერაციის ოპერატიულ საკითხებს აუცილებლად მასთან ათანხმებდნენ. სტალინს შესწორებები და შენიშვნები შეჰქონდა წარმოდგენილ გეგმებში, ხშირად კი თვითონ სთავაზობდა ორიგინალურ იდეებს. ასე იყო უკრაინის ნაციონალისტური ორგანიზაციის ლიდერის ევგენი კონოვალეცის ლიკვიდაციის დროსაც. მოახსენეს რა, რომ კონოვალეცს ძალიან უყვარს შოკოლადი, სტალინმა სუდოპლატოვს (საბჭოთა სპეცოპერაციების დიდოსტატს), მაშინვე ურჩია ამ სისუსტის გამოყენება. დანარჩენი უკვე შინსახკომის ოპერატიულ-ტექნიკურ განყოფილებაზე იყო დამოკიდებული. მართლაც, სულ მალე შოკოლადის ყუთის ფორმის ასაფეთქებელი მოწყობილობა მზად იყო. ჰორიზონტალურ მგდომარეობაში ის ავტომატურად მოდიოდა მოქმედებაში. სუდოპლატოვმა 1938 წლის 23 მაისს როტერდამში რესტორან „ატლანტაში" კონოვალეცს დამშვიდობებისას მაგიდაზე დაუტოვა „სტალინის საჩუქარი" და რამდენიმე წუთში ოპერაცია უკვე დასრულებული იყო.[9-24-56]

განსაკუთრებული მიზნებისათვის სპეციარაღს სხვა ქვეყნებიც ამზადებდნენ. მე-20 საუკუნის 40-იან წლებში აშშ-ში, ინგლისსა და გერმანიაში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გამოიგონეს „ცეცხლსასროლი ავტოკალმები". გერმანიის

საგარეო დაზვერვას ეს იარაღი, დასახული მიზნის მიღწევისთვის რომ გამოეყენებინა, შესაძლოა XX საუკუნის ისტორია დიამეტრულად საპირისპირო მიმართულებით განვითარებულიყო. თავად განსაჯეთ, მეორე მსოფლიო ომი მთავრდებოდა, გერმანია დამარცხებისთვის იყო განწირული. კატასტროფის თავიდან ასაცილებლად მესამე რეიხის ხელმძღვანელები გამალებით ეძებდნენ გამოსავალს. დიპლომატიისა და საგარეო დაზვერვის დიდი მცდელობის მიუხედავად, მათ ვერ შეძლეს „დიდი სამეულის" გახლეჩა და გერმანიის საგარეო საქმეთა რეიხმინისტრ რიბენტროპის წინადადებით გადაწყდა „დიდი სამეულის" ყველაზე საშიში წევრის – სტალინის ფიზიკური ლიკვიდაცია. კონკრეტული მოქმედების გეგმა განსაზღვრა გერმანელი გამომგონებლის მიერ შექმნილმა ახალმა ცეცხლსასროლმა იარაღმა – ავტოკალამმა, რომელიც 6-8 მეტრიდან სასიკვდილოდ აზიანებდა მიზანს.

რიბენტროპმა თავისი იდეა ჰიტლერს, ჰიმლერს და ბორმანს გაუზიარა. ტერაქტის უშუალო შემსრულებლად გერმანიის საგარეო დაზვერვის შეფი ვალტერ შელენბერგი დასახელდა. გერმანიის მხარეს უნდა მიეღწია და სტალინი უმაღლესი დონის ორმხრივ ფარულ მოლაპარაკებებზე „შეეტყუებინა", იქ კი შელენბერგი „ავტოკალამს" გამოიყენებდა. ეს უკანასკნელი თავის მემუარებში იხსენებს, თუ როგორ „ჩამოუვარდა ყბა", როდესაც რიბენტროპმა თავისი "გენიალური" იდეა გააცნო. გეგმის აბსურდულობა იმაში იყო, რომ ისედაც პათოლოგიურად ეჭვიანი სტალინი, არ დაჯდებოდა მოლაპარაკების მაგიდასთან დამარცხებისათვის უკვე განწირულ მტერთან.[53-34-45]

სტალინისა და ბერიას გარდაცვალების შემდეგ 1954 წელს ხრუშჩოვმა საბჭოთა სპეცსამსახურების სტრუქტურებში არსებული სპეცაქციების დანაყოფები ვითომდა გააუქმა. სინამდვილეში კი, ეს ფუნქციები უშიშროების სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს მე-13 განყოფილებას გადასცა. პოლიტიკური მკვლელობების შემკვეთი და ფაქტობრივად მთავარი ტერორისტული ორგანიზაცია იმ წლებში საბჭოთა პოლიტბიურო და პირადად ნიკიტა ხრუშოვი იყო. ტერორისტული აქტები კვლავ საბჭოთა კავშირის ფარული საგარეო პოლიტიკის განუყრელ ნაწილად რჩებოდა. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 50-იან წლებში, პოლიტბიურომ „კგბ"-ს ემიგრაციული და ნაციონალისტური ორგანიზაციების ლიდერების: გიორგი ოკოლოვიჩის, სტეპან ბენდერას, ლევ ლებედის ფიზიკური ლიკვიდაციის ბრძანება გასცა. საერთაშორისო

სკანდალების თავიდან აცილებისთვის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მკვლელობის იარაღს, რათა სიკვდილი მასქიმალურად „ბუნებრივი" ყოფილიყო.

1954 წლის თებერვალში, „კგბ"-ს კაპიტან ნიკოლოზ ხოხლოვს, ანტისაბჭოთა გამოსვლებით ცნობილი ემიგრაციის ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი ოკოლოვიჩის ლიკვიდაცია დაევალა. ამ ოპერაციისთვის „კგბ"-ს იარაღის საიდუმლო ლაბორატორიაში დაამზადეს სიგარეტის კოლოფში მოთავსებული მინიატურული პისტოლეტი. მაგრამ კაპიტანი ხოხლოვი, რომელიც ოპარაციის შესასრულებლად დასავლეთ გერმანიაში გაემგზავრა, ყველასაგან მოულოდნელად სახლში ესტუმრა მომავალ მსხვერპლს – ოკოლოვიჩს და ყველაფერში გამოუტყდა. იმავე წლის 20 აპრილს გამართულ პრესკონფერენციაზე ხოხლოვმა საჯაროდ წარმოადგინა „კგბ"-ს საიდუმლო ლაბორატორიაში დამზადებული იარაღი. ამ ფაქტის შემდეგ ამტყდარმა საერთაშორისო სკანდალმა, როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ იმოქმედა საბჭოთა ხელმძღვანელობაზე და მათ ახალი მკვლელობები შეუკვეთეს. მორიგი მსხვერპლი აღმოჩნდა ინგლისში ემიგრაციაში მცხოვრები გიორგი მარკოვი („ბი-ბი-სი"-ს რედაქციის თანამშრომელი). მის ლიკვიდაციაში დახმარება ბულგარელებმა „კგბ"-ს სთხოვეს. მთავარი იყო, სიკვდილს ბუნებრივი ელფერი ჰქონოდა და თავიდან აეცილებინათ საერთაშორისო სკანდალი. [63-23-25]

ოპერაცია სწრაფად დაიგეგმა და შესრულდა. მოვლენები კი ასე ვითარდებოდა: „კგბ"-ს რეზიდენტმა ვაშინგტონში დიმიტრი იაკუშკინმა რამდენიმე ჩვეულებრივი ქოლგა შეიძინა და მოსკოვში გაგზავნა. იქ სპეცლაბორატორიის „ჯადოქრებმა" ქოლგის თავზე ქინძისთავის ზომის საჩხვლეტი დაამონტაჟეს. ქოლგით ჩხვლეტის შემდეგ, შხამშემცველი „მინიკაფსულა" სხეულში აღწევდა და ორ-სამ დღეში მსხვერპლი „გულის შეტევითა და ინფარქტით" იღუპებოდა. მსგავსი იარაღით 1978 წელს მარკოვი ლონდონში მოკლეს.

„სპეციარაღი", სპეცსამსახურების კონკრეტული დაკვეთიდან გამომდინარე, მუდმივად უმჯობესდებოდა და უფრო „უხმაურო" და „ბუნებრივი" ხდებოდა. დღეისათვის ფართოდ გამოიყენება ე.წ. „მცირე ბიოლოგიური იარაღი" – ბუნებრივი შხამები (მორიელის, გველის და სხვა).

სავარაუდოა, რომ სწორედ „მცირე ბიოლოგიური იარაღის" გამოყენებით მოწამლეს უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო. 2004 წლის 10 სექტემბერს ის ვენის ერთ-ერთ კლინიკაში დააწვინეს მოწამვლის დიაგნოზით, მაგრამ

რამდენიმეკვირიანი მკურნალობის მიუხედავად, გამოცდილმა ექიმებმა ზუსტად ვერ დაადგინეს მომწამვლელი ნივთიერების სახეობა.

2. **აფეთქების ორგანიზება** ტერორისტული აქტების განხორციელების ყველაზე გავრცელებული ხერხია, ვინაიდან :

- იგი უზრუნველყოფს შემსრულებლის უსაფრთხოებას, საშუალებას აძლევს მას, შემთხვევის ადგილიდან მოშორებით იმყოფებოდეს ან საერთოდ მიიმალოს;
- ტერორისტი იყენებს საშუალებას, რომელსაც დიდი დამანგრეველი ძალა გააჩნია;
- ასაფეთქებელი მოწყობილობა ერთნაირად საშიშია ნებისმიერი ობიექტისთვის და მისი გამოყენების თაობაზე უბრალო მუქარასაც კი სერიოზული ზარალისა და მატერიალური დანაკარგების მიყენება შეუძლია;
- ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადებისთვის საჭირო მასალის მოპოვება არ წარმოადგენს სირთულეს, თანაც იგი იაფია.

ასაფეთქებელ მოწყობილობებთან მუშაობისას საჭიროა ძალიან დიდი სიფრთხილე და მაქსიმალური ყურადღება. ამისთვის არსებობს სპეციალური დანაყოფი, რომელიც ასეთი მოწყობილობების განაღმვაზე მუშაობს.

ტერორისტები და რიგითი დამნაშავეები [18-23-26]

სისხლის სამართლის წარმოების პრაქტიკაში განიხილება კრიმინოლოგიის ორი "ტიპი". პირველი ითვალისწინებს საკითხისადმი აკადემიურ მიდგომას და ეყრდნობა ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური თეორიების გამოყენებას. ეს კლასიკური კრიმინოლოგიაა, რომელიც საფუძვლებს ცეზარე ბეკარეასგან იღებს და ინდივიდუალური და ჯგუფური ქცევის ყველაზე თანამედროვე თეორიებს უკავშირდება. სამართალდამცავ ორგანიზაციებში ამ ტერმინს სხვა დატვირთვაც აქვს. პრაქტიკული კრიმინოლოგია ყურადღებას ჩვეულებრივი სამართალდამრღვევებისთვის დამახასიათებელ ქცევებზე ამახვილებს. პოლიციის თანამშრომლებს დამნაშავეთა ქცევის პრაქტიკული ასპექტები უფრო აინტერესებთ, ვიდრე თეორიები დანაშაულობის შესახებ. მათ სურთ იცოდნენ, რას აკეთებენ დამნაშავეები, რომ შეძლონ დანაშაულის ჩადენაში მათთვის ხელის შეშლა ან დანაშაულის ჩადენის შემდეგ მათი დაჭერა.

ტერორისტები განსხვავდებიან ქუჩის რიგითი დამნაშავეებისგან. თუ დანაშაულის აღკვეთა და დამნაშავეების გამოვლენა სურთ, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა უნდა გაიაზრონ განსხვავება დამნაშავის ტიპურ ქცევასა და ტერორისტულ ქმედებებს შორის. ტერორისტებს გააჩნიათ ორგანიზაციული სტრუქტურა, რწმენათა სისტემა და ფასეულობები, რაც განასხვავებს მათ რიგითი დამნაშავეებისგან. სახელმწიფო აგენტებს შორის სამართალდამცავები ხშირად პირველები მიდიან ტერორისტული აქტის ადგილზე. თუ ისინი ვერ მიხვდებიან, რომ საქმე აქვთ უფრო სერიოზულ შემთხვევასთან, ვიდრე ჩვეულებრივ დანაშაულთან, შეიძლება, მცდარ კვალს დაადგნენ.

მაგალითად, 1993 წელს ტერორისტულმა ჯგუფმა ნიუ-იორკის სავაჭრო ცენტრში აფეთქება მოაწყო. მათი მიზანი იყო მიმდებარე ტერიტორიაზე ციანიდის გაზის გაშვება და ცათამბჯენების ისე აფეთქება, რომ ახლოს მდგარ შენობებს დასცემოდნენ და დომინოს პრინციპით გამოეწვიათ ნგრევა. საბედნიეროდ ეს გეგმა ჩაიშალა და ბომბის აფეთქებას მინიმალური ნგრევა და მსხვერპლი მოჰყვა. სტივენ ემერსონის შეფასებით, როდესაც პოლიციამ შემთხვევის გამოძიება დაიწყო, ამ ფაქტს, როგორც რიგით დანაშაულს ისე მიუდგა. მას შემდეგაც კი, რაც დანაშაულს ტერორისტული აქტის კლასიფიკაცია მიანიჭეს, მათი გამოძიების ინტერესში მხოლოდ მცირე ჯგუფი მოექცა. რამდენიმე თვის შემდეგ, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები და პროკურორები გაკვირვებულები დარჩნენ, როდესაც აღმოაჩინეს, რომ საქმე საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციასთან ჰქონდათ, მკვეთრი რელიგიური იდეოლოგიითა მსოფლიოში გაშლილი მხარდამჭერი ქსელით.[123-161]

შესაბამისი სამხილები მათ გამოძიების დაწყებიდან მოკლე დროში მოიპოვეს, თუმცა, ემერსონის შეფასებით, ყურადღება არ მიაქციეს, ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევას ისე მოეკიდნენ, როგორც ბანალური დანაშაულის ცალკე გამოვლინებას.

წარმოვიდგინოთ სხვა შემთხვევა: თუკი ვინმე ფერმაში შეიჭრება, დაამტვრევს გალიებს და გამოუშვებს ცხოველებს, უნდა აღირიცხოს თუ არა კონკრეტული შემთხვევა, როგორც პირადი საკუთრების ბოროტად დაზიანება. სამართალდამცავი ორგანოების ბევრი თანამშრომელი ამ კითხვაზე დადებითად გასცემდა პასუხს, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ არსებობს "ცხოველთა გათავისუფლების ფრონტი". საკუთარი წევრებისა და მხარდამჭერებისთვის

მომზადებულ ინსტრუქციებში იგი ამართლებს იმ ფერმების სისტემატურ დარბევას, რომლებიც ბეწვს აწარმოებენ. მათ ვებ-გვერდზე, პოტენციური ახალი წევრებისთვის მოცემულია ტაქტიკური რჩევები წავის ფერმის ეფექტურად დარბევის თაობაზე. თუ ადგილზე შერიფის მოადგილე, ან საპატრულო პოლიციის უმცროსი თანამშრომელი აღმოჩნდება, სავარაუდოდ იგი თავდასხმას პირადი საკუთრების ბოროტად დაზიანებად მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევა უფრო ფართომასშტაბიანი ოპერაციის ნაწილს შეიძლება წარმოადგენდეს.[61-12-30]

აღნიშნული გაუგებრობის თავიდან აცილებისთვის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ქვეყნის მასშტაბით ტერორიზმის ადგილობრივი ოპერატიული ჯგუფები შექმნა. თეორიულად, ეს ფედერალურ ბიუროს ქვეყნის შიგნით ტერორიზმის საფრთხის წინაღმდეგ საკუთარი რესურსების კოორდინირებისა და გამოძიების გაფართოების საშუალებას აძლევს. საერთაშორისო დონეზე, ფედერალური ბიურო ასევე ახდენს საგამოძიებო რესურების მობილიზებას, თუ უცხო ქვეყნებში ტერორისტული აქტის მსხვერპლი ამერიკის მოქალაქეები ხდებიან. მიუხედავად ამისა, ფაქტად რჩება, რომ საპატრულო პოლიციის კონკრეტული თანამშრომლები პირველები არიან, ვინც დანაშაულის ადგილზე მიდიან. გამოძიების დასაწყებად მათ უნდა ამოიცნონ ტერორიზმის კვალი. ტერორისტული აქტის გამოძიება კი არ არის სისხლის სამართლის დანაშაულთა უმეტესობის გამოძიების ანალოგიური, რადგან ტერორისტები იშვიათად იქცევიან ჩვეულებრივი ქუჩის დამნაშავეებივით.

იუტას შტატის საზოგადოებრივი უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი კომისარი და ტერორიზმის საერთაშორისო ასოციაციის ყოფილი წევრი დუგლას ბოდრერო გვთავაზობს ტერორისტების და რიგითი დამნაშავეების ქცევის შედარებით ანალიზს. ბოდრერო ამტკიცებს, რომ რიგითი დამნაშავეები ოპორტუნისტები არიან. ეს ნიშნავს, რომ დამნაშავეები იმპულსურობით ხასიათდებიან. ქუჩის დამნაშვეთა უმრავლესობა არ გეგმავს საკუთარ დანაშაულს საფუძვლიანად და შექმნილ ვითარებაში იოლ გამოსავალს ეძებს. დამნაშავეები, ჩვეულებრივ, იდეის ერთგულები არ არიან. მათაც კი, ვისთვისაც დანაშაული ჩვეულებრივი საქმიანობაა, კრიმინალი არ მიაჩნიათ იდეოლოგიად. დანაშაული მათთვის მხოლოდ ქონების მოპოვების მეთოდია. ასეთი მიდგომის გამო, ბანალური დამნაშავე საკუთარ თავზე ორიენტირებული და არადისციპლინირებულია. დამნაშავეთა იმ მცირე ნაწილის გარდა,

რომლისთვისაც დანაშაული პროფესიული საქმიანობაა, რიგითი დამნაშავეები საერთოდ მოუმზადებლები არიან. მათი მიზანია ხელში ჩაიგდონ ნაღდი ფული, ქონება და მიიმალნონ.[60-78-99]

ბოდრერო და პოლიციის ოფიცრების უმეტესობა დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეების გამოვლენის სტრატეგიებს ქუჩის კრიმინალების თაობაზე არსებულ მოსაზრებებზე აფუძნებს. ამას ერთი მარტივი მიზეზი აქვს – ასეთი სტრატეგიები ამართლებს. სამიზნის უკეთ დაცვით, დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის მოსპობით და აგრესიული პატრულირების განხორციელებით შესაძლებელია ისეთი გავრცელებული დანაშაულის შემცირება, როგორიცაა ძარცვა. გარდა ამისა, პოლიციის საზოგადოების ინტეგრირებულ ნაწილად ქცევა (რათა ის არ აღიქმებოდეს, როგორც ცალკე არსებული ინსტიტუტი), შეიძლება ისეთი დანაშაულის შემცირებისთვის იქნას გამოყენებული, რომელიც ერთი შეხედვით შემცირებას არ ექვემდებარება (მაგალითად, ოჯახური ძალადობა). ცნობილ დამნაშავეებზე, დანაშაულში ხელშემწყობ პირებზე და დანაშაულის მეთოდებზე თვალყურის დევნების მიზნით დანაშაულის დაზვერვის ჩანაწერების გამოყენება პოლიციას მისი რაოდენობის შემცირების შესაძლებლობას მისცემს. ადგილობრივი დამნაშავეების თავშეყრის ადგილებზე დაკვირვების გზით პოლიციას შეუძლია მიიღოს ინფორმაცია მათი მეგობრების და ოჯახის წევრების შესახებ და ჰყავდეს წყარო, რომელიც მათი საეჭვო ქმედებების შესახებ ინფორმაციას მიაწოდებს. ეს პროცედურები არამარტო საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის შექმნის ბაზად გამოდგება, არამედ ისინი სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიების საფუძვლებსაც გაამყარებენ.[62-67-78]

ბოდრეროს თქმით, ტერორისტების ქცევა განსხვავდება ბანალური დამნაშავის ქცევის სტანდარტული მოდელისგან, რადგან ტერორისტები ძალზე მოტივირებული და მოწოდების ერთგულები არიან. მაშინ როდესაც, რიგითი დამნაშავეები ოპორტუნისტებად რჩებიან, ტერორისტები ერთ საქმეზე არიან კონცენტრირებულები. ტერორისტებმაც შეიძლება, სამიზნე ხელსაყრელი შემთხვევის შესაბამისად შეარჩიონ, მაგრამ მათ სამიზნეს სიმბოლური ღირებულება აქვს. ტერორისტები დანაშაულს პოლიტიკური მიზნის თაობაზე განაცხადისთვის იყენებენ.

1998 წლის აგვისტოში ალ-ქაიდას ("ბაზა") სახელით ცნობილმა დაჯგუფებამ კენიასა და ტანზანიაში აშშ-ის ორი საელჩო დაანგრია. დაჯგუფების მეთაურმა ოსამა ბინ ლადენმა დასახელებული სამიზნეები იმის გამო შეარჩია, რომ ისინი

ამერიკაზე თავდასხმის საუკეთესო სიმბოლოებს წარმოადგენდნენ. კონკრეტული საელჩოები ბინ ლადენისთვის ორი მიზეზით აღმოჩნდა მიმზიდველი. შენობები მისი უზრუნველყოფის ბაზის სიახლოვეს მდებარეობდა და მეთაურს საშუალება ეძლეოდა, კავშირი შეენარჩუნებინა შტაბბინებთან და ტერორისტები ეკონტროლებინა. მიუხედავად იმისა, რომ "№1-მა ტერორისტმა" სამიზნეები ხელსაყრელი შემთხვევის იმედად შეარჩია, იგი ტიპური კრიმინალივით არ მოქცეულა. მის თანამზრახველებს უბრალოდ არ ჩაუვლიათ საელჩოებთან და არ აუფეთქებიათ ისინი მხოლოდ იმიტომ, რომ ამის საშუალება მიეცათ. ეს თავდასხმა ბინ ლადენმა იმ ტერიტორიაზე დაგეგმა, სადაც მისი პოზიციები ძლიერი, ხოლო ამერიკის პოზიციები შესაბამისად სუსტი იყო. კრიმინალები ასე არ იქცევიან.[123 160-165]

თუ დამნაშავეები საკუთარ თავზე არიან ორიენტირებული და კონკრეტულ მიზნებს არ ემსახურებიან, ტერორისტები ძალას მოქმედების მიზანში და ამ მიზნის უკან მდგარ იდეოლოგიასა და რელიგიაში ჰპოვებენ. ისინი ჯგუფურად მოქმედებაზე არიან ორიენტირებულები მაშინაც კი, როდესაც ცალ-ცალკე მოქმედებენ. მაგალითად გამოდგება ჟურნალისტ ამირ ტეჰარის დაკვირვება (1987) კამიკაძე ტერორისტების მომზადების პროცესზე. თვითმკვლელ ტერორისტებს ახლო აღმოსავლეთის რამდენიმე დაჯგუფება იყენებდა ისრაელზე თავდასხმებისთვის. ტეჰარის დაკვირვებით, ახალგაზრდებს სისტემატურად აქცევდნენ იზოლაციაში და სასიკვდილო მისიისთვის ამზადებდნენ.

თვითმკვლელი ტერორისტები მარტო არ მოქმედებენ. მათ ორგანიზაცია უზრუნველყოფს სათანადო აღჭურვილობითა და მომზადებით და ისე აგზავნის დავალების შესასრულებლად. მოქმედების საფუძველი ხდება რწმენა იმისა, რომ ისინი რაღაც დიადის ნაწილს წარმოადგენენ. სხვა შემთხვევაში შეიძლება, შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთი ტერორისტი მარტო მოქმედებს. უფრო ახლო პერიოდში ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ მსგავსი ტენდენცია გრძელდება.

იდეოლოგია და რელიგია გავლენას მარტო თვითმკვლელ ტერორისტებზე არ ახდენს. მაგალითად, 1999 წლის აგვისტოში ბუფორდ ფაროუ ებრაულ ბაგა-ბაღში შევიდა და ხალხს სროლა დაუწყო. იგი "მარტოხელა მგელი", ანუ იგივე "ბერსეკერი" იყო (იხილეთ წინამდებარე ნაშრომის მესამე თავი). მას არ გააჩნდა ფართო უზრუნველყოფის ქსელი, არ ჰყავდა მხარდამჭერი ორგანიზაცია, მაგრამ განმსჭვალული იყო ზიზღით და იდეოლოგიით, რომელიც ებრაელებს

დემონებად წარმოადგენდა. იგი არ იყო ფასეულობების არმქონე ცალკე მოქმედი ოპორტუნისტი კრიმინალი. იგი კონკრეტული იდეოლოგიით იკვებებოდა და თავს წმინდა დავალების შემსრულებლად მიიჩნევდა.

ბოდრეროს თქმით, დამნაშავეები უდისციპლინო, მომზადების არმქონე ადამიანები არიან, რომლებიც მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობენ. ტერორისტები სრულიად საწინააღმდეგოდ იქცევიან. ისინი დავალებებს წინასწარ ამზადებენ, ორიენტირებული გახლავან თავდასხმებზე და მზად არიან რისკის გასაწევად. შემდეგი მაგალითი ბოდრეროს მიერ მოყვანილი არგუმენტის დასადასტურებლად გამოდგება. "ტამილ ემაალის განმათავისუფლებელი ვეფხვები" დაახლოებით 10000 წევრისგან შემდგარი საბრძოლო ძალაა. მათ საკუთარი მომზადების სტრუქტურა, ქვეითი და მცირე საზღვაო ძალა გააჩნიათ. “ვეფხვების” მთავარი ტაქტიკა ტერორიზმია და თავდასხმებისთვის ფართოდ იყენებენ კამიკაძე ტერორისტებს. 2000 წლის იანვარში კამიკაძე ტერორისტმა შრი-ლანკის პრემიერ მინისტრის ოფისთან აიფეთქა თავი და 13 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ეს ტიპური კრიმინალი არ ყოფილა. აფრიკაში ბინ ლადენის თავდასხმების მსგავსად, ამ ტერორისტულ აქტს წინ უძღოდა მომზადება მკაცრი დისციპლინის პირობებში და თავგანწირვა. [123 160-165]

კამიკაძე ტეროროსტების თავდასხმები არ შეიძლება გამოძიებულ იქნეს ისე, როგორც ჩვეულებრივი თვითმკვლელობა. ეს დანაშაული გასამხედროებულ ორგანიზაციაში მომზადებისა და წვრთნის შედეგია.

ბორდეროს არგუმენტის მნიშვნელობა შეიძლება ტერორისტული აქტის საგამოძიებო მოქმედებების მასშტაბით შეფასდეს. დანაშაულის გამოძიებისას პოლიციის თანამშრომლებს შეუძლიათ ისარგებლონ ტიპური დამნაშავისთვის დამახასიათებელი ქცევის თავისებურებებით. ყველაზე გამოცდილი დამნაშავეები ჩვეულებისამებრ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე იქცევიან და გარიგებებზეც მიდიან სასჯელის შესამსუბუქებლად. მიმალვაში მყოფი დამნაშავის ძებნისას, სამართალდაცავები წარმატებულად ახერხებენ მათი თანამონაწილეების დაკითხვას ან ნათესავებზე თვალთვალს. ეს ტაქტიკა არ გამოდგება ტერორისტებთან ბრძოლაში. ტერირიზმის წარმატებულად გამოძიებისთვის სამართალდამცავებმა, სამხედროებმა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ყურადღება იდეოლოგიაზე, ჯგუფურ და

ინდივიდუალურ ქცევაზე და ინფორმაციის ფართო გეოგრაფიულ არეალზე მოპოვება-გაცვლაზე უნდა გაამახვილონ.[47-256-266]

კონფლიქტის სპექტრი

- ნორმები, ტრადიციები, ტაბუ;
- სამოქალაქო სამართალი;
- სისხლის სამართალი;
- დანაშაული;
- ორგანიზებული დანაშაული;
- სახალხო მღელვარება/არეულობა;
- ტერორიზმი;
- პარტიზანული ომი;
- მცირემასშტაბიანი ომი;
- შეზღუდული სტანდარტული ომი;
- შეუზღუდავი სტანდარტული ომი;
- სელექციური განადგურება;
- მასობრივი განადგურება.

ადამიანები მუდმივი კონფლიქტის გარემოში ცხოვრობენ და მუდმივად ცდილობენ მის მოგვარებას. იძულების წესით პრობლემის დარეგულირება თავს იჩენს კონფლიქტის სპექტრში. მანამდეც კი, სანამ კონფლიქტი სამხედრო დონეს მიაღწევს, სამოქალაქო ოფიციალური პირები მუდმივად აწყდებიან პრობლემებს, რომლებიც ძალის პირდაპირი ან არაპირდაპირი გამოყენების გზით უნდა მოგვარდნენ. ორგანიზების ყველაზე დაბალ საფეხურზე მორჩილებას (წესრიგს) არაოფიციალური ნორმები და ტრადიციები უზრუნველყოფენ, ხოლო თუ მათ ვერ გაამართლეს, უფრო რადიკალური მაიძულებელი ძალა გამოიყენება. თანამედროვე დასავლურ საზოგადოებებში ასეთი ძალა შეიძლება იყოს სამოქალაქო ან სისხლის სამართალი, ხოლო უფრო პასიურ სოციალურ ჯგუფებში – განდევნა (გადასახლება). ერთი სიტყვით, სოციალურ ჯგუფებს ყოველთვის აქვთ პოტენციალი, გამოავლინონ იძულების ხერხი სასურველი ქცევის მისაღწევად.

ტერორიზმი სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აგრესიული ფორმაა და ამდენად შესაძლებელია მისი განთავსება კონფლიქტების სპექტრში. საბაზისო

სამთავრობო დონეზე სახელმწიფო უმეტესად აწყდება შედარებით დაბალი რანგის პრობლემებს, რომლებიც ჩვეულებრივ დანაშაულთან ასოცირდება. პრობლემები იზრდება ჯგუფურ ძალადობასთან, სამოქალაქო მღელვარება/არეულობასთან და ბოლოს, ტერორიზმთან ერთად. საქმე შეიძლება შეიარაღებულ დაპირისპირებამდე, პარტიზანული, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური ომის გაჩაღებამდე მივიდეს.

ეთიკის სპეციალისტები საფუძვლიანად აცხადებენ, რომ ყოველთვის უნდა ვეცადოთ კონფლიქტის ჩაცხრობას მინიმალური ძალის გამოყენებით. მაგრამ აქ მორალის საკითხი ნაკლებად აქტუალურია. [120]

ტერორიზმი კონფლიქტის ერთ-ერთი ფორმაა სხვადასხვა სოციალურ ორგანიზაციაში, რომელთათვისაც კონფლიქტი ჩვეული მოვლენაა. ტერორიზმში არაფერია მისტიკური. იგი უბრალოდ წარმოადგენს კონფლიქტის ფორმას სამოქალაქო არეულობასა და პარტიზანულ ომს შორის. და ვინაიდან ის კონფლიქტის ერთ-ერთ ფორმად გვევლინება, მისი მოდელის შემუშავებაც შესაძლებელია.

გასული რამდენიმე წლის მანძილზე მე ვიყენებდი ტიპოლოგიას პოლიციელებისა და სამხედრო პერსონალის მოსამზადებლად კონტრტერორიზმის საკითხებში. მართალია, ეს არ წყვეტს დეფინიციის პრობლემებს, მაგრამ პოლიციელებმა და სამხედრო პირებმა მითხრეს, რომ მიღებული ცოდნა მათ დაეხმარა საკუთარი კონტრტერორისტული მისიის კონცეპტუალურად ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, ტაქტიკური ტიპოლოგია შეიძლება იმ საკითხების გარკვევაში დაგვეხმაროს, რომლებიც ტერორიზმზე რეაგირებას უკავშირდება, ანუ სიმბოლურად გამოიყოფა სამი სხვადასხვა სახეობა, რომელთა შორის სუსტი კავშირია. პირველ შემთხვევაში აქტუალურია მოქმედების დონის, მისი არსის განსაზღვრა. აქ საუბარია ნაკლებად მძიმე დანაშაულზე, სადაც ქმედება ნაკლები ინტენსივობის კონტრქმედებებს იწვევს, მაშინ როდესაც, მძიმე დანაშაულს მზარდი მოცულობის ძალადობა შეესაბამება. ტაქტიკური ტიპოლოგიის პირველი სახეობა აღნიშნავს ტერორისტული დაჯგუფების მასშტაბს, აქტივობას, ცალკეული პიროვნების უშუალო კავშირებს. შემდეგ გამოიყენება ემპირული მეთოდი, რომელიც ასახავს ტერორიზმის აქტივობის დონეს და მის პირდაპირ კავშირს აღნიშნულთან. [45-18-30]

ზოგადად, რაც უფრო დიდია ჯგუფი, მით დიდია მისი პოტენციალიც ტერორისტული ძალადობისთვის. მეორე სახეობა გვიჩვენებს არცთუ ისე მკვეთრ საზღვარს, რომელიც კრიმინალური და პოლიტიკური ხასიათის ტერორიზმს ერთმანეთისგან მიჯნავს, რადგან ტერორისტები თავისუფლად გადადიან კრიმინალური საზღვრიდან პოლიტიკურში და პირიქით. სუსტი გამიჯვნა ამაზე მიუთითებს. კრიმინალური დაჯგუფებები შეიძლება იმდენად გაიზარდოს, რომ მათი ქმედება ტერორისტული დაჯგუფების ქმედებებს დაემსგავსოს. პატარა ტერორისტული დაჯგუფებები კი შესაძლოა იმდენად ფოკუსირებული იყოს დანაშაულზე, რომ მათი საქმიანობა მხოლოდ კრიმინალური დაჯგუფების მსგავსი ქმედებებით შემოიფარგლოს.

ბოლო სახეობა აღნიშნავს რეაგირების ტიპს. კრიმინალური და პოლიტიკური ტერორიზმის შემთხვევების უმრავლესობა წარმოადგენს სამართალდამცავთა პასუხისმგებლობას. ეს იმას ნიშნავს, რომ როცა არაპოლიციური უწყებები პოლიციას ეხმარება, როგორც უსაფრთხოების დამცავი ძალა, ამ უწყებებმაც ისევე უნდა იმოქმედონ, როგორც პოლიციამ. მაგალითად, მომაკვდინებელი ძალის გამოყენება პოლიციურ ოპერაციებში ყოველთვის უკანასკნელი ალტერნატივაა. გარდა ამისა, კანონიერი პროცედურები და პიროვნების უფლებების დაცვა სამართალდამცავთა რეაგირებისა და გამოძიების ყველა ეტაპზე პრიორიტეტული საკითხად უნდა დარჩეს. თუმცა, საპასუხო ქმედებები უფრო და უფრო სამხედრო ხასიათს იძენს. მიუხედავად ამისა, მომაკვდინებელი ძალის გამოყენება მაინც საბოლოო ალტერნატივად რჩება. სამართალდამცავებმა გუნდურად უნდა იმუშაონ, როგორც ამას სამხედროები აკეთებენ. სასამართლოებმა შეიძლება გარკვეული თავისუფლება მისცენ კონკრეტულ პროცედურებში (მაგალითად, ინტერნირება ჩრდილოეთ ირლანდიაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე), მაგრამ გუნდური მუშაობა არ გულისხმობს, რომ კანონის ნორმებიდან უნდა გადავუხვიოთ. მიუხედავად იმისა, რომ აუცილებელი ხდება გარკვეული სამხედრო ტაქტიკის ან უშუალოდ სამხედროების დახმარების გამოყენება, კანონგარეშე მოქმედებების განხორციელება დაუშვებელია. მაგალითად, პოლიციამ და სამხედრო უწყებებმა ზოგიერთ ქვეყანაში ჩამოაყალიბეს სიკვდილის საიდუმლო ბრიგადები იმ მიზეზით, რომ ტერორისტები ძალიან გაძლიერდნენ. თუ კანონით დადგენილი ნორმები ირღვევა, შეიძლება უშიშროების ძალები უფრო გაზარდოს და გადააჭარბოს ტერორისტების ძალებს.

ტაქტიკური ტიპოლოგია უბრალოდ ვერბალური მოდელია ტერორიზმის მდგომარეობის კონცეპტუალური ჩამოყალიბებისთვის. და მაინც, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ტერორიზმი არცთუ ისე სტაბილური მოვლენაა, როგორც ამას ზოგადი მოდელი ასახავს. აღნიშნულის ახსნას ბრაიან ჯენკინსი იძლევა. მისი აზრით, ტრადიციულად არსებობს ექვსი ტერორისტული ტაქტიკა: დაბომბვა, თვითმფრინავის გატაცება, შენობისთვის ცეცხლის წაკიდება, თავდასხმა, ადამიანის გატაცება და მძევლად აყვანა. ვინაიდან გასული წლების განმავლობაში რელიგიური ფანატიზმი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ტერორიზმის არსენალიც შეიცვალა და მოიცვა მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების მუქარაც [43-7-17] (ჯენკინსი, ბრეკეტი, უაითი). მიუხედავად ამისა, რელიგიური ტერორისტები ტრადიციულ ტერორისტულ ტაქტიკასაც იყენებენ. ჯენკინსის კატეგორიების ერთადერთი დამატება მხოლოდ ტექნოლოგიების სფეროში შეიძლება ვიპოვოთ. ინფორმაციისა და ელექტრონული ტექნოლოგიების საუკუნეში კომპიუტერული სისტემის ქსელის დაზიანების მცდელობაც ტერორიზმის ერთ-ერთი ტაქტიკად იქცა.

ტექნოლოგიებმა სხვა გავლენაც მოახდინა ტერორიზმზე, რასაც ჯენკინსი „ძალის გამამრავლებლებს“ უწოდებს. სამხედრო ტერმინოლოგიით ძალის გამამრავლებელი ფაქტორები ზრდის დარტყმის ძალას დანაყოფის რიცხობრივი გაზრდის გარეშე. ტერორისტები რეგულარულად იყენებენ ძალის გამამრავლებლებს, რადგან ეს დადებითად აისახება მათ საქმიანობაზე. ყველა პოლიტიკური და ზოგიერთი კრიმინალი ტერორისტი ცდილობს შექმნას ილუზია, რომ სხვა დონეზე ბრძოლაც შეუძლია. მათ სურთ პარტიზანულ ან შეიარაღებულ ბრძოლაზე გადასვლა, თუმცა, როგორც წესი, ამას არასოდეს აკეთებენ.

ტერორიზმის ძალის გამამრავლებელი ფაქტორები

ემპირიული მეთოდი: რაც უფრო დიდია ჯგუფი, მით უფრო დიდია მისი მოქმედების არეალი.

გამონაკლისი – ძალის გამამრავლებელი ფაქტორები

- ტექნოლოგია
- ტრანსნაციონალური მხარდაჭერა
- მედია
- რელიგია

იარაღის არსენალის ზრდა და ტექნოლოგიური დახვეწა პატარა ჯგუფებს აძლევს მაღალ დონეზე მოქმედების შესაძლებლობას. ტერორისტებს შეუძლიათ ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება თავდასხმების დროს ან ტექნოლოგიურ სამიზნეებზე იერიშის მისატანად. ორი უახლესი საფრთხე, რომელიც საზოგადოებას ემუქრება კიბერტერორიზმი და მასობრივი განადგურების იარაღია.

იმ ჯგუფებსა და ცალკეულ პიროვნებებს, რომლებიც უცხოური მხარდაჭერით სარგებლობენ ქმედების უფრო მაღალი დონე აქვთ.

ჯგუფური მხარდაჭერა და ტერორიზმის გამართლება

ნებისმიერი, ვინც ძალის გამოყენებას მიმართავს, მის გამართლებასაც ცდილობს. ძალის მოცულობის ზრდასთან ერთად, მისი გამართლების საჭიროებაც იზრდება. სასიკვდილო ძალის გამოყენება ყველაზე დიდ გამართლებას მოითხოვს. როდესაც პიროვნება სიკვდილით ემუქრება ან კლავს სხვა პირს, უნდა გრძნობდეს, რომ სწორედ იქცევა. შემსრულებლებს არ აქვთ საკუთარი თავის განკითხვის ფუფუნება, თუ საქმის ბოლომდე მიყვანა სურთ.

როდესაც სახელმწიფოს სახელით პიროვნება ძალადობრივ მოქმედებებში ერთვება, მთავრობა მის დასაჯილდოვებლად თავის ყველაზე წმინდა სიმბოლოებს და რიტუალებს იყენებს. მეომრებს ასეთი ჯილდოები სჭირდებათ. ტერორისტებიც საჭიროებენ საზოგადოების მხრიდან გამართლებას, მაგრამ იშვიათად იღებენ მას, ვინაიდან მათი მოქმედებები სანქცირებული არაა იმ მთავრობების მიერ, რომელსაც ისინი თავს ესხმიან. ძირითადად, საზოგადოება გმობს მათ საქმიანობას. მაშინაც კი, როდესაც მოქალაქეები ამართლებენ ტერორისტების ქმედებების მიზეზს, ისინი ეჭვის თვალით უყურებენ და არ ეთანხმებიან იმ მეთოდებს, რომელთაც სხვებისთვის ზიანი მოაქვთ. შესაბამისად, ტერორისტები იძულებულები არიან მხარდაჭერა საზოგადოების ნორმატიული ქცევის გარეთ ეძებონ.[62-78-98]

ცალკეული ტერორისტისთვის ტერორისტული დაჯგუფება სოციალური რეალობის აღქმის მთავარი წყარო ხდება. ეს დაჯგუფება მისი წევრების სოცილურ აღიარებას და მათ მხარდაჭერას უზრუნველყობს. პოტენციური ტერორისტები სხვადასხვა მიზეზით უერთდებიან დაჯგუფებებს: შეიძლება ისინი იზიარებენ ჯგუფის მოქმედების მოტივაციას ან უბრალოდ ცხოვრებაში

ხელმოცარულები არიან. ტერორისტული დაჯგუფება ცვლის პიროვნებას და მას სოციალური მხარდაჭერის შთაბეჭდილებას უქმნის.

მიუხედავად სოციალური მხარდაჭერის მნიშვნელობისა, ტერორისტული დაჯგუფება საზოგადოების ძირითადი ნაწილისგან იზოლირებული რჩება. ამის დადასტურებაა რიჩარდ ქლოვარდის და ლოიდ ოჰლინის მიერ 1960 წელს ჩატარებული კვლევა ამერიკის ქალაქების ახალგაზრდული ბანდების შესახებ. ბანდა საკუთარ თავში ჩაკეტილი ჯგუფია სამყაროს დამახინჯებულ ხედვით. არაბ კამიკაძე ტერორისტებთან ისრაელის ბრძოლის გამოცდილებამ აჩვენა, რომ ტერორისტები იგივე მდგომარეობაში იმყოფებიან. დავალებაზე გაშვებამდე ტერორისტი იზოლირებული უნდა იყოს და ურთიერთობა მხოლოდ დავალებაში უშუალოდ ჩართულ პირებთან ჰქონდეს. ამ დროის განმავლობაში ტერორისტს გამუდმებით უჩიჩინებენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მის მიერ შესასრულებელი დავალება და რომ მიზანი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანის სიცოცხლე. თვითმკვლელ ტერორისტებს ხშირად ერთად აცხოვრებენ ერთმანეთის გასამხნევებლად. ქუჩის ბანდის წევრების მსგავსად, ტერორისტებსაც სჭირდებათ საკუთარი სამყაროს შექმნა.

პოლ ვილკინსონის თქმით, ტერორისტული დაჯგუფებები ჯგუფისადმი ერთგულების გაძლიერებას ინდივიდუალური წევრების საქციელის გამართლებით ცდილობენ. მათ შეიძლება ამტკიცონ, რომ ტერორიზმი მხოლოდ შურისძიებაა სოციალური უსამართლობისთვის, ან რომ ის ნაკლებად ბოროტი მოვლენაა, ვიდრე ხელისუფლების მიერ საკუთარი ძალაუფლების ბოროტად გამოყენება; ასევე საუბრობენ იმაზე, რომ ტერორიზმი მოქმედების ერთადერთი საშუალებაა. მსგავსი არგუმენტების მიუხედავად, ვილკინსონი ასაბუთებს, რომ ტერორისტულ ჯგუფს აუცილებლად სჭირდება ეთიკური ნორმების საკუთარი პარამეტრების შექმნა და მორალური გამართლების მოძიება. გაზეთი "ჯერჰოლდ პოსტი" გამართლების ამ პროცესს ტერორისტული ორგანიზაციის შიგნით არსებულ დინამიკას ადარებს. გაზეთი იკვლევდა ტერორისტულ დაჯგუფებაზე სასჯელის შიშის ეფექტურობას. ზოგიერთი პოლიტიკოსის მტკიცებით, ტერორისტების შეჩერება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ მათ ეცოდინებათ, რომ თითოეულ ძალადობრივ ქმედებას მკაცრი სასჯელი მოჰყვება. ეს დანაშაულის შეკავების პოპულარული პოლიტიკური არგუმენტია, ისეთი რომელსაც კრიმინოლოგიურ სკოლებში ასწავლიან და რომლის მიხედვითაც, სწრაფი და უცილობელი სასჯელი დანაშაულის შეკავებას უწყობს

ხელს. გაზეთში ნათქვამია, რომ ასეთი არგუმენტი არ გამოდგება თანამედროვე ტერორიზმთან მიმართებაში. სტატიის ავტორის აზრით, არ არსებობს ერთი კონკრეტული ტერორისტის პიროვნება და ტერორისტებს მსგავსი ქცევის მოდელი აქვთ. ყველაზე მნიშვნელოვანი მოდელი ჯგუფურ და პიროვნულ თანხმობაში გამოიხატება. საზოგადოებისგან გარიყულობის თვალსაზრისით ტერორისტული დაჯგუფებები ძალზე ჰგვანან ჩვეულებრივ დამნაშავეთა დაჯგუფებებს. იზოლაციის გამო, სოციალური აღიარების ერთადერთ წყაროს დაჯგუფება წარმოადგენს, სადაც ტერორისტები ერთმანეთს ამხნევებენ. გაზეთის დაკვირვებით, ეს მოდელი სხვადასხვა კულტურაში მეორდება.[125]

პირები, რომლებსაც ტერორისტულ დაჯგუფებებთან მიერთება სურთ, ისევე გარიყულები არიან საზოგადოებისგან, როგორც ორგანიზაციები, რომლებსაც ეს პირები უერთდებიან. გაზეთში გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, ტერორისტები, როგორც წესი, საზოგადოების მიერ უარყოფილი ადამიანები არიან, რომლებიც თავისავით მოაზროვნე ადამიანების ჯგუფში მოხვდნენ. ეს დაკვირვება არა მარტო ხაზს უსვამს ტერორისტულ ორგანიზაციაში ჯგუფურ მხარდაჭერას, არამედ იმის ახსნასაც იძლევა, თუ რატომ არჩევენ ტერორისტული დაჯგუფებები იზოლირებულად ყოფნას. ჯგუფის ცალკეული წევრი ჯილდოს მხოლოდ ჯგუფის შიგნით იღებს, რაც იზოლირებულად ყოფნის სურვილს ცალსახად აძლიერებს. გაზეთის მტკიცებით, ეს იმ მენტალობის შედეგია, რომელიც ადამიანებს მხოლოდ მოწინააღმდეგეებად და მომხრეებად ჰყოფს.[126]

ტერორისტულ ჯგუფებში ანტისოციალური ქცევა თავად ჯგუფის შიგნით დაპირისპირებას წარმოქმნის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ჯგუფს იმდენად ძლიერი ლიდერი ჰყავს რომ მისი დაშლა შეუძლია. საზოგადოების ძირითადი ნაწილისგან უარყოფილი ჯგუფის ცალკეული წევრისთვის მხარდაჭერის ერთადერთი იმედი თავისი დაჯგუფებაა, რომელიც მის საქციელს დააფასებს. თუ დაჯგუფება ანტისოციალური ქცევისთვის აჯილდოვებს, ეს ფანატიკოსებისთვის მოტივაციაა, რათა მომავალშიც შეუტიონ საზოგადოებრივ ნორმებს. სტატიის მიხედვით, ჯგუფის გარეთ არსებული რეჟიმის უარყოფას ჯგუფის შიგნით არსებული რეჟიმის აღიარებამდე მივყავართ, რადგან აუცილებელია, რომ ქმედება ვინმეს მიერ იყოს აღიარებული.

დინამიკის ეს მოდელი ახასიათებს ყველა იმ დაჯგუფებას, რომელიც სოციალურ ნორმებს უარყოფს. მაგალითად, რელიგიური ახალგაზრდა,

რომელიც ფუნდამენტალისტურ ერთეულს უერთდება, იგივე პროცესს გადის. მას მოუწოდებენ, უარყოს საყოველთაო ნორმები და ჯგუფის შიდა ნორმირებული წესით დაიწყოს ცხოვრება. ამ კუთხით, რელიგიური მრწამსის შეცვლა სხვა დაჯგუფების ფასეულობების მიღების ფსიქოლოგიურად მსგავსი პროცესია.

მიუხედავად ამისა, რელიგიური მრწამსის შეცვლა, როგორც წესი, არაა ტერორიზმის წინაპირობა. სტატიის ავტორის დაკვირვებით, ტერორისტულ ორგანიზაციად გადაქცევის არსებითი მომენტი მაშინ დგება, როდესაც ძალადობისკენ მოწოდება ქმედებებში გადაიზრდება. დანაშაულებრივი საქმიანობის დაწყება ტერორისტული ჯგუფის დაბადების ნიშანია. მას შემდეგ, რაც დაჯგუფება დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაერთვება, საზოგადოებასა და მას შორის შესამჩნევი ნაპრალი ჩნდება. ტერორიზმისთვის აუცილებელი დანაშაული სოციალური აჯანყების ბოლო ნიშანი ხდება.

ტერორისტის „აუცილებლობის დოქტრინა“

ჰ. ჰ. კუპერი აღწერს პროცესს, რომელიც ტერორისტებმა უნდა გაიარონ საკუთარი ქმედებების გამართლება/დასაბუთების მიზნით. მას მიაჩნია, რომ ტერორისტების ქცევას განაპირობებს იგივე მოტივები, რომლებიც საფუძვლად ედება ჩვეულებრივი ადამიანების ქცევასაც. მათ იგივე ოცნებები და სულისკვეთება აქვთ, რაც იმ პირებს, რომლებიც ამა თუ იმ ქმედების საზღაურად გარკვეულ ჯილდოს მოელიან. თუმცა, ტერორისტებს დამატებითი პრობლემაც აქვთ, მათ არ შეუძლიათ სამყარო ისეთად მიიღონ, როგორიც ის სინამდვილეშია და, მიუხედავად იმისა, რომ არსებული ნორმების უარყოფას ბევრი სხვა ადამიანიც უჭერს მხარს, ტერორისტები სოციალური ცვლილებების მშვიდობიანი გზით განხორციელების შესაძლებლობასაც კი უგულებელყოფენ.

კუპერი ამბობს, რომ ტერორისტებს შეიძლება სძულდეთ ძალადობა იმდენად, რომ მზად იყვნენ მასზე უარის თქვან. ბევრ მათგანს არ სიამოვნებს განურჩევლად ყველასა და ყველაფრის წინააღმდეგ ძალის გამოყენება. და მაინც, კუპერის აზრით, ტერორისტები შეპყობილი არიან სოციალური სტატუს ქვოს უკიდურესი სიძულვილით. იგი მიიჩნევს, რომ პირველი ნაბიჯი ტერორისტად ქცევისათვის ძალადობრივი გზით საზოგადოებრივი ნორმების უარყოფაა. [45-18-30]

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ტერორისტების ნაწილს არ მოსწონდეს ძალადობა და არ უნდოდეს ტერორიზმის მეთოდების ათვისება, მათ აიძულებენ

ძალის გამოყენებას. კუპერი ამბობს, რომ ეს ადამიანები მაშინ კვეთენ ტერორიზმის ხაზს, როდესაც იმ დასკვნამდე მიდიან, რომ სტატუს ქვოს შენარჩუნება ტერორისტული აქტებისგან გამოწვეულ ძალადობაზე უარესია. იგი ამ მოსაზრებას „აუცილებლობის დოქტრინის“ დასასაბუთებლად ავითარებს.

კუპერის ანალიზის თანახმად, ტერორისტებმა უნდა იგრძნონ, რომ ისინი ვალდებული არიან, ძალადობა ჩაიდინონ. ძალადობა აუცილებელი ხდება, რადგან უსამართლობის დასაძლევად სხვა ალტერნატივა არ არსებობს. სწორედ ეს მიდგომა უწყობს ხელს ძალადობის დოქტრინის ჩამოყალიბებას. როდესაც პოტენციური ტერორისტი მისაღებად ჩათვლის ამ დოქტრინას, იგი უკვე თავისუფლად ებმება ტერორიზმში. ჯგუფში ინდივიდუალური გადაწყვეტილებები მყარდება და შესაბამისად, ტერორისტული კამპანიაც შესაძლოა დაიწყოს. ძალადობის აუცილებლობის დოქტრინა ერთგვარად გამართლებას უძებნის ტერორისტულ საქმიანობას და თუკი იგი ერთხელ მისაღებად მიიჩნიეს, ჩარჩოების ხელახლა დაწესება ძალადობის თავიდან ასაცილებლად უკვე გაუმართლებელი ხდება.

ტერორისტული პროფილი (მახასიათებლები) –პრაქტიკული ხედვა.

მეცნიერი ფრედერიკ ჯ. ჰეკერი (1976), რომელიც ტერორიზმისა და მძევლების აყვანის შემთხვევაში მოლაპარაკებების წარმოების საკითხებზე მუშაობს, თავის გვიანდელ ნაშრომებში აღნიშნავს, რომ ტერორისტები ცდილობენ სამყაროს შეცვლას თავიანთი მოსაზრებებიდან გამომდინარე. იგი ტერორისტების სამ ტიპზე საუბრობს: კრიმინალები, შეშლილები და ჯვაროსნები. კატეგორიები არ არის ურთიერთგამომრიცხავი. ნებისმიერ ტერორისტულ დაჯგუფებაში შეიძლება შევხვდეთ სამივე ტიპის ტერორისტებს. კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ჰეკერის მიდგომა ძალზე მარტივია. [50-67-78]

ქუჩის კრიმინალები წარმოადგენენ პირველ სეგმენტს ჰეკერის ტიპოლოგიაში. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ტერორისტი იყენებს კრიმინალურ საშუალებებს, ჰეკერი მიიჩნევს, რომ კრიმინალური ტერორიზმი იშვიათი მოვლენაა. კრიმინალები, რომლებიც ტერორის ქვეშ ამყოფებენ საზოგადოებას, ძირითადად მოქმედებენ ფულადი მოგების მიღების ან შურისძიების მიზნით. ორგანიზებული კრიმინალები ხშირად მოქალაქეების მთელ ჯგუფებს ატერორებენ ეკონომიკური გამორჩენის მიზნით, მაგრამ პოლიტიკური ტერორიზმის გამანადგურებელ აქტებამდე საქმე ხშირად არ მიდის.

კრიმინალებს ნაკლებად აინტერესებთ *სტატუს ქვო.* ისინი იშვიათად ემბებიან ტერორიზმში იმ მოტივით, რომ ეკონომიკური სარგებელი ნახონ. ქუჩის კრიმინალების უმრავლესობისთვის ტერორიზმი იდეის გავლენით ჩადენილი დანაშაულია, რაც ძირითადად მძევლების აყვანაში გამოიხატება.

„შეშლილები“ ჰეკერის ტერმინია, რომელსაც ის ფსიქიკურად არამდგრადი, მოძალადე ადამიანების აღსანიშნად იყენებს. ისინი მოტივირებული არიან სხვადასხვა ფაქტორებით, მაგრამ ერთგვარ ფსიქოლოგიურ ჯილდოს ელიან ტერორისტული საქმიანობის გამო. “შეშლილები” არ არიან პოლიტიკური ტერორისტები, თუმცა ისინი შეიძლება პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა გამოიყენონ. მათი მოტივაცია იმ შეგრძნებაში მდგომარეობს, რომელსაც იღებენ ძალადობის ჩადენისას ან იმ უპირატესობის განცდაში გამოიხატება, რომელიც ამ დროს ეუფლებათ. მათ ქცევას შეიძლება ახსნა მოვუნახოთ ფსიქოლოგიური კუთხით. მასობრივი და სერიული მკვლელებიც ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან. ჩარლზ მენსონის მკვლელობები კალიფორნიაში მოცემული ტიპის ტერორიზმის საუკეთესო მაგალითად გამოდგება.

ჰეკერის თანახმად, "ჯვაროსნები" პოლიტიკურ ტერორიზმს საუკეთესო საფუძველს უქმნიან. ჰეკერი მათ აღწერს, როგორც ადამიანებს, რომლებიც ტერორიზმს მიმართავენ საზოგადოების შეცვლის მიზნით. უმრავლესობას კუპერის აუცილებლობის დოქტრინის სჯერა და სწამს, რომ ძალადობა მისაღები და გამართლებულია საფუძვლიანი მიზეზის არსებობის შემთხვევაში. ჯვაროსნებს მიაჩნიათ, რომ ძალადობა უნდა გამოიყენონ საზოგადოების მიმართ, რათა იგი უკეთესობისკენ შეცვალონ.[55-20-26]

ჰეკერის კლასიფიკაციის გავლენით, ბევრი სამართალდამცავი უწყება ცდილობდა განესაზღვრა ტერორისტული აქტი კრიმინალური ან პოლიტიკური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი თუ ვინმეს ავადმყოფური აზროვნების შედეგს წარმოადგენდა. ისინი სხვადასხვა მეთოდს იყენებდნენ და წინა პლანზე წამოწიეს მეცნიერება ქცევის შესახებ, რათა დანაშაულის სხვადასხვა ფორმების წინააღმდეგ ბრძოლა გაეუმჯობესებინათ. უწყებები ასევე ცდილობდნენ შეეფასებინათ პოტენციური საფრთხის დონე. აგრესიული პოლიტიკური ექსტრემისტები, როგორც წესი, ყველაზე დიდი საფრთხის მატარებლებად მოიაზრებოდნენ.

მსგავსი კლასიფიკაციის სისტემას ეყრდნობა გაერთიანებული სამეფო. პოლიციელები აქ პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს ტერორისტული პროფილიდან გამომდინარე იღებენ. ტერორისტული აქტის ადგილზე პოლიციელი მოვლენის შეფასებას ახდენს. თუ იგი კლასიფიცირდება, როგორც კრიმინალური ქმედება ან ვინმეს ავადმყოფური აზროვნების შედეგი, საქმეს ხელს ადგილობრივი პოლიციის უფროსი კიდებს. თუ პოლიციის უფროსი მიიჩნევს, რომ ქმედება პოლიტიკური ტერორიზმის შედეგია, ინფორმაცია გადაეცემა ცენტრალურ მთავრობას და ინციდენტი პრემიერ-მინისტრის დონეზე განიხილება. გარდა ამისა, თუ საფრთხის დონე საკმაოდ მაღალია, საქმე შეიძლება ეროვნულ მთავრობას გადაეცეს.

მიუხედავად იმისა, რომ მსგავს დახარისხებას ხშირად მიმართავენ სამართალდამცავ სტრუქტურებში, ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ღიად რჩება: რამდენად შესაძლებელია თავად ტერორისტის პიროვნული თვისებების „დახარისხება“? ზოგიერთი კრიტიკოსი ამას შეუძლებლად მიიჩნევს.

ტერორისტული პროფილი (მახასიათებლები) – უპერსპექტივო ხედვა.

უოლტერ ლექვერი [57-79-104] ამბობს, რომ არავის შეუძლია ტერორისტის ფსიქოლოგიური სურათის დახატვა, რადგან ასეთი სურათი არ არსებობს. ლექვერის აზრით, ვინაიდან ტერორიზმი დროსთან ერთად იცვლება, ტერორიზმის მახასიათებლებიც ცვლილებებს განიცდის. შეუძლებელია არსებობდეს ტერორისტის “მოზაიკური” მახასიათებლები, რადგან ტერორიზმის სხვადასხვა ტიპი არსებობს. ლექვერის აზრით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ტერორისტების უმრავლესობა ახალგაზრდაა, მაგრამ მათი საქციელი და ფსიქოლოგიური პორტრეტი სოციალური და კულტურული პირობების შესაბამისად იცვლება.

უაითის აზრით, აუცილებელია ტერორისტული დაჯგუფებების რამდენიმე მახასიათებლის განსაზღვრა. ჯგუფები, როგორც წესი, პატარაა და ჰყავს ქარიზმატული ლიდერი. თითქმის ყველა დაჯგუფება დარაზმულია რელიგიის ან კვაზი-რელიგიის გარშემო. ისინი საკუთარ რწმენას ფანატიკურად გამოხატავენ. თუმცა, კვლევის თანახმად, ცალკეული პიროვნება იმდენად განსხვავდება ერთიმეორისგან, რომ შეუძლებელია ქცევის მახასიათებლების ჩამოყალიბება.

ჯეროლდ პოსტი, ცნობილი ფსიქოლოგი და ექსპერტი ტერორიზმის საკითხებში, ამყარებს ლექვერის მოსაზრებებს. პოსტის თანახმად, ტერორისტები ნამდვილი

მორწმუნეები არიან ამ სიტყვის ფართო გაგებით და ისინი ჯგუფში მხოლოდ ნამდვილ მორწმუნეებთან ერთიანდებიან. ფანატიზმი ჯგუფს შინაგან ძალას ანიჭებს და მის წევრებს საშუალებას აძლევს, ფანატური ქმედებები ჩაიდინონ.

პოსტის აზრით, ტერორისტული დაჯგუფებების ექსტრემისტული ატმოსფერო აბსოლუტიზმის რიტორიკას წარმოშობს. კომპრომისისთვის აქ ადგილი არ არის და ცხოვრების ყველა ასპექტი შავ-თეთრი ფერებითაა წარმოჩენილი. სამყარო ორ ბანაკად არის დაყოფილი და მტრის იდეტიფიკაციის (იარლიყის მიწებების) პროცესი ტერორისტებს უფრო აახლოვებს მათ თანამოაზრე „ჭეშმარიტ მორწმუნეებთან.“ ჯგუფი აბსოლუტიზმს იდეალისტური ფორმით გამოხატავს და იზიარებს საერთო მოსაზრებებს. ტერორისტებს შეიძლება სძულდეთ ძალადობა, მაგრამ მყარად სწამთ, რომ სამყაროს “უკეთესობისკენ” შეცვლის მიზნით ტერორიზმის გამოყენება გამართლებულია.

ტერორისტული პროფილი (მახასიათებლები) – პერსპექტიული ხედვა

ჯეფრი იან როსი ალტერნატიულ ხედვას გვთავაზობს. ინდივიდუალური პროფილის (მახასიათებლების) განსაზღვრის ნაცვლად, ის უპირატესობას ანიჭებს ტერორიზმის არსის კონცეპტუალურ ჩამოყალიბებას ერთ მოდელში, რომელიც სოციალურ სტრუქტურას ჯგუფურ ფსიქოლოგიასთან შეათავსებს. ავტორი მიიჩნევს, რომ მსგავსი მოდელის არსებობა აუცილებელია იმ პირებისთვის, რომლებიც კონტრტერორისტულ სამოქმედო პოლიტიკას შეიმუშავებენ. [57-79-104]

როსი ტერორიზმში ხუთ ურთიერთდაკავშირებულ პროცესს გამოყოფს: დაჯგუფებაში ჩართვას, ქმედების ფორმულირებას, კომპანიაში დარჩენას, ორგანიზაციის გაძღოლასა და ტერორისტულ აქტებში ჩართვას. იგი ამბობს, რომ ბევრმა ანალიტიკოსმა სცადა ტერორიზმის არსის ახსნა მაგრამ უშედეგოდ, რადგან არ არსებობს ტერორიზმის მოდელი. ტიპური ტერორისტის პროფილის ჩამოყალიბების მცდელობის ნაცვლად, როსი ცდილობს ახსნას, რამდენად ამცირებს ტერორიზმს სოციალური და ფსიქოლოგიური პროცესები.

ისტორიის ნებისმიერ მონაკვეთში ტერორიზმის ზრდაზე ორი ფაქტორი მოქმედებს. პირველს სოციალური სტრუქტურა განსაზღვრავს. სტრუქტურული ფაქტორები გულისხმობს საზოგადოების ორგანიზებას, მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს, ისტორიულ და კულტურულ გარემოებებს, მთელ რიგ უკმაყოფილებას (რაც აქვთ მოქალაქეებს), ამ უკმაყოფილების მოგვარების

მექანიზმებს, იარაღის ხელმისაწვდომობასა და კონტრტერორისტული ძალების ეფექტურობას. როსი ამბობს, რომ მოდერნიზაცია, დემოკრატია და სოციალური შეურიგებლობა ქმნის იმ სტრუქტურულ პირობებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ტერორიზმის წარმოქმნას. როსის ანალიზის თანახმად, ურბანული ზონები სოციალური უკმაყოფილების წარმოშობის ყველაზე პოტენციური ადგილებია და დიდია იარაღის გამოყენების რისკიც. როდესაც მთავრობა ვერ ახერხებს სოციალური ზეწოლის განხორციელებას მსგავს ადგილებზე, ტერორიზმის ალბათობა იზრდება. ასევე იზრდება ტერორიზმის დონეც, თუ ვერ ხერხდება კონტრტერორისტული ჩარევა.[56-20-34]

როსი მიიჩნევს, რომ სტრუქტურული ფაქტორები პოტენციურად აგრესიული ადამიანების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე მოქმედებს, რაც ტერორიზმს წარმოქმნის. იგი ამბობს, რომ არსებობს ფსიქოლოგიის რამდენიმე სკოლა, რომლებსაც შეუძლიათ ძალადობის ახსნა, მაგრამ ვერცერთი ხსნის ტერორიზმს.

§ 2.2. ტერორიზმის ხარისხობრივი და რიცხობრივი მაჩვენებლები საქართველოში

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ტერორიზმი საქართველოსთვის ერთერთ აქტუალურ პრობლემად იქცა. ამ მხრივ განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენენ რადიკალურად განწყობილი ძალები, რომელთა ნაწილიც ტერაქტების საშუალებით ცდილობს საკუთარი პოლიტიკური მიზნების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ ეს დაჯგუფებები აქტიურად იყენებდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი პროფესიონალი ტერორისტების შესაძლებლობებს. 1998 წელს პრეზიდენტზე განხორციელებულ ტერაქტში მონაწილეობა მიიღეს ჩრდილოკავკასიური წარმოშობის პირებმაც, ხოლო თავად ჯგუფმა მომზადება ჩეჩნეთის ტერიტორიაზე განთავსებულ ბოევიკთა ერთ-ერთ საწვრთნელ ბაზაზე გაიარა.

აღსანიშნავია, რომ კრიმინალური სახის ტერორისტული მოქმედებები ადვილად შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლიტიკური მიზნებისთვის, განსაკუთრებით კი, როდესაც ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა შესაფერის ფონს ქმნის ამგვარი პროვოკაციებისთვის. ამ თვალსაზრისით არანაკლებ საშიშროებას წარმოადგენენ პრორუსული

ორიენტაციის მქონე დაჯგუფებებიც, რომლებსაც რუსულ მემარცხენე რადიკალურ ორგანიზაციებთან აქვთ კავშირი.

საქართველოში განხორციელებული გახმაურებული ტერაქტები:

- საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული ტერორისტული აქტები (1995 წელი, 1998 წელი);
- გენერალ გია გულუას მკვლელობა;
- ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის გიორგი ჭანტურიას მკვლელობა;
- დემოკრატიისა და აღორძინების ფონდის თავმჯდომარის სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობა (1995 წ.);
- თბილისის პროკურორის მიხეილ ქურდაძის მკვლელობა;
- საქართველოს ყოფილი სახელმწიფო საბჭოს ერთერთი ლიდერის ჯაბა იოსელიანის მკვლელობის მცდელობა და სხვა.

ისლამი და საქართველო

ტერორიზმთან ბრძოლის ეფექტურად წარმართვისათვის აუცილებელია ტერორიზმის წარმოშობის მიზეზებისა და მისი მასაზრდოებელი წყაროების გამოვლენა.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ აღიარებული 24 ტერორისტული ორგანიზაციისა და ტერორიზმის მხარდამჭერი ქვეყნების ჩამონათვალში უმრავლესობა ისლამის მიმდევრები არიან. ბოლო ხანს ეს საკითხი კიდევ უფრო გაამწვავა იმ ტერორისტულმა აქტმა, რომელიც აშშ-ში, ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში მოხდა, ვინაიდან მისი ორგანიზატორებიც მუსლიმები იყვნენ. თავშესაფარი კი მათ ასევე მუსულმანურმა ქვეყანამ, ავღანეთმა მისცა, საიდანაც დასავლეთის ცივილიზაციის დამცველებს საღვთო ომი – „ჯიჰადი“ გამოუცხადეს. უკანასკნელ წლებში ქრისტიანული და ისლამური ცივილიზაციების მოსალოდნელი შეჯახების შესახებ სულ უფრო ხშირად გაისმის საუბარი. ყოველივე ეს ბუნებრივად ბადებს კითხვას: რა როლს ითამაშებს საქართველოში არსებული ისლამური რელიგია ქართული სახელმწიფოს განვითარებაში, მოხდება დაპირისპირება ისლამსა და

სახელმწიფო რელიგიას – ქრისტიანობას შორის, თუ ის „ვიწრო ნაციონალურ ქარგაზე“ გამოჭრილი დარჩება და ქვეყნის განვითარების დონის ამაღლებას, ეროვნულ მისწრაფებებს, ტრადიციებს ხელს არ შეუშლის? შესაძლებელი ხომ არ არის თავი იჩინოს რადიკალურმა ისლამურმა ფაქტორმა, რომელიც გარესამყაროში მიმდინარე მოვლენებთან არის დაკავშირებული? თუკი მუსულმანისთვის რელიგიური იდეალები პირველ ადგილზეა, ვის უერთგულებენ ისინი - საქართველოს, თუ იმ ცენტრებს, საიდანაც მათი რელიგიური მიმდინარეობა იღებს სათავეს?

საქართველო თითქმის მთლიანად ისლამური ქვეყნების გარემოცვაშია მოქცეული. ერთი მხრივ, ირანი, თურქეთი და აზერბაიჯანი, მეორე მხრივ, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები – დაღესტანი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ადიღეა, ჩერქეზეთი – ჩვენს პატარა ქვეყანას ირგვლივ მჭიდრო რკალად ეკვრის, თუმცა, მუსლიმები ქვეყნის შიგნითაც მრავლად სახლობენ. მათ შორის არიან: აზერბაიჯანელები, ქისტები, ლეკები, ჩეჩნები და აფხაზები (ნაწილობრივ). მუსულმანურ სარწმუნოებას ქართველების ნაწილიც აღიარებს, ძირითადად აჭარლები და ინგილოები. ამავე დროს, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველთა ყველაზე მრავალრიცხოვანი დიასპორა ალაჰის თაყვანისმცემელია ირანსა და თურქეთში (თუკი შეიძლება ეწოდოს დიასპორა იმ ხალხს, რომელიც საკუთარ, ადრე წართმეულ ტერიტორიაზე ცხოვრობს). ისლამს აღიარებენ და ერთგულებენ „თურქი-მესხებიც“, რომლებიც საქართველოსათვის ერთგვარ პრობლემას წარმოადგენენ.

საქართველოში არაბების შემოსვლის დროიდან ყოველთვის იყო და ახლაც მრავლადაა მეჩეთები, მუსლიმური სალოცავები, მინარეთები. 2008 წლის მონაცემებით, დღეისათვის ქვეყანაში ფუნქციონირებს 100-ზე მეტი ასეთი სალოცავი, რომელთაგან ზოგი შიიტური, ხოლო ზოგი სუნიტური მიმდინარეობისაა. აქედან გამომდინარე, ცხადია, ახლაც და ახლო მომავალშიც არაერთგზის მოგვიწევს ისლამთან, მის სხვადასხვაგვარ მიმდინარეობასთან კონტაქტი. რა პრობლემები გვაქვს ამჟამად საქართველოში ისლამთან მიმართებაში, რამდენად უკავშირდებიან ეს პრობლემები ეროვნულ ურთიერთობებს, მოსალოდნელია თუ არა რელიგიური, განსაკუთრებით რადიკალურ-ისლამური ტერორიზმი ჩვენს ქვეყანაში.[20-17]

საბჭოთა კავშირის დროს, მატერიალიზმისა და ათეიზმის ბატონობის პერიოდში, საქართველოში სულ რაღაც ორიოდე მეჩეთი თუ ფუნქციონირებდა (დღეს

მარტო მარნეულის რაიონში დაახლოებით 12 მეჩეთია, აქედან 10 - შიიტური და 2 -სუნიტური), მათ შორის ერთი თბილისში იყო, მეორე – ბათუმში. ზოგს ეს, ალბათ, იმის ილუზიას უქმნიდა, რომ საზოგადოებას აერთიანებდა მარქსიზმის იდეოლოგია, რომელსაც საბოლოოდ კომუნისტური რწმენისა და სულისკვეთების ერთიანი საბჭოთა ხალხი უნდა ჩამოეყალიბებინა. რელიგიურ შეხედულებებს კი უმნიშვნელო, პრაქტიკულად მხოლოდ გადმონაშთის როლი დაეკისრებოდა.

სინამდვილეში ეს ასე ვერ იქნებოდა. ის, ვინც ამ დასკვნამდე მიდიოდა, ალბათ ისლამის სპეციფიკას არ ითვალისწინებდა, რადგან მუსლიმური იდეოლოგიის გასავრცელებლად მოქმედი მეჩეთების არსებობა სულაც არ იყო აუცილებელი. მათ საკმაოდ წარმატებით ცვლიდნენ ე.წ. „მოხეტიალე მოლები“, რომლებიც იმ დროისათვის ჩვენშიც იყვნენ და მეზობელი რესპუბლიკებიდანაც უხვად შემოდიოდნენ. გარდა ამისა, საუკუნეების მანძილზე ხალხში დამკვიდრებული და განმტკიცებული ისლამური ყოფა თავისი ტრადიციებით, დღესასწაულებითა და ადათ-წესებით ამ პროცესს ხელს უწყობდა. ფაქტობრივად, ისლამური რიტუალი ჩუმად და უხმაუროდ ყველგან სრულდებოდა. მოსახლეობის უმეტესობა რელიგიური წესით ცხოვრობდა, ზოგან კი შარიათიც (მუსლიმური სასამართლო, სამართალი) ფუნქციონირებდა.

მაგალითად, მცხეთის რაიონის სოფლებში „მოღვაწე“ მოლას შარიათის სხდომების მოსაწყობად აზერბაიჯანიდან უხუცესები ჩამოჰყავდა. სამწუხაროდ, იმდროინდელი კომუნისტური სოციოლოგიური გამოკვლევები რელიგიური ვითარების ობიექტურ და ნათელ სურათს ვერ იძლეოდა. ამით არც იყვნენ დაინტერესებულები, რადგან ობიექტური სურათის ჩვენება, მითუმეტეს მოსახლეობაში რელიგიური მაჩვენებლების ზრდა ამა თუ იმ რაიონსა თუ ქალაქში იდეოლოგიური მუშაობის ჩავარდნის ტოლფასად ითვლებოდა. აქედან გამომდინარე, ყველა პარტიული თუ სხვა ხელმძღვანელი მუშაკი ცდილობდა ეს ციფრები რაც შეიძლება დაბალი ყოფილიყო.[136]

როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და რელიგიისადმი დამოკიდებულება შეიცვალა, ყველა კონფესიას საშუალება მიეცა საკუთარი შეხედულებები ღიად ექადაგა, თავისი მოძღვრება თავისუფლად გაევრცელებინა. ამის შემდეგ ისლამის მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ამ კუთხით ახლანდელ ვითარებაში გარკვევისთვის აუცილებელია, საქართველოში ისლამის

გავრცელების 5 ზონა განვიხილოთ, რადგან თითოეულ მათგანს საკუთარი თავისებურებები გააჩნია.

განხილვას დავიწყებთ აფხაზეთიდან, სადაც მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მუსულმანია. ჩვეულებრივ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიზეზების შესწავლისას რელიგიურ ფაქტორს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, მაგრამ ის ფაქტი, რომ ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში აფხაზებს ჩრდილო კავკასიის მულსიმური რელიგიის ხალხები ეხმარებოდნენ, აგრეთვე ის, რომ სოხუმი მთიელთა კონფედერაციის დედაქალაქად გამოაცხადეს, ძალზე მრავლისმეტყველია.

აფხაზეთში აგენტურულ-ოპერატიული სამსახურის შექმნას მუსულმანური სამყაროს რიგი ქვეყნის სპეცსამსახურები ეწეოდნენ. 1991 წლის დასაწყისში სამშენებლო კომპანია „ჯეკობელილის“ საფარქვეშ აფხაზეთში ჩავიდნენ სირიის მოქალაქე ძმები: ალი-ჯახარ იმალ აბდულ ვახაბი, ალ-ვარახ ფარიდ აბდულ ვახაბი და ჯარახ ოიალ აბდულ ვახაბი. ფარიდი სირიის სპეცსამსახურის თანამშრომელი იყო, დანარჩენ ორს კი სპეციალური სამხედრო მომზადება ჰქონდა და სირიის არმიაში მსახურობდა. ისინი სეპარატისტების სამხედრო კონსულტანტები გახდნენ და აფხაზური უკანონო სამხედრო შეიარაღებული ფორმირებების საომარ მოქმედებებსა და „ბოევიკების“ მიერ ტერორისტული აქტების განხორციელებას ხელმძღვანელობდნენ. საომარი დაპირისპირებისას აფხაზების მხარეზე „ბოევიკები“ თურქეთიდან, იორდანიიდან, სირიიდან და საუდის არაბეთიდან აქტიურად იბრძოდნენ. აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ კონფლიქტის დაწყების პირველივე დღიდან ჩრდილო კავკასიის ასევე სეპარატისტულად განწყობილი პოლიტიკოსებისა და დაჯგუფებებისაგან, განსაკუთრებით „კავკასიის მთელ ხალხთა კონფედერაციის“ მხრიდან მიიღო დახმარება. კონფედერაციის 2000 „ბოევიკი“ აფხაზთა მხარეზე მუდმივად იბრძოდა. მუსა შანიბოვის სიტყვებით კი 10000 კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული მებრძოლი მზად იყო ნებისმიერ დროს კონფლიქტში ჩაბმულიყო. სეპარატისტებს დიდ დახმარებას აფხაზური დიასპორები უწევდნენ, მაგალითად, აფხაზურ-ჩეჩნური წარმოშობის ძმები იახია და ინალ კაზანბები ტერორისტული აქტების განსახორციელებლად აფხაზებს ფულით ამარაგებდნენ, მათთვის მზვერავებს, სამხედრო ინსტრუქტორებს, მრჩეველებს, დაქირავებულ ტერორისტებს აფხაზეთში აგზავნიდნენ. თურქეთის გარკვეული წრეები სეპარატისტულ ხელისუფლებას საზღვაო-სატრანსპორტო ხომალდების

მეშვეობით სურსათით, მედიკამენტებითა და საბრძოლო იარაღით დღესაც ამარაგებენ (გავიხსენოთ ქართველი მესაზღვრეების მიერ შავ ზღვაში დაკავებული თურქული საზღვაო ტრანსპორტი). გავიხსენოთ აგრეთვე თურქეთის მოქალაქე, წარმოშობით აფხაზი, მუჰამედ ემინ თოქჩანი, საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციის „შეიხ შამილის შვილიშვილების“ ერთ-ერთი ლიდერი, რომელმაც აფხაზეთში რელიგიური ნიშნით ტერორისტული ჯგუფები, გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფში კი – „ვაჰაბიზმის“ მიმდევართა 20-კაციანი ჯგუფი ჩამოაყალიბა. ის რეაქტიული ისლამის ერთ-ერთი ნაირსახეობის, ვაჰაბიზმის იდეებს აქტიურად უწევდა პროპაგანდას და ქართველებისა და ქრისტიანების დასახოცად „ბოევიკებს“ იბირებდა. 1992 წლის ოქტომბერში, სეპარატისტების მიერ ქ. გაგრის დაკავებისას, ადგილობრივი ქართული მოსახლეობის მასობრივი განადგურება და ეთნიკური წმენდა განხორციელდა. ქალაქის შტურმს ძირითადად კონფედერაციისა და ისლამური ქვეყნების საბრძოლო შენაერთები შამილ ბასაევის, სერგეი დრაბის და მუსტაფა ჯოლბას მეთაურობით ახორციელებდნენ. ეს ის ფეხმოგლეჯილი ბასაევია, რომელიც რელიგიური ნიშნის გამო ქართულ მოსახლეობას უმოწყალოდ უსწორდებოდა და ტერორისტულ აქტებს უწყობდა. ქართველების დახვრეტაში უშუალოდ მონაწილეობდნენ აგრეთვე „ბოევიკები“ ქვედანაყოფიდან „მთიელი“, რომელიც ასევე ძირითადად „ვაჰაბიტებით“ იყო დაკომპლექტებული. აფხაზეთში წარმოებულ საომარ მოქმედებებს თან ახლდა აფხაზთა და მათ მხარდამჭერთა მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტები, რომლებიც უცხო სპეცსამსახურების საგანგებოდ მომზადებული აგენტების (ძირითადად მუსლიმების), ახალგაზრდული ანტისახელმწიფოებრივი ექსტრემისტული ორგანიზაციების, აგრეთვე მტრული ელემენტების მიერ ხორციელდებოდა.

აფხაზეთის ტერიტორიაზე თვითმარქვია სეპარატისტების ხელში ფეხს იკიდებდა და ვითარდებოდა ისლამის ისეთი მიმდინარეობა, როგორიცაა „ვაჰაბიზმი“. მართალია, იგი საუდის არაბეთიდან იღებს სათავეს, მაგრამ სხვა ქვეყნებში უფრო აგრესიულ ხასიათს იძენს, ვინაიდან საკუთარ ქვეყანაში სახელმწიფო რელიგიადაა გამოცხადებული. რეაქციულობითა და ისლამის ფუნდამენტური იდეების გავრცელებით ის ცდილობს მსოფლიოს რელიგიათა შორის საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს, რასაც არაბი მილიონერების მიერ გამოყოფილი უზარმაზარი თანხები ხმარდება. დაუსაქმებელი ახალგაზრდა მამაკაცი ვაჰაბიტების ბანაკში მიდის, ფულს ღებულობს, სამაგიეროდ „ჯიჰადის“

ჯარისკაცი ხდება, მას სროლასა და აფეთქების ტექნიკას ასწავლიან, იდეოლოგიურად ამუშავებენ და „ურჯულოებზე“ გეშავენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არსებული აგრესიულად განწყობილი ისლამური ორგანიზაციების, ცალკეული პირებისა თუ აფხაზი სეპარატისტებისაგან ტერორიზმის საფრთხე არსებობს და იარსებებს.

მეორე რეგიონია ქვემო ქართლი, სადაც აზერბაიჯანული მოსახლეობა კომპაქტურადაა დასახლებული, ლაპარაკია გარდაბანზე, რუსთავზე, ბოლნისზე, მარნეულზე, წალკასა და ნინოწმინდაზე. აქ, ისევე როგორც მუსლიმებით დასახლებულ სხვა რაიონებში, ადრე არსებული მეჩეთი თუ სხვა ტიპის სალოცავი აღსდგა, თუ არ იყო, აშენდა. ბოლო 5 წლის განმავლობაში აღნიშნულ ტერიტორიებზე 12 მეჩეთი დაარსდა. ფუნქციონირებს მედრესეები, სადაც მუსლიმური რელიგიის საფუძვლები ისწავლება. მოსწავლეები ძირითადად სასკოლო ასაკის ბავშვები არიან. ეს იმის შედეგია, რომ ბოლო პერიოდში საგრძნობლად გააქტიურდა მეზობელი ისლამური ქვეყნების რელიგიური, სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურები, რომლებიც საქართველოში მცხოვრებ მუსულმანურ მოსახლეობაში ცდილობენ შემდგომში საკუთარი ინტერესების გატარებისა და განხორციელების მიზნით ძლიერი პლაცდარმი შექმნან. საქართველოს ტერიტორიაზე იკვეთება ისლამური რელიგიის ორი ძირითადი მიმართულების, შიიტურის და სუნიტურის ურთიერთდაპირისპირება და ფარული ბრძოლა საქართველოში გავლენის მოსაპოვებლად. ჩამოთვლილ რელიგიურ მიმდინარეობებს შიიტური ირანისა და სუნიტური თურქეთის სახელმწიფო სტრუქტურებიდან ძლიერი მხარდაჭერა აქვთ. მათი სპეცსამსახურები კი ცდილობენ საქართველოში ისლამური რელიგიის მიმდევართა შორის პროცესები მართონ და თავიანთი ზრახვების განხორციელებისთვის გამოიყენონ. ეს ზრახვები კი დამოკიდებული იქნება ამ ქვეყნების ხელისუფალთა დამოკიდებულებაზე საქართველოს ხელისუფლების მიმართ. პოლიტიკური ამოცანების ცვლილების შესაბამისად შეიცვლება მათგან მომავალი საშიშროების ტენდენციაც და მისი ზრდის შემთხვევაში ტერორისტული აქტების საფრთხეც გაჩნდება.[16-45-49]

შსს-ში არსებული მასალებით ირკვევა, რომ ირანელთა ხელშეწყობითა და რეკომენდაციებით შიიტური მედრესეების წარჩინებულ მოსწავლეებს აგზავნიან ირანში, ქ. ყომში, სადაც ისინი რელიგიურ სწავლებასთან ერთად სპეციალურ

სამხედრო მომზადებას გადიან – ეუფლებიან სადაზვერვო ინფორმაციების მოპოვების მეთოდებს, გარე მეთვალყურეობის ხერხებს და სწავლობენ რუსული წარმოების ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას. ყველა მათგანს ფსევდონიმი ენიჭება და შემდეგ საქართველოში ბრუნდება ან სწავლის გასაგრძელებლად ირანში რჩება. იქიდან დაბრუნებული პირი, ფაქტობრივად სპეცსამსახურის თანამშრომელია, რომელმაც მომავალში შეიძლება დამკვეთი ქვეყნის ნებისმიერი დავალება შეასრულოს – გაშალოს ტერორისტული საქმიანობა, ჩამოაყალიბოს ტერორისტული ჯგუფი, განახორციელოს ტერორისტული აქტი და ა.შ. ასე რომ, საფრთხეები არსებობს და სავარაუდოდ, იარსებებს.[15]

საქართველოში პროირანული შიიტური ძალების გააქტიურებამ და აზერბაიჯანულ მოსახლეობაზე მათი გავლენის გაფართოებამ თურქეთში რელიგიური წრეების შეშფოთება და მათი მხრიდან საპასუხო ნაბიჯების გადადგმა განაპირობა. თუ ადრე თურქეთი საქართველოს მაჰმადიან მოსახლეობას მხოლოდ ფინანსურ მხარდაჭერას უწევდა, ამჟამად შეიმჩნევა რელიგიური ემისრების გამოგზავნის ტენდენცია, რომელთა შორის თურქეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლებიც არიან. ისინი ცდილობენ ირანის გავლენა გაანეიტრალონ, შიიტური მოძრაობა შეასუსტონ და საქართველოში შექმნან მძლავრი სუნიტური სასულიერო ცენტრები, რომლებიც ასევე თურქეთის სახელმწიფო პოლიტიკას განახორციელებენ. ეს პოლიტიკა კი დამოკიდებული იქნება მმართველი წრეების ნებასა და ინტერესებზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისლამური რელიგიის მიმდევრებსა და ემისრებს ზემოხსენებული ქვეყნების სპეცსამსახურებთან მუდმივი და აქტიური კავშირები გააჩნიათ, ისინი წინასწარ შემუშავებული სტრატეგიითა და ტაქტიკით მოქმედებენ, მუშაობაში აბამენ როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო, არასამთავრობო ორგანიზაციებს. მათი ქმედებები საკუთარ სახელმწიფოთა პოლიტიკურ, სამხედრო მიზნებს ემორჩილება. აქედან გამომდინარე, ოპერატიულ მუშაობაში შეიძლება ყურადღება გავამახვილოთ იმ საფრთხეზე, რომელიც საქართველოში ქვემო ქართლის რეგიონიდან ტერორიზმის სახით შეიძლება გავრცელდეს. პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებულ ჩეჩენ „ბოევიკებს“ შორის იყვნენ ირანის, თურქეთის, აზერბაიჯანის მოქალაქეებიც. აქვე აღსანიშნავია აზერბაიჯანის ფაქტორიც, ამ ქვეყანასთან ჩვენი ტრადიციულად კარგი ურთიერთობის გამო აქ ჯერჯერობით რაიმე პრობლემის არსებობა არ შეინიშნება, მაგრამ გავიხსენოთ სხვა

პერიოდიც, კერძოდ, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლო, როდესაც იგივე მოსახლეობა სხვადასხვა, მათ შორის, ავტონომიის მოთხოვნითაც გამოდიოდა.

მესამე რეგიონი კახეთის მუსულმანური მოსახლეობით დასახლებული სოფლებია, სადაც აზერბაიჯანული და დაღესტნური (ავარული) მოსახლეობა ცხოვრობს. აზერბაიჯანულ სოფლებში მდგომარეობა ისეთივეა, როგორც ქვემო ქართლში. რაც შეეხება დაღესტნელებს, რომლებსაც ჩვენში ლეკებს უწოდებენ, ისინი დაღესტანში მიმდინარე პროცესების გავლენის ქვეშ იმყოფებიან. დაღესტანში კი ბოლო პერიოდში ვაჰაბიტურმა მოძრაობამ საკმაოდ მოიკიდა ფეხი. „ვაჰიბიტებს“ ძალზე ძლიერი პოზიციები აქვთ დედაქალაქ მახაჩკალაში და რესპუბლიკის სხვა რეგიონებშიც, რომლებიც ადგილობრივი ტრადიციული აღმსარებლობის (სუფიური საძმოების) წარმომადგენლებს უპირისპირდებიან და მათ შორის ხშირად შეიარაღებული შეტაკებებიც ხდება. დაღესტანი ეთნიკური თვალსაზრისით ყველაზე მრავალეროვანი და უღარიბესი რეგიონია რუსეთის ფედერაციაში, ამიტომ ისლამის გავრცელების პერსპექტივა აქ უფრო დიდია. მათ დაფინანსების ძლიერი წყაროები გააჩნიათ და წინასწარ ჩამოყალიბებული გეგმის მიხედვით მოქმედებენ. ვაჰაბიტების დახმარებით დაღესტნის სოფლებში არსებული თემების – ჯამაათების ნაწილი გასამხედროებულ ისლამურ თემებად გადაიქცა. მათი მიზანია დაღესტანში შარიათის სასამართლოების შემოღება და ჩეჩნეთთან ერთად ერთიანი ისლამური დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, რომლის საფუძველი იქნება არა ეთნოსი (როგორც ჩეჩნეთში), არამედ რელიგია. „ვაჰაბიტების“ მოწოდებით, ამ სახელმწიფოს დაცვა “ყველა დაღესტნელის ვალია“ – და სამწუხაროა ის, რომ კახეთის რეგიონის დაღესტნელებით დასახლებულ სოფლებში მათ უკვე ჰყავთ მიმდევრები, რომლებიც „ჯიჰადის“ რაზმების ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეობენ. ამრიგად, დაღესტანში არსებული არასტაბილური რელიგიური ვითარება საქართველოს ინტერესებს ნამდვილად არ შეესაბამება, უფრო მეტიც, ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს, ვინაიდან შეიძლება ტერორიზმის გავრცელება გამოიწვიოს. შესაძლებელია გავრცელდეს ისეთი დანაშაულები, როგორიცაა ადამიანთა გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით (ვაჰაბიტების შემოსავლის ერთ-ერთი წყარო), მძევლების აყვანა ხელისუფლებაზე ზეწოლის განხორციელებისთვის, რათა მიღწეულ იქნეს ეროვნული ან რელიგიური შეღავათები და ა.შ. [17 239-254]

მეოთხე – განსაკუთრებული რეგიონია პანკისის ხეობა ახმეტის რაიონში თავისი ქისტური მოსახლეობით. როგორც ცნობილია, აქ, ქისტების გარდა, ქართველები და ოსები ცხოვრობენ. ბოლო პერიოდამდე მათ შორის რაიმე გაუგებრობა არ შეიმჩნეოდა, ხალხი ცხოვრობდა მეგობრულად, რაიმე სერიოზული დაპირისპირება რელიგიური კუთხით თითქოს არ ფიქსირდებოდა, თუმცა, საბჭოთა ხელისუფლების პირობებშიც კი შეინიშნებოდა მუსულმანი ღვთისმსახურების ხშირი მიმოსვლა ჩეჩნეთსა და პანკისის ხეობას შორის. ალბათ, იყო ზოგიერთი წვრილმანი საკითხი, რომელთა არსებობაც თითქმის არ ფიქსირდებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო დროს წარმოჩენილი პრობლემები არცთუ ისე ახალია და ადრეც არსებობდა. როგორც მონაცემები მეტყველებენ, აქ რელიგიური, ოჯახური, სოფლური, თემობრივი, ფსიქოლოგიური, ზოგჯერ ეკონომიკური, ასაკობრივი და სხვა ფაქტორები მოქმედებდნენ. დღემდეა შემორჩენილი ე.წ. შარიათული და ადათური სამართალი. იგი მტკიცედაა დაკავშირებული რელიგიასთან, რაც გავლენას ახდენს ეროვნებათშორის ურთიერთობებზე, რადგან ისლამი, მისი იდეოლოგია და ყოფითი ნორმები, ისლამიზებული ადათები, თემობრივი სამართალი თუ სხვა გარემოებები გარკვეულ ბარიერს ქმნიან ამ მიმართულებით.

აქაური ვითარება თითქოს ბევრით არაფრით განსხვავდება საქართველოში სხვა მუსულმანურ რეგიონებში არსებული ვითარებისგან. აქაც თითქმის ყველა სოფელში აღსდგა სალოცავები, სადაც არ იყო, აშენდა, მაგრამ პანკისის ხეობაში ხაზი უნდა გაესვას მდგომარეობის იმ სიმძაფრეს, რაც ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე ამბებს მოჰყვა (ჩეჩნეთსა და ინგუშეთში განვითარებული პროცესები, რუსულ-ჩეჩნური ომი, ჩეჩენი ლტოლვილების შემოსვლა საქართველოში, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დაძაბვა და ა.შ.). ხეობაში ჩამოყალიბდა რელიგიურ მოძღვრებას ამოფარებული ახალგაზრდული დაჯგუფებები, რომლებიც კრიმინალურ საქმიანობას ეწევიან. მათთვის არაუცხოა ისეთი დანაშაულები, როგორიცაა ადამიანთა გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით, მძევალთა აყვანა ხელისუფლებაზე ზემოქმედებისთვის, ნარკობიზნესი, იარაღით ვაჭრობა და სხვა. ასევე თავი იჩინა დაპირისპირებებმა რელიგიურ ნიადაგზეც, ისლამის მიმდევრები და შეიარაღებული ჯგუფები ხშირად თავს ესხმოდნენ პანკისის ხეობაში დასახლებულ ქრისტიან ოს მოსახლეობას, ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ მათ ოჯახებს, უხოცავდნენ საქონელს, განსაკუთრებით კი ღორებს (ვითომდა „ურჯულოთა სიმბოლოს”), აიძულებდნენ, რომ დაეტოვებინათ საკუთარი სახლ-კარი და საცხოვრებლად

სხვაგან გადასულიყვნენ, რის შემდეგაც მათ სახლებს ჩალის ფასად ყიდულობდნენ. მუსლიმების მიერ გატარებული ასეთი პოლიტიკა შეიძლება იქ მაცხოვრებელ ქართველებზე და სხვა ქრისტიანებზეც გავრცელდეს, ეს კი ხეობაში დემოგრაფიული პრობლემების და ისლამური რაიონის ან ერთეულის ჩამოყალიბების საშიშროებას წარმოქმნის. ამას გარდა, შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ტერორიზმის გავრცელების კერაც, რომელიც საზიანო იქნება, როგორც საქართველოს ინტერესებისათვის, ასევე რუსულ-ქართული ურთიერთობებისთვისაც. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პანკისის ხეობაში დიდი დასაყრდენი ჰპოვა და ძალზე გავრცელდა ისეთი რელიგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობა, როგორიცაა „ვაჰაბიზმი“. მის გავრცელებას ხელს უწყობენ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა საუდის არაბეთი, სირია, პაკისტანი, ირანი და სხვა. მათი ემისრები 200-დან 400 ამერიკულ დოლარამდე უხდიან იმ ოჯახს, რომელიც „ვაჰაბიტურ“ რელიგიას მიიღებს და ადგილობრივ მუსულმან ქისტებში მის იდეებს გაავრცელებს. „ვაჰაბიზმის“ გავრცელებას ხელი შეუწყო ასევე „ვაჰაბიტი“ საველე მეთაურების შამილ ბასაევის, ხატაბის, აბდულ-მელიქის, რუსლან გელაევისა და სხვათა მოწოდებებმა ურჯულოთა წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლისა და საღვთო ომის „ჯიჰადის“ წარმოებისკენ. „ვაჰაბიტები“ ცდილობენ ერთიანი ისლამური სახელმწიფოს შექმნას, რომელიც გააერთიანებს ყველა მუსულმანს. ისინი იცხოვრებენ ისლამის კანონებით, რომლებიც ღმერთმა წინასწარმეტყველ მუჰამედის პირით დაადგინა.

ასეთმა რელიგიურმა მოძრაობამ თუ სექტამ საქართველოშიც, კერძოდ კი პანკისის ხეობაში შემოაბიჯა. „ვაჰაბიტების“ ინტერესების სფეროში საქართველოც არის მოქცეული, როგორც მთავარი დამრტყმელი ძალა და პლაცდარმი რუსეთის წინააღმდეგ. მისი ტერიტორია შავ ზღვაზე გასასვლელ აუცილებელი დერეფნად და ბაზების განსალაგებლად მოიაზრება. სპეციალისტების აზრით, ამ ამბებს შეიძლება ომი მოჰყვეს საქართველოში ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის, მითუმეტეს, რომ საქართველო თანამედროვე გეოპოლიტიკით პირდაპირ არის ჩართული საერთაშორისო სისტემის ერთ-ერთ ცხელ წერტილში. ამიტომ ოპერატიული მუშაობის პროცესში წარმოქმნილ საშიშროებას გააზრებული და დელიკატური ანალიზი, სათუთი და გონივრული მიდგომა სჭირდება.

ისლამის გავრცელების მეხუთე რეგიონია აჭარა, სადაც უმეტესად მუსულმანი ქართველები ცხოვრობენ. ბედის უკუღმართობამ, ისტორიულმა ქარტეხილებმა

აჭარის მოსახლეობა ამ რელიგიის მიმდევრად აქცია. ისლამი მყარად ჩაჯდა აქაური ხალხის ცხოვრებაში, ტრადიციებში, ადათ-წესებში.

მართალია, აჭარაში მტერმა ქართველი კაცის გადაგვარება, მისი ცნობიერების მთლიანი შეცვლა ვერ მოახერხა, მას მშობლიური ენა ვერ დაავიწყა, მაგრამ ისლამის დოგმების ერთგული მაინც გახადა.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა საბჭოთა იმპერიის საზღვრები ისე იყო ჩაკეტილი, რომ ჩიტსაც კი უჭირდა გადმოფრენა, თურქეთი მაინც ცდილობდა გარკვეული გავლენა მოეხდინა აჭარის მოსახლეობაზე. ახლა კი, როდესაც საზღვრები გაიხსნა და თურქეთთან გაცხოველებული ეკონომიკური, კულტურული და სხვა ტიპის ურთიერთობები გვაქვს, ამ კუთხით ფართო შესაძლებლობები გაიშალა. საქართველოში შემოსულ უამრავ სამრეწველო ნაწარმს და სასურსათო პროდუქტს ე.წ. „სულიერი ტვირთიც" შემოჰყვა. მხედველობაშია ის უამრავი რელიგიურ-ისლამური თუ პოლიტიკური ლიტერატურა, რომელიც საქართველოში სწორედ თურქეთიდან მოედინება. გარდა ამისა, შემოდის ისეთი ლიტერატურაც, რომელშიც დამახინჯებულადაა ასახული ჩვენი ისტორია, თანამედროვეობა, დემოგრაფიული მონაცემები, ხოლო აჭარლები სულაც ცალკე ეთნოსადაა გამოცხადებული.

ცნობილია, თურქი სეპარატისტი პოლიტიკოსები თურქეთის დიპლომატიის უდიდეს შეცდომად და მარცხად იმას თვლის, რომ რუსეთმა ამიერკავკასიაში შემოღწევა და მათი ქვეყნის სამოქმედო ასპარეზის მნიშვნელოვანი შეზღუდვა მოახერხა და ახლა, როდესაც თურქებს ამ დიდი შეცდომის გამოსწორების საშუალება მიეცათ, მეორედ იმავე შეცდომას აღარ გაიმეორებენ, ახალ შანსს ხელიდან აღარ გაუშვებენ. ამ საქმეში კი რელიგიას უაღრესად სერიოზული როლი ეკისრება.

ამჟამად აჭარაში სპეციალისტები 130 მეჩეთის არსებობას ვარაუდობენ. აღსანიშნავია ისიც, რომ სამლოცველოები გაიხსნა არა მარტო აჭარაში, არამედ ოზურგეთის რაიონში, იმ სოფლებში, სადაც აჭარლები არიან ჩამოსახლებულები.

საქართველოში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა რომ არ იყოს დარღვეული, რასაკვირველია, მსგავსი მოვლენები სულაც არ უნდა გვაწუხებდეს. უკლებლივ ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება ნებისმიერი, მისთვის მისაღები რწმენა და კონფესია აირჩიოს, მაგრამ ახლანდელ უმძიმეს ვითარებაში, როდესაც

საქართველოს ყველა მუშტრის თვალით უყურებს და მის ხელში ჩაგდებას თუ არა, უკეთეს შემთხვევაში, საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევას ლამობს, ხომ არ გახდება ახლადაღმოცენებული მაჰმადიანური სალოცავები ის სულიერი იარაღი სხვა სახელმწიფოს ხელში, რომელიც ჩვენი ქვეყნის ინტერესებს სერიოზულად შელახავს.

ეს არის უპირველესი საფიქრალი და საზრუნავი, გასათვალისწინებელი ოპერატიულ საქმიანობაში. ჩვენ უნდა ვიფიქროთ არა ისლამის წინააღმდეგ ომზე, არამედ იმ დოგმების გაბათილებაზე, რომლებითაც ტერორისტები თავიანთ ქმედებებს ამართლებენ. ძალისხმევა უნდა მივმართოთ აგრესიული ისლამის წინააღმდეგ, რომელიც ესწრაფვის დასავლეთთან კონფრონტაციას და სჯერა, რომ ისლამის ინტერპრეტაცია მსოფლიო ბატონობას მოაპოვებინებს.

აგრესიული ისლამი ეს არის ტოტალიტარული იდეოლოგია, რომელიც არ განასხვავებს მუსლიმებსა და არამუსლიმებს. მათი აგრესიული მოქმედება მიმართულია არა მხოლოდ დასავლეთის (ან, უფრო ზუსტად, ყველა არამუსულმანის) წინააღმდეგ, არამედ იმ მუსლიმთა წინააღმდეგაც, რომლებიც მათ ექსტრემისტულ შეხედულებებს არ იზიარებენ. აგრესიული ისლამი წარმოებულია ტრადიციული ისლამისგან. ის ანტიადამიანური, ანტითანამედროვე „ჯიჰადის“ მქადაგებელი ისლამის ყოვლად უმსგავსო ვერსიაა. ამ იდეოლოგიის მატარებელი რამოდენიმე მილიონი ადამიანი დღეისათვის მზადაა „წამებულის“ (შაჰიდის) გვირგვინის მოსაპოვებლად და „სამოთხეში“ “გასამგზავრებლად”. საბედნიეროდ, ისინი მუსლიმური სამყაროს მხოლოდ 10-15%-ს შეადგენენ და აქედან გამომდინარე, „აგრესიული ისლამის“ წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენში მუსლიმთა უმრავლესობის მხარდაჭერასა და აქტიურ მონაწილეობას უნდა დაეყრდნოს. კაცობრიობა წინ უნდა აღუდგეს არაბულ-მუსლიმური სამყაროს ძალისხმევას, დაგვაბრუნოს შუა საუკუნეების წყვდიადში, სადაც არსებობდა „ზვარაკად“ (მსხვერპლად) შეწირვის რელიგიური კულტი. მსხვერპლად შეწირვა, მათი გაგებით, იმ „საღვთო ომის“ ფორმაა, რომელშიც უდიდეს როლს თავად წამებულები ასრულებენ. როდესაც ჩვენ გავაცნობიერებთ, რომ ტერორიზმი - ეს არის მხოლოდ აგრესიული ისლამის მიმდევრების ტაქტიკა და რომ ეს ტაქტიკა მსხვერპლშეწირვის ისლამურ გაგებას უკავშირდება, მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ გავუმკლავდეთ უაღრესად საშიშ მტერს, რომელსაც უკვე ახლა მოეპოვება საშუალებები ათასობით თუ მილიონობით ქალის, ბავშვისა და მამაკაცის დასახოცად. რადიკალური ისლამის აგრესიული იდეოლოგია არ

ასხვავებს ვაშინგტონსა და პარიზს, ლონდონსა და რომს, მოსკოვსა და თბილისს და თუ ჩვენ ერთიანობის საჭიროებას არ ვცნობთ და ამ ერთიანობის სულისკვეთებით არ ვიმოქმედებთ, ამით საერთო მტერს მხოლოდ პოზიციებს განვუმტკიცებთ.

ისლამური რელიგიის მიმდევართა რიცხვმა მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში მილიარდს გადააჭარბა. გარდა ამისა, მუსულმანური თემები არსებობენ მსოფლიოს 120 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.[18-34]

მსოფლიო დესტაბილიზაციის გამომწვევ ერთ-ერთ უმთავრეს ძალად დღეს ისლამური რადიკალიზმი გვევლინება, რომელმაც ფაქტიურად მემარცხენე რადიკალოზმის ადგილი დაიკავა, თუმცა ამ ორ ძალას შორის უდიდესი განსხვავებაა თუნდაც იმაში, რომ ისლამი შეურიგებელია კომუნისტური დოქტრინისადმი ისევე, როგორც მარქსიზმისათვის მიუღებელია რელიგიური მსოფლმხედველობა.[22-7]

ისლამური რადიკალიზმს ზომიერი ისლამისგან რამოდენიმე ნიშანი ასხვავებს. ესენია:

- სამოქალაქო-საერო საზოგადოებისადმი შეურიგებლობა და ხალხის შარიათის კანონებით მართვისკენ სწრაფვა;

- დანარჩენ რელიგიებზე ისლამის უპირატესობის აღიარება და მის გავრცელებაზე ზრუნვა;

- საერთაშორისო სამართლის პრინციპების მიუღებლობა;

- ლეგალურთან ერთად, არაკანონიერი მეთოდების გამოყენება ხელისუფლების მოსაპოვებლად.

ისლამისტი ექსტრემისტების მოქმედებაზე პასუხისმგებლობას არ იღებს არცერთი ქვეყანა, თუნდაც საკუთარ ტერიტორიაზე. თუმცა მათ მფარველობენ ირანის, ლიბიის, სუდანის, სირიის, ერაყისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურები.

ისლამური ექსტრემიზმს ეწევიან არა სამთავრობო, არამედ კლერიკალურ-პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთა რიცხვიც 150-ს აღწევს. მათ შორის გამოიყოფა სამი ძირითადი მიმდინარეობა:

- სუნიტური ორგანიზაციები, რომლებიც საუდის არაბეთზე არიან ორიენტირებული;

- პროირანული, უპირატესად შიიტური ორგანიზაციები, რომლებიც ისლამური რევოლუციის პოზიციაზე დგანან (“ჰესბოლა”, “ალჯიჰადალ-ისლამი”);

- პოლესტინური (“ჰამასი” და სხვები), ქურთული და სხვა ნაციონალისტური და სეპარატისტული ტიპის დაჯგუფებები.

ხშირად ამბობენ, რომ აგრესიული ისლამის წინააღმდეგ ომი ეს არ არის ჩვენი ომი, ეს ამერიკის ან რუსეთის პრობლემაა. ჩვენ არავინ გვესხმის თავს და ტერორისტულ აქტებით მოსახლეობასაც არავინ დაგვიხოცავსო. არავინ იცის შემდგომში მოვლენები როგორ განვითარდება, კვლავ იქნება თუ არა საქართველო „ტერორისტული ტაქტიკის“ ობიექტი, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მდებარეობას მსოფლიოს რუკაზე, ისლამური ქვეყნების გარემოცვას, პანკისის ხეობას, რომლის მოწყვეტასაც ერთი პერიოდი არაბული სამყაროს ისლამისტები ჩეჩენი „ვაჰაბიტების“ გამოყენებით ცდილობდნენ. [16-19-34]

- 2002 – 2003 წლებში პანკისის ხეობაში განხორციელებული ანტიტერორისტული ღონისძიებების შემდგომ, მას შემდეგ, რაც ჩეჩნურმა შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა დატოვეს საქართველოს ტერიტორია, მათ მიერ საქართველო აქტიურად გამოიყენებოდა როგორც სატრანზიტო ქვეყანა. თითქმის ყველა მიმართულებით უპრობლემოდ ხდებოდა საზღვრის გადაკვეთა ცოცხალი ძალისა და საბრძოლო მასალების გადასატანად.

- 2004 წლის ზაფხულში, ჩვენთან არსებული მონაცემების მიხედვით შედგენილ იქნა იმ მარშრუტების სქემა, რომლებიც გამოიყენებოდა საერთაშორისო ტერორისტული ქსელის (ალ-ქაიდას) და ჩეჩნური ე.წ. ოპოზიციის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ცოცხალი ძალის, თანხების, აღჭურვილობის, მომწავლავი ნივთიერებების და ასაფეთქებელი მოწყობილობების გადასატანად.

- “ბოევიკთა” არალეგალური მიგრაციის არხის კონტროლის შედეგად კონტრტერორისტული ცენტრის მიერ „ФСБ" - სთან (რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახური) ერთად ლიკვიდირებულ იქნა ორი “ბოევიკი”: ისხაბოვი ისა, დაბ. 1978წ. დაღესტნის რესპუბლიკის ხასავიურტის რაიონის სოფ.

ბოტაშ-იურტში და დაუდოვი ალაშ, დაბ. 1960წ. ტერორისტი, ჯამაათ „ამანათის“ წევრი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ქიმიური ნივთიერებების გამოყენებით ტერაქტების მოწყობაზე.

- საყურადღებოა საზღვრის ზოგიერთი მონაკვეთი, მათ შორის:

- **ვახტანგისი** რომელიც გამოიყენება საქართველო–აზერბაიჯანის საზღვარზე საბრძოლო მასალებისა და ცოცხალი ძალის არალეგალურად გადაყვანა-გადატანისათვის. აღნიშნულ საქმიანობას ეწეოდნენ: ამჟამად ლიკვიდირებული ვახტანგ შირვანას ძე მარგოშვილი – ომარ მარგოშვილის ძმა, აქტიური ვაჰაბიტი, ჯამაათის ლიდერი. სოფ. ვახტანგისიდან საქართველო–აზერბაიჯანის საზღვარზე გადაჰქონდა 3200 ერთეული ელექტროდეტონატორი, 141 დისტანციური მართვის მოწყობილობა სიხშირეების ინსტრუქციით, 180 ლუგერის ვაზნა, „ფ“-1 ტიპის ხელყუმბარა. ღონისძიების შედეგად აღკვეთილ იქნა საზღვრის უკანონო გადაკვეთის მცდელობა და ამოღებულ იქნა ზემოხსენებული საბრძოლო მასალები.

- დაკავებულია რამზან შამსუდინის ძე აიდაევი (ცალთვალა რიზვანი) ეროვნებით ჩეჩენი. ეწეოდა საზღვრის აღნიშნული მონაკვეთის გამოყენებით საქართველოში დაქირავებული მებრძოლებისა და მათთვის განკუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღის ტრანსპორტირებას. იგი დააკავეს ქ. თბილისში და მის წინააღმდეგ დაიწყო სისხლისსამართლის დევნა და წინასწარი გამიძიება, ს.ს. საქმე №041309.

- **ერისიმედი -** საზღვრის მითითებული მონაკვეთი გამოიყენებოდა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით აკრძალული ისლამური ლიტერატურის შემოტანისთვის და საცალფეხო ბილიკებით ჩეჩნების საქართველოში შემოსაყვანად. აღნიშნულს ორგანიზებას უწევდა:

- ამჟამად დაკავებული ოთარ რამაზის ძე ხანგოშვილი, იგივე ზალიკო გაურგაშვილი, ეროვნებით ქისტი, მცხოვრები სიღნაღის რაიონში, სოფ. ერისიმედში. მას წლების განმავლობაში გადაჰყავდა ჩეჩნები და არაბები საცალფეხო ბილიკებით. ჩხრეკისას მისი საცხოვრებელი სახლიდან ამოიღეს ჩეჩენი და არაბი ბოევიკების მიერ დატოვებული ცეცხლსასროლი იარაღი.

- **დარიალი** – საზღვრის ეს მონაკვეთი გამოიყენებოდა ცეცხლსასროლი იარაღისა და მომწამლავი ნივთიერებების გადატანისთვის. კონკრეტულ საქმიანობას ეწეოდნენ შემდეგი პირები:

  – ამჟამად დაკავებული ვახტანგ შუბინის ძე სუჯაშვილი, მცხოვრები ყაზბეგის რაიონში, სოფ. გერგეთში. ის ჩეჩნებს მეგზურობას უწევდა და საზღვრის არალეგალურად გადაკვეთაში ეხმარებოდა. სგპ დარიალის მესაზღვრეებთან ახლო ურთიერთობების და მეგობრული კავშირების გამოყენებით იგი ეწეოდა ტვირთების არალეგალურ გადაზიდვას. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე იგი დააკავეს სგპ „დარიალი“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე 6 ცალი სტეჩკინის სისტემის ც/ს იარაღის რუსეთის ფედერაციაში გადატანის მცდელობის ფაქტზე. ხოლო მისი საცხოვრებელი სახლიდან ამოიღეს 6.4 კგ. ასაფეთქებელი ნივთიერება – ტროტილი. გაურკვეველ ვითარებაში სუჯაშვილმა საპროცესო გარიგებას მიაღწია.

  – ამჟამად დაკავებული თემურ (თამაზ) ყიბილას ძე წინწალაშვილი, მცხოვრები თბილისში კუტუზოვის ქ.№6, ბ.12, ეროვნებით ქისტი, ახლო კავშირი აქვს პანკისის ჯამაათის ლიდერებთან. შემჩნეული იყო ადამიანთა გატაცებაში, იარაღით ვაჭრობასა და ნარკოტიკების გასაღებაში. 2004 წლის 8 დეკემბერს ცდილობდა ციანიდის ჯგუფის ძლერი მომწამვლელი ნივთიერების რუსეთის ტერიტორიაზე გადატანას. აღნიშნული მცდელობა აღკვეთილ იქნა ს.გ.პ. დარიალის მიმდებარე ტერიტორიაზე. შედეგად დაკავებული იქნა თ. წინწალაშვილი და იძებნება მისი თანამონაწილე ვახა ხამიდის ძე უმაროვი.

- **როკის უღელტეხილი** – საზღვრის მითითებული მონაკვეთი გამოიყენება კონტრაბანდული ტვირთების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსატანად. დაფიქსირებულია არაერთი შემთხვევა, როდესაც კონტრაბანდისტები ახერხებენ რუსეთის სამშვიდობო ძალების სამხედრო მოსამსახურეებში თანამოაზრეებისა და კავშირების გამოძებნას, რომლებიც მათ კონტრაბანდული ტვირთების არალეგალურად შემოტანაში ეხმარებიან. მსგავს ფაქტზე 2006 წლის 4 დეკემბერს კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა დააკავეს რუსი სამშვიდობო ძალების კუთვნილი ა/მ კამაზი რომელსაც მართავდნენ ჩრდ. ოსეთის სამშვიდობო ბატალიონის რიგითი და სერჟანტი. მათ დავალებული ჰქონდათ ტვირთის სოფ. ტირძნისამდე ტრანსპორტირება, რაც საქართველოს სამართალდამცავების მიერ იქნა აღკვეთილი.

- 2005 – 2007 წლის განმავლობაში კონტრტერორისტული ცენტრის მიერ საქართველოს საზღვარზე უკანონო მიგრაციასთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შედეგად გამოვლენილ იქნა სასაზღვრო წესების დამრღვევი 50 პირი. მათგან 7 – იუსტიციის სამინისტროს ბრძანების თანახმად დეპორტირებულ იქნა სავიზო რეჟიმის დარღვევისთვის, 5 – დაკავებულია ყალბი დოკუმენტების გამოყენებით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის მცდელობისთვის, რაზედაც აღძრულია ს.ს. საქმეები, 8 – დაკავებულია სასაზღვრო-გამშვები პუნქტების გვერდის ავლით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთისთვის, 8 – დაკავებულია საქართველოში სავიზო რეჟიმის დარღვევით ყოფნისთვის, 21 – დაკავებულია საქართველოს საზღვრის არალეგალურად და სავიზო რეჟიმის დარღვევით გადაკვეთისთვის, ერთი – სახმელეთო საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთისა და ყალბი დოკუმენტების დამზადებისათვის, აღძრულია ს.ს. საქმე.

- ვაგიფ ნეიმატ ოღლი გადიმოვი, დაბ. 09.08.1952. მცხ. ქ.მარნეულში, აზი ასლანოვის ქ.№4; აზერბაიჯანიდან საქართველოში პერიოდულად შემოჰყავდა ირანელების ჯგუფები, რომლებიც აზერბაიჯანის საზღვრის გადმოკვეთისთანავე ანადგურებდნენ ირანის მოქალაქის პასპორტებს და მესაზღვრეების დახმარებით უკანონოდ შემოდიოდნენ საქართველოში. 2005 წლის 21 სექტემბერს საქართველოს შსს კონტრტერორისტულ ცენტრში აღიძრა ს.ს. საქმე, საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის გამო.

- საზჰეიკილა აბუ ბაქრი დაბ. 14.07.1978წ. ფინეთის მოქალაქე. 2006 წლის 28 აგვისტოს საქართველო-რუსეთის საზღვრის ყაზბეგის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე დაკავებულ იქნა რუსეთის ტერიტორიაზე გადასვლის მცდელობისას. ჩხრეკისას მას აღმოაჩნდა ამუნიციის სრული კომპლექტაცია. გადაწყვეტილება, შეერთებოდა ჩეჩენ მებრძოლებს მიიღო 2006 წლის გაზაფხულზე. საქართველოში ჩამოფრინდა რიგა-თბილისის ავიარეისით. მის მიმართ კტც-ში აღიძრა სს საქმე გათვალისწინებული საქართველოს სს კოდექსის 344-ე და 362-ე მუხლების I ნაწილებით საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთისა და ყალბი დოკუმენტების დამზადება-გასაღების ფაქტზე.

პანკისის ხეობაში ჩატარებული ღონისძიებები:

- 2004 წლის ზაფხულში პანკისის ხეობაში თავდაცვის სამინისტროსთან ერთად დაიგეგმა და განხორციელდა ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება, რომლის დროსაც მოხდა მთიანი მასივების დათვალიერება, შემოწმდა ხეობაში მცხოვრები ჩეჩენი ეროვნების თითქმის ყველა პირი და მათი საცხოვრებელი ადგილები. პარალერულად, სპეცდანიშნულების რაზმებთან ერთად, მთებში მარშრუტირებულ იქნა წყაროთა მაქსიმალური რაოდენობა.

- 2004 წლის აგვისტოში პანკისის ხეობაში ჩატარდა ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება, რომლის დროსაც გადამოწმდა აქტიური ვაჰაბიტების 15 საცხოვრებელი სახლი, რომლის დროსაც სოფ. დუისში მცხოვრები ალიკო იოსების ძე ბორჩაშვილის სახლიდან ამოიღეს დიდი ოდენობით რადიკალურ ისლამური ლიტერატურა და ტერაქტების ამსახველი ვიდეო მასალა; ასევე სალმან გელაევის სახლიდან ამოიღეს "TT" სისტემის ც/იარაღი. აღნიშნული შემდგომში გამოიყენეს ხეობაში ოპერატიული ვითარების კონტროლისათვის.

- 2004 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში კონტრტერორისტულმა ცენტრმა აღმოაჩინა ახმეტის რაიონის სოფ. წინუბანის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩეჩენი ბოევიკების მიერ სპეციალურად მოწყობილ სამალავში ჩამარხული დიდი რაოდენობით ცეცლსასროლი იარაღი, ფეთქებადი ნივთიერებები და საბრძოლო მასალა.

- 2005 წლის 12 აპრილს ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურში არჩილ ჯაშაშვილის საცხოვრებელ სახლში აღმოაჩინეს 70 ყუთი ე.წ. „ცინკი“ ტყვიამფრქვევის 50000 ცალი საბრძოლო ვაზნით, რომლებიც მოიტაცეს თელავში დისლოცირებული კომანდოს ბატალიონიდან და პანკისის ხეობაში ჯამაათის წევრებისთვის უნდა გადაეგზავნათ. აღნიშნულ ფაქტზე არსებული მასალები გადაეცა თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, ხოლო ამოღებული საბრძოლო მასალები – შესაბამისი აქტით თელავში დისლოცირებულ კომანდოსის ბატალიონს.

- 2005 წლის 3 ივლისს შ.ს.ს-ს მიერ ჩატარებული ავთო (ძებნილი) და ვახტანგ გუმაშვილების დაკავების სპეცოპერაციის დროს,

კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა სოდ-თან ერთად, დააკავეს ქისტი ეროვნების ის აქტიური პირები, რომლებიც დაკავების ღონისძიებაში მონაწილე თანამშრომლებს უწევდნენ წინააღმდეგობას და მოსახლეობას შეიარაღებული დაპირისპირებისაკენ მოუწოდებდნენ. 7 მათგანზე აღიძრა სს საქმეები.

- 2005 წლის 7 ივლისს განხორციელებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ქ. თბილისში სასტუმრო „აჭარის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების უკანონო ტარების ფაქტზე დააკავეს თამაზ ცათიაშვილი (ბათირაშვილი) – ახმეტის რაიონის სოფ. ბირკიანში მცხოვრები ჯამაათის ლიდერი. მას აღმოაჩნდა „გლოკის“ სისტემის პისტოლეტი ორი მჭიდით და 6 ვაზნით, აგრეთვე „ф-1“ ტიპის ხელყუმბარა. აღნიშნული იარაღი ცათიაშვილს მისცა აქტიურმა ვაჰაბიტმა ზურა ხანგოშვილმა თურქეთის მოქალაქე მეჰმედ ოსკაიასათვის გადასაცემად შემდგომში თურქეთში გადატანის მიზნით.

- კტც-ს მიერ მუდმივად კონტროლდება 30-ზე მეტი კერძო ტაქსის მძღოლი, რომლებიც პერიოდულად ახორციელებენ არალეგალთა ტრანსპორტირებას საქართველოს საზღვრებს გარეთ და პირიქით. აღნიშნულ კონტიგენტში გადმობირებულია 5 საიდუმლო პირი, ხოლო დანარჩენზე მიმდინარეობს მუდმივი ოპერატიული კონტროლი.

- 2004-2005 წლებში დააკავეს 12 ჩეჩენი ეროვნების პირი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის, რაზედაც აღიძრა სს საქმეები.

- დაკავებულია ვასილ ვალერიანის ძე ნორაკიძე, დაბ. 15.02.1967 წ., რომელმაც გმირთა მოედანზე აფხაზეთის ომში დაღუპულთა მემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელში განახორციელა აფეთქება. აფეთქების ადგილზე აღმოაჩინეს წერილი, რომლის მიხედვითაც იგი 50000 აშშ დოლარის გადაუხდელობის შემთხვევაში იმუქრებოდა აფეთქებების სერიის გაგრძელებით მასობრივი თავშეყრის ადგილებში, კონკრეტულად, 2004 წლის 21 ოქტომბერს თბილისის ლოკომოტივის სტადიონზე გამართულ საერთაშორისო საფეხბურთო მატჩის დროს.

- გამოძიებულია 2005 10 მაისს აშშ-ის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის თავისუფლების მოედანზე სიტყვით გამოსვლის დროს განხორციელებული ტერაქტი და დაკავებულია დანაშაულის ჩამდენი პირი ვლადიმერ ვლადიმერის ძე არუთინიანი. შეეფარდა წინასწარი პატიმრობა. (იხ.ცნობა დანართის სახით)

- 2009 წელს 6 და 13 მარტს ავლაბრის დასახლებაში მცხოვრები ამერიკელი დიპლომატების საცხოვრებელ სახლებთან ასაფეთქებელი მულიაჟების აღმოჩენის ფაქტებთან დაკავშირებით დაიწყო წინასწარი გამოძიება, გათვალისაწინებული სსკ-ის 239-ე მუხლის I ნაწილით. კტც-სა და აშშ-ს მიერ გატარებული ერთობლივი ღონისძიებების შედეგად დაადგინეს დაშინების აქტის განმახორციელებელი პირის ვინაობა.
- 2006 წლის ივნისის შუა რიცხვებში კონტრტერორისტულმა ცენტრმა სოფ. ბარისახოში აღმოაჩინა სპეციალურად მოწყობილ სამალავში ჩამარხული დიდი რაოდენობით მსხვილკალიბრიანი საბრძოლო მასალა.
- 2006 წლის მარტში მიღებულ იქნა ინფორმაცია, რომ ბაქო-სუფსის ნავთობსადენიდან ხდებოდა ნავთობის დატაცება, რის გამოც დაახლოებით 2 მილიონამდე ა.შ.შ. დოლარით ზარალდებოდა ნავთობის საერთაშორისო კომპანია „ ღIთIშ თღ I “-ი. კონტრტერორისტული ცენტრის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად მცხეთის რაიონის სოფ. მუხრანის ახლოს მდებარე ტყეში აღმოჩნდა და განადგურდა ნავთობსადენის ცენტრალურ მაგისტრალზე მიერთებული მილი, საიდანაც ხდებოდა ნავთობის დიდი ოდენობით დატაცება. შემოწმებულ იქნა საქართველოში არსებული ყველა ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. ამჟამად კონტრტერორისტული ცენტრის მითითებით კონტროლდება ყველა ნავთობგადამამუშავებელი ობიექტის საქმიანობა და ნავთობპროდუქტების გადამზიდი ავტოსატრანსპორტო საშუალებები. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად ნულამდე იქნა დაყვანილი ნავთობის დანაკარგი.
- დაკავებულია უშიშროების სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი, პანტელეიმონ გიორგაძის კომუნისტური პარტიის წევრი, ალექსანდრე თამაზის ძე ჭუმბურიძე, რომელიც 2006 წლის 8 სექტემბერს აპირებდა ნაციონალური მოძრაობის ერთერთი ოფისის აფეთქებას. დაკავებისას მას აღმოაჩნდა 400 გრამი ტროტილი და თვითნაკეთი ასაფეთქებელი ნივთიერება სითხის სახით. ა. ჭუმბურიძე უშიშროების სამინისტროში მუშაობდა იგორ გიორგაძის მინისტრად

ყოფნის დროს, იყო სპეცრაზმ „ალფას“ წევრი. მის მიმართ აღიძრა ს.ს.საქმე №061955 ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენის, შენახვისა და ტარების ფაქტზე, (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I და II ნაწილები-ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე). ა. ჭუმბურიძეს შეეფარდა წინასწარი პატიმრობა ორი თვის ვადით და გადაეცა სასმართლოში საბოლოო განაჩენის გამოტანისათვის.

- 2007 წლის 6 თებერვალს მიღებული ოპერატიული ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქე, ე.წ. „მხედრიონის" ყოფილი წევრი ვახტანგ მიხეილის ძე ხუნდაძე, დაბ. 1949წ. მცხ. წყნეთში, ზონა „ა", 24-ე სახლი, ბინა 2, უკანონოდ ინახავდა დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლ იარაღს, ტყვია-წამალსა და ასაფეთქებელ ნივთიერებებს. საგამოძიებო ღონისძიების შედეგად მისი საცხოვრებელი ბინიდან ამოიღეს: 5 ერთეული თოფი (მათგან 4 – ხრახნილლულიანი), 1 „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი, 1 - „ტ-1“ ტიპის ხელყუმბარა, ათას ცალზე მეტი ავტომატისა და ტყვიამფრქვევის ტყვია, დიდი ოდენობით ვერცხლისწყალი, ჯავშანჟილეტი. ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე № 071994, დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I და II ნაწილები - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.
- 2007წ. 29 ივნისს ქ. თბილისში რადიოაქტიური ნივთიერებების უკანონო შეძენის, შენახვის, გადაზიდვისა და ფლობის ფაქტზე დააკავეს რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ეროვნებით ოსი ზაურბეკ ვლადიმერის ძე ბოლოთაევი და საქართველოს მოქალაქე ბორის ივანეს ძე ბედოშვილი. აღნიშნული პირებისგან ამოღებულ იქნა რადიოაქტიური ნივთიერება – რადიონუკლიდი 241 (ამერიციუმი). მათ მიმართ დაიწყო წინასწარი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა ს.ს.ს.კოდექსის 230-ე მუხლის I ნაწილით, 353 მუხლის I ნაწილით, 236 მუხლის I ნაწილით (ცეცხლსასროლ იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა). ს.ს.საქმესთან დაკავშირებით, ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში გამოიკვლიეს იქნა დაკავებულები პირებისგან ამოღებული რადიოაქტიური ნივთიერება ამერიციუმ (მ - 241), რის შედეგადაც დადგინდა, რომ (მ - 241) განეკუთვნება ძლიერ ტოქსიკურ რადიოაქტიურ ნივთიერებათა ჯგუფს და წარმოადგენს გამოსხივების ძლიერ წყაროს. კვლევისას გაირკვა, რომ ნივთმტკიცების ზედაპირზე ალფა გამოსხივების ინტენსივობა არის 72000 ნაწილაკი/სმ^2 რაც რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურების დასაშვებ

დონეს 14400 – ჯერ აღემატება. (მ - 241) საშიშია გარშემომყოფი პირების ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის.

- 2007წ. 12 ივლისს კონტრტერორისტულ ცენტრში შემოსული ოპერატიული ინფორმაციის გადამოწმების შედეგად ახმეტის რაიონის სოფ. ქვემო ხალაწანში მცხოვრები საქართველოში ლტოლვილის სტატუსის მქონე რუსეთის ფედერაციის მოქალაქის, ეროვნებით ჩეჩნის, მოვსარ ტაშუევის საცხოვრებელი სახლის ეზოში სათავსოებიდან ჩხრეკისას ამოიღეს დიდი ოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი და ტყვია-წამალი: კალაშნიკოვის სისტემის 6 ცალი ავტომატი, 4 ცალი კონდახი, 2 ცალი შაშხანის ტიპის ც/ს იარაღი, 29 ცალი მჭიდი, АКМ-ის ტიპის 170 ცალი ვაზნა, 2 ცალი ყუმბარმტყორცნი, 4 ცალი ჭურვი, 8 ცალი კაფსულ-დეტონატორი, 11 ცალი განმტვირთავი ჟილეტი, 4 კომპლექტი სამხედრო ფორმა, 22 ცალი ნიღაბი, 4 ცალი რადიოგადამცემი. კტც-ში დაიწყო წინასწარი გამოძიება №098072034 სისხლის სამართლის საქმეზე ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე (სსკ-ს 236-ე მუხლის პირველი ნაწილი).
- მიმდინარე წლის 20 სექტემბერს კონტრტერორისტულ ცენტრში შემოვიდა ოპერატიული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან, კერძოდ, ქალაქ ტყვარჩელის მხრიდან ტყიანი მასივების გავლით შემოსული იყო სპეციალური სადაზვერვო ჯგუფი 14 კაცის შემადგენლობით, რომლის მიზანს წარმოადგენდა ჭუბერი-კოდორის ხეობის მიმართულებით მშენებარე ახალი საავტომობილო გზის შესწავლა და დივერსიული აქტების მოწყობა. საქართველოს შ.ს.ს. კონტრტერორისტულ ცენტრის და სამინისტროს შესაბამისი სპეც-დანაყოფის ერთობლივი ღონისძიების შედეგად მესტიის რაიონის სოფელ იდლიანის მიმდებარე ტერიტორიაზე დაკავებული იქნა შეიარაღებული დივერსიული ჯგუფი. ოპერაციის შედეგად ლიკვიდირებულია ორი და დაკავებულია შვიდი პირი. ამოღებულია 8 ერთეული АК -74 კალაშნიკოვის სისტემის ავტომატი ყუმბარმტყორცნით, 1 ერთეული კალაშნიკოვის სისტემის ტყვიამფრქვევი, 5 ერთეული ერთჯერადი რეაქტიური ყუმბარმტყორცნი ე.წ. „მუხა" და 15 ერთეული სხვადასხვა ტიპის ხელყუმბარა.
- 2007 წლის 14 ნოემბერს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე შსს-ს კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა თელავის რაიონის სოფ. კონდოლში მცხოვრები რამაზ გივის ძე ღვარძელაშვილის, დაბ. 11.05.1969, ბინის ჩხრეკისას ამოიღეს საბრძოლო მასალა და ასაფეთქებელი მოწყობილობები.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მის მიმართ დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №098072064 საქმეზე, საბრძოლო მასალისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენისა და შენახვის ფაქტზე (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I ნაწილით).

- საქართველოს შ.ს.ს. კონტრტერორისტული ცენტრისა და სამინისტროს შესაბამისი სპეც-დანაყოფის ერთობლივი ღონისძიების შედეგად მესტიის რაიონის სოფელ იდლიანის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს შეიარაღებული დივერსიული ჯგუფი. ოპერაციის შედეგად ლიკვიდირებულია ორი და დაკავებულია შვიდი პირი. ამოღებულია 74 კალაშნიკოვის სისტემის ავტომატი ყუმბარმტყორცნით, 1 ერთეული კალაშნიკოვის სისტემის ტყვიამფრქვევი, 5 ერთეული ერთჯერადი რეაქტიური ყუმბარმტყორცნი, ე.წ. „მუხა" და 15 ერთეული სხვადასხვა ტიპის ხელყუმბარა.
- 2008 წლის 28 იანვარს კტც-ის თანამშრომლებმა ბახტრიონის ქუჩაზე არსებულ სასტუმრო „იბერია ინის" მიმდებარე ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება-შენახვისათვის დააკავეს ვახტანგ ქართლოსის ძე კვესაძე, დაბ. 03.06.1965წ. ჩხრეკისას ამოიღეს მაკაროვის სისტემის პისტოლეტი 1 მჭიდით და 8 ცალი საბრძოლო ვაზნით. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო წინასწარი გამოძიება სს №098080003 საქმეზე სსკ-ის 236-ე მუხლის I და II ნაწილითა(ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.) და 353-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების მიხედვით.(ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.) 2008 წლის 30 იანვარს ვ. კვესაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა 2 თვის ვადით.
- კტც-ში ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ტერორისტული ორგანიზაციის, "კონგრა–გელის" საქართველოს ფილიალის – ქურთთა საერთაშორისო საინფორმაციო კულტურული ცენტრის ოპერატიული კონტროლი. გატარებილი აგენტურული და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ორგანიზაციის აქტივობა მინიმუმამდეა დაყვანილი. აღნიშნული კუთხით აქტიურად ვთანამშრომლობთ ამერიკელ კოლეგებთან.

○ ასევე კტც-ში 2005 წლის დასაწყისიდან ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ირანის პრობლემა. აღნიშნული კუთხით ოპერატიულ კონტროლზეა აყვანილი 6 მთავარი ისლამური ორგანიზაცია. ამ მიმართულებით გადმობირებულია 6 ოპერატიული წყარო, რომელთა

საშუალებითაც ხორციელდება საქართველოში მოღვაწე ირანელი რელიგიური ემისრებისა და მათ მიერ დაარსებული რადიკალური ისლამური ორგანიზაციების საქმიანობის კონტროლი. ერთერთი ასეთი ორგანიზაციაა სამეცნიერო საზოგადოებრივი ცენტრი „იმანი“ ჰამიდ ვაჰიდ ზადეს ხელმძღვანელობით. აღნიშნული ორგანიზაციიდან ინტერნეტის საშუალებით ხდება ინფორმაციის გადაცემა ირანში საქართველოში რელიგიური კუთხით მიმდინარე პროცესებისა და სხვადასხვა რეგიონში კომპაქტურად დასახლებული მუსულმანური აღმსარებლობის მქონე მოსახლეობაში არსებული ვითარების შესახებ, ორგანიზაცია ასევე უშვებს ყოველთვიურ უფასო გაზეთს სახელწოდებით „იმანი“. აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენლები საქართველოში მცხოვრებ მუსულმანებს მოუწოდებენ კონსოლიდაციისაკენ ისლამური პრინციპისა და ირანის უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

- ასევე საყურადღებოა თბილისის პოლიტიკური აკადემია (ფილოსოფიის ფაკულტეტი), რომელსაც კოორდინაციას უწევს ირანის მოქალაქე ალი მოდაბერ ჩაჰარბორდი. იგი აკადემიაში ასწავლის სპარსულ ენას და რადიკალური ისლამის პროპაგანდითაა დაკავებული. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურ აკადემიაში ჩამოყალიბდა ე.წ ირანისტიკის ოთახი, რომელიც აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკითა და სასწავლო ინვენტარით. ა. მოდაბერი აკადემიაში არჩევს პერსპექტიულ ახალგაზრდებს შემდგომში ირანის ფუნდამენტურ ისლამურ სასწავლებლებში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მათი გაგზავნისათვის.

საქართველოში მოქმედი სხვა ისლამური ორგანიზაციებია:

- „ალულბეითი“, ფაიგ ნაბიევის ხელმძღვანელობით. ორგანიზაცია აქტიურად ეწევა შიიზმის პროპაგანდას. საყურადღებოა, რომ იგი 1990 წელს აიათოლა ალი ჰომეინის მიერ დაარსებული ორგანიზაციის – „საერთაშორისო აჰლ ალ-ბაითის “ ფილიალია. „საერთაშორისო აჰლ ალ-ბაითი“ ირანის საზღვრებს გარეთ მოქმედი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურულ-პროპაგანდისტური ორგანიზაციაა.
- “აჰლი-ბეითი”, რომელსაც რასიმ მამედოვი ხელმძღვანელობს, ირანის მხრიდან მას კურირებს ალი მოდაბერ ჩაჰარბორდი. აღნიშნული ორგანიზაცია გამოირჩევა განსაკუთრებული აქტიურობით შიიზმის პროპაგანდის საქმეში, თვეში ერთხელ უშვებს ჟურნალს, რომელიც ასევე ემსახურება შიიზმის პოპულარიზაციას.

- II ქესალოში არსებული ისლამური ცენტრი, ემინ შექერჯის ხელმძღვანელობით. მარნეულის რ-ნის სოფ. II ქესალოში არსებული სუნიტური სასულიერო სასწავლებლისა და მეჩეთის დაფინანსება ხორციელდება თურქეთიდან და ნაწილობრივ აზერბაიჯანიდან. ზემოაღნიშნულ მეჩეთში იმართება მუსულმანური ნათლობები (ხშირია პანკისიდან ჩამოყვანილი მოსახლეობის ნათლობის ფაქტები). სასწავლებელში ხორციელდება ახალგაზრდების შერჩევა შემდგომში საუდის არაბეთის ვაჰაბიტური მიმდინარეობის სასწავლებელში მათი გაგზავნისათვის.
- ზემო ვეძისში არსებული სასულიერო სასწავლებელი, რომელსაც თენგიზ ალახვერდოვი უწევს ხელმძღვანელობას. იგი ამავე დროს თურქეთის რესპუბლიკაში მოქმედი ისლამური ფუნდამენტალისტური სექტის – ნურჯუ თარიქათის ხელმძღვანელია. მას ახლო ურთიერთობები აქვს სოხუმში მცხოვრებ, ეროვნებით ჩეჩენ, ვაჰაბიტური აღმსარებლობის მქონე და აფხაზეთში მოღვაწე გავლენიან პირებთან, ასევე საეჭვო კავშირები გააჩნია იორდანიაში. მის მიერ დაარსებულ სასწავლებელში (ზემო ვეძისი, აჭარა) ხორციელდება ახალგაზრდების შერჩევა საუდის არაბეთის ვაჰაბიტური მიმდინარეობის სასწავლებელში გასაგზავნად. ალახვერდოვი ქვეყნის მასშტაბით ამარაგებს სუნიტური მიმდინარეობის საფარქვეშ მოქმედი რადიკალური ისლამური სექტის ნურსიზტული მიმდინარეობის სასულიერო დაწესებულებებს. საყურადღებოა, ის გარემოება, რომ განათლების სამინისტროსა და სხვა ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლებთან ურთიერთ კოორდინირებულად ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები ზემოაღნიშნული ორგანიზაციების და სასულიერო დაწესებულებების საქმიანობის კანონიერად შეზღუდვის მიზნით:
- აღკვეთილია დიდი ბრიტანეთის მოქალაქეების გუსეინ ალკაფისა და ჯავედ მაქფუზურ რაჰმანის მიერ თურქეთის მოქალაქის დახმარებით საქართველოში მძლავრი ისლამისტური (ვაჰაბიტური) ცენტრის შექმნა.
- 2006 წლის 16 მარტს და 1 აპრილს კონტრტერორისტული ცენტრის ინიციატივით და შსს-ს განაღმვის სამსახურის დახმარებით საქართველოს საბაჟო სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ორგანიზებულ იქნა ლექცია–სემინარი, რომლზეც მებაჟეებს მიეცათ ორიენტირები ოპერატიულად საინტერესო ტვირთებისა და ტვირთის მფლობელების შესახებ. შეთანხმებულ იქნა თანამშრომლობის სახე ამ უკანასკნელთა გამოვლინების შემთხვევაში.

- კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლები კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მონაწილეობენ აშშ-სა და ევროპის სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ლექცია–სემინარებში. ამავდროულად, კონტრტერორისტული ცენტრი, თავის მხრივ, კვალიფიკაციის ამაღლებისა და კოორდინირებული მუშაობისათვის ატარებს სემინარებს სხვადასხვა სტრუქტურულ დანაყოფებში (საბაჟო და საზღვრის დაცვის სამსახურები):
- 2005 წლის საანგარიშო პერიოდში კონტრტერორისტული ცენტრის წარმოებაში იყო 35 სისხლის სამართლის საქმე, საანგარიშო პერიოდში კონტრტერორისტულ ცენტრს წარმოებაში მიღებული აქვს 18 სისხლის სამართლის საქმე; აქედან წინასწარი გამოძიება დაწყებულია 12 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო 6 საქმე გამოყოფილია სხვა სს საქმეებიდან. დაკავებულია და აღკვეთი ღონისძიების სახით დაპატიმრება აქვს მისჯილი 6 ბრალდებულს.

წარმოებით დამთავრდა (საბრალდებო დასკვნით გადიგზავნა სასამართლოშია) 5 სისხლის სამართლის საქმე ექვსი პირის მიმართ, რომლებიც საბრალდებო დასკვნით არსებითად განხილვისათვის გადაგზავნილია სასამართლოში.

უწყებრივი ქვემდებარეობით გადაიგზავნა 6 სისხლის სამართლის საქმე. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კონტრტერორისტულ ცენტრს ნაშთად ერიცხება 24 სისხლის სამართლის საქმე, რომელთაგანაც სამ ბრალდებულს აღკვეთი ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს დაპატიმრება.

გატარებული ღონისძიებების შედეგად ქვეყანაში თითქმის მიღწეულია სასურველი ვითარება, რომელიც საჭიროებს მუდმივ ოპერატიულ კონტროლს ყველა ზემოაღნიშნული მიმართულებით.

§ 2.3. ტერორიზმი, როგორც ტრანსნაციონალური დანაშაული (საერთაშორისო მიდგომები).

ჯგუფის სტრუქტურის ცვლილება და ტერორიზმის მეტამორფოზა.

თანამედროვე ტერორიზმი გასული საუკუნის 90-იან წლებამდე ძირითადად ჯგუფურ ქმედებებში გამოიხატებოდა. დღესაც კი, ტერორისტული დაჯგუფებების დიდი ნაწილი სოციალურად ორგანიზებული, მართული და

ცენტრალიზებულად უზრუნველყოფილია. დაჯგუფების წარმატებული საქმიანობისთვის აუცილებელია, მისი სტრუქტურა იმ პრინციპებითვე აიგოს, რომლებსაც ნებისმიერი სხვა ორგანიზაცია იყენებს. სამუშაო უნდა დანაწილდეს გარკვეული წასის მიხედვით და ჯგუფის თითოეულმა ქვედანაყოფმა ისე უნდა შეასრულოს მისთვის გაწერილი ამოცანა, რომ შეავსოს სხვა დანაყოფის მიერ შესრულებული სამუშაო. წარმატების მიღწევისთვის აუცილებელია ტერორისტული ჯგუფის ორგანიზება და მართვა, მიუხედავად იმისა, რომ მიზნის მიღწევა გართულებულია კონსპირაციის დაცვის აუცილებლობით. ამასთანავე, ბოლო წლების განმავლობაში გამოიკვეთა შემაშფოთებელი ტენდენცია; ცალკე მოქმედი ტერორისტები დამოუკიდებლად, ან მხოლოდ მცირე ჯგუფის დახმარებით მოქმედებენ. წინამდებარე თავში განხილულია ტერორისტული დაჯგუფებების ყველაზე უფრო გავრცელებული ორგანიზაციული წყობები და დამოუკიდებლად მოქმედების ახლადგამოჩენილი ტენდენცია.

სიტყვიდან საქმემდე

1970 წელს სან ფრანცისკოში რადიკალისტთა მცირე ჯგუფი შეიკრიბა და "მსოფლიოს გათავისუფლების ახალი ფრონტი" შექმნა. ჯონ ვულფის მონაცემებით, "მსოფლიოს გათავისუფლების ახალი ფრონტი" პასუხისმგებელი იყო დაარსებიდან შვიდი წლის განმავლობაში მომხდარ 30 აფეთქებაზე. "მსოფლიოს გათავისუფლების ახალი ფრონტის" წევრები ამტკიცებდნენ, რომ ისინი "იდეისთვის" მებრძოლი რევოლუციონერები იყვნენ და თავს მხოლოდ "კანონიერ" სამიზნეებს ესხმოდნენ, რომლებსაც ბიზნესკორპორაციები წარმოადგენდნენ. მათი საყვარელი თავდასხმის ობიექტები ფართო მოხმარების საგნების მწარმოებელი კომპანიები გახლდნენ. "მსოფლიოს გათავისუფლების ახალმა ფრონტმა" ასევე შერიფის ორი ავტომანქანა ააფეთქა სან ფრანცისკოში. დაჯგუფების წევრები ომს უცხადებდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებსაც. [123-160-165]

"მსოფლიოს გათავისუფლების ახალი ფრონტის" მოქმედების მასშტაბის ზრდასთან ერთად, ორგანიზაციის ხელმძღვანელებისთვის აშკარა გახდა მათ მიერ ჩატარებული კამპანიების ირონია. მიუხედავად მათი იმედისა, რომ რევოლუციური მოძრაობის ავანგარდში იქნებოდნენ, რევოლუციასთან მიერთებას ცოტა ვინმე თუ ჩქარობდა. ვითარების გამოსწორების მიზნით "მსოფლიოს გათავისუფლების ახალმა ფრონტმა" საკუთარი მოქმედების

მასშტაბი რამდენიმე რევოლუციური ბრიგადის შექმნით "გააფართოვა", სინამდვილეში კი ეს ბრიგადები იგივე რადიკალისტებისგან შედგებოდნენ და სხვადასხვა სახელით მოქმედებდნენ (აშშ სასამართლოს აღმასრულებლების სამსახური, 1988 წ.).

იმედგაცრუებულმა "მსოფლიოს გათავისუფლების ახალმა ფრონტმა" უკანასკნელად სცადა მხარდაჭერის მოპოვება. დაჯგუფება მილიტარისტთა სხვა მცირე დაჯგუფებასთან გაერთიანდა და ამით იმ მოძრაობას შეუერთდა, რომელიც ციხის რეფორმას მოითხოვდა და თავი ყოფილი პატიმრების გასამხედროებული დაჯგუფების მეკავშირედ გამოაცხადა. ამ გადაწყვეტილებით "მსოფლიოს გათავისუფლების ახალმა ფრონტმა" საკუთარ თავს განაჩენი გამოუტანა - ალიანსით დაიკარგა თუნდაც უმცირესი პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვების მანამდე არსებული ყველა შანსი. აგრესიულ დამნაშავეებთან დაკავშირების გამო საზოგადოებამ "მსოფლიოს გათავისუფლების ახალ ფრონტს" ზურგი შეაქცია. "ფრონტის" არსებობამ ხელი შეუწყო კორპორაციული უსაფრთხოებისა და სამართალდამცავების საგამოძიებო ტექნიკის დახვეწას. სხვა მხრივ, ორგანიზაციის მოღვაწეობა მხოლოდ სამწუხარო იმედგაცრუება იყო.

ბევრი თანამედროვე ტერორისტული დაჯგუფების წარუმატებლობა "მსოფლიოს გათავისუფლების ახალი ფრონტის" ისტორიას შეიძლება შევადაროთ. ტერორისტულ ჯგუფს კამპანიის დასაწყებად და უზრუნველსაყოფად საკმარისი რესურსები უნდა ჰქონდეს იმისთვის, რომ მის მიერ გამოწვეული ზარალი მნიშვნელოვანი იყოს. დასაწყისისთვის მისი საქმიანობა შეიძლება ტექნოლოგიური იარაღის გამოყენება და საბოტაჟი იყოს, მაგრამ ფართომასშტაბიანი ოპრაციებისთვის საკმარის ბაზას ეს ვერ ქმნის. აუცილებელია, რომ დაჯგუფება დიდი იყოს – ყოველ შემთხვევაში, იმაზე დიდი, ვიდრე ბომბებით შეიარაღებული და საზოგადოებაზე გულაცრუებული რამოდენიმე უიღბლო ტიპის გაერთიანებაა. საკუთარი რიგების გასაზრდელად, ტერორისტულ ჯგუფს აუცილებლად სჭირდებათ პოლიტიკური ლოზუნგი, რომელიც მისაღები იქნება საზოგადოების დიდი ნაწილისთვის.

ტერორისტული დაჯგუფებების უდიდეს ნაწილს არ აქვს ასეთი ლოზუნგი. ისინი "მსოფლიოს გათავისუფლების ახალი ფრონტის" მსგავსად არიან ორგანიზებული, შემუშავებული აქვთ ლამაზად გაფორმებული ორგანიზაციული წყობა და გრანდიოზული გეგმები, მაგრამ არ გააჩნიათ იმის უნარი, რომ

გონივრული კამპანია აწარმოონ. ზოგადად, მცირე ჯგუფები მცირე მასშტაბების ძალადობით შემოიფარგლებიან. ცალკეული ტერორისტული აქტით მედიის საშუალებით მათ შეუძლიათ საზოგადოების ყურადღება მიიპყრონ, მაგრამ მოწინააღმდეგეებზე მუდმივი ზეწოლის შესანარჩუნებლად არასაკმარისად ეფექტურები არიან.

კამპანიების მასშტაბი და ხანგრძლივობა

ტედ რობერტ გურმა ჩაატარა 1960-იან წლებში მოქმედი ტეორისტული დაჯგუფებების საქმიანობის სავალდებულო ანალიზი, რათა დაედგინა მათი ოპერაციების ზოგიერთი თავისებურება. მისი ნამუშევარი დღემდე რჩება ტერორისტული დაჯგუფებების ორგანიზაციული სტრუქტურის თაობაზე ჩატარებულ მნიშვნელოვან კვლევად. წარსულში, ბევრი ადამიანის აზრით, ტერორიზმი რევოლუციური მოძრაობის შედეგად ითვლებოდა, ისევე როგორც, დღესაც ბევრი მიიჩნევს, რომ იგი სახელმწიფოს მიერ ფინანსდება ან მემარჯვენე შეხედულებების პროდუქტია. გურის მიერ შეგროვებული ინფორმაცია საკითხისადმი ასეთი მარტივი მიდგომას ეჭვქვეშ აყენებს.[40]

გურისეულმა ანალიზმა საინტერესო დასკვნებამდე მიგვიყვანა. უპირველეს ყოვლისა, ტერორისტული აქტების უმრავლესობაში მხოლოდ რამდენიმე ტერორისტი ღებულობს მონაწილეობას და მათი ქმედებები უფრო ხმაურს იწვევს ვიდრე ზარალს; მეორე, – მიუხედავად გავრცელებული აზრისა, რომ პოლიტიკური რევოლუციონერები ტერორისტული დაჯგუფებების ძირითად ნაწილს შეადგენენ, წარმატებული დაჯგუფებების უმეტესობა სხვა დოქტრინის (მაგალითად, ეროვნულის) მიმდევარია; მესამე, – შემთხვევათა უმრავლესობაში ტერორისტული კამპანიებით შედეგებს მხოლოდ დიდი ტერორისტული ჯგუფები აღწევენ, მცირე ჯგუფებს ამის ძალა არ შესწევეთ. გურის დასკვნით, არსებობს ტერორისტული ძალადობის სხვადასხვა მიზეზი, რომლებიც დამატებით კველვას საჭიროებენ, მაგრამ მიზეზისგან დამოუკიდებლად, ტერორისტული კამპანიების უდიდესი ნაწილი ძალადობის პირველი ტალღიდან 18 თვის ფარგლებში სრულდება.

ჩვეულებრივ, ტერორისტული ჯგუფის საქმიანობა მოკლევადიანია იმის გამო, რომ ტერორისტები იშვიათად ახერხებენ მხარდაჭერის მოპოვებას. ტერორისტული კამპანიის დიდი ნაწილი იზოლირებულია და მხარდაჭერის მექანიზმების ამოქმედება გართულებულია. ამის გამო, ტერორისტები იშვითად

ბედავენ ხელისუფლების გამოწვევას. პოლიტიკური რევოლუციონერები და რადიკალისტთა დაჯგუფებები არ გამოდიან პოპულარული მოწოდებებით, რომლებიც მათ ქმედებებს მხარდაჭერას მოუპოვებდნენ. გურის მტკიცებით, ტერორისტული დაჯგუფებები საკუთარი ზომების გაზრდას პოპულარული პოლიტიკური იდეების ათვისების შემთხვევაში ახერხებენ. 1945 წლის შემდეგ, მხოლოდ რამდენიმე ტერორისტულმა ჯგუფმა მოახერხა პოპულარობის მოხვეჭა.

თუ გურის დასკვნები სწორია, მაშინ ტერორისტული ორგანიზაციები უნდა განვიხილოთ, როგორც მცირე დაჯგუფებები, რომლებიც მოკლევადიან ოპერციებს ახორციელებენ. მცირე ჯგუფების უკანონო საქმიანობა სამართალდამცავთა პრობლემაა. მიუხედავად იმისა, რომ ტერორისტული საქმიანობა პოლიტიკური გავლენის მოსაპოვებლად ჩაღდება, ტერორისტთა ქმედებების დიდი ნაწილი ზედმეტად შეზღუდულია, რის გამოც ისინი ვერ ახერხებენ სახელმწიფოსთვის სერიოზული საფრთხის შექმნას. ტერორისტების დიდი ნაწილის საქმიანობის მასშტაბები მხოლოდ პოლიციის ყურადღებას იპყრობს და მცირე ჯგუფებს არ შეუძლიათ პოლიტიკური ატმოსფეროს არსებითად შეცვლა. ისევე როგორც "მსოფლიოს გათავისუფლების ახალი ფრონტის" შემთხვევაში, გამოძიების სტანდარტული პროცედურების გამოყენებით შესაძლებელია მცირე ზომის ტერორისტული მოძრაობის შეჩერება. მასობრივი განადგურების იარაღმა შეიძლება შეცვალოს ეს ვარაუდი, თუმცა ჩვეულებრივი ტერორიზმის შემთხვევაში მსგავსი ანალიზი შეიძლება მართებულად ჩაითვალოს.

ტერორისტული დაჯგუფების ზომის მნიშვნელობა

იტალიაში 1975-81 წლებში ტერორიზმის ანალიზის საფუძველზე ვიტორფრანკო პიზანო საუბრობს ტერორისტული დაჯგუფების ზომის მნიშვნელობაზე. 10 წლის განმავლობაში, როდესაც პიზანო საკუთარ კვლევას ატარებდა, იტალიაში ტერორისტული თავდასხმების არნახული რაოდენობა დაფიქსირდა, რომლებზეც პასუხისმგებლობას მრავალი ტერორისტული დაჯგუფებება იღებდა. პიზანოს აზრით, დაჯგუფებების ასეთი სიჭრელის მიზეზი ის გახლდათ, რომ მათ უმრავლესობას არ შეეძლო ხელისუფლების წინააღმდეგ გრძელვადიანი კამპანიების წარმოება. ასეთ ჯგუფებს მხოლოდ იმის ძალა შესწევდათ, რომ საკუთარი რესურსების ამოწურვამდე და პოლიციის მიერ მათ დაპატიმრებამდე მხოლოდ რამდენიმე თავდასხმა მოეწყოთ. ამ ვითარებით სარგებლობდნენ იტალიის დიდი ტერორისტული დაჯგუფებები და ხელისუფლებისთვის კვალის

არევის მიზნით სხვადასხვა სახელებს იყენებდნენ. ამის მიუხედავად, გამომძიებლებმა დაასკვნეს, რომ თავდასხმებში თანმიმდევრულად მხოლოდ და მხოლოდ დიდი ჯგუფები იყვნენ ჩართული. დანარჩენები შეფასდნენ, როგორც "ერთი ინცინდენტის" ტორორისტები, რადგან მათ რეალურად მხოლოდ ერთი ოპერაციის განხორციელება შეეძლოთ.[55-12-34]

"ჰესბოლა" დიდი და წარმატებული ტერორისტული დაჯგუფების მაგალითს წარმოადგენს. ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოებული კვლევის შედეგად ჰირომ (1987) და რაითმა (1986, 1989) დაასკვნეს, რომ ჰესბოლას საფუძველი რევოლუციურ ირანში ჩაეყარა, როგორც პოლიტიკურ მოძრაობას. 1982 წელს, ისრაელის მიერ განხორციელებული ოკუპაციის საპასუხოდ, "ჰესბოლამ" ლიბანში, ბეკას ველზე გადაინაცვლა. 1998 წელს ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ჰესბოლას ლიბანში გადასვლამ ორგანიზაციის ზრდას შეუწყო ხელი. ადგილობრივი მხარდაჭერის გამოყენებით და ირანიდან წამოსული უწყვეტი დაფინანსების წყალობით ჰესბოლა ძლიერ, ნახევრად ავტონომიურ სტრუქტურად ჩამოყალიბდა. წევრთა სიმრავლე საშუალებას აძლევს ჰესბოლას, რომ ფართომასშტაბიანი ტერორისტული დარტყმები განახორციელოს ისრაელისა და იმ არაბების წინააღმდეგ, რომლებიც მათ მიზნებს არ იზიარებენ. ჰესბოლა საკმარისად დიდი ორგანიზაციაა, რათა ტერორისტული კამპანიის მსვლელობა უზრუნველყოს.

მსგავს მდგომარეობაში იმყოფება ტამილ ელაამის "გამათავისუფლებელი ვეფხვების" დაჯგუფება. ტამილის ეროვნული უმცირესობის სახელით, ტამილ ელაამის "გამათავისუფლებელი ვეფხვების" დაჯგუფებამ შრი ლანკის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა 1976 წელს დაიწყო. გამომდინარე იქიდან, რომ შრი ლანკაზე ტამილის დიდი მოსახლეობაა წარმოდგენილი, ტამილ ელაამის "ვეფხვებმა" მებრძოლთა დიდი რაოდენობის მობილიზება შეძლეს. ო. მეჰროტა, რომელიც ინდოეთის თავდაცვის კვლევის ინსტიტუტში მუშაობს, 2000 წელს მომზადებულ ნაშრომში ასკვნის, რომ დაჯგუფება 10000-მდე წევრს აერთიანებს. ტამილ ელაამის "გამათავისუფლებელი ვეფხვების" დაჯგუფებამ არამარტო ფართომასშტაბიანი ტერორისტული კამპანია წამოიწყო კამიკაძეების გახმაურებული თავდასხმებით, არამედ 1983 წელს პარტიზანულ ბრძოლებშიც სერიოზულ წარმატებას მიაღწია. ტამილ ელაამის ოპერაციებში "გამათავისუფლებელი ვეფხვების" დაჯგუფების ზომებსა და საშუალებებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

ტერირისტული დაჯგუფებების ზომის ზრდასთან ერთად საჭიროა გაიზარდოს პრობლემებზე რეაგირების დონეც. 1984 წელს ეს საკითხი კრისტეფორ ჰიუიტმა განიხილა, როდესაც მან საკუთარი კვლევა წამოიწყო კონტრტერორისტული პოლიტიკის ეფექტურობის თაობაზე. ჰიუიტი იმეორებს გურის აზრს იმის შესახებ, რომ მცირე დაჯგუფებებს არ გააჩნიათ საკმარისი რესურსი მოწინააღმდეგისთვის ხანგრძლივი დროის განმავლობაში ზიანის მისაყენებლად. მათ არ შეუძლიათ კამპანიის წამოწყება. მისი აზრით ტერორისტული კამპანიები უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ცალკეული ტერორისტული აქტი და ისინი ფართო პოლიტიკურ მხარდაჭერას საჭიროებენ.

ჰიუიტის მტკიცებით, ტერორისტულმა კამპანიებმა მნიშვნელობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ორი მთავარი მიზეზის გამო შეიძინეს. პირველ რიგში, დიდი ტერორისტული ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ტერორისტული კამპანიები მსოფლიოში ტერორიზმის უდიდეს ნაწილს შეადგენს. მცირე, ცალკეულად მოქმედ ტერორისტულ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ გაუტოლდნენ მათ დიდ კონკურენტებს. მეორეც, დიდი ტერორისტული ორგანიზაციების მოქმედების შედეგად მთავრობებმა საჭიროდ ჩათვალეს სხვადასხვა პოლიტიკის გამოყენება. დიდ ტერორისტულ ორგანიზაციებს რეალურად შეუძლიათ შეცვალონ მთავრობის მიერ შემუშავებული საპასუხო პოლიტიკური ზომების არსი, რადგან ეს ორგანიზაციები ისეთ პრობლემებს ბადებენ, რომლებთანაც გამკლავება ადგილობრივ სამართალდამცავებს მათ ხელთ არსებული საშუალებებით არ შეუძლიათ. შესაბამისად, დიდი დაჯგუფებები პოლიტიკურ საფრთხეს წარმოადგენენ.[42-150]

მიუხედავად ამისა, ექსტრემისტები პოლიტიკურ მხარდაჭერას იშვიათად პოულობენ, ისიც თავის მსგავს ექსტრემისტებს შორის. ზოგადად, ხალხი ენთუზიაზმს არ გამოხატავს მცირე დაჯგუფებების საქმიანობის გამო. დიდმა დაჯგუფებებმა, როგორიცაა ბასკების "ეტა" და ჩრდილოეთ ირლანდიის რესპუბლიკური არმია (ირა), საზოგადოების მხარდაჭერა იმით მოიპოვეს, რომ მათ მიერ წამოყენებული მოთხოვნები საზოგადოებაში პოპულარობით სარგებლობდა. შესაძლებელია, მათი მეთოდები ზღვარგადასული გახლდათ, მაგრამ კონკრეტული ორგანიზაციების პოლიტიკურ პოზიციას ფართო მხარდაჭერა ჰქონდა. ამას ბევრი მცირე ჯგუფის წევრიც ხვდებოდა და დიდი ჯგუფებისათვის მიბაძვას ცდილობდა. კერძოდ, მცირე ჯგუფები თეორიულად უარყოფდნენ საკუთარ ექსტრემისტულ პოზიციებს და შედარებით პოპულარული

პოლიტიკური საკითხებისადმი მხარდაჭერით ცდილობდნენ საკუთარი მოთხოვნები საზოგადოების უფრო ფართო ნაწილისთვის გაეხადათ მისაღები.

ექტრემისტები ყველაზე უფრო რადიკალური პოზიციის გადაფარვას ეროვნული და რელიგიური მოწოდებებით ცდილობენ. მკვლელობასა და ქურდობას პატრიოტულ საქციელად მიიჩნევენ. მაგალითად, ანონიმი ავტორის მიერ შედგენილ ტრაქტატში სახელწოდებით "როდესაც ყველა მოძმე ჩუმადაა", რომელშიც რომანტიზებულად აისახა ორგანიზაცია "წესრიგის" (იგივე "მდუმარე საძმოს") ქმედებები, ტერორისტები სინამდვილეში ამერიკელ პატრიოტებად იყვნენ მიჩნეულნი, რომლებიც საკუთარი კონსტიტუციური უფლებებისთვის იბრძოდნენ. იგივე იდეით იყო გამსჭვალული პოსე კომიტატისი მოთხრობაში "გორდონ კალის უკანასკნელი წერილი". მასში გადმოცემული იყო იმ ადამიანის ისტორია, რომელმაც პოლიციის თანამშრომლებთან დაპირისპირება არჩია გადასახადების გადახდას. ანალოგიური ტრადიცია შეინარჩუნეს ამერიკელმა გასამხედროებულმა დაჯგუფებებმა. მსგავსი პრეტენზიებით გამოდიოდა გერმანიის წითელი არმიის მემარცხენე იდეოლოგიის დაჯგუფებაც მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული დაჯგუფებებისგან განსხვავებულ პოლიტიკურ სპექტრს მიეკუთვნებოდა.[62-97-116]

მიუხედავად ტერორისტული დაჯგუფებების მცდელობისა, რომ უფრო ფართო პოლიტიკური მხარდაჭერა მოიპოვონ, მათი უმეტესობა საშინლად ხელმოცარული რჩება, როცა ამის მიღწევას დაჯგუფების წევრთა რაოდენობის გაზრდის გზით ცდილობს. ვოლტერ ლაკეური აღნიშნულის მიზეზად იმას მიიჩნევს, რომ დაჯგუფებები ძირითადად ფანატიკოსებისგან შედგებიან. ასეთი ადამიანები სხვა ფანატიკოსების გადმობირებას, მართალია, ახერხებენ, მაგრამ მათ იდეებს საზოგადოების ძირითადი ნაწილი არ იზიარებს. მეორე მხრივ, დიდი ოდენობით ადამიანების შემოკრებას მცირე ტერორისტული დაჯგუფებები კიდევ იმიტომ ვერ ახერხებენ, რომ მოკლევადიანი პრობლემების მიღმა რაიმეს განჭვრეტა არ შეუძლიათ.

ტერორისტული დაჯგუფებების ორგანიზაციული სტრუქტურის ძირითადი ფორმები

ა.შ.შ. არმიის კონტრტერორიზმის ყოფილი სპეციალისტი ჯეიმს ფრეიზერი, ტერორისტული დაჯგუფებების ორგანიზაციას ორი ფაქტორის ანალიზის საფუძველზე განიხილავს. ეს ფაქტორებია: ორგანიზაციის სტრუქტურა და

უზრუნველყოფა. ფრეიზერის აზრით, ტერორისტული დაჯგუფებები ისეა შექმნილი, რომ მათი ოპერაციების შესახებ ცნობილი არ გახდეს სამართალდამცველებისთვის. შესაბამისად, დაჯგუფებების ანალიზი გართულებულია. თუმცა, გარკვეული საორგანიზაციო პრინციპები დამახასიათებელია ყელა ტერორისტული ორგანიზაციისთვის. მათში გამოყენებულია მართვისა და კონტროლის სხვადასხვა ვარიანტი, თუმცა ხშირად, იდეოლოგიური განსხვავების მიუხედავად, ისინი ერთმანეთის მსგავად არიან ორგანიზებულები.

ტიპურ ორგანიზაციას პირამიდის ფორმა აქვს. ტერორისტული ოპერაციების უზრუნველყოფას უფრო მეტი ხალხი სჭირდება, ვიდრე ასეთი ოპერაციების განხორციელებას, შესაბამისად, ტერორისტული ორგანიზაციების წევრების უდიდესი ნაწილის ამოცანა ტერორისტების ქმედითუნარიანობის შენარჩუნებაა.

ფრეიზერის აზრით, ტერორისტული დაჯგუფებების იერარქიული სტრუქტურა ოთხ დონედ იყოფა. ყველაზე პატარა ჯგუფი ორგანიზაციული პირამიდის წვეროში მართვაზეა პასუხისმგებელი. სამხედრო ორგანიზაციების მსგავსად, ხელმძღვანელობა შეიმუშავებს პოლიტიკას და სახავს გეგმებს, რის შემდეგაც ზოგად მითითებებს აძლევს დაჯგუფების წევრებს. სხვა მკვლევარები ხშირად აღნიშნავენ, რომ ფარულად მოქმედების აუცილებლობის გამო, ლეგიტიმურ ორგანიზაციებთან შედარებით, ტერორისტული ორგანიზაციის სამეთაურო რგოლი ნაკლებად ეფექტურია. ის მოკლებულია ორგანიზაციის წევრებთან დაკავშირების თავისუფლებას, შესაბამისად, ვერ ახერხებს ყოველდღიური ოპრატიული კონტროლის განხორციელებას.

ფრეიზერის იერარქიაში მეორე დონეს აქტიური კადრები იკავებენ (კადრი სამხედრო ტერმინია. ეს ის ხალხია, ვისაც ჩვენ "ტერორისტებად" მოვიხსენიებთ). აქტიური კადრები ტერორისტული ორგანიზაციების მისიის შესრულებაზე არიან პასუხისმგებლები. ორგანიზაციის ზომიდან გამომდინარე, თითოეულ კადრს ერთი ან რამოდენიმე ფუნქცია ეკისრება. ისინი ტერორისტული ჯგუფის დამრტყმელ ძალას წარმოადგენენ. მმართველი რგოლის შემდეგ, აქტიური ტერორისტები ტერორისტული ორგანიზაციების უმრავლესობის სტრუქტურებში ყველაზე მცირე ჯგუფს ქმნიან.

მომდევნო რგოლი ტერორისტული ორგანიზაციის ზომით მეორე და ყველაზე მნიშვნლოვანი შემადგენელია. მათ აქტიურ მხარდამჭერებს უწოდებენ. ეს

უკანასკნელნი ყურადღებით ადევნებენ თვალს ტერორისტულ კამპანიებს. ჯგუფს შეუძლია ბომბის აფეთქება ან ადამიანის გატაცება, მაგრამ აფეთქებების და ადამიანთა გატაცებების კამპანიების მსვლელობის უზრუნველსაყოფად მხარდაჭერით სარგებლობაა აუცილებელი. ქტიური მხარდამჭერები ტერორისტებს პრაქტიკული საქმიანობის საშუალებას აძლევენ. ისინი უზრუნველყოფენ კომუნიკაციის არხების გამართულ მუშაობას, არჩევენ კონსპირაციულ ბინებს, აგვარებენ სხვა ლოგისტიკურ საკითხებს.

ტერორისტული ორგანიზაციის ყველაზე დიდ და ბოლო რგოლს პასიური მხარდამჭერები ქმნიან. მათი იდენტიფიცირება და აღწერა ძალზე რთულია, რადგან პასიური მხარდამჭერები ტერორისტულ დაჯგუფებებში არ წევრიანდებიან. ხშირად მათ ისე იყენებენ, რომ თავად ამის თაობაზე წარმოდგენაც არ აქვთ; ისინი პოლიტიკური კლიმატის ხელსაყრელ ელემენტებად გვევლინებიან. როდესაც ტერორისტული დაჯგუფება პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვებას ახერხებს, მას პასიური მხარდამჭერების შედარებით დიდი არმია უჩნდება. როდესაც დაჯგუფების მიზნები საერთო აზრს ასცდება მხარდამჭერების რაოდენობაც მცირდება. პასიური მხარდაჭერა აქტიური მხარდაჭერის საქმიანობის ეფექტურობის გასაზრდელად გამოიყენება.

ტერორისტული დაჯგუფებების უდიდესი ნაწილი ორმოცდაათზე ნაკლები წევრისგან შედგება და არ შეუძლიათ გრძელვადიანი კამპანიების წარმოება. ასეთი ჯგუფები მხოლოდ რამოდენიმე ადამიანის მიერ იმართება და დაყოფილია დავალებების სპეციფიკის მიხედვით. დაზვერვის ნაწილი პასუხისმგებელია სამიზნეების შეფასებასა და ოპერაციების დაგეგმვაზე. უზრუნველყოფის ნაწილი თავდასხმებისთვის აუცილებელი საშუალებებით მომარაგებას აწარმოებს, ხოლო ტაქტიკური ნაწილი პასუხისმგებელია უშუალოდ ტერორისტული აქტის განხორციელებაზე.

უფრო დიდი ჯგუფები მსგავსი პრინციპით იმართებიან, მაგრამ მათ მეტი ქვედანაყოფები ჰყავთ, რომელთაც უფრო დიდი მასშტაბის ოპერაციების განხორციელება შეუძლიათ. დიდ დაჯგუფებებში შემავალ ქვედანაყოფებს ავტონომიურად მოქმედების საშუალება აქვთ. ტერორისტული კამპანიების განსახორციელებლად დიდ დაჯგუფებებს გააჩნიათ საკუთარი ტაქტიკური დანაყოფები და უზრუნველყოფის ნაწილები.

ანტონი ბარტონი ქვედანაყოფების ძირითად სტრუქტურას აღწერს. ტერორისტულ ორგანიზაციებს ორი ძირითადი ტიპის ქვედანაყოფები ჰყავთ: უჯრედები და კოლონები. ქვედანაყოფის ყველაზე გავრცელებული ფორმა უჯრედია. იგი ოთხი ან ექვსი პირისგან შედგება და საქმიანობის საკუთარი სფერო გააჩნია. ის შეიძლება ტაქტიკურ დანაყოფს ან დაზვერვის ნაწილს შეადგენდეს. ზოგიერთ ორგანიზაციაში ტაქტიკური უჯრედის ფუნქციები დავალების მიხედვით იცვლება.[66-70-72]

რამდენიმე უჯრედი ერთად კოლონას შეადგენს. კოლონები უჯრედთა ნახევრადავტონომიურ გაერთიანებას წარმოადგენენ, ფუნქციათა ფართო სპექტრით და მართვის ერთიანი სტრუქტურით. კოლონების, როგორც საბრძოლო დანაყოფების ეფექტურობა, კამათის საგანია. დიდი ოპერციებისთვის ისინი ზედმეტად მოუხერხებლად არიან ორგანიზებული. ტეროროზმისთვის აუცილებელი კონსპირაცია კი ხელს უშლის კოლონებს შორის მოქმედებების კოორდინირებას. მათი ძირითადი ფუნქცია საბრძოლო უზრუნველყოფაა, რადგან შესაძლებელია კოლონის შემადგენელი ელემენტების უჯრედის ტაქტიკური ოპერაციების უზრუნველყოფისთვის საჭირო ფორმით გადაწყობა.

შესაძლებელია ფრეიზერის და ბარტონის ანალიზი მოძველებულად მოგვეჩვენოს, მაგრამ მათ მიერ აღწერილი სტრუქტურა ჯერ კიდევ გამოიყენება ტერორისტულ დაჯგუფებებში. 1992 წელს აბუ ნიდალის შესწავლისას პატრიკ სიელმა იგივე ტიპის სტრუქტურა აღწერა. 2000 წლის შემდეგ რენე პაზი საუბრობს ლიბანში მოქმედ ჰამასის ორგანიზაციასთან არსებულ მსგავსებაზე. რელიგიური ტერორისტები, მაგალითად იაპონური "აუმ სინრიკიუ" ანალოგიურადაა ორგანიზებული. ერთადერთი, ვინც ორგანიზაციის ტიპურ მოდელებს არ ცნობენ, არენაზე ახლად გამოჩენილი ინდივიდუალისტები არიან. მათზე ამ თავის ბოლოში ვისაუბრებთ.

ტერორისტული საქმიანობის ხელშემწყობი ფაქტორები

განვიხილოთ ტერორისტული საქმიანობის ხელშემწყობი ფაქტორები. ესენია: პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, იდეოლოგიური, გეოპოლიტიკური, რელიგიური, საზღვარგარეთის ზეგავლენა.

1. პოლიტიკური – არაპოპულარული, რეპრესიული ან კორუმპირებული მთავრობა. ამ შემთხვევაში ეს არის შიდასახელმწიფოებრივი ფაქტორი, როდესაც ამა თუ იმ ქვეყანაში მცხოვრებ საზოგადოებას, პოლიტიკურ

პარტიებს, ხალხს აღარ სურს ასეთი მთავრობის ყოლა, ის ან არაპოპულარულია (როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მსოფლიოს მასშტაბით, ვერ მართავს პროცესებს ქვეყანაში, ხშირად უშვებს შეცდომებს), ან რეპრესიული (არღვევს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პრინციპებს), ან კიდევ კორუმპირებული. ასეთ პირობებში დიდია ვარაუდი იმისა, რომ ქვეყანაში განხორციელდეს ტერორისტული აქტი (აქტები) ასეთი მთავრობის შესაცვლელად.

2. სოციალური – საშუალო ფენის არარსებობა, მნიშვნელოვანი განსხვავება მდიდრებისა და ღარიბების ყოფას შორის, ერთნი ცხოვრობენ ფუფუნებაში, მეორენი უკიდურეს გაჭირვებაში, მასობრივი დისკრიმინაცია.

3. ეკონომიკური – უკიდურესი სიღარიბე, უმუშევრობის მაღალი დონე, დაბალი ხელფასი, მრეწველობის განუვითარებლობა, შიმშილი.

4. იდეოლოგიური – ძალადობრივი ოპოზიციური პოლიტიკური ფილოსოფია. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მიერ თავიანთი პოლიტიკური კურსის გავრცელება. მმართველი პარტიების ხელისუფლების ძალადობის გზით დამხობა, მათი მმართველობის შეზღუდვა.

5. რელიგიური – რელიგიური ძალადობა. ამის დამადასტურებელია ისლამური ფუნდამენტალიზმი, ვიჰაბიზმი, დაპირისპირება კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის და სხვა.

6. გეოპოლიტიკური – სასაზღვრო დავები, ქვეყანაში დიდი რაოდენობით უცხოელის ყოფნა, როცა მათი გაკონტროლება შეუძლებელია და მათ მიერ იქმნება ცალკეული დაჯგუფებები, რომლებიც უცხოეთიდან იმართება, მითუმეტეს, თუ მოცემული ქვეყნის მიმართ არსებობს გეოპოლიტიკური ან სასაზღვრო ინტერესი.

7. საზღვარგარეთის ზეგავლენა – უცხო ქვეყნების მხარდაჭერა ქვეყანაში არსებული რეჟიმის შესაცვლელად, მათი თანადგომა განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანების, რომელიმე პოლიტიკური პარტიებისადმი და ა.შ. მაგალითად გამოდგება იუგოსლავიის თავდაცვის მინისტრზე, პავლე ბულატოვიჩზე განხორციელებული ტერორისტული აქტი. იგი თავისი გამონათქვამებითა და მოქმედებებით გამოირჩეოდა ანტიდასავლური განწყობით და სავარაუდოთ ასეთ პოლიტიკას შეეწირა.[17-239-254]

საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები და ხელშემწყობი ქვეყნები

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში უმთავრესია ტერორისტული ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება. საჭიროა გაირკვეს, თუ ვინ არიან ამ ორგანიზაციის წევრები, სად მოქმედებენ ისინი, რა სახის დაფინანსება აქვთ, რის ხარჯზე არსებობენ, ვინ ეხმარებათ კადრების მომზადებაში, ვინ ადგენს ორგანიზაციის სამოქმედო გეგმებს, ვინ ზრუნავს ორგანიზაციის შესაძლებლობათა გაზრდაზე და ა.შ. აქედან გამომდინარე, საჭიროა ტერორისტულ ორგანიზაციებზე ინფორმაციის მოპოვება.

ტერორიზმის გამოვლინების მხრივ მსოფლიოში ყველაზე ცხელ წერტილად ახლო აღმოსავლეთი ითვლება, რასაც ხელს უწყობს ნავთობით მდიდარ ამ რეგიონში სხვადასხვა ქვეყნის ინტერესების დაპირისპირება და განსხვავებულ იდეოლოგიათა ფართო სპექტრის არსებობა: მარქსიზმი, ისლამური ფუნდამენტალიზმი, სომხური, ებრაული, ქურთული და პალესტინური ნაციონალიზმი. ტერორიზმის შვიდი სპონსორი ქვეყნიდან – ოთხი ახლო აღმოსავლეთში მდებარეობს, ესენია: ირანი, ლიბია, სუდანი და სირია. 70-იან წლებში სსრკ და მისი სატელიტი ქვეყნები ერაყს, ლიბიას, სირიას და ყოფილ იემენის დემოკრატიულ რესპუბლიკას თავისი ზრახვების შესანიღბად ხშირად იყენებდნენ. საბჭოთა კავშირი ამ ქვეყნებში მოქმედ ტერორისტულ დაჯგუფებებს რუსული იარაღითა და სადაზვერვო ინფორმაციით ამარაგებდა, მათთვის საწვრთნელ ბანაკებს აწყობდა. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებს მნიშვნელოვანი საყრდენი გამოეცალათ, თუმცა, რუსეთი ამ ქვეყნებთან ახლაც პარტნიორობს, მაგრამ ნაკლები მასშტაბებით. [38]

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებულ ყოველწლიურ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მსოფლიოში მოქმედი 41 ტერორისტული ორგანიზაციიდან – 22 ახლო აღმოსავლეთში ფუნქციონირებს. მიმოვიხილოთ რამდენიმე საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია. დავიწყოთ ჩრდილოეთიდან.

ირლანდიის რესპუბლიკური არმია (IRA - IRISH REPUBLICAN ARMI) შეიქმნა, როგორც ნაციონალურ-რესპუბლიკური პარტიის (პარტია „შინ ფეინი“) სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ირლანდიის სრული დამოუკიდებლობის მიღწევას ისახავდა. იგი 1916 წელს ქალაქ დუბლინში ინგლისის წინააღმდეგ აჯანყების დროს დაარსდა. სამი წლის შემდეგ „ირა“ არაღიარებული რესპუბლიკური არმია გახდა. IRA-ს შტაბმა არ ცნო ინგლის-ირლანდიის 1921

წლის ხელშეკრულება, რომლის თანახმად ირლანდია ორ ნაწილად იყოფოდა: თავისუფალი ირლანდიის სახელმწიფოდ – 26 საგრაფოს შემადგენლობით, რომელსაც დომინიონის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული და ჩრდილოეთ ირლანდიად – ისტორიული ოლსტერის 6 საგრაფოს შემადგენლობით, რომელიც უშუალოდ ბრიტანეთის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა. სამოქალაქო ომის შედეგად IRA-მ იატაკქვეშეთში გადაინაცვლა და იგი ირლანდიის ორივე ნაწილში დღემდე აკრძალულ ორგანიზაციად რჩება.

ჯერ კიდევ 1921 წლის შემოდგომაზე ირლანდიელებმა ტერორისტული აქტები განახორციელეს: ლონდონში, ლივერპულში, მანჩესტერსა და გლაზგოში არსებულ სამრეწველო და სავაჭრო ობიექტებზე, ირლანდიის ტერიტორიაზე დამსჯელ ღონისძიებებში მონაწილე სამხედრო და პოლიციის ოფიცრებზე. მათი შურისძიება მიზნად იმას ისახავდა, რომ ამ ოფიცრებსა და მოსახლეობას ისეთივე სიმწარე ეგემათ, როგორიც ირლანდიელებს ხვდათ წილად, როდესაც მათ მიმართ ინგლისელები ატარებდნენ დამსჯელ ღონისძიებებს.[43-7-17]

1969 წლიდან 1994 წლამდე ტერორისტული აქტების სერიებმა 3 200 ადამიანი იმსხვერპლა, ამიტომ IRA-ს მოქმედებებს მოწინააღმდეგეები თვით ორგანიზაციის შიგნით გამოუჩნდნენ და 1970 წელს იგი ორ ფრთად, ორ ორგანიზაციად გაიყო: „ოფიციალურად“ და „დროებითად“. გაყოფის მთავარი მიზეზი პოლიტიკურ ბრძოლაში შეიარაღებული ძალადობის გამოყენების საკითხი გახლდათ. „ოფიციალური“ ფრთის მომხრენი ძალისმიერ მეთოდებს მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზას არჩევდნენ. „დროებითი“ ფრთის (PROVISIONAL IRISH REPUBLICAN ARMI - PIRA) წარმომადგენლები კი ინგლისთან ბრძოლის ყველაზე ეფექტურ საშუალებად სწორედ ძალისმიერ მეთოდებს მიიჩნევდნენ.

PIRA – თავის რიგებში აერთიანებს გამოცდილ ინჟინერ-პიროტექნიკოსებს, რომლებიც ტერორისტებს ასაფეთქებელი მასალებითა და საშუალებებით ამარაგებენ. ტერორისტების რაოდენობა 200-300 კაცამდე აღწევს. ორგანიზაციის მთავარი ხელწერაა ტერორისტული აქტების დანაღმული ავტომანქანებით განხორციელება. მაგალითად, 1998 წლის 20 თებერვალს ქ. მოირაში პოლიციის განყოფილებასთან დანაღმული მანქანა აფეთქდა, რის შედეგადაც 2 პოლიციელი დაიღუპა. ამავე წლის 23 თებერვალს ქ. პორტდაუნში, 1998 წლის 2 აგვისტოს დაუნის საგრაფოს ქალაქ ბენბრიჯის სავაჭრო ცენტრთან, ამავე წლის 15

აგვისტოს იმავე მეთოდით განხორციელებულ აფეთქებას ოლსტერში 28 კაცის სიცოცხლე შეეწირა, 100-ზე მეტი კი დასახიჩრდა.

ბოლო დრომდე PIRA ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევა. მისი წევრები წარმატებით მოქმედებენ როგორც ჩრდილოეთ ირლანდიაში, ასევე მთელ დიდ ბრიტანეთსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ტერიტორიებზეც.[55-45-67]

PIRA-ს ორგანიზაციული სტრუქტურა, ტერორისტული აქტების ჩატარების ფორმები და მეთოდები, დაფინანსების წყაროები

IRA-ს მოქმედების არეალი ჩრდილოეთ და სამხრეთ სამხედრო ოლქებად არის დაყოფილი. ჩრდილოეთის სამხედრო ოლქი აკონტროლებს 11 პროვინციას, რომელთაგანაც 6 ჩრდილოეთ ირლანდიის ტერიტორიაზეა, ხოლო 5 - ირლანდიის რესპუბლიკაში. სამხრეთის სამხედრო ოლქი დუბლიანსა და მის მიმდებარე რაიონებს აკონტროლებს.

ჩრდილოეთის სამხედრო სარდლობა 6 ბრიგადას აერთიანებს, ესენია: დერის, აღმოსავლეთ ტიროლეს, დერმანგისა და აღმოსავლეთ ტიროლეს, კევანისა და მონაგნის, სამხრეთ არმაგის, ბელ ასტის ბრიგადები.

სამხრეთ სამხედრო სარდლობას მხოლოდ ერთი ბრიგადა და სოფლის რაიონებში მოქმედი ნაწილები გააჩნია.

IRA-ს მართვის უმაღლესი ორგანოა ყრილობა, რომელიც იშვიათად და კონსპირაციის სრული დაცვით ტარდება. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობენ დელეგატები, რომლებიც PIRA-ს სტრუქტურის ყველა შემადგენელ რგოლს წარმოადგენენ. ყორილობაზე არმიის სარდლობას თორმეტი კაცის შემადგენლობით და PIRA-ს მთავარ ორგანოს – არმიის საბჭოს ირჩევენ. საბჭო შვიდი კაცისგან შედგება, რომელსაც არმიის სარდლობიდან გამოყოფენ. საბჭოში მოქმედების სტრატეგიული გეგმა მუშავდება, მისი პრეროგატივაა ომის ან მშვიდობის გამოცხადება, თუმცა ზავის დადების საკითხი აუცილებლად ყრილობასთან თანხმდება.

არმიის საბჭოზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას ახორციელებს გენერალური შტაბი, რომელიც განთავსებულია დუბლინთან.

არმიის საბჭო ხელმძღვანელობს ორგანიზაციას, რომელიც თავის რიგებში 300 მებრძოლსა და 700-ზე მეტ აქტივისტს აერთიანებს. მებრძოლებს კარგად ამზადებენ და თითოეული მათგანის მომზადება PIRA-ს 5-დან 10 ათასამდე ამერიკული დოლარი უჯდება. მათი საშუალო ასაკი 20-25 წელია. აქტივისტთა რიგებში შედიან კონსპირაციული ბინების, იარაღის საწყობების, სატრანსპორტო საშუალებების მფლობელებიც, კურიერებიც და სხვ.

ორგანიზაციის წევრობის კანდიდატი ყოველმხრივ და ხანგრძლივ შემოწმებას გადის. მისი პირველადი სტრუქტურაა ჯგუფი რვა კაცის შემადგენლობით, რომელთაგან მხოლოდ ორმა იცის კავშირის პირობები და კონტაქტი აქვს როგორც სარდლობასთან, ისე სხვა ჯგუფების უფროსებთან.

PIRA-ს თავისი დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახური გააჩნია. დაზვერვა ინფორმაციას ირლანდიის ორივე ნაწილიდან მოიპოვებს; ჰყავს ინფორმატორები როგორც სპეცსამსახურებში, ასევე პოლიციასა და ჯარში. მათ განკარგულებაშია უახლესი ტექნიკა, რადიოაპარატურა და ა.შ. კონტრდაზვერვის მუშაკები კი მოწინააღმდეგის სპეცსამსახურებით, აგენტების აღმოჩენითა და ლიკვიდაციით (რაც არც თუ ისე იშვიათია), აგრეთვე მათი მუშაობის დეზორგანიზაციით არიან დაკავებული.[54-45-56]

ორგანიზაციული საკითხების გადასაწყვეტად IRA დაფინანსებას ღებულობს როგორც ლეგალური, ისე არალეგალური ბიზნესიდან. მისი საერთო შემოსავალი დაახლოებით 10-16 მილიონ ფუნტ სტერლინგს შეადგენს. ამ შემოსავალში ლომის წილი არაკანონიერი გზით ნაშოვნ თანხებზე მოდის. ეს ორგანიზაცია უარს არ ამბობს რაკეტების ყიდვა-გაყიდვაზე, იარაღისა და ნარკოტიკული ნივთიერებების კონტრაბანდაზე, ვიდეო და აუდიო მეკობრეობაზე, ბანკების ძარცვაზე, ადამიანთა გატაცებაზე, გამოძალვასა და მსხვილ ბიზნესმენთა შანტაჟზე, ასევე სხვა უკანონო ქმედებებზე. არსებობს აზრი, რომ, თუ IRA, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია თავის საქმიანობას შეწყვეტს, მაშინ მისი სახით მსოფლიოს კარგად ჩამოყალიბებული, ყველაზე ძლიერი მაფიოზური კლანი დარჩება.

იხ.დანართი№3

ირლანდიელ ტერორისტებს სხვა ქვეყნების ტერორისტებთან და ტერორისტულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირები აქვთ, განსაკუთრებით კი ბასკების

ტერორისტულ ორგანიზაცია ETA-სთან („მამული და თავისუფლება“), კორსიკის „არტამაკორსა“-სთან საფრანგეთში.

ტერორისტული ორგანიზაცია „მამული და თავისუფლება“ (ETA) – ბასკების ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელიც ესპანეთში ბასკების დამოუკიდებლობისთვის იბრძვის. იგი დაარსდა 1959 წელს. არსებობის შესახებ განაცხადა 1968 წელს. გამოდის პროკომუნისტური ლოზუნგებით. 30 წელიწადზე მეტია შეიარაღებულ ბრძოლას ეწევა, რათა ესპანეთის ჩრდილოეთსა და სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთის ზოგიერთ რაიონში ბასკთა დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნას. ესპანეთის ხელისუფალთა მტკიცებით, ამ ორგანიზაციას თავისი საქმიანობის მანძილზე დაახლოებით 800 კაცის სიკვდილისათვის ეკისრება პასუხისმგებლობა, 2003 წლის გაზაფხულ-ზაფხულში ესპანეთში განხორციელებულ აფეთქებათა მთელ სერიაზე პასუხისმგებლობა კი თავად დაჯგუფებამ იკისრა.

ETA-ს კავშირები გააჩნია ბასკთა ბატასუნას პოლიტიკურ პარტიასთან, საიდანაც მისი დაფინანსება ხორციელდება და ირლანდიის „ირა“-სთან. ამფეთქებელთა და მებრძოლთა მომზადება ამ უკანასკნელის ბაზაზე ხდება.

2003 წელს ესპანეთის პარლამენტმა ETA-ს ბატასუნასთან კავშირის გამო გამოიტანა ბატასუნას, როგორც პოლიტიკური პარტიის აკრძალვის დადგენილება, რომელსაც 335 დეპუტატიდან 295-მა მხარი დაუჭირა. ამას ბატასუნას მომხრეების ქუჩებში გამოსვლა მოჰყვა, ხოლო ETA-ს მოთარეშეებმა ესპანეთის საკურორტო ქალაქებში რამოდენიმე აფეთქება განახორციელეს.

“მამული და თავისუფლების” გახმაურებული ტერაქტებია: ესპანეთის პრემიერ-მინისტრის – ლუი ბლასკოს მკვლელობა 1975 წელს. 1996 წელს ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის – ფრანსისკო ტომასა-ი-ვალენსას და მისი პირადი ადვოკატის ფილიპე გონსალეს ფერნანდო მესიკას მკვლელობები. ETA-ს ანგარიშზეა დაახლოებით 800 სხვა მკვლელობაც.[42-78-89]

„პალესტინის გათავისუფლების სახალხო ფრონტი“ 1967 წელს 3 პალესტინური ჯგუფისგან შეიქმნა. ეს ჯგუფებია: „პალესტინის გათავისუფლების ფრონტი“ (აჰმად ჯიბრელი, მოქმედებდა 1961 წლიდან), „შურისმაძიებელი ახალგაზრდობა“ და „დაბრუნების გმირები“. ორგანიზაციის პოლიტიკური ლიდერია ჯორჯ

ხაბაში, მისი მოადგილე - პოლიტიკური აქტების დამგეგმავი და ორგანიზატორი კარლოს შამალი.

პ.გ.ს.ფ.-ი 1993 წლიდან პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის წევრია და არაფატის ორგანიზაციის შემდეგ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სამხედრო ორგანიზაციას წარმოადგენს. დასახელებული ორგანიზაცია მარქსისტული იდეოლოგიის ძირითად პრინციპებს ეყრდნობა და ანტიკაპიტალისტურ ქმედებებს ახოციელებს. მას კურსი ებრაული სახელმწიფოს განადგურებისა და ერთიანი არაბული სოციალისტური რევოლუციისკენ აქვს აღებული.[54-56-67]

1980 წლიდან ორგანიზაცია ტერორისტული აქტების გარდა, პარტიზანულ ომსაც ეწევა ისრაელის წინააღმდეგ. მათი ე.წ. ბოევიკები ისრაელის კონტროლირებად ტერიტორიებზე შეღწევისას თავს ესხმიან სამხედრო ბაზებს და პოლიციის პოსტებს, ხოცავენ მშვიდობიან მოსახლეობას და პოლიტიკოსებს. 1990 წელს მათ მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგად აიყვანეს 300 მძევალი, რომლებიც შემდგომში გერმანიისა და შვეიცარიის ციხეებში მყოფ თანაორგანიზაციელ ტერორისტებზე გაცვალეს. პ.გ.ს.ფ. დაახლოებით 800-900 ტერორისტს ითვლის, მოქმედების ძირითადი ტერიტორია ისრაელი და ლიბანია, დაფინანსებას კი სირიიდან ღებულობს.

„ჰამასი“ – (ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა, პალესტინა) დაარსებულია 1987 წლის 14 დეკემბერს შეიხ აჰმედ იასინის მიერ ორი დაჯგუფების (“მუსულმან ძმათა ფრთა“, სექტორ ღაზასა და მდინარე იორდანიის ჩრდილოეთ ნაპირი და „ისლამური ჯიჰადის”, პალესტინა) ბაზაზე, რომლებიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში, როგორც საქველმოქმედო ორგანიზაციები ფუნქციონირებდნენ.

„ჰამასის“ შტაბბინა თეირანშია განთავსებული, მაგრამ ორგანიზაცია „ალჯიჰადისაგან“ განსხვავებით, ბრძოლის ტაქტიკისა და სტრატეგიის არჩევაში დამოუკიდებლობას ინარჩუნებს. “ჰამასი” პოლიტიკური (ლეგალური) და სამხედრო (არალეგალური) სტრუქტურებისგან შედგება. სამხედრო ფრთა „იზედდინ ალ-ყარუმის ბრიგადები”-ს სახელითაა ცნობილი და ტერორისტულ აქტებს ისრაელის ტერიტორიაზე სწორედ ის ახორციელებს.

პოლიტიკური სტრუქტურის მეშვეობით ორგანიზაცია თავისი იდეების პროპაგანდას ეწევა, მეჩეთებისა და სხვა სოციალურ-კულტურული

დაწესებულებების დახმარებით კადრების შერჩევას, მათ გადმობირებასა და, საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო სტრუქტურაში ჩარიცხვას აწარმოებს. სამხედრო სტრუქტურა კი საკუთარ საწრთვნელ ბაზებზე სხვადასხვა ოპერაციის ჩასატარებლად ტერორისტებს ამზადებს.

საქველმოქმედო ორგანიზაციებში, მეჩეთებში, სკოლებში ქმნიან შაჰიდურ რაზმებს, რომელთა წევრებს უნერგავენ, რომ – „ალაჰისათვის თავგანწირვა და სიკვდილი ყველაზე მოკლე გზაა სამოთხისკენ“. შაჰიდებს 18-27 წლის ახალგაზრდებს შორის არჩევენ. მათი უმრავლესობა ღარიბი ოჯახის წევრები და ისრაელის ოკუპაციის შედეგად დაზარალებული პირები არიან, რომელთაც პირადი სიძულვილი ამოძრავებთ და იდეოლოგიურ დამუშავებას ადვილად ექვემდებარებიან.[71-45-60]

შაჰიდური იდეოლოგიის დამფუძნებლის – აჰმედ ბახას თქმით, შერჩეულ ახალგაზრდებს თვითმკვლელობისთვის კი არა, „ჯიჰადის“ აქციის განსახორციელებლად ამზადებენ. “ყურანი მუსულმანს ნებას რთავს მტრის წინააღმდეგ მსგავსი ქმედება ჩაიდინოს, ალაჰი თანახმაა მტერს დარტყმა მიაყენო, ზუსტად ის ირჩევს გმირს, რომელიც რწმენის გამო სიცოცხლეს სწირავს“.

1991 წელს, ისრაელის სპეცსამსახურების მიერ შეიხ იასინის დაპატიმრების შემდეგ, ორგანიზაციას მისივე მოთხოვნით სათავეში ჩაუდგა მუსა აბუ მარზუკი, რომელიც 1974 წლიდან აშშ-ში ცხოვრობდა და ფინანსური საკითხებით იყო დაკავებული. მან „ჰამასის“ რეორგანიზაცია ჩაატარა, სტრუქტურა დახვეწა და ხელმძღვანელ თანამდებობებზე ახალგაზრდა პირები დანიშნა. მუსა აბუ მარზუკმა გახსნა ფილიალები ევროპაში, აშშ-ში, საუდის არაბეთში, ირანში, იორდანიაში და სხვა ქვეყნებში. მან ორგანიზაციის მიერ ჩასატარებელი ტერაქტების ძირითადი მიზნები განსაზღვრა, რომელიც ისრაელის სამართალდამცავი და ძალოვანი სტრუქტურების დისკრედიტაციასა და მოსახლეობის დემორალიზებაში მდგომარეობდა.

„ჰეზბოლა“ (ალაჰის პარტია) – ლიბანში 1980 წლიდან ფუნქციონირებს. იგი შიიტური მიმდინარეობის ისლამისტურ-ფუნდამენტალისტური პარტიაა. მისი თავდაპირველი ლიდერი, შეიხ საიდ მუჰამედ ფადლალა ირანული რევოლუციის იდეებს ქადაგებდა. 1982 წლიდან ორგანიზაცია უკვე თანამედროვე სახით ფუნქციონირებს ქ. ბალბეკში. ხელმძღვანელობას ახორციელებს უმაღლესი

საკონსულტაციო საბჭო, რომელიც 12 რელიგიური, პოლიტიკური და სამხედრო პირისგან შედგება. ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტის დროს მათ შორის რაიმე წინააღმდეგობის წამოჭრისას საქმის განხილვა თეირანში მთავარ იმამთან გადაინაცვლებს, რომელიც საბოლოო და ურყევ გადაწყვეტილებას იღებს. ორგანიზაციის საქმიანობა ვრცელდება ისეთ ქვეყნებზე, როგორიცაა ირანი, ლიბანი და სხვა. შეიხ იბრაგიმ ალამინის განმარტებით, „ჰეზბოლას“ ბრძოლის მიზანია „ისრაელის განადგურება, იერუსალიმზე ისლამის კონტროლის დაწესება, ლიბანში ირანის მსგავსი ისლამური სახელმწიფოს შექმნა, აშშ-სა და საფრანგეთის სამხედრო და პოლიტიკური გავლენის შემცირება, ყველა არასასურველი ურჯულოს განადგურება“.

1985 წ. ისრაელის სპეცსამსახურებმა ჰუსეინ ფადდალა მოკლეს. მის შემდეგ ლიდერის პოსტი აბას მუსავის ეკავა, ხოლო ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდგომ „ჰეზბოლას“ გენერალური მდივანი დღემდე შეიხი ხასას ნასრულაა, რომელიც სისასტიკითა და ალაჰისადმი ერთგულებით გამოირჩევა. ორგანიზაციის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და გამოცდილი ტერორისტი ვინმე ისად მუგნიეა, რომელმაც განახორციელა ისეთი ტერორისტული აქტები, როგორიც იყო 1983 წლის 23 ოქტომბერს ამერიკელთა სამხედრო ყაზარმისა (დაიღუპა 240 კაცი) და ლიბანში ფრანგების (დაიღუპა 58 კაცი) აფეთქება. მასზე ამ ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნაა გამოცხადებული. 1984 წელს „ჰეზბოლას“ მებრძოლებმა ბეირუთში ამერიკის საელჩოს წინააღმდეგ ტერაქტი განახორციელეს, რის შედეგადაც დაიღუპა 24 და დასახიჩრდა 90 ადამიანი. 1985 წლის 14 ივნისს ახლო აღმოსავლეთში მათ ხელში ჩაიგდეს თვითმფრინავი და მისი მგზავრები მძევლად აიყვანეს.

1982 წლისათვის „ჰეზბოლას“ წევრთა რაოდენობა 5000 კაცს შეადგენდა, ამჟამად მათი რიცხვი 22.000 კაცს აღწევს. ტერორისტული საქმიანობისას ის ხშირად გამოდის ისეთი ორგანიზაციების ფსევდონიმით, როგორიცაა „ისლამური ჯიჰადი“, „ისლამური წინააღმდეგობა“ და „მართლმსაჯულების რევოლუციური ორგანიზაცია“. 1990 წელს მათ მიერ 19 ტერორისტული აქტი განხორციელდა, 1991 წ. – 52, 1992 წ. – 63, 1994-ში – 158, 2000 წ. – 173, ხოლო 2005 წელს – 189.

ისევე, როგორც სხვა ტერორისტული ორგანიზაციების წევრები, „ჰეზბოლას“ მეომრებიც ინტენსიურ იდეოლოგიურ მომზადებას გადიან. „ალაჰი და მხოლოდ ალაჰისათვის სიკვდილი" - ასეთია მათი დევიზი. ორგანიზაცია სხვადასხვა პროისლამური ქვეყნიდან ფინანსდება, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი

ირანს უკავია. ორგანიზაციის ყოველწლიური შემოსავალი საშუალოდ დაახლოებით 100-130 მლნ. დოლარია, რაც „ჰეზბოლას“ საშუალებას აძლევს, საქველმოქმედო საქმიანობა აწარმოოს და მუსულმან მოსახლეობაში ავტორიტეტი აიმაღლოს.

“ჰესბოლას” ბრძოლის მეთოდების ავტორად ითვლება პიროვნება ფსევდონიმით “ჰაჯ-ჰალილი” (მოქმედების ოსტატი), რომელმაც ჩამოაყალიბა ტერორისტთა ბრძოლის პრინციპები:

- ერიდეთ ძლიერებს, შეუტიეთ სუსტებს; შეუტიეთ და სწრაფად დაიხიეთ უკან;

- საკუთარი მებრძოლების დაცვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოწინააღმდეგისათვის ზიანის მიყენება;

- დარტყმა მიაყენეთ მხოლოდ მაშინ, როცა წარმატება უზრუნველყოფილია, მოულოდნელობა წარმატების პირობაა;

- არ ჩაებათ გაჭიანურებულ ბრძოლაში, მოასწარით უკან დახევა მანამ, სანამ მოწინააღმდეგე თავის უპირატესობას გამოიყენებს;

- მიზნის მისაღწევად საჭიროა ზედმიწევნით იცოდე მოწინააღმდეგის სუსტი ადგილები;

- მუდამ იმოძრავეთ, ნუ განლაგდებით სწორ ხაზზე;

- აიძულეთ მოწინააღმდეგე, მუდამ დაძაბული იყოს როგორც წინა ხაზზე, ასევე ზურგში;

- გზა დიდი გამარჯვებისკენ მრავალ პატარა გამარჯვებაზე გადის;

- შეინარჩუნეთ თქვენი მებრძოლების მაღალი საბრძოლო სულისკვეთება;

- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს დიდი შესაძლებლობები გააჩნიათ, გამოიყენეთ ისინი;

- სურსათის მოპოვების საკითხში ადგილობრივი მოსახლეობა ფასდაუდებელია;

- მოწინააღმდეგეზე დარტყმის მიყენების შემდეგ თვალს მოეფარეთ და შეისვენეთ, რათა მან ვერ მოახერხოს ძლიერი კონტრდარტყმის განხორციელება.

“ალ-ქაიდა” – ისლამური ფუნდამენტალისტების ინტერნაციონალური ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელიც შეიქმნა 1988 წელს ებრაელებისა და ქრისტიანების წინააღმდეგ. “ალ-ქაიდა” ახლო აღმოსავლეთში მომხდარ მოვლენებს განიხილავს, როგორც მართლმორწმუნე მაჰმადიანებისა და ურწმუნოების ურთიერთბრძოლას.

დამაარსებელი და ხელმძღვანელი უსამა ბინ ლადენია. მან სამხედრო საქმიანობა ავღანეთის ომში დაიწყო. 1998 წლიდან აქტიურად ჩაება საერთაშორისო ტერორისტულ მოძრაობაში, გარშემო ავღანეთის ომის ვეტერანები შემოიკრიბა და მათზე დაყრდნობით ორგანიზაცია ჩამოაყალიბა.

მიზანი ისლამურ რესპუბლიკებში არსებული ხელისუფლების დამხობა და შარიათის კანონებზე დამყარებული ისლამური სახელმწიფოების დაარსებაა.

მოქმედების ადგილი მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეა.

თავდასხმის ობიექტები აშშ-სა და ისრაელის მოქალაქეები და ობიექტები არიან.

განხორციელებული ტერაქტები:

- 1995 წელს ეთიოპიაში ბინ ლადენის აგენტები დაეხმარნენ ეგვიპტელ ტერორისტებს ჰოსნი მუბარაქის მკვლელობის მცდელობაში;
- 1995 წელს საუდის არაბეთში ბინ ლადენის ტერორისტებმა განახორციელეს დივერსია აშშ-ის სამხედრო ცენტრზე ერ-რიადში;
- 1998 წელს კენია-ტანზანიაში დივერსია მოაწყვეს აშშ-ის საელჩოზე, რომლის დროსაც დაიღუპა 300-მდე ადამიანი;
- 1998 წლის თებერვალში ბინ ლადენმა გამოაცხადა ისლამური ტერორისტული ორგანიზაციების გაერთიანების (“მსოფლიო ირანული ფრონტი ებრაელებისა და ჯვაროსნების წინააღმდეგ”) ჩამოყალიბების შესახებ. ფრონტის დამაარსებლები აგრეთვე არიან: ზავახერი (“ალ-ჯიჰადი”), რიფაი აჰმად თახა (“ალ-ჯაამია ალ-ისლამია”) და ზოგიერთი პაკისტანელი ლიდერი. ამგვარად, “ალ-ქაიდას” გარდა, გაერთიანებაში ირიცხება ეგვიპტური “ალ-ჯაამია ალ-ისლამია” და “ალ-ჯიჰადი”, პაკისტანელ სწავლულთა საზოგადოება, “ქაშმირის ამბოხებულთა მოძრაობა”, ბანგლადეშის “ალ-ჯიჰადი”, ავღანური “საბჭო და რეფორმის” მეომარი შტო. თითოეული ეს ორგანიზაცია დამოუკიდებლად განსაზღვრავდა თავდასხმის ობიექტებს. თანამშრომლობა ხორციელდებოდა საომარი ქვედანაყოფების

დონეზე, თუმცა, ყველა ორგანიზაცია დამოუკიდებლად მოქმედებდა. “საერთაშორისო ფრონტის” შექმნის შემდეგ აღნიშნულ ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა “შურა” – ბინ ლადენის ხელმძღვანელობით. ორგანიზაცია იმართება უფრო მკაცრად, რაც ზრდის საომარი ოპერაციების ეფექტურობასა და საერთაშორისო საქმიანობის მასშტაბებს.[57-82-102]

ბინ ლადენის ორგანიზაცია ისწრაფვის, განახორციელოს ტერორისტული აქტები აშშ-ის მოქალაქეებზე მსოფლიოს ყველა კუთხეში. ასეთი ქმედებებით მათ სურთ, ერთი მხრივ, აიძულონ აშშ-ის ხელისუფლება უარი თქვას მუსლიმანური ქვეყნების საქმეებში ჩარევაზე და მეორე მხრივ, ზემოქმედება მოახდინონ სპარსეთის ყურის ქვეყნების მთავრობებზე, რათა მათ უარი თქვან აშშ-ის მხარდაჭერაზე.

ორგანიზაცია ეხმარება მუსულმან ტერორისტებსა და ამბოხებულებს. ბინ ლადენის ავღანელი მეომრები მონაწილეობას იღებენ ინდოეთში, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, დსთ-ში, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიებზე არსებულ შეიარაღებულ კონფლიქტებში.

ბინ ლადენი მხარს უჭერს და ეხმარება მეომრებს ავღანეთში, ალჟირში, ბოსნიაში, ჩეჩნეთში, კოსოვოში, პაკისტანში, სომალიში, ტაჯიკეთსა და იემენში.

იხილეთ დანართი№1

კოსოვოს განმანთავისუფლებელი არმია (კგა) – ეს არის სეპარატისტულ-ნაციონალისტური ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც იუგოსლავიის, ალბანეთის და მაკედონიის ტერიტორიებზე მოქმედებს. მისი ბრძოლის ძირითადი მიზანი გახლდათ კოსოვოს, როგორც მხარის გათავისუფლება და დამოუკიდებლობის მოპოვება. იგი 1990 წელს ჩამოყალიბდა, უკვე 1996-98 წლებში ფუნქციონირება დაიწყო, როგორც პოლიტიკურ-სეპარატისტული მოძრაობის შეიარაღებულმა ფრთამ, ხოლო როცა მისით ამერიკული და გერმანული სპეცსამსახურები დაინტერესდნენ და დახმარებაც აღმოუჩინეს, კოსოვოს გამათავისუფლებელი არმია დამოუკიდებელ სამხედრო მოძრაობად ჩამოყალიბდა. გარდა ტერორისა, იგი ფართომასშტაბიან პარტიზანულ ომსაც ეწეოდა. [72- 56-89]

კგა ახორციელებდა შეიარაღებული თავდასხმებს იუგოსლავიის პოლიციის განყოფილებებზე და სამხედრო შენაერთებზე, ანადგურებდა სლავური

წარმოშობის სამოქალაქო პირებს, აწყობდა ტერორისტულ აქტებს იუგოსლავიის მთავრობისადმი ლოიალურად განწყობილი ალბანელების წინააღმდეგ, ასევე სჩადიოდა ისეთ კრიმინალური დანაშაულებს, როგორიცაა ყაჩაღობა, ძარცვა, ქონების განადგურება და სხვა. ორგანიზაციის მიზანი ეთნიკურად ერთგვაროვანი ალბანელებით დასახლებული კოსოვოს შექმნა იყო.

„კგა"-ს ტერორისტული საქმიანობა კოსოვოში განსაკუთრებით 1998 წლის დასაწყისიდან გაფართოვდა, მაგ. 1998 წლის 1 იანვრიდან 30 აგვისტოს ჩათვლით 1126 ტერორისტული თავდასხმა განხორციელდა, აქედან პოლიციის განყოფილებებსა და თანამშრომლებზე - 616, სამოქალაქო პირებზე - 510. მოკლეს 74 და დაჭრეს 282 პოლიციელი; ასევე დაჭრეს 81 სამოქალაქო პირი, გაიტაცეს 208 მოქალაქე. ტყვეობიდან გამოქცეულებთან საუბრით ირკვევა, რომ „კგა"-ს წევრი-ალბანელები გატაცებულებს განსაკუთრებული სისასტიკით ეპყრობოდნენ, სიკვდილის წინ სხვადასხვა არაადამიანური მეთოდით აწამებდნენ, თავიანთი საქმიანობისთვის სხვადასხვა სასროლ იარაღს, ასაფეთქებელ ნივთიერებას, ხელყუმბარებსა და ყუმბარებს, სარაკეტო დანადგარებს, ყუმბარმტყორცნებს, სნაიპერულ შაშხანებსა და მძიმე ტექნიკას იყენებდნენ.

„კგა" ფინანსურ, სამხედრო და პოლიტიკურ დახმარებას იღებს მეზობელი ალბანეთიდან, ისლამური სახელმწიფოებიდან, კერძო პირებისგან, ევროპასა და ამერიკაში მცხოვრები ალბანური დიასპორის წარმომადგენლებისგან, რომლებიც იქ ძირითადად ნარკოტიკების გასაღებითა და იარაღის კონტრაბანდით არიან დაკავებული, ასევე გერმანიის, აშშ-ისა და ინგლისის გარკვეული პოლიტიკური წრეებიდან. ტერორისტთა მოსამზადებელი სამხედრო ბაზა მდებარეობს ალბანეთის ჩრდილოეთ ტერიტორიაზე, სადაც მათი ძირითადი ნაწილი გადის მომზადებას, მაგრამ „კგა"-თვის მებრძოლების მზადება ასევე ავღანეთში, სუდანში, თურქეთში, ლიბანში და ხორვატიაში მიმდინარეობს.

1998 წლის 27 აგვისტოს ტერორისტებმა სოფელ კლეკის ტერიტორიაზე, განსაკუთრებულ არალეგალურ კრემატორიუმში დაწვეს 22 სერბი, რომლებიც წამებით დახოცეს.

„აუმ სენრიკიუ“ (იაპონია) – რელიგიური სექტაა, დაფუძნებულია 1987 წელს იოლო ასახარას მიერ, რომლის ამოცანა იყო ხელისუფლების სადავეების ხელში ჩაგდება ჯერ იაპონიაში, შემდეგ კი მთელ მსოფლიოში.

ორგანიზაცია სტრუქტურულად შედგებოდა ე.წ. სამინისტროებისა და სამდივნოსაგან, რომლებიც სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის საფუძველი უნდა გამხდარიყო. 1989 წელს სექტა ოფიციალურად დარეგისტრირდა, 1990 წელს მან მონაწილეობაც კი მიიღო ადგილობრივ არჩევნებში.

„აუმ“-ის ბირთვს შეადგენენ ახალგაზრდა მეცნიერები, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული პირები და შეძლებული ადამიანები, რომელთაც სექტისათვის გარკვეული თანხების გაღება შეუძლიათ. ასახარამ სწორედ ახალგაზრდა ნიჭიერი სპეციალისტების მეშვეობით შექმნა ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის წარმოების ცენტრები. ქიმიურ პრეპარატ „ზარინის“ ეფექტურობის გამოცდის მიზნით სექტამ პირველი აქცია მაცუმოტოში განახორციელა, შემდგომში კი ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოსაცდელად უპილოტო თვითმფრინავების გამოყენება დაიგეგმა. 1995 წელს ტოკიოს პოლიციამ ეჭვი აიღო, რომ სექტა რამოდენიმე მკვლელობის ორგანიზატორი და შემსრულებელი შეიძლებოდა, ყოფილიყო. პოლიციის ყურადღების სხვა მიმართულებით გადატანის მიზნით, „აუმ“-მა 1995 წლის 20 მარტს ტოკიოსა და იოკოჰამას მეტროებში ქიმიური გაზი გაუშვა. [73-54]

იაპონიაში სექტანტების რაოდენობა 9000 კაცს შეადგენდა, ხოლო მთელ მსოფლიოში მათი რაოდენობა 40000-ს აღწევდა. სექტის განყოფილებები ფუნქციონირებდა ავსტრალიაში, გერმანიაში, რუსეთში, უკრაინაში, აშშ-ში ტაივანში, შრილანკასა და იუგოსლავიაში. მართალია სექტის აკრძალვის შემდეგ მისი მოქმედების მასშტაბები შემცირდა, მაგრამ იგი ამჟამად მუშაობის არალეგალურ რეჟიმზეა გადასული და მის ფუნქციონირებას აკონტროლებენ ის წევრები, რომლებიც მართლმსაჯულებას გადაურჩნენ.

თურქეთი

ერთ-ერთ უმძიმეს პრობლემა, რომელიც თურქეთის ხელისუფლებისა და მთელი მოსახლეობის წინაშე დგას, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაა. ეს საკითხი საზოგადოებრიობის განხილვის საგნად განსაკუთრებული სიმწვავით ბოლო პერიოდში იქცა, მას შემდეგ, რაც თურქეთის სპეცდანიშნულების რაზმებმა კენიის დედაქალაქ ნაირობში დააპატიმრეს ქურთ მუშათა პარტიის ლიდერი აბდულა ოჯალანი, რომლის შეიარაღებულ რაზმებთან ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში თურქეთის სამთავრობო საჯარისო ნაწილები 1994 წლიდან აწარმოებდნენ ბრძოლას.

ქვეყნის ხელისუფლების მიერ პირველ ტერორისტად მიჩნეული აბდულა ოჯალანის დაპატიმრებისა და მისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის შემდეგაც, „PPK”-ს ბოევიკების წინააღმდეგ ბრძოლა თურქეთის ხსენებულ რეგიონებში კვლავ მიმდინარეობს.

თურქეთში არსებული ტერორისტული ორგანიზაციები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს:

- ქურთული სეპარატისტული ორგანიზაციები;
- რადიკალური მემარცხენე ორგანიზაციები;
- შეიარაღებული ისლამური დაჯგუფებები.

სამივე კატეგორიის ტერორისტული ორგანიზაციების საერთო რაოდენობა ამჟამად რამოდენიმე ათეულს შეადგენს, მათ შორის 15 შეიარაღებული სეპარატისტული დაჯგუფებაა, 33 სხვადასხვა შეიარაღებული ორგანიზაციაა. ისლამურ ბოევიკთა რაზმების რაოდენობა 30-ს აღწევს, საიდანაც 6 შეიარაღებული დაჯგუფებაა, 23 კი რადიკალურ რელიგიურ ორგანიზაციად ითვლება.

ტერორისტული დაჯგუფებების შევსება ძირითადად ახალგაზრდებით ხდება. ამგვარ ორგანიზაციებში უმთავრესად უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები შედიან. ტერორისტული ორგანიზაციების კადრების მნიშვნელოვან წყაროს თურქეთის ორი უდიდესი ქალაქის - სტამბოლისა და ანკარას – უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები შეადგენენ.[130]

თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში ბოლო 15 წლის მანძილზე ბრძოლები მიმდინარეობს სამთავრობო ჯარებსა და „PPK”-ს ბოევიკებს შორის. ბოლო წლებში „PPK” შეეცადა შეტაკებების არეალი აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის რაიონების ხარჯზე გაეფართოვებინა. ქურთისტანის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ორგანიზაციების დიდი ნაწილი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის გარდა, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისათვის იბრძვის; სხვა კატეგორიის შეიარაღებული დაჯგუფებების შესახებ კი შეიძლება შემდეგი ითქვას:

- თურქეთში მემარცხენე ორგანიზაციების უმეტესობა აქტიურ მოღვაწეობას 80-იან წლებამდე ეწეოდა. ამ არალეგალური მარქსისტულ-ლენინისტური

პარტიების (რომლებიც დიდი ხანია იატაკქვეშა მოღვაწეობას ეწევიან) საბოლოო მიზანია ქვეყანაში კომუნისტური წყობის დამყარება. ქვეყნის პოლიტიკურ ცხივრებაში სამხედროების ჩარევის შემდეგ მათმა ერთმა ნაწილმა დასავლეთს, კერძოდ ევროპას მიაშურა.

- რაც შეეხება ისლამურ შეიარაღებულ ორგანიზაციებს, მათი გაძლიერება უმთავრესად 80-იან წლებში მოხდა. ისლამური მიმდინარეობის ლიდერები საბოლოო ჯამში მიზნად ისახავენ რესპუბლიკური თურქეთის წყობის შეცვლას ისლამური, შარიათული რეჟიმით. რადიკალური ისლამის გააქტივების გარე ფაქტორად, პირველ რიგში, მეზობელი ირანის გავლენა უნდა დასახელდეს.

ტერორისტულად მიჩნეული ორგანიზაციების წინაღმდეგ იბრძვიან არამარტო ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოები, არამედ, რიგ შემთხვევაში, პოლიტიკური პარტიების გასამხედროებული აქტივისტებიც. ამ მხრივ აღსანიშნავია წარსულში თურქეთის ნაციონალისტური მოძრაობის ორგანიზაციის – „რუხი მგლების" აქტივისტების სასტიკი ანგარიშწორებები უკიდურესი მემარცხენე იდეების გამტარებელი ორგანიზაციის წევრების მიმართ.

ქურთული ტერორისტული ორგანიზაციებია:

- ქურთ მუშათა პარტია;
- ქურთისტანის სოციალისტური პარტია;
- ჩრდილოეთ ქურთისტანის დემოკრატიული პარტია;
- ქურთისტანის ხსნის პარტია;
- ქურთისტანის პროლეტარული კავშირი;
- ქურთისტანის ისლამური კავშირი;
- ქურთისტანის ეროვნული ხსნის პარტია;
- ქურთისტანის სოციალისტური მოძრაობა;
- ქურთისტანის ეროვნული მხსნელები;
- სოციალისტური ბრძოლა;
- ქურთისტანის გაერთიანებული სახალხო პარტია;
- ჩვენი თავისუფლების ორგანიზაცია;
- ჩემი მასწავლებელი სოციალისტური პარტია;
- ზაზაისტანის გზა;

მარქსისტულ-ლენინისტური ტერორისტული ორგანიზაციებია:

- მემარცხენე-რევოლუციური ორგანიზაცია;
- რევოლუციური გზა;
- მოჩქარენი;
- მარქსისტულ-ლენინისტური პროპაგანდის შეიარაღებული კავშირი;
- წინააღმდეგობის მოძრაობა;
- მემარცხენე-დემოკრატ მუშათა მოძრაობა;
- სახალხო-დემოკრატიული კომუნისტური პარტიის ფრონტი;
- თურქეთის მუშათა და გლეხთა ხსნის ორგანიზაცია;
- თურქეთის კომპარტიის მარქსისრულ-ლენინისტური სათათბირო;
- თურქეთის კომპარტიის მაქსისტულ-ლენინისტური კავშირი;
- ოქტომბერი;
- თურქეთის დემოკრატიული კომპარტია;
- თურქ მუშათა კომუნისტური კავშირი;
- თურქ კომუნისტ მშრომელთა პარტია;
- თურქ კომუნისტ მშრომელთა ლიგა;
- ქურთისტანის კომპარტია;
- ქურთისტანის წინააღმდეგობის მოძრაობა;
- თურქეთის კომუნისტური პარტია;
- თურქეთის დემოკრატიული პარტია;
- მარქსისტულ-ლენინისტური კომპარტია;
- 16 ივნისის მოძრაობა;
- რევოლუციური დარაზმულობა;
- მეოთხე მემარცხენე ორგანიზაცია.

შეიარაღებული ისლამისტური რეაქციული ორგანიზაციები და დაჯგუფებებია:

- ჰეზბოლაჰური მოძღვრების დაჯგუფება;
- ისლამისტური მოძრაობის ორგანიზაცია;
- დიდი აღმოსავლეთის ისლამურ მარბიელთა ფრონტი
- ისლამური საკრებულოებისა და საზოგადოებების კავშირი;
- ვარსკვლავი;

- ორიენტაცია;
- ჰეზბოლას ერთობა;
- ჰეზბოლას მოწვევა;
- ჰეზბოლას ვაკე;
- უღელტეხილი;
- დედამიწა;
- მკვდრეთით აღდგომა;
- ერთობის ბირთვი;
- ნათესი;
- განთიადი;
- სესხი;
- მუსულმანი ძმა;
- ერთობა/სალამი;
- ღვთის ლაშქარი;
- მემკვიდრეები;
- მალათიელები;
- საღვთო ომი;
- საკუთარი მეობისაკენ დაბრუნება;
- ვაჰაბიტი;
- აბისინიელი;
- ღმერთთან შერწყმა.

ქურთ მუშათა პარტია (PKK) – პოლიტიკურ-ტერორისტული ორგანიზაციაა. ჩამოყალიბდა 1978 წელს. დამაარსებელი და ხელმძღვანელი აბდულა ოჯალანია. 1984 წელს PKK–მ ომი გამოუცხადა თურქეთს. საწყის ეტაპზე ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენდა ქურთისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, 1990 წლიდან კი – ავტონომიის მოპოვება. იდეოლოგიურად მარქსისტული ორგანიზაციაა ქურთული სპეციფიკით. მოქმედების ადგილია თურქეთი და ევროპა. შტაბბინა მდებარეობს დამასკოში. სტრუქტურა წარმოდგენილია ქურთისტანის ნაციონალურ-გამათავისუფლებელი ორგანიზაციითა და ქურთისტანის სახალხო გამათავისუფლებელი არმიით. მებრძოლთა რაოდენობა 4000-მდეა. თავდასხმის ობიექტებს წარმოადგენენ: თურქი ჩინოვნიკები, პოლიტიკოსები, დიპლომატები, ბიზნესმენები და უცხოელი ტურისტები.

ბრძოლის მეთოდებია პარტიზანული ომი და ტერაქტები. კონტაქტები აქვთ სომხურ იატაკქვეშა ორგანიზაციებთან. ფინანსდებიან ქურთი მოსახლეობისგან მოკრებილი „რევოლუციური გადასახადით", ასევე ნარკობიზნესის შემოსავლებით.[135]

PKK-ს მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტებია:

- 1993 წელს ჩატარებული 4000 შეიარაღებული აქცია;
- 1993 წლის ივნისში ევროპაში მოწყობილი ტერაქტების სერია თურქი დიპლომატებისა და ბიზნესმენების წინააღმდეგ;
- 1995 წელს ჩატარებული 411 წარმატებული ოპერაცია. ამავე წელს პოლიციამ გაანადგურა ორგანიზაციის 1000 მებრძოლი, რის გამოც პარტიის აქტიურობა შენელდა.

1999 წელს დააპატიმრეს აბდულა ოჯალანი, რომელსაც სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა (განაჩენი დღემდე არ არის სისრულეში მოყვანილი).

"რუხი მგლები" – ნაციონალისტურ-პანთურქისტული მოძრაობის ახალგაზრდული ორგანიზაცია. შეიქმნა 1958 წელს თურქეთში.

მიზანი: თურქული ზეგავლენის გაძლიერება და დიდი თურქული სახელმწიფოს შექმნა.

მოქმედების ადგილი: აზერბაიჯანი და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა თურქულენოვანი რესპუბლიკები.

რაოდენობა: 200 000 წევრი (1980 წლის მონაცემებით).

კონტინგენტი: წვრილი ბურჟუაზია, სტუდენტები, გლეხები, მუშები.

ორგანიზაცია პოპულარული გახდა რომის პაპზე – იოანე პავლე II-ზე თავდასხმის შემდეგ. 1981 წელს ორგანიზაციის საქმიანობას ბოლო მოუღო სამხედრო ხელისუფლებამ, თუმცა 2000 წლიდან ამ ორგანიზაციის რეანიმაციის ნიშნები შეინიშნება.

მემარცხენე რევოლუციური ორგანიზაცია – „დევრიმჯი სოლ" – პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც შეიქმნა 1978 წელს მას შემდეგ, რაც გამოეყო „თურქი ხალხის თავისუფლების ფრონტს".

მიზანი: ეროვნულ-პოლიტიკური რევოლუცია თურქეთში.

იდეოლოგია: მარქსისტული.

მოქმედების ადგილი: თურქეთი (ანკარა, იზმირი, ადანი).

შტაბბინა: ანკარა.

რაოდენობა: ათასამდე წევრი, ძირითადად ყოფილი სამხედროები;

თავდასხმის ობიექტები: აშშ-ის, თურქეთისა და ნატო-ს სამხედრო ობიექტები, თურქეთის უშიშროების, პოლიციისა და სამხედრო ოფიცრები.

ბრძოლის მეთოდი: შეიარაღებული თავდასხმები, მკვლელობები, ტერაქტები ქალაქის ტერიტორიაზე, მოქალაქეთა გატაცება, ძარცვა.

კონტაქტები: პალესტინის ტერორისტული ორგანიზაციები, ELA, ELN, ETA, თურქი ემიგრანტები ევროპაში.

დაფინანსება: რადიკალური პალესტინელები, თ , თურქი ემირატები, მოსახლეობის ძარცვითა და გამოძალვით მოპოვებული შემოსავლები.

განხორციელებული ტერორისტული აქტები:

- 1981-83 წლებში განახორციელეს თავდასხმები ნატო-ს სამხედრო ბაზებზე თურქეთში;
- 1991 წელს მოაწყვეს ტერაქტები თურქეთის უშიშროებისა და პოლიციის თანამშრომლებზე (დაიღუპა 30 პოლიციელი);
- 1992-95 წლებში მოაწყვეს თავდასხმა ორ ამერიკელ და ერთ ბრიტანელ ბიზნესმენზე.

ირანი

ირანში არსებული პოლიტიკური ვითარება შემდეგნაირად შეიძლება დახასიათდეს. ქვეყანა დაყოფილია ორ პოლიტიკურ ბანაკად:

1. რეფორმატორებად, რომლებიც პარლამენტში უმრავლესობას წარმოადგენენ, მაგრამ ვერ ფლობენ ქვეყნის მართვის რეალურ სადავეებს და არ გააჩნიათ მიზნად დასახული რეფორმების გატარების შესაძლებლობა.

2. კონსერვატორებად, რომელთაც აქვთ ისლამურ-ფუნდამენტალისტური ორიენტაცია, აკონტროლებენ ირანის ძალოვანი სტრუქტურების ნაწილს, აქვთ მჭიდრო ურთიერთობა ტერორისტულ ორგანიზაციებთან, აფინანსებენ და კოორდინაციას უწევენ მათ.

ამ უკანასკნელთა გამო თეირანში გაიზარდა ტერაქტების რიცხვი უმაღლესი ხელისუფლების რეფორმატორი წარმომადგენლების წინააღმდეგ, რომლებიც სავარაუდოდ ერაყში ბაზირებული ტერორისტული ორგანიზაციის – „mojahedine halye iran"-ის განხორციელებულია.[129]

მოჯაჰედინე-ჰალყა ირან (ირანის მართალი საქმისათვის მებრძოლები). ორგანიზაცია შეიქმნა 1965 წელს. იგი აგროვებდა ინფორმაციას უშიშროებისა და სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკური სამსახურის თანამშრომლების შესახებ. 1970 წლიდან "მებრძოლების" აქტიურობა გაიზარდა. 1971-72 წლებში დააპატიმრეს ორგანიზაციის მრავალი წევრი. დანარჩენმა წევრებმა კი კვლავ განაახლეს მუშაობა, ჩაატარეს ოპერაციები მრავალ ქალაქში და დაიწყეს გაზეთ "ჯანგშალის" გამოშვება. 1975 წლიდან ორგანიზაციის სათავეში დროებით მოვიდნენ მარქსისტი ლენინელები, რომლებმაც კურსი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნაზე აიღეს.

ორგანიზაციის ტერორისტული საქმიანობის ბოლო ეტაპი ემთხვევა ირანის ისლამური რევოლუციის პერიოდს. ორგანიზაცია მხარს უჭერდა ხომეინსა და ანტიამერიკულ საქმიანობას, თუმცა რევოლუციის შემდეგ ორგანიზაცია უკიდურესად ოპოზიციურად განეწყო ხომეინის რეჟიმის მიმართ და დაიწყო ტერორისტული აქტების განხორციელება რევოლუციის ლიდერების მიმართ, ამიტომ ყველა ზომა იქნა მიღებული ორგანიზაციის გასანადგურებლად.

დამაარსებლები: შაჰის რეჟიმით უკმაყოფილო თეირანის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები. კერძოდ, მოჰამედ ხანიფნეჯადი, საედ მოსხენი, ალი ასღარ ბაადი ზადეგანი, აჰმედ რეზაი.

მიზანი: ბრძოლა შაჰის რეჟიმის, კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

სტრუქტურა: საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახური, შეიარაღებული დაჯგუფებები.

რაოდენობა: 2000 წევრი.

განხორციელებული ტერაქტები:

- აფეთქებების სერია ნიქსონის თეირანში ვიზიტის დროს 1972 წელს;
- ირანის ისლამური რესპუბლიკური პარტიის შტაბბინის აფეთქება 1981 წელს (დაიღუპა 64 ადამიანი);
- 1982 წელს თეირანში განხორციელებული აფეთქებები, რის შედეგადაც დაიჭრა 60, ხოლო დაიღუპა 12 ადამიანი;
- ირანის პოლიციის შეფზე თავდასხმა 1982 წელს;
- ირანის საელჩოებზე თავდასხმები 13 სხვადასხვა ქვეყანაში 1992 წელს.

1982 წელს ორგანიზაცია გადავიდა იატაკქვეშა პოლიტიკურ საქმიანობაზე; ამჟამად ის აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესებში და ეწევა ირანის ხელისუფლების საწინააღმდეგო საქმიანობას.

ცნობილია, რომ ირანი მართავს და ხელს უწყობს ტერორისტულ ორგანიზაციებს: „ჰეზბოლას", „ალ ჯიჰადს" და სხვებს, რომლებიც მოქმედებენ აშშ-ის და დასავლეთ ევროპის მიერ გატარებული პოლიტიკის წინააღმდეგ. მათი აქტიურობა შესამჩნევია იმ რეგიონებში, სადაც დასავლეთი თავისი ინტერესების განხორციელებას ცდილობს. მაგალითად: **IIრ-**ის(ირანის ისლამური რესპუბლიკის) კლერიკალური მთავრობა ცდილობს ხელი შეუშალოს ტრასეკას პროექტის განხორციელებას. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციები გამოჩნდნენ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში. მათი საშუალებით ირანი შეეცდება ტერაქტები განახორციელოს არასასურველ პოლიტიკური მოღვაწეების წინააღმდეგ, ასევე სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებზე და ა.შ. ირანის შეიარაღებულ ძალებში ფუნქციონირებს სპეცდანიშნულების ორგანიზაცია „ყოდოს"-ი, რომელსაც საზღვარგარეთის ქვეყნებში სპეციალური ღონისძიებების გატარება ევალება. მისი ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს შიიტური ისლამის „ექსპორტს" მსოფლიოში. „ყოდოსს" აქვს რეზიდენტურები მსოფლიოს 80-მდე ქვეყანაში. ისინი განსაკუთრებული აქტიურობით მუშაობენ ცენტრალური აზიისა და კავკასიის რეგიონებში, ასევე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. გარდა

ამისა, სწორედ ამ ქვედანაყოფს გააჩნია მჭიდრო ურთიერთობები ტერორისტულ ორგანიზაციებთან და ხშირ შემთხვევაში კოორდინირებას უწევს მათ საქმიანობას. ოფიციალური თეირანი მატერიალურად და ფინანსურად ეხმარება ისეთ ტერორისტულ დაჯგუფებებსაც, რომელთაც არ აქვთ ისლამურ-ფუნდამენტალისტური ორიენტაცია. ასეთია, მაგალითად, ქურთ მუშათა პარტია (PKK). ხშირია შემთხვევები, როდესაც ტარორისტული დაჯგუფების ლიდერები ირანის მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრებს აწარმოებენ.

ალჟირი.

"ხსნის ისლამური ფრონტი" - ალჟირული ფუნდამენტალისტი ისლამისტების პარტიაა. დაარსდა 1989 წელს აბას მადანის ხელმძღვანელობით. 1991 წელს მოიპოვა გამარჯვება პარლამენტის არჩევნების პირველ ტურში. 1992 წელს მთავრობამ აკრძალა ფრონტის საქმიანობა, რის შედეგადაც ორგანიზაციამ ტერორისტულ საქმიანობას მიჰყო ხელი.

ეგვიპტე.

"მუსულმანთა საძმო" – ისლამისტთა საზოგადოებრივი ორგანიზაციაა. დაარსდა ჰასან ალ-ბანას ხელმძღვანელობით.

"ისლამური ჯიჰადი" – არსებობის შესახებ განაცხადა 1977 წელს. 1995 წელს განახორციელა უშედეგო თავდასხმა ეგვიპტის პრეზიდენტზე ჰოსნი მუბარაქზე. ორგანიზაციის ლიდერია შეიხი ომარ აბდულ რახმანი, რომელიც გასამართლდა აშშ-ში. ორგანიზაციის ადგილსამყოფელია სუდანი.

შრი-ლანკა.

"თალიბ ისლამის გამათავისუფლებელი ვეფხვები" – არსებობის შესახებ განაცხადა 1983 წელს. იბრძვის ჩრდილო-აღმოსავლეთ შრი-ლანკის ავტონომიის მოთხოვნით. 1995 წელს მათ მიერ მოწყობილი აფეთქების შედეგად დაიღუპა 100 ადამიანი. ოფიციალური მონაცემებით, 1983 წლიდან დღემდე შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად 50 000-მდე მოქალაქეა დაღუპული.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ტერორისტული ორგანიზაციები ხელახლა აღმოცენებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებშიც ჩამოყალიბდა განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

რუსეთი

მსოფლიო ტერორიზმის ექსპერტების თვალსაზრისით, პოლიტიკური ტერორის სამშობლოდ რუსეთი ითვლება, თუმცა ტერორიზმის "პიონერები", ამ ცნების თანამედროვე გაგებით, XIX საუკუნის იტალიელი კარაბინერები იყვნენ. სწორედ მათგან გადმოიღეს ორგანიზაციული მეთოდები და სტრუქტურა რუსული "ნაროდნაია ვოლია"-ს ექსტრემისტული ფრთის წარმომადგენლებმა, მოგვიანებით კი მემარჯვენე თუ მემარცხენე სოციალისტმა რევოლუციონერებმა. რუსი ტერორისტების ყველაზე დიდი წარმატება XIX საუკუნის ბოლოს იმპერატორ ალექსანდრე II-ზე განხორციელებული თავდასხმა იყო, რითაც მათ მოახერხეს მძლავრი დარტყმა მიეყენებინათ სახელმწიფოს პოლიტიკური სტრუქტურისათვის. რუსი ტერორისტების ხელით დაიღუპა იმ დროისათვის ცნობილი არაერთი ადამიანი, მათ შორის ქვეყნის პრემიერი და შსს მინისტრი სტოლიპინი (1911 წ.). აღსანიშნავია, რომ ტერორისტები ვერ მოახერხებდნენ ცნობილ პოლიტიკოსებზე თავდასხმების განხორციელებას საიდუმლო პოლიციის აქტიური მხარდაჭერის გარეშე: ესერთა სამხედრო სტრუქტურას მეფის "ოხრანკის" აგენტი აზეფი მეთაურობდა, სტოლიპინი კი საიდუმლო პოლიციის თანამშრომელმა, ბოგროვმა დაჭრა სასიკვდილოდ.[86-34-39]

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ განხორციელდა არაერთი ტერორისტული აქტი. მაგალითად, სუკ-ის მომავალმა გენერალმა სუდოპლატოვმა როტერდამში ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატენილი კანფეტების ყუთი "მიართვა" უკრაინელი ნაციონალისტების ლიდერს – კონოვალეცს (1938წ.); რამონ მერკადელმა მეხიკოში მოკლა ლევ ტროცკი, რისთვისაც მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა (1940 წ.).

სსრკ-ის დაშლის შემდეგ რუსეთის ტერიტორიაზე დაფიქსირდა პოლიტიკურად მოტივირებული ტერორისტული აქტების მრავალი შემთხვევა, ამასთან ერთად, კრიმინალური ტერორიზმი რუსეთისთვის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად იქცა.[87-12-23]

1991 წლისათვის ყოფილ სსრკ-ში შეტაკებების შედეგად დაიღუპა დაახლოებით 1500-1700 ადამიანი (მათ შორის 100-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე და შსს-ს მუშაკი), დაიჭრა 10 000 კაცზე მეტი.

თუ 70-80-იან წლებში ტერორისტები უმეტესწილად ცალკეულად მოქმედი ან ხშირად ფსიქიკურად დაავადებული ფანატიკოსები იყვნენ, 90-იანი წლების

დასაწყისისთვის აღმოცენდა რიგი ორგანიზაცია, რომლებიც შეიარაღებული (ფაქტობრივად ტერორისტული) ბრძოლისათვის ემზადებოდნენ. 1990-93 წლებში სერიოზული ცვლილებები მოხდა ტერორისტთა შეიარაღებასა და ბრძოლის ტაქტიკაში. თუ ადრე ტერორისტები თვითნაკეთ ცეცხლსასროლ იარაღსა და ასაფეთქებელ ნივთიერებებს იყენებდნენ, 90-იანი წლების დასაწყისში მათ უახლესი შეიარაღება გაუჩნდათ, რამაც ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოები ახალი ამოცანების წინაშე დააყენა. ამ ამოცანათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ბრძოლამ კრიმინალური შეიარაღებული დაჯგუფებების წინააღმდეგ. ექსპერტთა აზრით, 1994 წლისათვის მათ რიგებში ირიცხებოდა 200-300 ათასი კაცი, რაც დაახლოებით სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა რაოდენობას უტოლდებოდა.

1992 წლიდან რუსეთში ფართოდ გავრცელდა შეკვეთილი მკვლელობების რიცხვი. ტერორისტების საბრძოლო-პროფესიული მომზადების დონე ამ დროისათვის საგრძნობლად გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთში ტერორიზმის გააქტივების პერიოდში (1991-94 წ.წ.) არასაკმარისად გაანალიზებული და არარაციონალური რეფორმები განხორციელდა თავდაცვისა და სამართალდამცავი ორგანოების სისტემებში, რაც შესაძლებელია, გამოწვეული იყო საზოგადოებრივი საფრთხის არაადექვატური შეფასებით. ამის შედეგად ტერორიზმმა საკმაოდ სოლიდური "ფორა" მიიღო სამართალდამცავებთან შედარებით: 1992-94 წლებში "უფს"-სა და შსს-ს ოპერთანამშრომელთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. ამავე დროს, 1995 წლისთვის სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომელთა 63%-ის ოპერატიული მუშაობის გამოცდილების სტაჟი 5 წელს არ აღემატებოდა.

რუსული ტერორიზმის დახასიათებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ რუსეთში ორგანიზებული დანაშაულობის უპრეცენდენტო ზრდის ტენდენცია. მსგავსი ორგანიზებული ჯგუფების ქმედებებს ხშირ შემთხვევაში ტერორისტული ელფერი ჰქონდა. ისინი ფართოდ იყენებდნენ თავიანთ საქმიანობაში აფეთქებებს, მძევლად აყვანას, დაშინებას ან ფიზიკურ ლიკვიდაციას, ახორციელებდნენ შეკვეთილ მკვლელობებს (ჟურნალისტ ვლ. ლისტიევის მკვლელობაში "სოლნცევოს"დაჯგუფებაა ეჭვმიტანილი). [79-45-48]

ბოლო პერიოდში რუსეთში აქტუალური გახდა მემარცხენე-რადიკალურ დაჯგუფებათა ტერორიზმის პრობლემა. მემარცხენე-რადიკალები

განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდნენ 1997 წელს, როდესაც მათ მრავალი ტერორისტული და დივერსიული აქტი განახორციელეს. მემარცხენე-რადიკალების აქტივიზაციას ხელი შეუწყო 1990 წლის მეორე ნახევარში მათ რიგებში დიდი რაოდენობით ახალგაზრდების ჩაბმამ. მათი მცირე დაჯგუფებები გამაფრთხილებელ ხასიათის ტერაქტებს ახორციელებდნენ.

მემარცხენე-რადიკალური ტერორისტული ორგანიზაციებია:

"ახალგაზრდული რევოლუციური კომუნისტური კავშირი".

ხელმძღვანელი: იგორ გუბკინი.

მიზანი: რუსეთის ფედერაციის მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მოწყობა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება საბჭოთა ხელისუფლების აღდგენით; მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ჩამოყალიბება.

იდეოლოგია: მემარცხენე რადიკალიზმი. *შტაბბინა:* ქ. მოსკოვი.

სტრუქტურა: შეიარაღებული დაჯგუფება.*რაოდენობა:* 500 კაცი.

ბრძოლის მეთოდი: შენობა-ნაგებობების აფეთქება.

განხორციელებული ტერაქტები:

- 1997 წელს მეფე ნიკოლოზ II-ის ძეგლის აფეთქება;
- 1997 წელს სამეფო ოჯახის წევრების საფლავების აფეთქება ვაგანკოვოს სასაფლაოზე;
- 1997 წელს პეტრე I-ის მშენებარე ძეგლის დანაღმვა;
- 1997 წელს სამრეწველო ობიექტის დანაღმვა მოსკოვის ერთ-ერთ რაიონში;
- 1999 წელს თავდასხმა აშშ-ის საელჩოზე მოსკოვში;
- 1999 წელს აფეთქების მოწყობა აშშ-ის საკონსულოს მიმდებარე ტერიტორიაზე ეკატერინბურგში.

"ახალი რევოლუციური ალტერნატივა"

მიზანი: პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება.

იდეოლოგია: მემარცხენე რადიკალიზმი. *შტაბბინა:* ქ. მოსკოვი.

სტრუქტურა: შეიარაღებული დაჯგუფება. *რაოდენობა:* 80-100 კაცი.

ბრძოლის მეთოდი: შენობების აფეთქება.

განხორციელებული ტერაქტები:

- 1996 წელს ოსტანკინოს სამხედრო კომისარიატის აფეთქება მოსკოვში;
- 1997 წელს ჩერიომუშკის სამხედრო კომისარიატის დანაღმვა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე თავი იჩინა სხვადასხვა სახის რელიგიურმა და ეთნიკურმა შეიარაღებულმა დაპირისპირებამ, რომელთაც ძირითადად პოლიტიკური მოთხოვნები ედო საფუძვლად. ამ მხრივ მსოფლიო მასშტაბის ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილად დღემდე ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონი მიიჩნევა. იქ განვითარებულმა მოვლენებმა და საბრძოლო მოქმედებებმა სათავე დაუდო რეგიონში სხვადასხვა სახის უკონტროლო შეიარაღებული დაჯგუფებების, ტერორისტული ორგანიზაციების, ცალკეული ტერორისტების თავმოყრას.

ჩრდილოეთ კავკასია

ჩრდილოეთ კავკასიისთვის ყველაზე აქტუალური ჩეჩნური ტერორიზმია.

ჩეჩნური ტერორიზმი საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის პერიოდში გამოვლინდა. 1994-96 წლებში კრიმინალების მოქმედება მთლიანად განისაზღვრა ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანთა გატაცებებით, რამაც მასიური ხასიათი მიიღო. ცალკეული კლანის წარმომადგენლები ამ საქმით თავს ირჩენდნენ. ასეთები, მაგალითად, იყვნენ ძმები ახმადოვები (9 ძმა ახმადოვი). დაჯგუფებას დაახლოებით 700 კაცი ჰყავდა გატაცებული და გადამალული. ამის შემდეგ გახშირდა ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციები, ისეთები, როგორიც იყო 1995 წლის ზაფხულში ბუდიონოვსკში, დეკემბერში ყიზლარ-პერვომაისკში და სხვა, სადაც მრავალი ადამიანი დაიღუპა. ჩეჩნურმა ტერორიზმმა საერთაშორისო ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც ჩეჩნური წარმოშობის მ. თოქჩანიანმა სხვა ტერორისტებთან ერთად თურქეთში, ქ. სტამბოლში რუსული სამგზავრო გემი „ავრასია“ ხელში ჩაიგდო და ჩეჩნეთიდან რუსების ჯარის გაყვანის მოთხოვნა წამოაყენა. ამას რუსეთის ტერიტორიაზე ტერორისტული აქტები მოჰყვა: 1996 წლის 26 ივნისს – ქ. მინვოდში, 1997 წლის 28 აპრილს – პიატიგორსკში და არმავირში, 1997 წლის ზაფხულში – მოსკოვი-პეტერბურგის მატარებელში, 1998 წელს – ორი ტერაქტი მოსკოვის საზოგადოებრივ ტრანსპორტში, 2000-2003

წლებში – ქ. გროზნოში (მრავალი აფეთქება, მათ შორის პოლიციის შენობაშიც კი).[74-23-27]

2002 წელს მოსკოვში ტერორისტები ერთ-ერთი თეატრის, „ნორდოსტის“ აფეთქებას შენობაში შეტანილი იარაღითა და შეყვანილი „კამიკაძეებით“, მათ შორის ქალი – „კამიკაძეებით“, სპექტაკლის მსვლელობის დროს აპირებდნენ. რუსეთის უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა ტერორისტების ლიკვიდირება მოახერხა, მაგრამ დაიღუპა მრავალი უდანაშაულო ადამიანიც, მათ შორის ქალები და ბავშვები.

ტერორისტული აქტი ქ. ბესლანშიც განხორციელდა.

ჩეჩენი ტერორისტები მომზადებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ ტერორისტების მოსამზადებელ ბაზებზე გადიან ეს ქვეყნებია: ავღანეთი, იორდანია (ხატაბიც წარმოშობით იორდანიიდან იყო), პაკისტანი, არაბეთის ემირატები. ეს ბაზები საერთაშორისო ტერორიზმის განთქმული ორგანიზატორისა და სპონსორის, უსამა ბინ ლადენის მიერ კონტროლდება. თავიანთი ზრახვების განსახორციელებლად მუსულმანური ექსტრემისტული ორგანიზაციების წარმომადგენლები იყენებენ კარგად ორგანიზებულ საბანკო ქსელს, სადაც ფულადი თანხების მოძრაობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის სახელით, მათ საფარქვეშ ხდება. ასეთი საფინანსო ორგანიზაციები გამომჟღავნებულია ეგვიპტეში, თურქეთში, პაკისტანში, გერმანიაში, ინგლისში, აშშ-ში და შვეიცარიაში. იყო მცდელობა საქართველოშიც, მაგრამ 2000 წელს ორგანიზაცია „ალ-ჰარამაინის“ (საერთაშორისო-საქველმოქმედო ორგანიზაცია) ლიკვიდაცია და მისი ლიდერის, იორდანიის მოქალაქე აბუ საიდ ლახთარის ქვეყნიდან გაძევება მოხდა.

ჩეჩნური ტერორიზმი სუფთა პოლიტიკურ–ნაციონალისტური სახეობის არ გახლავთ. ნიშანდობლივია, რომ ბოლოს იგი უფრო რელიგიურისკენ გადაიხარა. ვაჰაბიზმის თვალსაზრისით, ისლამს გაწმენდა, მის სათავეებთან დაბრუნება და იმ სახის საზოგადოებრივი ურთიერთობების დაბრუნება სჭირდება, რომელიც მოციქულ მუჰამედის დროს არსებობდა. ამ მიზნის მიღწევისთვის ვაჰაბიტებისთვის ორი გზა არსებობს: (1) დარწმუნება და (2) ძალის გამოყენება. ყოფილ საბჭოთა სივრცეში, უპირველესად ჩრდილო კავკასიაში, ცენტრალურ აზიაში, მუსულმანებით დასახლებულ სხვა რეგიონებში ორივე მეთოდი ფართოდ გამოიყენება.

განვიხილოთ ზოგიერთი ჩეჩნური ტერორისტული დაჯგუფება და მათი ლიდერები.

“გენერალ დუდაევის არმია”.

რეგისტრირებულია ჩეჩნეთის რესპუბლიკის – იჩქერიის იუსტიციის სამინისტროს მიერ 1996 წელს “საერთო კავკასიური ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის” სახელწოდებით. 1997 წლის ივნისში იგი აიკრძალა პრეზიდენტ მასხადოვის ბრძანებით, თუმცა არსებობას მაინც განაგრძობდა.

„არმიის” მეთაური: ბრიგადის გენერალი სალმან რადუევი.

რაოდენობა: 1996 წ. – 500-800 ადამიანი, 1998 წლის ბოლოსთვის 2000-3000 კაცი (თვითშეფასებით, შემადგენლობის მუდმივი რაოდენობა 5000, ხოლო სამობილიზაციო რაოდენობა 4000 მებრძოლით განისაზღვრებოდა). “არმიის” ცოცხალი ძალა დაკომპლექტებული იყო ნოჟაი-იურთია და გუდერმესის ტეიპების, შელკოვოს და ნაურის რაიონების ზოგიერთი ტეიპის წარმომადგენლებისგან.

საველე მეთაურები: ვახა ჯაფაროვი, სულთან მინაევი, სულეიმანი (“კომისარი”). *შტაბი (დისლოკაციის ადგილი)* - ქ. გუდერმესი, ქ. გროზნო.

სტრუქტურა:

- ჩეჩენთა სამხედრო რაზმები (ცვალებადი შემადგენლობის ტაქტიკური ჯგუფები ე.წ. “ბატალიონები” და “ასეულები”);
- კავკასიელთა სამხედრო რაზმები (ინგუშეთის, ყაბარდოელების, ოსების, ნოღაელების “პოლკები”);
- სპეცდანიშნულების ჯგუფი “მარტოხელა მგელი”(200 კაცი);
- “სიკვდილმისჯილთა” ჯგუფი (40 კაცი);
- ცალკეული რეაქტიული “დივიზიონი”;
- დაზვერვის, კონტრდაზვერვის, განსაკუთრებული დანიშნულების განყოფილება და ანალიტიკოსთა ჯგუფი;
- შიდა უშიშროების სამსახური და პირადი დაცვა (100-160 კაცი);
- ქიმიური ლაბორატორიის და მომწამლავი საბრძოლო ნივთიერება “სმერჩ”-ის მოხმარების განყოფილება;
- საბრძოლო მასალების დაცვის განყოფილება;

- სასწავლო ცენტრები (გუდერმესის, ნადტერეჩნის, შელკოვოს).
- შეიარაღება:
- თ-72 ტიპის საბრძოლო ტანკი (4 ერთეული);
- ქვეითთა ჯავშანმანქანა (6 ერთეული);
- ჯავშანტრანსპორტიორი (6 ერთეული);
- ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა (რამოდენიმე ერთეული);
- საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი "სტინგერი" (რაოდენობა უცნობია);
- სპეციალიზებული საბრძოლო ავტომანქანა (10 ერთეულზე მეტი).

აღნიშნული შეიარაღება და ტექნიკა წარმოადგენდა სამხედრო ნადავლს ან შესყიდული ჰქონდათ სხვა სამხედრო ფორმირებებისაგან.

საბაზო და სამოქმედო ტერიტორია: ქ. გუდერმესი, დასახლებული პუნქტები: ნოჟაი-იურთი, ახალი გორდალი, არსეონი, კოშკელდი, დაღესტნის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორია, დაღესტნის ტერიტორიაზე ხასავიურთის და ბაბაიურთის რაიონების ნაწილი.

განმასხვავებელი ნიშნები: შავი ბერეტები, შევრონები წარწერით "კავკასია – გენერალ დუდაევის არმია"; სამხედრო ჯილდოები: "გენერალ დუდაევის" და "კავკასიის გმირის" ორდენები.

"დუდაევის არმიის" მახასიათებელია მაღალი დისციპლინა.

კონტაქტები: ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რადიკალური ორგანიზაციები, არაბეთისა და პაკისტანის არასამთავრობო ორგანიზაციები, რუსეთის ჩეჩნური დიასპორა.

დაფინანსება: ადგილობრივი კომერციულ-ფინანსური სტრუქტურები, ნაურის რაიონის ნავთობპროდუქტების კუსტარული საქაჩი და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები, არაბეთის და პაკისტანის არასამთავრობო ორგანიზაციები, რუსული წყაროები (კავშირის საშუალებები, კომპიუტერული ტექნიკა, ავტომანქანები).

ჩეჩნეთის ტერიტორიაზე სამხედრო კამპანიაში მონაწილეობის გარდა, "დუდაევის არმიის" ბოევიკებმა რუსეთის ფედერაციის ზოგიერთ რაიონში (პიატიგორსკი, არმავირი, ვორონეჟი) განახორციელეს ტერორისტული და დივერსიული აქტები,

რისთვისაც აქტიურად იყენებდნენ რუს სამხედრო ტყვეებს, გადაბირებულ სლავ მოსახლეობას, ქალებს.

შამილ ბასაევის შეიარაღებული ფორმირება.

ფორმირების მეთაური: დივიზიის გენერალი შამილ ბასაევი.

რაოდენობა: დაახლოებით 1500 კაცი, სამობილიზაციო რაოდენობა დაახლოებით 3000 კაცი, ძირითადად დაკომპლექტებული იყო ვედენოს რაიონის მაცხოვრებლებით. 1999 წლის სექტემბერში ფორმირების 270 "ბოევიკი" არაბული და სხვა ისლამური სახელმწიფოების დაქირავებული მებრძოლები იყვნენ. პრაქტიკულად ბასაევის ფორმირება წარმოადგენდა "იჩქერიის და დაღესტნის ხალხთა კონგრესის" შემადგენელ ნაწილს.

საველე მეთაურები: შირვან ბასაევი, ასლანბეკ აბდულხაჩიევი, ასლანბეკ ისმაილოვი, აბუ აუპიან ჩიმირბაევი, ასლანბეკ ედისულთანოვი და სხვა.

სტრუქტურა:

- 1999 წლის დასაწყისისათვის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა აფხაზეთის ომის "სიკვდილმისჯილთა" ბატალიონი;
- 1994-96 წლების სამხედრო კამპანიის შემდეგ დარჩენილი 300-მდე "ბოევიკი";
- "ისლამური სამშვიდობო ბრიგადის" ქვედანაყოფი;
- პირადი დაცვის ჯგუფი "ალმაზი";
- რაზმი "სკორპიონი" (500 კაცი), რომელიც ნაწილობრივი ლეგალიზაციის მიზნით 1998 წლის ზამთარში სამხედრო ნაწილის სახით ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში შევიდა;
- დივერსანტთა მომზადების 2 სასწავლო ცენტრი, რომელიც მოქმედებდა ვაჰაბიტური ორგანიზაციების და ოფიციალური ძალოვანი სტრუქტურების ერთდროული სტატუსით. ისინი განლაგებული იყვნენ სერჟენ-იურთის რაიონში, მდ. ხულ-ხულაოს მარცხენა ნაპირზე. ერთ-ერთი ცენტრი უშუალოდ შამილ და შირვან ბასაევებს ექვემდებარებოდა.

შეიარაღება:

- საბრძოლო ტანკი (6 ერთეული);
- ქვეითთა საბრძოლო მანქანა (რამოდენიმე ერთეული);
- თვითმავალი საარტილერიო დანადგარი (2 ერთეული);

- ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა (რაოდენობა უცნობია);
- ტანკსაწინააღმდეგო საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი “სტრელა”;
- თანამგზავრული კავშირის სისტემა;
- მსუბუქმოტორიანი სპორტული ტიპის და “იაკ-18” ტიპის თვითმფრინავები (რამოდენიმე ერთეული);
- ვერტმფრენი (რამოდენიმე ერთეული).

საბაზო და სამოქმედო ტერიტორია: ქ. გროზნო, გროზნოს სოფლები; რაიონები: ვედენო (ცავედენო, დიშნეევედენო), ნოჟაი-იურთი, შატოი, შელკოვო, ჩერვლენნაია.

თავდაცვის საერთო ოპერატიული გეგმის შესაბამისად ფორმირება აკონტროლებდა დაღესტნის (ხასავიურტის სექტორი) და სტავროპოლის (სტეპის სექტორი) საზღვრისპირა ტერიტორიებს.

გილაევის შეიარაღებული ფორმირება.

ოფიციალურად აღნიშნული ფორმირება უზრუნველყოფდა საავტომობილო-სატვირთო კოლონების დაცვას. ორგანიზაციის პოლიტიკურ საფარს წარმოადგენდა “სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ვეტერანთა საბჭო”.

ფორმირების მეთაური: იჩქერიის ყოფილი თავდაცვის მინისტრი რუსლან გილაევი.

რაოდენობა: 500-დან 1000 კაცამდე. მათ ძირითად ნაწილი შედგებოდა სპეცდანიშნულების პოლკ “გალანჩუოისკი”-ს შატოის, ურუს-მართანის, აჩხოი-მართანის რაიონების, აგრეთვე ჩეჩენ-ინგუშთა საერთო ტეიპების ურხსტოის და მელხისტოის წარმომადგენლებისგან.

საბაზო და სამოქმედო ტერიტორია: რაიონები – აჩხოი-მართანი, ურუს-მართანი.

ალიხაჯიევის სამხედრო ფორმირება.

ფორმირების მეთაური: იჩქერიის პარლამენტის თავმჯდომარე რუსლან ალიხაჯიევი. *რაოდენობა:* 360 კაცი (1996 წლის მონაცემებით).

შეიარაღება: საზენიტო-სარაკეტო დანადგარი (რამოდენიმე ერთეული). საავტომობილო ტექნიკა (31 ერთეული).

სამოქმედო ტერიტორია: შალის რაიონი.

ვახა არსანოვის შეიარაღებული ფორმირება.

ფორმირების მეთაური: იჩქერიის ვიცე-პრეზიდენტი ვახა არსანოვი.

რაოდენობა: დაახლოებით 150 კაცი – ძირითადად ჩებერლოის ტეიპის მოსახლეები.

სამოქმედო ტერიტორია: სტაროპრომისლოვის რაიონი (ქ. გროზნო).

1999 წლის თებერვალში აღნიშნული ფორმირება ტრანსფორმირდა "სამშვიდობო ბრიგადად" (რაოდენობა 300 კაცი).

ისრაპილოვის შეიარაღებული ფორმირება.

ფორმირების მეთაური: ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი უფროსი, ბრიგადის გენერალი ხუნკარ-ფაშა ისრაპილოვი.

რაოდენობა: უცნობია. *სამოქმედო ტერიტორია:* ურუს-მართანის რაიონი.

ხალხოროევის შეიარაღებული ფორმირება (ბამუთის პოლკი).

ფორმირების მეთაური: ბრიგადის გენერალი რუსლან ხალხოროევი.

რაოდენობა: დაახლოებით 300 კაცი (მათგან 100 კაცი იმყოფებოდა მუდმივ მზადყოფნაში "ბამუთის ბაზაზე"). ფორმირებას ძირითადად შეადგენდნენ დამოუკიდებელი ვაინახური ჯგუფის, ყარაბულაკის (ორხსტოის ტეიპის), წარმომადგენლები.

სტრუქტურა: 2 "ბატალიონი" და 1 დივერსიული სკოლა, რომელსაც რუსლან ხალხოროევის ძმები ხელმძღვანელობდნენ.

შეიარაღება:

- ჯავშანტრანსპორტიორი (1 ერთეული);
- ქვეითთა საბრძოლო მანქანა (1 ერთეული);
- საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი "სტინგერი", "იგლა".

საბაზო და სამოქმედო ტერიტორია: აჩხოი-მართანი (ბამუთი); ინგუშეთის სუნჯის რაიონის დასახლებული პუნქტები: ასინოვსკი, სერნივოდი, ჩემულგი. ცალკეული ჯგუფი პერიოდულად მოქმედებდა ჩრდილოეთ ოსეთისა და

ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორიაზე. ძირითადად იტაცებდნენ მძევლებს ფულის გამოძალვის მიზნით.

იამადაევის შეიარაღებული ფორმირება.

ფორმირების მეთაური: ბრიგადის გენერალი სულეიმან იამადაევი. *რაოდენობა:* 150 კაცი (რომლებიც ამავდროულად მსახურობდნენ ეროვნული გვარდიის ადგილობრივ ბატალიონში).

საველე მეთაურები: ძმები ხალიდ და ვახა ჯაბრაილები.

საბაზო და სამოქმედო ტერიტორია: გუდერმესის და კურჩალოეს რაიონები.

იანდარბიევის შეიარაღებული ფორმირება.

ფორმირების მეთაური: პრეზიდენტის მოვალეობის ყოფილი შემსრულებელი ზელიმხან იანდარბიევი.

რაოდენობა: დაახლოებით 200-300 კაცი.

საბაზო და სამოქმედო ტერიტორია: გროზნო, ახალი და ძველი ატაგი.

განვიხილოთ საველე მეთაურების სხვა მცირერიცხოვანი ფორმირებები, რომელთაც ე.წ "ბრიგადის გენერლები" ხელმძღვანელობენ:

ადამ ამირევის შეიარაღებული ფორმირება.

რაოდენობა: დაახლოებით 130 მებრძოლი.

სამოქმედო ტერიტორია: აჩხოი-მართანი. ფორმირება სავარაუდოდ შედიოდა "გენერალ დუდაევის არმიის" შემადგენლობაში.

ტაუს ბოგურაევის შეიარაღებული ფორმირება.

რაოდენობა: 100 მებრძოლზე მეტი.

სამოქმედო ტერიტორია: ნაურის რაიონი, ჩეჩნეთ-ინგუშეთის საზღვრის ჩრდილოეთ სექტორი, ჩეჩნეთ-სტავროპოლის საზღვრის ნაწილი, ინგუშეთის მალგობეკის რაიონის ნაწილი.

ფორმირების წევრები სტავროპოლის მხარეში პერიოდულად ახორციელებენ გატაცებას გამოსასყიდის გამოძალვის მიზნით, ასევე იტაცებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასაც.

სულთან გულისხანოვის შეიარაღებული ფორმირება.

რაოდენობა: დაახლოებით 100 მებრძოლი. *საბაზო ტერიტორია:* ქ. გუდერმესი.

ირბეკოვის შეიარაღებული ფორმირება.

რაოდენობა: 350 კაცი.

მადაევის შეიარაღებული ფორმირება (შალის რაიონის დამოუკიდებელი თავდაცვითი ჯგუფი). *რაოდენობა:* უცნობია (ძირითადად დაკომპლექტებულია ადგილობრივი ცემენტის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისგან).

მოვსაევის შეიარაღებული ფორმირება.

რაოდენობა: უცნობია; *საბაზო ტერიტორია*: შალის რაიონი.

ელი სულთანოვის შეიარაღებული ფორმირება – "ბორზაშ ისლამი" (ისლამის მგლები).*რაოდენობა:* უცნობია. *საბაზო ტერიტორია:* ურუს-მართანი.

ძმები ტავლუევების შეიარაღებული ფორმირება.

რაოდენობა: უცნობია.*საბაზო ტერიტორია:* სოფელი როშნი-აჩუ.

ჰამზატოვის შეიარაღებული ფორმირება.

რაოდენობა: 500 კაცი (1996 წლის მონაცემებით);

საბაზო ტერიტორია: ქ. არღუნი. *ავტოტექნიკა*: "კამაზი"-ს ტიპის მანქანა;

დამოუკიდებელი თავდაცვითი რაზმები მოქმედებდნენ დასახლებული პუნქტების უმეტეს ნაწილში და ძირითადად ადგილობრივი მაცხოვრებლებისგან იყვნენ დაკომპლექტებული. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

აჩხოი-მართანის დამოუკიდებელი თავდაცვითი რაზმი.

რაოდენობა: დაახლოებით 300 კაცი, სამობილიზაციო რაოდენობა – დაახლოებით 700 კაცი. *შეიარაღება:* ნაღმმტყორცნი (კალიბრი 82 მმ, რამოდენიმე ერთეული). *საბაზო და სამოქმედო ტერიტორია:* დასახლებული პუნქტები აჩხოი-მართანი, ბამუთი, ორეხოვო, ასინოვსკაია, სერნოვოდსკი (ინგუშეთი).

ვედენოს დამოუკიდებელი თავდაცვითი რაზმი.

რაოდენობა: უცნობია. *სტრუქტურა:* 12 (17-32 კაციანი) ავტონომიური საბრძოლო ჯგუფი, მათ შორის "ტყის ლეგიონი".

შეიარაღება: საზენიტო დანადგარი (1 ერთეული).

ნოჟაი-იურთის დამოუკიდებელი თავდაცვითი რაზმი.

რაოდენობა: უცნობია.

შეიარაღება: ქვემეხი (კალიბრი 76მმ., 1 ერთეული).

ურუს-მართანის დამოუკიდებელი თავდაცვითი რაზმი.

რაოდენობა: 200 კაცზე მეტი. *შეიარაღება:* ჯავშანტრანსპორტიორი და ქვეითთა საბრძოლო მანქანა (რამოდენიმე ერთეული).

საბაზო და სამოქმედო ტერიტორია: ურუს-მართანი, შალჟი, გეხი-ჩუ, გეხი.

შატოის დამოუკიდებელი თავდაცვითი რაზმი ("შატოის პოლკი").

რაოდენობა: – 100-150 კაცი. *შეიარაღება:* ჯავშანმანქანა (რამოდენიმე ერთეული).

საბაზო ტერიტორია: ითუმ-ყალეს რაიონის ტყის მასივი.

შელკოვოს დამოუკიდებელი თავდაცვითი რაზმი.

რაოდენობა: უცნობია. რაზმის 30-კაციანმა ჯგუფმა საბრძოლო მომზადება გაიარა პაკისტანში.

სომხეთი

1999 წლის 27 ოქტომბერს სომხეთის ეროვნული კრების სხდომათა დარბაზში შეიჭრა 3 შეიარაღებული პირი, პარტია "დაშნაკცუტუნის" ერთ-ერთი წევრის ნაირ უნანიანის ხელმძღვანელობით, რომლებმაც ცეცხლი გაუხსნეს კრების წევრებს. შედეგად დაიღუპა ოთხი ადამიანი – პარლამენტის თავმჯდომარე კარენ დემირჩიანი, მისი მოადგილეები იური ბახშიანი და რუბენ მიროიანი, პრემიერ-მინისტრი ვაზგენ სარქისიანი. სომხეთის ეროვნულ კრებაზე განხორციელებულმა ტერაქტმა დიდი გავლენა იქონია ქვეყნის მომავალ განვითარებაზე, თუმცა, ტერორისტების განცხადებით, მათ მხოლოდ შური იძიეს

და არ ჰქონიათ რაიმე პოლიტიკური მიზანი, არც რაიმე მოთხოვნები გააჩნდათ.[120]

აღსანიშნავია, რომ ტერორისტების მეთაური უნანიანი "დაშნაკთა" პარტიის აქტიური წევრი იყო და ყარაბაღის ომში აღნიშნული პარტიის ბრიგადაში იბრძოდა (პრეზიდენტმა ტერ-პეტროსიანმა თავის დროზე "დაშნაკთა პარტია" ტერორიზმის ბრალდებით აკრძალა, რის საბაბსაც პარტიის წარსულიც იძლეოდა. "დაშნაკები" დღემდე "სომეხი ერის მტრების" ფიზიკური განადგურებისკენ მოუწოდებენ).

ყველაზე მეტად ტერაქტის პოლიტიკურ ელფერზე სომხეთის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის რეაქცია მიუთითებს. ბოლო წლებში სარქისიანი თავდაცვის მინისტრის მოვალეობას ასრულებდა და სამინისტრო მის დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა. მოგვიანებით თავდაცვის სამინისტრომ გააკეთა განცხადება, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრების და გენერალური პროკურორის გადადგომის მოთხოვნით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სომხეთის თავდაცვის სამინისტრომ ტერაქტი სახელმწიფო გადატრიალებად აღიქვა.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ვ. სარქისიანის და კ. დემირჩიანის მკვლელობას პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად და იგი სომხეთის რადიკალურ-ნაციონალისტური ძალების შეკვეთით განხორციელდა, რაც მის თანმხლებ პროცესებთან ერთად სახელმწიფო გადატრიალების ტოლფასად შეიძლება მივიჩნიოთ.

მეორე სომხური ტერორისტული ორგანიზაციაა ასალა.

„ასალა" (სომხური საიდუმლო არმია სომხეთის გათავისუფლებისთვის). რადიკალური მემარცხენე ორიენტაციის სომხური დაჯგუფება. დაარსდა 1975 წელს.

დამაარსებელი: აკოფ აკოფიანი.

მიზანი: აიძულოს თურქეთის მთავრობა აღიაროს 1915 წლის სომეხთა გენოციდი. *მოქმედების ადგილი:* დასავლეთ ევროპა, აშშ, შუა აღმოსავლეთი, ლიბანი, სომხეთი. *რაოდენობა:* 400-მდე წევრი.

ბრძოლის მეთოდი: შენობების აფეთქება, ადამიანთა გატაცება.

დაფინანსება: სირია, ლიბია, უცხოეთში არსებული სომხური დიასპორა, პალესტინის ზოგიერთი რადიკალური ტერორისტული დაჯგუფება.

განხორციელებული ტერორისტული აქტები:

- 1980 წელს აშშ-ს ავიაკომპანიების ოფისების აფეთქება დასავლეთ ევროპაში;
- 1983 წელს თურქეთის ავიაკომპანიების ოფისების აფეთქება პარიზში, ორლის აეროპორტში (დაიღუპა 8 და დაშავდა 54 ადამიანი);
- 1992 წელს თავდასხმა თურქეთის საელჩოზე უნგრეთში.
- გარდა ამისა, სხვადასხვა წლებში ახორციელებდნენ თავდასხმებს თურქულ ობიექტებზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

აზერბაიჯანი

ბოლო პერიოდში აზერბაიჯანში არ დაფიქსირებულა რაიმე სერიოზული ტერორისტული აქტი, თუმცა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე განთავსებული იყო ცენტრი, რომელსაც კავშირი ჰქონდა საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებთან და მათი "ბოევიკების" მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებდა.

აღსანიშნავია რომ, თუ აქამდე ოფიციალურ ბაქოს ბრალი ედებოდა ჩეჩენი ტერორისტების მხარდაჭერაში, რუსეთის ხელისუფლებისათვის 2000 წლის სექტემბერში 6 დაღესტნელი ტერორისტის გადაცემის შემდეგ, მკვეთრად შეიცვალა ჩეჩენ სეპარატისტთა ლიდერების დამოკიდებულება ოფიციალური ბაქოს მიმართ.

აზერბაიჯანში 2000 წლის აგვისტოში **პარტია "მუსავატი"-**ს ერთერთმა ხელმძღვანელმა – მეხტი ჰუსეინლიმ პოლიტიკური მოტივებით თვითმფრინავის გატაცება სცადა, რაც ხელისუფლებამ სრულად გამოიყენა პარტია "მუსავატი"-ს წინააღმდეგ ფართო პროპაგანდის წამოსაწყებად. აღნიშნული ტერაქტის ორგანიზების ბრალდებით დააპატიმრეს გაზეთ "იენი მუსავატი"-ს მთავარი რედაქტორი – რაუფ არიფ ოღლი აბასოვი.

"ჯეიშულაჰი". 2000 წლის ოქტომბრის თვეში აზერბაიჯანში გაასამართლეს ტერორისტული ორგანიზაცია "ჯეიშულაჰის" ("ალაჰინ არმია") წევრები. ორგანიზაცია შეიქმნა 1996 წელს.

ხელმძღვანელი: მუბარიზ ალიევი. *მიზანი:* ბრძოლა ისლამის სიწმინდისთვის.

იდეოლოგია: რელიგიური ექსტრემიზმი. *მოქმედების ადგილი:* აზერბაიჯანი.

შტაბბინა: ქ. ბაქო. *სტრუქტურა:* შეიარაღებული დაჯგუფება.

რაოდენობა: 25 წევრი. *ბრძოლის მეთოდი:* აფეთქება, შეიარაღებული თავდასხმა ობიექტებზე. *დაფინანსება:* მოსახლეობის ძარცვით მოპოვებული მატერიალური სახსრები.

განხორციელებული ტერაქტები:

- 1999 წელს მოკლეს ექსტრასენსი ეტიბარ მამედალიევი და მისი ორი მცირეწლოვანი ვაჟი;
- 1999 წელს განახორციელეს თავდასხმა "რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის" ბაქოს ფილიალზე;

1999 წელსვე ორგანიზაციის წევრები ცდილობდნენ "კრიშნას იდეოლოგიისა და საზოგადოების" ოფისის დაწვას; ამავე წელს "ჯეიშულაჰის" ორგანიზაციას დაგეგმილი ჰქონდა ზაბრატის აეროპორტიდან "მი-8" ტიპის ვერტმფრენის გატაცება და ტერაქტის განხორციელება აშშ-ს საელჩოზე ბაქოში.

სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მუბარიზ ალიევს მიესაჯა სამუდამო პატიმრობა, ხოლო ორგანიზაციის 12 წევრს – თავისუფლების აღკვეთა ვადით 4-დან 12 წლამდე. ამჟამად "ჯეიშულაჰის" რამოდენიმე წევრი იძებნება. ორგანიზაციის წევრთა მიერ განხორციელებულმა მძიმე დანაშაულებმა თვალნათელი გახადა, რომ რელიგიური ექსტრემიზმი წარმოადგენს სერიოზულ საშიშროებას არამარტო მშვიდობიანი მოსახლეობისთვის, არამედ მთლიანად სახელმწიფოს შიდა სტაბილურობისთვის.[127]

„ისლამური ტერორიზმი" ტაჯიკეთში

1992 წლიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ტაჯიკეთში ტერორისტული დაჯგუფებები გამოჩნდნენ. ტერორისტული აქტები პოლიტიკური მოწინააღმდეგეების განადგურების ერთ-ერთი საშუალება იყო. 1994 წლიდან ქვეყანაში მშვიდობიანი მოლაპარაკებების დაწყებამ (ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის) პროვოკაციულ ხასიათი მიიღო, რომლის მიზანი გახლდათ პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაცია, კონფლიქტების წარმოქმნა, პოლიტიკური მოღვაწეებისა და დეპუტატების განადგურება და ა.შ.

ტაჯიკეთში ტერორისტული საქმიანობის გაჩაღებაში და დახვეწაში დიდი როლი ითამაშეს ახლო აღმოსავლეთიდან ჩამოსულმა ემირებმა, რომლებიც ქვეყანაში 1992 წლიდან იმყოფებოდნენ. სხვადასხვა ისლამური ფუნდამენტალური ორგანიზაციის აგენტები სუდანიდან, ავღანეთიდან, საუდის არაბეთიდან ისლამური ოპოზიციის მებრძოლებს დივერსიულ და ტერორისტულ საქმიანობას ასწავლიდნენ, ხშირ შემთხვევაში კი თვითონ ახორციელებდნენ მათ. ტერორისტების ძირითადი სამიზნეები პოლიტიკური მოღვაწეები, პარლამენტისა და ადგილობრივი ორგანოების დეპუტატები, რუსი სამხედრო მოსამსახურეები, მესაზღვრეები და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები იყვნენ.

ისლამისტმა ტერორისტებმა 1994-99 წლებში დახოცეს ისეთი პირები, როგორებიც იყვნენ: ტაჯიკეთის სამეცნიერო აკადემიის ექსპრეზიდენტი ოსიმი, პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ალ-ისხავი და ჟურნალისტი ოლიმპუსი; გაიტაცეს ინგლისის, ამერიკის, სამხრეთ აფრიკის მოქალაქეები, გაერთიანებული ერებისა და წითელი ჯვრის წარმომადგენლები.

თავისი სისასტიკით ყველაზე განთქმული იყო ტერორისტ რეზვინ სადიროვის ჯგუფი, რომელსაც 100-ზე მეტი ტერორისტული აქტი აქვს განხორციელებული. მათ შორის აღსანიშნავია საფრანგეთის ორი მოქალაქის გატაცებისა და დახოცვის, რუსეთის შეიარაღებული ძალების ორი მედდის დახვრეტის და გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მძევლად აყვანის ფაქტები.

ტაჯიკეთის უშიშროების სამსახურის თანამშრომლების მიერ ჩატარებული ღონისძიების შედეგად სადიროვი ლიკვიდირებულ იქნა, მისი ბანდიდან კი 50 წევრი დააპატიმრეს. მართლმსაჯულებას გადარჩენილი ტერორისტები ამჟამად ავღანეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან. მათი მიზანია ერთიანი ისლამური ხალიფატის ჩამოყალიბება, რომლის შემადგენლობაშიც ამ რეგიონის ტერიტორიაზე განთავსებული, მუსულმანებით დასახლებული სახელმწიფო შევა, ხალიფატის ბირთვად კი ფერგანის ზეგანი გადაიქცევა. [127]

ორგანიზაციის პოლიტიკური ლიდერია ტახირ იულდოში, შეიარაღებული დაჯგუფებისა კი – ჯუმა ნამანგანი. ორგანიზაცია ტერორისტულ ქმედებებს ძირითადად უზბეკეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, რუსეთსა და ავღანეთში ახორციელებს. შეიარაღებული უკანონო ფორმირებების დისლოკაციის ადგილი ტაჯიკეთი და ავღანეთია. ორგანიზაციაში გაერთიანებულია 2000-დან 5500-მდე შეიარაღებული „ბოევიკი“, რომლებსაც თანამედროვე ცეცხლსასროლი იარაღი

და სხვა საბრძოლო ტექნიკა გააჩნიათ. ისინი ფინანსდებიან პაკისტანიდან და ავღანეთიდან, „თალიბანთა“ მოძრაობიდან და ბინ ლადენის სტრუქტურებიდან.

§ 2.4. ტერორიზმის და ორგანიზებული დანაშაულობის თავისებურებანი.

კავშირი ნარკობიზნესსა და ტერორიზმს შორის

ტერორიზმის საერთაშორისო ექსპერტები ნარკობიზნესს და ტერორიზმს ერთ კონტექსტში განიხილავენ, ვინაიდან ნარკობიზნესიდან შემოსული ფული ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს.

ნარკოკარტელებსა და ტერორისტულ დაჯგუფებებს შორის საკმაოდ მჭიდრო კონტაქტები არსებობს. ტერორისტული დაჯგუფებები ასეულ მილიონობით დოლარს იღებენ მსხვილი ნარკოკარტელებისათვის კუთვნილი ნათესებისა და საწარმოო ლაბორატორიების დაცვაში, ნარკოტიკული ნივთიერებების გადაზიდვის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. გარდა ამისა, ზოგიერთი ტერორისტული დაჯგუფება თავად ეწევა ნარკოტიკული ნივთიერებების დამზადებას და მათ რეალიზაციას. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

კოლუმბია მსოფლიო ლიდერია კოკაინის, ჰეროინისა და მარიხუანას წარმოება-რეალიზაციის საქმეში. მსოფლიოში მოხმარებული კოკაინის 75% მზადდება კოლუმბიაში ადგილობრივი და ბოლივიიდან იმპორტირებული კოკათი. აშშ-ის მთავრობის განცხადებით კოლუმბიაში წარმოებული კოკაინის რაოდენობა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ორჯერ გაიზარდა და შეადგინა 165 ტონა წელიწადში. ამავე პერიოდში ჰეროინის წარმოება გაიზარდა 20%-ით და შეადგინა 60 ტონა წელიწადში. ტერორისტული ორგანიზაციები “ფარკ”-ი და “ელნ”-ი დაახლოებით 1 მილიარდი აშშ დოლარის გადასახადს აწესებენ ნარკოვაჭრებზე ნარკოტიკების საწარმოო ლაბორატორიების დაცვის სანაცვლოდ.[16-23-35]

პერუში მთავრობის მიერ გატარებული ანტინარკოტიკული პროგრამის შედეგად ნარკოტიკული ნივთიერებების წარმოება შემცირდა 50%-ით. პერუში მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციის “სლ”-ს შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს ნარკორეალიზატორებზე დაწესებული გადასახადი წარმოადგენს. ნარკოვაჭრობიდან დიდი შემოსავალი აქვს აგრეთვე პერუს სხვა მნიშვნელოვან ტერორისტულ ორგანიზაციას, “ტუპაკამარუს”.

თურქეთში მოქმედი “ქმპ”-ის (PKK) (ქურთ მუშათა პარტია) დაფინანსების ერთ-ერთ ძირითად წყაროს ნარკოტიკების რეალიზაციიდან შემოსული ფული წარმოადგენს. 1984 წლიდან დღემდე დაკავებულია “ქმპ”-ის (PKK) 300-მდე წევრი ნარკორეალიზაციის ბრალდებით.

1999 წლის აპრილში სტამბოლის პოლიციამ დააკავა “ქმპ”-ის (PKK) ერთ-ერთი წევრი 73 კგ ჰეროინით. გერმანიის პოლიციამ გამოავლინა ““ქმპ”-ის (PKK) წევრი ნარკორეალიზატორები ჰანოვერსა და ჰამბურგში, რომლებიც 125 მილიონი ევროს ღირებულების ნარკოტიკების რეალიზაციას ახდენდნენ წელიწადში.

ავღანეთი ჰეროინის ყველაზე დიდი მწარმოებელია მსოფლიოში. არსებული ინფორმაციით 1999-2000 წლებში წარმოებულ იქნა 8200 ტონა ჰეროინი.

ლიბანი წლების განმავლობაში სირიის ტერორისტული ორგანიზაციების დახმაარებით ახდენს ნარკოტიკების ექსპორტს ბეკას ველიდან. ლიბანის მთავრობის კონტროლი ბეკას ველზე თანდათანობით მცირდება, რის შედეგადაც იფურჩქნება ნარკოვაჭრობა. “ჰესბოლა” აკონტროლებს ჰეროინის მწარმოებელ ლაბორატორიებს, საიდანაც შემდგომში პროდუქცია ევროპაში გაედინება.

საერთაშორისო ტერორიზმს გარკვეული მსგავსება გააჩნია ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთანაც.

მსგავსების სფეროები:

1. ორგანიზაციული სტრუქტურა - დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფებსაც გააჩნიათ სტრუქტურა, რომელიც ჰგავს ტერორისტული ორგანიზაციების სტრუქტურას. აქაც არიან ხელმძღვანელები, შემსრულებლები, აქტიური მხარდამჭერები და მაშველი ძალები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯგუფის უსაფრთხოებას, მიზნობრივ დაზვერვას, მეთვალყურეობას, შიდა უსაფრთხოებას. რიგ შემთხვევაში, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, დამნაშავეთა ორგანიზებული და ტერორისტული ჯგუფები თანამშრომლობენ კიდეც თავიანთი ხელმძღვანელი რგოლების, პირების მეშვეობით.

2. ორგანიზაციული ამოცანები ორივეგან თითქმის ერთი და იგივეა. ეს არის მატერიალური სახსრებისა და საიმედო ხალხის შეგროვება, ტექნიკური ბაზის შექმნა, მებრძოლების მომზადება, კონსპირაცია და ა.შ..

3. უკანონო და ფარული ოპერაციები – ნარკოტიკებითა და ცეცხლსასროლი იარაღით უკანონო ვაჭრობა, კონტრაბანდა, რეკეტი, ვიდეო- და აუდიომეკობრეობა, ბანკების ძარცვა, ბიზნესმენთა შანტაჟი ფულის გამოძალვის მიზნით, პროსტიტუცია და სხვა.

4. ღია კავშირები მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით – მატერიალური და ტექნიკური საშუალებების მოძიება, შესყიდვა, შეძენა და შემდგომში მათი კონსპირაციულად დაუფლება.

5. საქმიანობის მხარდაჭერა – საერთო ინტერესებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე ერთი ჯგუფი ან დაჯგუფება მხარს უჭერს მეორეს. ეს შეიძლება გამოიხატოს ცეცხლსასროლი იარაღით, მებრძოლებით, ფინანსებით უზრუნველყოფაში და ა.შ.

6. კავშირგაბმულობა – ახლანდელი დამნაშავეები აქტიურად იყენებენ ულტრათანამედროვე კავშირგაბმულობის საშუალებებს, რომელთა მეშვეობითაც უკავშირდებიან საკუთარი სტრუქტურის ნებისმიერ რგოლს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

7. ადამიანური რესურსი – ორივე ტიპის დაჯგუფება ცდილობს იყოს ორგანიზებული, მრავალრიცხოვანი, რისთვისაც სჭირდებათ ადამიანური რესურსები. მსოფლიოს სხვადასხვა ტერიტორიაზე განთავსებულ ბაზებში ამზადებენ „ბოევიკებს", რომლებიც იმართებიან ხელმძღვანელობის მიერ და ემორჩილებიან მათ.

8. ძალადობის გამოყენება – როგორც ტერორისტული ასევე დამნაშავეთა ორგანიზებული დაჯგუფებების წარმომადგენლები მიმართავენ ძალადობის და სისასტიკის უკიდურეს ფორმებს: მკვლელობებს, გატაცებებს, აფეთქებებს და სხვა.

ტერორიზმის დაფინანსების ადამსის ანალიზი

ჯეიმს ადამსმა ტერორისტული ორგანიზაციების შესანიშნავი ანალიზი საკუთარ ნაშრომში "ტერორიზმის დაფინანსებაში" წარმოადგინა. მისი თეზისი იმაში მდგომარეობს, რომ ტერორიზმმა 1960-1980-იან წლებში ცვლილება განიცადა, რისი გათვალისწინებაც ვერ მოხერხდა დასავლეთის ქვეყნების თავდაცვით პოლიტიკაში. აშშ-ს მაგალითზე, თავდაცვითი პოლიტიკა მიმართული იყო სახელმწოფოების მიერ დაფინანსებული ტერორიზმის აღმოჩენისკენ. ადამსის

თქმით, ამან ტერორიზმის ფუნქციებისა და ბუნების თაობაზე საფუძველშივე მცადრი წარმოდგენა შექმნა. საქმე იმაშია, რომ ტერორისტული ორგანიზაციების მთავარი ნაწილი სახელწიფოებისგან დამოუკიდებელია და საქმიანობისთვის საჭირო ფინანსური უზრუნველყოფის საკუთარი ქსელი გააჩნია. ადამსის დასკვნით, ტერორიზმზე შეტევის საუკეთესო გზა იმ ფინანსურ ინფრასტრუქტურაზე შეტევაა, რომელიც დამოუკიდებელ ტერორისტულ ორგანიზაციებს უზრუნველყოფს.[17-239-254]

ადამსი მიიჩნევს, რომ თანამედროვე ტერორიზმი გასული საუკუნის 60-იანი წლების რევოლუციური ძალადობიდან იღებს სათავეს. ძალადობის ზრდის პარალელურად, დასავლეთის ქვეყნებმა პრობლემის შემსწავლელი ორი თეორიული სკოლა შექმნეს. ერთი სკოლა მზარდ ტერორიზმს განიხილავდა სახელწიფოების მიერ დაფინანსებულ ღონისძიებად, რომელიც კონკრეტული ქვეყნის სამხედრო ფუნქციების მხარდაჭერას ისახავდა მიზნად. მეორე სკოლის მიმდევრები მიიჩნევდნენ, რომ ტერორიზმის აღმოფხვრა მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, როდესაც მისი პოლიტიკური მიზეზები (მაგალითად, უსამართლობა) იქნებოდა აღმოფხვრილი. ადამსი ორივე სკოლის მიდგომებს დადებითად აფასებდა, მაგრამ თვლიდა, რომ მათ მთავარი რამ აკლდათ.

თანამედროვე ტერორიზმი შორსაა გასული საუკუნეების 60-იანი წლების ძალადობისგან. იგი გაიზარდა, ტრანსფორმირდა და საკუთარი დინამიზმი შეიძინა. ქვეყანა-სახელმწიფოები, როგორც აღმოსავლეთში ისევე დასავლეთში, ჩართულები აღმოჩნდნენ ტერორიზმის მხარდაჭერაში, მაგრამ არა იმ ფორმით, როგორც ეს ამერიკაში წარმოედგინათ მათ, ვინც თავდაცვის პოლიტიკას ამუშავებდა. სახელმწიფოები ტერორიზმში მთავარ როლს არ თამაშობდნენ.

ტერორისტული ორგანიზაციები დამოუკიდებელად იზრდებიან და ვითარდებიან. გურისა და ჰიუიტის მსგავსად, რომლებიც ხაზს უსვამდნენ ტერორისტული კამპანიების უზრუნველყოფის სირთულეს, ადამსიც გაკვირვებას გამოხატავდა დიდი ტერორისტული დაჯგუფებების უნარის გამო, უზრუნველეყო საკუთარი ოპერაციების მსვლელობა. თუკი ისინი არ სარგებლობდნენ იმ სახელმწიფოს უზარმაზარი მხარდაჭერით, რომელიც დაინტერესებული იყო ტერორისტული აქტების მოწყობით, საიდან ჰქონდათ მათ საამისო რესურსები? ადამსმა ამ კითხვაზე პასუხს ერთმანეთის მსგავსი სხვადასხვა წყაროს განხილვით მიაგნო. კერძოდ, მან დაასკვნა, რომ იმისდამიუხედავად თუ რა მეთოდებით გადაწყვეტენ ამოცანებს ტერორისტული დაჯგუფებები, აუცილებელია ჰქონდეთ საკუთარი

საბანკო ფინანსური ოპერაციების წარმოების შესაძლებლობა, რაც მათი ინფრასტუქტურის ნაწილი იქნება. ფული საჭიროა ტერორისტული კამპანიის დასაწყებად.

ადამსი აკვირდებოდა დიდ ტერორისტულ დაჯგუფებებს. ავტონომიის მოპოვების მიზნით პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციამ 1970 წელს ეკონომიკური ფრთა დააარსა, სახელწოდებით "სამედი". ადამსი წერს, რომ "სამედი" პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის მხარდამჭერ მომგებიან ბიზნესსტრუქტურად გადაიქცა. იგი თანამედროვე საორგანიზაციო თეორიებს იყენებს იმისათვის, რომ ფადეინები (წმინდა მეომრები) ეკონომიკურად უზრუნველყოს. მიუხედავად იმისა, რომ "სამედის" შტაბბინა 1983 წელს ისრაელის ლიბანში შეჭრის შედეგად განადგურდა, ფინანსურმა ოპერაციებმა ტუნისში, ალჟირში და სირიაში გადაინაცვლა. "სამედი" მართავს ფირმებს და შეუჩერებლად აშენებს ქარხნებს. ორგანიზაციას განზრახული აქვს 21-ე საუკუნეში ახლო აღმოსავლეთის ძლიერ ეკონომიკურ ძალად გადაიქცეს.

ადამსი ყურადღებას ირლანდიის რესპუბლიკურ არმიაზეც ამახვილებს. მისი თქმით, ბევრს სჯერა, რომ "ირა" ძირითად დაფინანსებას შეერთებული შტატებიდან იღებს. მიუხედავად ამისა, აშშ "ირას" ძირითადი შემოსავლის წყარო არაა. ფინანსების შესავსებად “არმია” ჩრდილოეთ ირლანდიაში ორგანიზებული დანაშაულის ქსელს აკონტოლებს. რევოლუციონერობიდან კანონგარეშე განგსტერად მსგავსი ტრანსფორმაცია ფინანსური ტერორიზმის საუკეთესო მეთოდად დამკვიდრდა. [16-45-67]

საკუთარი "კაპონეს აღმოჩენით" (როგორც ამას ადამსი უწოდებს), "ირამ" დაასკვნა, რომ მას დიდი რაოდენობით ფულის შეგროვება მაღაზიის მეპატრონეებისა და ბიზნესმენების დაშინებით შეეძლო, რომელთაც თანხის სანაცვლოდ დაცვას ჰპირდებოდა. მაღაზიის ტიპური მფლობელი ფულს ორი მიზნით იხდიდა: პირველ რიგში, იძენდა "ირას" დახმარების გარანტიას პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში, მეორე და მთავარი კი ის გახლდათ, რომ დაცული ხდებოდა თავად "ირას" თავდასხმებისგან. ასეთი რეკეტით "ირას" იმდენი ნაღდი ფული დაუგროვდა, რომ იძულებული გახდა ფულის გათეთრების საკუთარი სქემა შეექმნა.

1972 წელს, როდესაც ტაქსების კომპანია შეისყიდა და კანონიერ ბიზნესში შედგა ფეხი, "ირამ" ტერორიზმის დაფინანსების ახალი გზა აღმოაჩინა.

წამოწყება წარმატებული აღმოჩნდა და "ირა" მიხვდა, რომ თუ სხვა კომპანიების საქმიდან განდევნას მოახერხებდა, უფრო მეტი ფულის შოვნას შეძლებდა. ბაზარზე დომინირებისთვის ისევ ტერორიზმს მიმართა, რამაც კარგი შედეგი გამოიღო და “ირლანდიის რესპუბლიკურმა არმიამაც” ახალი ბიზნესები წამოიწყო.

ტერორიზმის ფინანსური რესურსების აღმოჩენას ადამსი მნიშვნელოვნად მიიჩნევდა. ტერორიზმთან საბრძოლველად დასავლეთი აქცენტს მცდარ სამიზნეზე აკეთებდა. ადამსის განმარტებით, კონტრტერორისტული მუშაობა კონცენტრირებული უნდა ყოფილიყო ტერორიზმისთვის ფინანსური რესურსების შეწყვეტაზე. ტერორისტული კამპანიები ვაკუუმში არ ხორციელდება; საჭიროა მათი ორგანიზება და შესაბამისი სახსრების ქონა. მარტივად რომ ვთქვათ, ტერორისტებს ფინანსები სჭირდებათ. ადამსის დასკვნით, ყოველი დიდი ტერორისტული დაჯგუფების უკან ფინანსური ქსელია და ტერორისტული კამპანიის შეჩერებაც მის საწარმოებლად საჭირო ფულადი სახსრების გამოცლით არის შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ ადამსის ანალიზის შემდეგ ტერორისტულმა დაჯგუფებებმა სახე იცვალეს, მათი ფინანსური ინფრასტრუქტურა იგივე პრინციპით ფუნქციონირებს. ჰენრი კუშნერი ამას იმ უკანონო ეკონომიკური საქმიანობის მაგალითზე გვიჩვენებს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ტერორისტთა საქმიანობას უზრუნველყოფს. ბოდანსკის მიერ ჩატარებული უსამა ბინ ლადენის ფინანსური ქსელის დეტალური ანალიზიც ამაზე მეტყველებს. 2000 წლის 24 ივლისს "ვაშინგტონ პოსტმა" გამოაქვეყნა სტატია ჩრდ. კაროლინაში ჰამასის მხარდამჭერთა დაკავების თაობაზე, რომელთაც ბრალდებად აფიორებისა და უკანონო მაქინაციების გამოყენებით ახლო აღმოსავლეთში ტერორისტული ოპერაციების დაფინანსება წაუყენეს. ასე, რომ ადამსის ძორითადი თეზისი ტეროროსტთა მოქმედებებით დასტურდება.

მენეჯმენტის პროცესი და პრობლემები

ტერორისტული დაჯგუფებების ორგანიზაციული სტრუქტურის განხილვა იოლია. ამას მარტივი ახსნა აქვს. ტერორისტებს სხვა ჯგუფებივით ესაჭიროებათ ორგანიზება. მენეჯმეტის საფუძვლების შესწავლის შემდეგ, ალბათ, ყოველი ჩვენგანი შეძლებდა ტერორისტულ დაჯგუფებათა უდიდესი ნაწილის საკმაოდ ზუსტი სქემის შედგენას. მართლაც, ტერორისტების ლიდერები ოპერატიული ხასიათის პრობლემების წინაშე დგანან და მათ გადაჭრას ისეთივე სტრატეგიით

ცდილობენ, რომელსაც მენეჯმენტის შემსწავლელ ნებისმიერ კურსზე გადიან. თუმცა, ტერორისტების ლიდერებს განსაკუთრებულ ორგანიზაციულ პრობლემებთან გამკლავებაც უხდებათ.

პირველი პრობლემა კონსპირაციის საჭიროებაა. იგი უმთავრესთაგანია ტერორიზმის ოპერატიულ ასპექტებს შორის და ისეთ პრობლემებს იწვევს, რომლებიც არ გვხვდება ღიად მოქმედ ორგანიზაციებში. ირონიულია, მაგრამ თუ გასაიდუმლოებული მოქმედება ტერორისტული ორგანიზაციის სიძლიერეს წარმოადგენს, იგი ერთდროულად მისი უდიდესი სისუსტეცაა. ხანდახან ტერორისტული ჯგუფის საქმიანობა ისეა გასაიდუმლოებული, რომ ჯგუფის წევრებმაც არ იციან, რისთვის რას აკეთებენ. გასაიდუმლოებულ პირობებში მოქმედების აუცილებლობის გამო გართულებულია ეფექტური კომუნიკაციაც.

რადგან კონსპირაციის აუცილებლობა ასე დიდია, როგორც წესი, თითოეულ უჯრედსა და კოლონას ენიჭება შედარებით დიდი ავტონომიურობა. ტერორიზმი დეცენტრალიზებული საქმიანობაა და რაც დიდია დაჯგუფება, უფრო დიდია დეცენტრალიზაციის ხარისხიც. ეს არაა ორგანიზაციის ყველაზე სასურველი სახეობა, მაგრამ ოპერატიული აუცილებლობიდან გამომდინარეობს. ტერორისტებმა იციან, რომ სამართალდამცავებს ცენტრალიზებული სისტემის იოლად გაშიფვრა და დაშლა შეუძლიათ. ერთი კონფიდენტის წარმატებით მუშაობას მთელი ორგანიზაციის განადგურება შეუძლია.[21-205-249]

დეცენტრალიზება შედარებით კონსპირაციულობას უზრუნველყოფს: ცოტა ვინმე თუ იცნობს ორგანიზაციის ბევრ სხვა წევრს. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს დაცვის მაღალ ხარისხს, მაგრამ ართულებს ადმინისტრირებას. მსგავსი პრობლემის განხილვა ირლანდიის რესპუბლიკური არმიის მაგალითზე შეიძლება. "ira" სხვა დიდი ტერორისტული დაჯგუფებების მსგავსადაა ორგანიზებული. ორგანიზაციას მართავს უზენაესი საბჭო, რომლის წევრებსაც "ირას" ბატალიონების ან კოლონების მეთაურები წარმოადგენენ. კოლონების მეთაურები უჯრედების გარკვეულ რაოდენობაზე არიან პასუხისმგებლები, რომელთაც "ირაში" ხშირად სამხედრო ტერმინებით (ოცეული, ესკადრონი, ასეული) მოიხსენიებენ. მიუხედავად ამისა, "ირას" მეთაურებს კონსპირაციითა და დეცენტრალიზაციით განპირობებული პრობლემები აქვთ.

თეორიულად, ორგანიზაციის სქემა ძალზე ლოგიკურად გამოიყურება. პრაქტიკულ საქმიანობაში ეს ლოგიკა გამოიხატება თითოეული დანაყოფის

საჭიროებაში, რომ დაცული იყოს აღმოჩენისგან. ეს ნიშნავს, რომ სხვადასხვა უჯრედის და კოლონის წევრებს წარმოდგენა არ აქვთ "ირას" სხვა წევრებისა და მათი საქმიანობის თაობაზე. ისინი ბრძანებებს ერთი წყაროსგან ღებულობენ და ეს წყარო, სავარაუდოდ, უზენაესი საბჭოა. ეს კი დაჯგუფების პოტენციურ დაქსაქსვას, ან მინიმუმ, წევრთა შორის შეუთანხმებელ მოქმედებას უწყობს ხელს. შესაბამისად იოლია იმის დანახვა, თუ რატომაა რთული "ირას" მართვა.

დანაწევრების და ზედმეტი ავტონომიის თავიდან აცილების მიზნით, ტერორისტების მეთაურები კონტროლისთვის შიდა დისციპლინის გამკაცრებას მიმართავენ. არსებითად, ტერორისტების მეთაურები თავად ტერორისტულ ორგანიზაციას ატერორებენ – დანაწევრების საფრთხე და ავტონომიურობა სასჯელის შიშით კონტროლდება. მაგრამ შიგა დისციპლინა ტერორისტული ორგანიზაციის აქილევსის ქუსლად შეიძლება, იქცეს. საქმეში ორი ძალა ერთვება – ერთი მხრივ, შიშის გავლენით ერთიანობასა და თანამშრომლობას ეწყობა ხელი, მეორე მხრივ კი, კონსპირაციის აუცილებლობა დეცენტრალიზაციასა და ავტონომიურობას განაპირობებს. ხანდახან დისციპლინის შენარჩუნების მცდელობამ შეიძლება უკუშედეგი მოიტანოს. მაგალითად, როდესაც მეთაურები უდისციპლინო წევრების დასჯას მათი ლიკვიდაციით ცდილობენ, ისინი უკმაყოფილო თანამებრძოლების სამიზნეები შეიძლება, გახდნენ. ამის შედეგად, დიდი ტერორისტული ორგანიზაციები ხშირად იყოფიან.

ტერორისტებისთვის მენეჯმენტის შემდეგი პრობლემა ოპერაციების განხორციელებისთვის საჭირო უშუალო ტაქტიკური მხარდაჭერის მოპოვებაა. ფრეიზერის აზრით, ტერორისტული კამპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი აქტიური მხარდაჭერის ინტენსივობა და სტრუქტურაა. აქტიური მხარაჭერის გარეშე შეუძლებელია ტერორისტული კამპანიის წამოწყება.

ტერორიზმის მენეჯმენტის პრობლემები

- *კონსპირაციის პირობებში ინფრასტრუქტურის შიგნით კომუნიკაცია.*
- *დეცენტრალიზაციის მიუხედავად, მოქმედებების კოორდინირების აუცილებლობა.*
- *შიდა დისციპლინის დაცვა.*
- *იდეოლოგიური ხლეჩვის თავიდან აცილება.*
- *ლოგისტიკის გამართული მუშაობა.*

- *წვრთნა.*
- *ფინანსები.*

ხშირად პრესა ტერორისტთა ლიდერებს საიდუმლო გეგმების ავტორებად წარმოაჩენს, რომლებიც ჭეშმარიტი მორწმუნეებისგან შემდგარ საიდუმლო არმიებს მართავენ. სინამდვილეში კი, ტერორისტთა ლიდერებს დიდი ძალისხმევა სჭირდებათ აქტიური მხარდაჭერის მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის. დროის უდიდესი ნაწილი მხარდაჭერის ქსელის შექმნაზე იხარჯება და არა იმ ოპერაციებზე, რომლებიც პრესის ყურადღების ცენტრში ექცევა. სახელმწოფოების დახმარებით წარმოებული ტერორიზმის ანალიზისას, იოზეფ ბოდანსკი (1986 წ) ამის ნათელ ახსნას იძლევა. მისი აზრით, ტერორისტული კამპანიის დაწყებას უაზარმაზარი ლოგისტიკური ბაზის ქონა ესაჭიროება. აუცილებელია, შეიქმნას აქტიური მხარდაჭერის ვრცელი ინფრასტრუქტურა, რათა ტერორიზმის გზით შესაძლებელი გახდეს არსებულ ხელისუფლებაზე პოლიტიკური ზეწოლის შენარჩუნება. ტერორისტებს, სულ მცირე, სამი ტიპის ოპერატიული მხარდაჭერა სჭირდებათ. (1) *დაზვერვა* – საჭიროა თავდასხმის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის. ამაში შედის ყველაფერი, დაწყებული სამიზნის შერჩევისა და მასზე დაკვირვებიდან, დამთავრებული ყალბი დოკუმენტებისა და სამგზავრო საბუთების დამზადებით; (2) ტერორისტების იარაღით მოსამარაგებლად აუცილებელია პირდაპირი ლოგისტიკური ქსელის შექმნა, რასაც მათ დასაცავად შემუშავებული უსაფრთხოების ზომები ართულებს; (3) საბოლოოდ კი აუცილებელია სპეციალური ქსელის არსებობა, რომელიც ტერორისტებს კონსპირაციული ბინებით, ტრანსპორტირებით, საკვებით და მედიკამენტებით უზრუნველყოფს. ბოდანსკის დასკვნით, ერთი ტერორისტის აქტიური მოქმედებისთვის საჭიროა 30-50 ადამიანის მიერ მის უზრუნველყოფაზე მუშაობა.

წვრთნა კიდევ ერთი აუცილებლობაა, რაც ტერორისტთა საქმიანობას ართულებს. ჭეშმარიტ მორწმუნეებს შეიძლება ჰქონდეთ მოწინააღმდეგესთან ბრძოლის პოლიტიკური მოტივაცია, მაგრამ ხშირად არ გააჩნიათ ამისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. ტერორისტებს სჭირდებათ ბაზები, სადაც ტაქტიკურ მეცადინეობებს ჩაატარებენ. ჭეშმარიტი მორწმუნეების მოძებნა იოლია, მაგრამ გაწვრთნილი ფანატიკოსები იშვიათობაა.

ასევე გართულებულია ტერორისტული კამპანიის მენეჯმენტი. იგი კონსპირაციის პირობებში ხოციელდება, მაგრამ ტერორისტების მეთაურებზე მოთხოვნა ისევე

დიდია, როგორც ნებისმიერი სხვა ორგანიზაციის ლიდერებზე. ამ სირთულის გადალახვის მიზნით ზოგიერთმა დიდმა საერთაშორისო ორგანიზაციამ ფართო ბიუროკრატიული აპარატი შექმნა და თავისი საქმიანობის მართვა გადააბარა. ეს მეთოდი ალტერნატიულია იმ მეთოდისა, რომლის მიხედვითაც სპონსორი სახელმწიფოს მიერ დაჯგუფების შიდა საქმეები იმართება.

ბრაიან ჯენკინსი მიიჩნევს, რომ ტერორისტული დაჯგუფებების ბიუროკრატიზაციამ ტერორიზმს ბევრი სირთულე შეუქმნა. მისი აზრით, ზოგიერთი დიდი ორგანიზაცია თავისდაუნებურად ბიუროკრატიულ სტრუქტურად იქცა, რათა ტერორისტული კამპანიის მკაცრ საორგანიზაციო მოთხოვნებს გამკლავებოდა. მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობაში ბიუროკრატები მოვიდნენ, პრობლემების ახალი წყება გაჩნდა. თვითდამკვიდრების მიზნით ბიუროკრატიული სტუქტურის წევრებს შემდგომში საკუთარი არსებობის გამართლებისთვის მიზეზების მოძიება დასჭირდათ.

მენეჯმენტის პრობლემების წინაშე ყველა ტერორისტული ორგანიზაცია დგება. თავდასხმების დასაწყებად რიგი საკითხის მოგვარება იოლი არაა. ტერორისტული თავდასხმები პოლიტიკურ მხარდაჭერას, დაგეგმვას, ორგანიზებას და რესურსებს მოითხოვენ. ეს ფაქტორები ყველა ტერორისტულმა ოგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს, საკუთარი ზომის მიუხედავად. შესაბამისად, ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ საჭიროა ძალისხმევა ორგანიზაციის ზურგსუკან არსებული რესურსების აღმოსაჩენად. მათი აზრით, ბევრი დრო იქნა დახარჯული ტერორისტული დაჯგუფებების ორგანიზაციული სტრუქტურის შესწავლისთვის და საკმარისი ძალები არ იქნა მიმართული ამ სტრუქტურების ზურგსუკან არსებული მომარაგების ქსელის აღმოსაჩენად. ეს არგუმენტი გაზეთ "ლონდონ თაიმსის" სამხედრო კორესპონდენტმა (თავდაცვის სფეროში მომუშავე ჯეიმს ადამსმა წამოწია.

თავი III.

ტერორიზმის კრიმინალისტიკური თავისებურებანი

§ 3.1. ტერორიზმის კლასიფიკაცია

„ცოცხალი ნაღმები“ (კამიკაძე - ტერორისტები)

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი ტერორისტული ორგანიზაციისა, საჭიროა იმის გათვალისწინებაც, რომ ისლამურ სამყაროს ფანატი თვითმკვლელებიც ჭარბად ჰყავს. „ცოცხალი ნაღმები“ ხან სად და ხან სად ფეთქდებიან. მათ შორის ხშირად ქალები და ბავშვები არიან. ზოგიერთ ქვეყანაში ბავშვების ტერორისტებად მოსამზადებელი სპეციალური ბანაკებიც (იორდანია, სირია) კი არსებობს, სადაც მოხვედრილი მოზარდები მშობლების მიერ არიან გაყიდულები და მათ ხარჯზე ყოველთვიურად ფულად გასამრჯელოს იღებენ. ბავშვების სიკვდილის შემდეგ კი ეს გასამრჯელო ათმაგდება. ისლამისტი ტერორისტები ბავშვებში და ახალგაზრდებში დიდ პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევიან და შთააგონებენ, რომ თუ თავს მტრის შუაგულში აიფეთქებენ, მყისვე სამოთხეში აღმოჩნდებიან, თავს 72 ქალწული შემოევლებათ და ედემში მოილხენენ და სხვა. მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ თითოეული მათგანის მიერ გაცემული სიცოცხლე უახლოესი 70 ნათესავის სულს სამოთხისაკენ გაუხსნის გზას.

აღსანიშნავია ისიც, რომ 19 წლამდე ასაკის ბავშვებს ვიდეოფილმების გამოყენებით აყურებინებენ, თუ თავგანწირვის შემდეგ როგორი იქნება მათი დასაფლავება, როგორ ჩაივლის პროცესია და ა.შ. ამიტომ კამიკაძეები სიკვდილს მშვიდად ხვდებიან. არის შემთხვევები, როცა დავალების შესრულების წინა ღამეს ზოგიერთ თვითმკვლელს ცოცხლად მარხავენ, ისინი „სამარეში” ლოცვას აგრძელებენ და თავი უკვე სამოთხეში წარმოუდგენიათ, რის შემდეგაც დავალებას უდრტვინველად ასრულებენ.

ბავშვების გადაბირება დაახლოებით 8-10 წლის ასაკში ხდება. ეს ისეთი პერიოდია, როდესაც ბავშვი ტკბილეულისა და ნუგბარის სანაცვლოდ ყველაფრისთვის მზადაა. შემდეგ მათ სპეციალურ ბაზებზე აგზავნიან. აქ გამოცდილი სპეციალისტები პატარებზე იდეოლოგიურ–რელიგიური კუთხით ზემოქმედებენ და რამოდენიმე წლის შემდეგ იღებენ თვითმკვლელ ტერორისტს, რომელიც მზადაა ნებისმიერ დროს აიფეთქოს თავი.

ზოგჯერ „ცოცხალი ნაღმები“ გაუთვალისწინებელ სიტუაციაში სრულიად უაზროდ იღუპებიან. მაგ. პალესტინელ აშრაფ მახტს, რომელიც მხოლოდ 17 წლის იყო, დავალებული ჰქონდა ისრაელის ბლოკ-პოსტთან თავის აფეთქება და რამოდენიმე (ათიოდე მაინც) მტრის ჯარისკაცის ლიკვიდირება. მაგრამ მას, როგორც იტყვიან, არ გაუმართლა - გაურკვეველი მიზეზების გამო დეტონატორი ვადაზე ადრე ამოქმედდა და კამიკაძე-ტერორისტი რამოდენიმე კვარტლის მოშორებით უკაცრიელ ადგილზე აფეთქდა.

ქალი “ცოცხალი ნაღმების“ შერჩევა-მომზადება სხვა პრინციპით ხდება. ინსტრუქტორები არჩევენ ახალგაზრდა ქალბატონებს, რომელთა ოჯახის წევრები „ურჯულოებთან“ ბრძოლაში დაიღუპნენ. ძირითად სამიზნეებს ბავშვიანი, ქმართან გაცილებული ქალბატონები წარმოადგენენ. მათ შესაბამის აგიტაციას უწევენ, ნარკოტიკებს აჩვევენ, ხშირად ბავშვების სიკვდილით ემუქრებიან, ნაღმებთან მუშაობის წესების სწავლების შემდეგ კი ბრძანების შესრულებისთვის მარტოდმარტო უშვებენ და თან სათვალთვალოდ ფარულად ტერორისტ მამაკაცს აყოლებენ.[71-45]

რელიგიური ფანატიკოსები ეგვიპტეშიც (განსაკუთრებით კაიროში) მრავლად არიან. იქაური „ცოცხალი ნაღმები“ მთავრობისთვის ავტორიტეტის შელახვის მიზნით ტურისტებს უსაფრდებიან და ხშირად სისხლის გუბეებსაც აყენებენ. უფრო ხშირად ტერორისტები ტურისტების ავტობუსებს უკან დაჰყვებიან, სასტუმროსთან მათ გადმოსვლას ელოდებიან, შემდეგ 1 ან 2 კამიკაძე ჯგუფს შეუმჩნევლად უახლოვდება და ცეცხლიც იელვებს. მკვლელები ძირითადად ქრისტიანებზე ნადირობენ, რადგან ცდილობენ ერთმორწმუნის სისხლით ხელები არ გაისვარონ.

„ხეზბოლა“, „ამალი“, “ალ-დავას” ერაყული ფილიალი ლიბანში „ცოცხალ ნაღმებად” ძირითადად ახალგაზრდებს იყენებს, რომლებსაც არა აქვთ განათლება ან მცირედ განათლებულები არიან. ასევე არ გააჩნიათ ეროვნებათშორისი ურთიერთობების გამოცდილება, აქვთ ძლიერი რელიგიური გრძნობები. ზოგი მათგანი ცოლშვილიანია, გაიარა საფუძვლიანი მომზადება სხვადასხვა ტერორისტულ ბანაკში.

ლიბანელი არარელიგიური კამიკაძე-ტერორისტები ძირითადად კომუნისტები და პროსირიული დაჯგუფების წევრები არიან. მათ ანგარიშზეა ისრაელის

წინააღმდეგ თვითმკვლელების გამოყენებით განხორციელებული ტერაქტების 40%.

თვითმკვლელი-ტერორისტი ქალები პირველად 1985 წელს სირიის სოციალისტურ-ეროვნულმა პარტიამ (SSNP/PPS) გამოიყენა ლიბანში.

შშ -ს მიერ ჩატარებული 12 ტერაქტიდან 5-ში ქალები მონაწილეობდნენ. მათ შორის ჩეჩენი კამიკაძეებიც, რომლებმაც ომში ახლობლები დაკარგეს და „ურჯულოებზე" შურისძიების მიზნით იარაღს მოჰკიდეს ხელი.

ერთადერთი, ვინც ორგანიზაციის ტიპურ მოდელებს არ ცნობენ, არენაზე ახლად გამოჩენილი ინდივიდუალისტები არიან.

პასიური მხარდამჭერები სტრუქტურული იერარქიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. ისინი აქტიურ კადრებს არ წარმოადგენენ, მაგრამ შესაძლოა თავიანთი მთავრობა არ მოსწონდეთ ანდა ცხოვრებაში საკუთარი ადგილით იყონ უკმაყოფილო. პასიური მხარდაჭერის რგოლები ხშირად ზომით დიდია, არცთუ კარგად კონსპირირებული და შედგება არა ტერორისტებისგან, არამედ პირებისგან, რომლებიც ცალკეული ტერორისტული ორგანიზაციების მიმართ სიმპათიით არიან განწყობილი და მათ მხარს უჭერენ.

რგოლებს შორის კავშირი მეკავშირეთა საშუალებით ხორციელდება, რგოლის ადგილსამყოფელი და მისი წევრები ისე არიან დაცული, რომ ერთი ელემენტის ჩავარდნის შემთხვევაში მთელი სტრუქტურა საფრთხეში არ აღმოჩნდეს. როგორც წესი, ტერორისტული დაჯგუფებები ფარულად მოქმედებენ და დახმარებას მხოლოდ შემოწმებული სპონსორებისგან იღებენ, ანდა თვითკმაყოფაზე იმყოფებიან და საერთოდ არ საჭიროებენ დახმარებას.

ტერორიზმის კლასიფიკაცია

თანამედროვე ტერორიზმის დამახასითებელი თავისებურებაა ის, რომ ერთი ქვეყნის ტერორისტთა საქმიანობის გამოცდილებას აქტიურად იყენებენ სხვა ქვეყნის ტერორისტული ორგანიზაციები. ტერორიზმმა დღეს უკვე საერთაშორისო ხასიათი მიიღო. თანამედროვე ტერორიზმის დამახასიათებელი ნიშნებია: ძალადობისა და სისასტიკის უკიდურესად მაღალი ხარისხი, რაც საზოგადოებისათვის მომეტებულ საფრთხეს წარმოადგენს; ცალკეული ტერორისტული აქტის მიზანი ყოველთვის სცილდება ფაქტობრივად მიყენებულ ზიანს, ვინაიდან ტერორიზმის მსხვერპლის შერჩევა ძირითადად სიმბოლურად

ხდება. სწორედ აქედან გამომდინარე, ტერორიზმი ერთადერთი სპეციფიკური ხასიათის დანაშაულია, როდესაც დამნაშავე ხელყოფს არა იმ ობიექტს, ვის წინააღმდეგაც უშუალოდ მიმართულია ქმედება, არამედ – სხვას, რათა ზემოქმედება მოახდინოს პირველ მათგანზე. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვეულებრივი დანაშაულისგან განსხვავებით, ტერორიამში სამი მხარე იკვეთება. ესენია: დამნაშავე, მსხვერპლი, (რომელიც მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალებას წარმოადგენს) საკუთრივ სამიზნე (ხელისუფლების ორგანოები ან საზოგადოება), რომელზეც ფსიქოლოგიური ზეწოლას ხორციელდება.

თანამედროვე ტერორიზმის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს აგრეთვე ტერორისტთა კავშირი ოფიციალურ სტრუქტურებთან. მხედველობაში გვაქვს ტერორისტთა მფარველობა, ფინანსური და საინფორმაციო მხარდაჭერა როგორც ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, ისე კერძო სამეწარმეო, რელიგიური, პარტიული და სხვა სტრუქტურებიდან. თანამედროვე ტერორიზმის სტრატეგიაში დიდი ადგილი უკავია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსაც.

ტერორიზმი კოლოსალურ ზიანს აყენებს მართლწესრიგს, იგი მრავალობიექტიანი დანაშაულია: ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, აფერხებს ხელისუფლების ნორმალურ ფუნქციონირებას, თავისი საშინელი შედეგებით ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოების ფართო ფენებზე, ხელყოფს ადამიანთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, მათ ქონებას, უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ტერორისტების მიერ დაზიანებული ობიექტების რიცხვში შედის ეკონომიკური და სამხედრო დანიშნულების ობიექტები, დიპლომატიური წარმომადგენლობები და სხვა. ამრიგად, ტერორისტული ქმედება მრავალობიექტიანი დანაშაულია. მისი მიზნები მრავალფეროვანია – დაწყებული მოსახლეობის მასობრივი განადგურებიდან დამთავრებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი უშიშროების ხელყოფით.[54-67]

გარკვეული თავისებურება ახასიათებს ტერორისტთა მოქმედების შინაარსსა და შედეგებსაც. ტერორიზმი თავისი ობიექტური ნიშნით გამოიხატება მოქმედებაში, რომელიც მიმართულია კონკრეტული პოლიტიკური მოღვაწის, ან ადამიანთა განუსაზღვრელი რაოდენობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ. მას თან ახლავს შეიარაღებული ძალადობა, ან მისი გამოყენების მუქარა. ამასთანავე, შესაძლებელია ფსიქიკური ზემოქმედებაც.

ტერორიზმი შეიძლება გამოიხატოს რაიმე ობიექტის დაზიანებაში ან დაზიანების მცდელობაში. ამ მიზნის მიღწევა მრავალგვარი ხერხითაა შესაძლებელი, როგორიცაა აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, მასობრივი განადგურების იარაღით ზემოქმედება, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება. იგი შეიძლება განხორციელდეს ერთჯერადი მოქმედებით, ან მოქმედებათა მთელი სერიით, გლობალური, ან ლოკალური მასშტაბებით.

ტერორიზმი ყოველთვის განზრახ დანაშაულია, არ არსებობს გაუფრთხილებლობით ან დაუდევრობით ჩადენილი ტერორისტული აქტი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქმედების ისეთ სუბიექტურ ელემენტებს, როგორებიცაა დანაშაულის მოტივი და მიზანი. [12 56-78]

მთავარია მესამე მხარის არსებობა. დამნაშავეებს ხშირად არც აინტერესებთ და არ აღელვებთ უშუალო მსხვერპლი, მათი მიზანია საზოგადოების ყურადღების მიპყრობა, მოსახლეობის და ხელისუფლების დაშინება, საკუთარი იდეების პროპაგანდა, პოლიტიკური წყობილების შეცვლა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, განსაზღვრული სოციალური, რელიგიური, ეთნიკური სტანდარტების თავზე მოხვევა, სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის არსებითი შეცვლა, დაპატიმრებული ტერორისტების გათავისუფლება, სტაბილურობის შერყევა, საომარი მოქმედებების პროვოცირება, სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებისათვის ზიანის მიყენება და სხვა.

დანაშაულის მოტივი შეიძლება მრავალგვარი იყოს: ფუნდამენტალისტური, რელიგიური, ნაციონალისტური, თვითდამკვიდრებისაკენ სწრაფვა და სხვა.[66-34]

ტერორიზმს შეიძლება ჰქონდეს ისეთი მოტივებიც, როგორიცაა ანგარება, შურისძიება, ეკონომიკური კონკურენცია და სხვა.

არის მოსაზრება, რომ ტერორიზმის მხოლოდ ტრადიციული პოლიტილური მოტივაციით ახსნა არამართებულია და ხელს უშლის ამ მოვლენის ნამდვილი მასშტაბის ხედვას და მასთან საბრძოლველად შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებას. თუმცა ცხადია, რომ დღეს ტერორიზმი მნიშვნელოვანწილად სწორედ პოლიტიკურ მიზნებს ისახავს და ტერორისტული აქტების ძირითადი მოტივიც სწორედ პოლიტიკურია.

ტერორიზმის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების წვდომის მიზნით ბოლო დროს დიდი ყურადღება ეთმობა ტერორისტის პიროვნების შესწავლას

სოციოლოგიაში, ფსიქოლოგიასა და კრიმინოლოგიაში. ტერორისტი შეიძლება იყოს რელიგიური ფანატიკოსიდან დაწყებული, ჩვეულებრივი კრიმინალით დამთავრებული, რომელიც მოცემულ დანაშაულს ფულადი საზღაურის მიღების ან სხვა რაიმე ინტერესის გამო ჩადის და არც კი იცის კონკრეტული ტერორისტული ორგანიზაციის ჭეშმარიტი მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

ტერორიზმი შეიძლება განხორციელდეს როგორც ერთი პირის, ასევე პირთა ჯგუფის მიერ, მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ტერორისტულ აქტს ერთი კონკრეტული პიროვნება ჩადის, როგორც წესი, მასზე პასუხისმგებლობას რომელიმე ტერორისტული ორგანიზაცია იღებს, ეს კი უკვე ორგანიზებულობაზე მიუთითებს და არსებობს ყველა წინაპირობა და ნიშანი იმისათვის, რომ ტერორიზმს ორგანიზებული დანაშაული ვუწოდოთ.[95-23]

ტერორიზმის კლასიფიკაცია შეიძლება მასშტაბების, შედეგების ხასიათის, მოტივების, მიზნის მიხედვით და სხვა.

შედეგების ხასიათის მიხედვით – განასხვავებენ ტერორიზმს, რომელსაც მოჰყვა ადამიანის მსხვერპლი, მატრიალური, მორალურ-ფსიქიკური ზიანი ან მისი მიყენების რეალური საფრთხე შეიქმნა.

მოტივისა და მიზნის მიხედვით ტერორიზმი შეიძლება მიმართული იყოს მატერიალური გამორჩენის მიღებისკენ. სამხედრო ტერორიზმს მიმართავენ ხოლმე შეიარაღებულ კონფლიქტში მოწინააღმდეგის დაშინების და მის რიგებში დეზორგანიზაციის შეტანის მიზნით და სხვა.

ტერორიზმის კლასიფიკაცია ასევე ხდება მოქმედების ჩადენის ხერხის, გამოყენებული იარაღისა და საშუალებების, მონაწილეთა რაოდენობისა და ორგანიზებულობის ხარისხის მიხედვით.

დ. ლუისი განასხვავებს საერთაშორისო და შიდა ტერორიზმს. საერთაშორისო ტერორიზმი კონკრეტული ქვეყნის გარედან იმართება ტერორიზმის მხარდამჭერი ქვეყნების, ან ორგანიზაციების მიერ. ეს ქვეყნები ტერორიზმს განიხილავენ, როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტს, თუმცა დღეს ეს შენიღბული ფორმით ხორციელდება, კერძოდ ტერორისტული ორგანიზაციების ან ტერორისტული ავტორიტეტების შექმნით, დაფინანსებით, კოორდინაციით და სხვადასხვაგვარი მხარდაჭერით, ასევე ტერორისტული ჯგუფების მომზადებით და ა.შ.[58-45]

შიდა ტერორიზმს მიეკუთვნება ჯგუფის ან ცალკეული პირის აქციები, რომელთა განხორციელება ხდება ქვეყანაში გარეშე ძალების ჩარევის გარეშე. იგი მიმართულია არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ, მისი დესტაბილიზაციისა და ნგრევისაკენ.

ჰ. შნაიდერი განასხვავებს პოლიტიკურ ტერორიზმს, რომელიც ხორციელდება ცალკეული პირის, ან პირთა ჯგუფის მიერ რომელიმე მთავრობის დავალებით, ან რომელიმე მთავრობის წინააღმდეგ.

ნაციონალურ ტერორიზმს მიმართავენ ხოლმე რომელიმე ეთნიკური ჯგუფის მეორისაგან გამოსაყოფად ან გასაერთიანებლად, რომელიმე ხალხის დამოუკიდებლობის მისაღწევად.

როგორც ვხედავთ, ტერორიზმის დოგმატური კლასიფიკაცია არ არსებობს, მაგრამ ერთი რამ ფაქტია – ტერორიზმი საერთაშორისო პრობლემაა, აქედან გამომდინარე მისი კლასიფიკაციის უპირველეს საფუძვლად მისივე მასშტაბურობა უნდა ვიგულისხმოთ. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ ტერორიზმი რეზონანსული დანაშაულია, ანუ ტერორისტი ყოველთვის ახდენს თავისი ქმედების აფიშირებას საყოველთაო ყურადღების მისაპყრობად, რა მოტივებიც არ უნდა ამოძრავებდეს მას. ქედან გამომდინარე, ტერორიზმის უბრალო კრიმინლთან გაიგივება ყოვლად დაუშვებელია.

ტერორიზმი თანდათანობით ლოკალური, მცირე ხასიათის დანაშაულიდან ზოგადსაკაცობრიო პრობლემად იქცა. მისი მასშტაბის ცვლა მოვლენას დღითიდღე უფრო საშიშად წარმოაჩენს. იგი საერთაშორისო უშიშროებისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების მთავარ საფრთხედ მოგვევლინა. მსოფლიოში უფრო და უფრო იზრდება აღნიშნული დანაშაულის მსხვერპლთა რიცხვი.

საინტერესიოა წამყვანი დასავლური სახელმწიფოების დამოკიდებულება ტერორიზმის მიმართ. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსში ტერორიზმს ცალკე თავი ეთმობა. ფრანგი კანონმდებლების შეხედულებით, ტერორიზმი სრულიად ახალი კატეგორიის სპეციფიკური დანაშაულია და იმდენად მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომ სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ დანაშაულების მომდევნო თავშია განხილული.

ფრანგი კრიმინალისტები თვლიან, რომ ტერორიზმის ცალკე გამოყოფა გონივრულია, ვინაიდან საჯარო წესრიგის ხელყოფის მიზანი, რომელსაც თან

ერთვის პიროვნებისა და საკუთრების უფლების განურჩევლად ხელყოფა, ტერორისტული აქტისაგან ქმნის ისეთ დანაშაულს, რომელიც თავისი ბუნებით განსხვავდება ყველა სხვა დანაშაულებისაგან.

§ 3.2. ტერორიზმის სისხლისსამართლებრივი დახასიათება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული მნიშვნელოვანი ნოვაციებით გამოირჩევა. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება მის ადგილს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სისტემაში, სადაც სახელმწიფო დანაშაულს დათმობილი აქვს მეთერთმეტე კარი. სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტებს შორის ამ კატეგორიის დანაშაულებმა მეხუთე ადგილი დაიკავეს, ვინაიდან დემოკრატიის საწყისების განვითარებამ განაპირობა სისხლის სამართლის კანონით დაცულ ღირებულებათა ახალი იერარქიის ჩამოყალიბება - ადამიანი, საზოგადოება, სახელმწიფო. კონსტიტუციის მეშვიდე მუხლზე დაყრდნობით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა, ადამიანი სისხლისსამართლებრივი დაცვის უპირველეს ობიექტად გამოაცხადა. ამიტომაც სსკ-ის კერძო ნაწილი ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულით იწყება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანი ყველა ღირებულებათა საზომია.[14-56-98]

საზოგადოების განვითარების დასავლურმა მოდელმა დაამტკიცა, რომ შესაძლებელია ისეთი საზოგადოების არსებობა, რომელშიც ორგანულად იქნება შეხამებული სახელმწიფოსა და ადამიანის ინტერესები. საზოგადოებაში სახელმწიფოს ისტორიული მისია იმაში მდგომარეობს, რომ ის იყოს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა რეალიზაციის გარანტი, რაც დემოკრატიის საწყისების დამკვიდრებისა და განვითარების, სოციალური პროგრესის აუცილებელი წინაპირობაა.

აქვე აღსანიშნავია, რომ სსკ-ის კერძო ნაწილის სისტემაში სახელმწიფო დანაშაულის ადგილი სულაც არ მიანიშნებს ამ დანაშაულთან ბრძოლის შესუსტებაზე ან მის მეორეხარისხოვან მნიშვნელობაზე. ცხადია, არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ყოფილი მეტროპოლია იოლად ვერ დათმობს თავის ყოფილ კოლონიას და მომავალშიც გააგრძელეს სხვადასხვა სახის პროვოკაციას მისი კონსტიტუციური წყობილების საფუძვლების შესარყევად. ამის ნათელი დასტურია აგრესიული სეპარატიზმის მფარველობა და წაქეზება საქართველოს

ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მიზნით, ბოლო წლებში განხორციელებული არაერთი ტერორისტული აქტი ქვეყანაში ქაოსის გამოსაწვევად და არასტაბილური ქვეყნის იმიჯის შესაქმნელად. ამგვარ ქმედებებს ნოყიერ ნიადაგს უქმნიან როგორც ქვეყნის შიგნით ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ძალები, ისე უცხოეთის სპეცსამსახურები. ამას ემატება ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და სოციალური სირთულეებიც. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, მის ტერიტორიაზე განხორციელებული საერთაშორისო ეკონომიკური პროექტები განაპირობებენ ჩვენს ქვეყანაში მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების სტრატეგიული ინტერესების გადაკვეთას, რაც მათი სპეცსამსახურების საქმიანობის გააქტიურობას იწვევს. ჩვენს ქვეყანაში მათი ინტერესი განპირობებულია როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ სიბრტყეებში საკუთარი სტრატეგიული ინტერესების ლობირებით.

ასეთ ვითარებაში, ცხადია, რომ საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დაცვა, მისი სუვერენიტეტის, ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის გადარჩენა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა.

სისხლის სამართლის კოდექსში სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ოთხ თავად არის დაყოფილი, რომელთაგან განსაკუთრებული ადგილი უკავია ტერორიზმს, რომელსაც ეთმობა XXXVIII თავი და აერთიანებს ტერორისტული ხასიათის ცხრა დანაშაულის შემადგენლობას (მუხლი 323-331-ე).

323-ე მუხლის პირველ ნაწილში შედეგი არ არის დამდგარი, მაგრამ კანონში მითითებული ნორმით დამნაშავე ისჯება ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის მიყენების ან სხვა მძიმე შედეგის საშიშროების შექმნის გამო, ე.ი. აღნიშნული დანაშაული ფორმალური შემადგენლობისაა.[14-56-98]. ადამიანის სიცოცხლის მოსპობის საშიშროება ნიშნავს, თუნდაც ერთი ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნას.

მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი უნდა დადგინდეს მატერიალურ ფასეულობათა რეალური ღირებულებისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით. ეს კი სასამართლოს გადასაწყვეტი საკითხია.

სხვა მძიმე შედეგის დადგომის საშიშროებას შეიძლება მოვაკუთვნოთ მოსახლეობაში პანიკის გამოწვევა, ადამიანთა ჯანმრთელობისათვის სხვადასხვა ზიანის მიყენების, ტრანსპორტის მუშაობის შეჩერების, ენერგიის მიწოდების შეწყვეტის საფრთხე და ა.შ.

ქმედების სუბიექტი შეიძლება იყოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი.

ტერორისტული აქტი განზრახი დანაშაულია. მართალია, თანმდევი შედეგის მიმართ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს გაუფრთხილებლობასაც, მაგრამ მთლიანობაში ასეთი დანაშაული მაინც განზრახ დანაშაულად ჩაითვლება. რაც შეეხება ქმედების სხვა სუბიექტურ ელემენტებს, ქმედების ტერორისტულ აქტად კვალიფიკაციისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს მიზანს – მოსახლეობის დაშინებას ან ხელისუფლების ორგანოებზე ზემოქმედებას. ტერორისტის მოქმედების მოტივს მნიშვნელობა არა აქვს.

323-ე მუხლს აქვს შენიშვნა, რომელიც ითვალისწინებს ტერორისტული აქტის მომზადებაში მონაწილე პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას, რომელიც ხელისუფლების ორგანოს დროული გაფრთხილებით ან სხვაგვარად ხელს შეუწყობს ტერორისტული აქტის თავიდან აცილებას, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები. აღნიშნული შენიშვნით გათვალისწინებული ნორმის გამოსაყენებლად საჭიროა სამი პირობის არსებობა:

ა) დანაშაულზე ხელის აღება უნდა მოხდეს მომზადების სტადიაზე;

ბ) მან აქტიური მოქმედებით ხელი უნდა შეუწყოს ტერორისტული აქტის თავიდან აცილებას;

გ) მის ქმედებაში არ უნდა იყოს სხვა დანაშაულის ნიშნები.

ხელისუფლების ორგანოს გაფრთხილება დროულად ჩაითვლება, თუ ის გაკეთდა აფეთქების, ცეცხლის წაკიდების ან სხვა ქმედების ჩადენამდე, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კანონით დაცულ ინტერესებს, როცა ხელისუფლების ორგანოებს რეალური შესაძლებლობა აქვთ თავიდან აიცილონ ტერორისტული აქტი. აქტის თავიდან აცილებისთვის ხელშეწყობა შეიძლება გამოიხატოს საკუთარი ინიციატივით ასაფეთქებელი მოწყობილობის გაუვნებელყოფაში, ხანძრის გაჩენის აღკვეთაში და სხვა.

როგორც ადრე უკვე ვისაუბრეთ, პირველ რიგში, უნდა გამოიყოს ტერორიზმის ორი ძირითადი სახეობა: შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო.

არსებობს ტერორიზმის სხვა კლასიფიკაციებიც:

დამდგარი შედეგების მიხედვით:

1. ადამიანის მსხვერპლთან დაკავშირებული -

ა) მასობრივი; ბ)ჯგუფური; გ) ცალკეული მსხვერპლი.

2. მატერიალურ ზიანთან დაკავშირებული -

ა) განხორციელებული ან მოსალოდნელი კატასტროფები;

ბ) განსაკუთრებით დიდი; გ) დიდი.

3. მორალური-ფსიქოლოგიურ ზიანზე გათვლილი -

გამოიწვია:

ა) შიში; ბ) პანიკა; გ) მთავრობისადმი უნდობლობა.

თანამონაწილეთა რაოდენობისა და ორგანიზაციის მიხედვით:

ა) ორგანიზაციები (მათ შორის სექტები და იატაკქვეშა ორგანიზაციები; გ) სპონტანური ჯგუფები; დ) ცალკე მოქმედი პირები.

გამოყენებული იარაღის მიხედვით:

ა) მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით; ბ) ჯგუფური დაზიანების იარაღის (ასაფეთქებელი ნივთიერებები) გამოყენებით; გ) ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით; დ) ახლო მანძილზე საბრძოლო იარაღის გამოყენებით; ე) არალეგალური იარაღის გამოყენებით; ვ) სპეცსაშუალებების გამოყენებით.

ობიექტის მიხედვით:

1) ინდივიდუალური ტერორისტული აქტები (ანუ აქტები, მიმართული კონკრეტული პირის წინააღმდეგ მისი პოლიტიკური ან საზოგადოებრივი საქმიანობის გამო);

2) ძალადობრივი ქმედებები სრულიად უცხო (როგორც წესი, ტერაქტის ადგილზე შემთხვევით აღმოჩენილი) პირების მიმართ, რაც მიზნად ისახავს სამიზნეზე (მაგალითად, ხელისუფლებაზე) ზემოქმედების მოხდენას.

ტერორიზმის კრიმინალისტიკური დახასიათება მიზანშეწონილია დავიწყოთ ტერორისტული ქმედების ჩადენის ხერხებისა და საშუალებების განხილვით.

სანამ პირდაპირ გადავალთ ტერორიზმის ჩადენის ხერხების დეტალურ ანალიზზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამჟამად ცნობილია და უკვე სამწუხაროდ ფართოდ გამოიყენება ისეთი ხერხები და საშუალებები, რომელთა შესახებ 10-15 წლის წინ წარმოდგენაც არ ჰქონდათ. მათი გამოყენების დიდი ალბათობა, რასაკვირველია, მოითხოვს სამართალდამცავი ორგანოებისაგან გარკვეული ცოდნას, რათა უფრო ეფექტურად განახორციელონ სისხლისსამართლებრივი დევნა და მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა ამ ქმედებების აღსაკვეთად.[18-23]

მაგრამ ასეთი ცოდნიათ ჩვეულებრივი მოქალაქეებიც უნდა შეიარაღდენ, ვინაიდან დღეს არავის შეუძლია ადამიანთა უსაფრთხოების, მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების 100%-ით დაცვა, სახელწიფო ორგანოებზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით კი დამნაშავეები არც ამ უფლებების დარღვევაზე ამბობენ უარს, ზიანს აყენებენ რა მოსახლეობის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს ართმევენ იმ ადამიანებს, რომლებსაც არანაირი კავშირი არა აქვთ მიმდინარე მოვლენებთან.

იმის ცოდნა, თუ რა საშუალებებს და როგორ იყენებენ მათ დამნაშავეები, დაეხმარება რიგით მოქალაქეებს არამარტო ორიენტირება მოახდინონ რთულ სიტუაციაში, არამედ აირჩიონ მოქმედების ყველაზე რაციონალური გზაც.

ტერორიზმის ობიექტური მხარე გამოიხატება ორი ფორმით:

1) უშუალოდ ტერაქტის განხორციელებით;
2) ასეთი აქტის განხორციელების შესახებ მუქარით.

აქედან გამომდინარე, ტერორისტული დანაშაულის ჩადენის ხერხებიც შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: ტერორისტული აქტის ჩადენის ხერხებად და ტერაქტის განხორციელების შესახებ მუქარის გამოხატვის ფორმებად.[5-მ.323]

ხერხების ნაწილს კანონმდებელი უკვე მიგვითითებს ტერაქტის დისპოზიციაში (აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, იარაღის გამოყენება...), მაგრამ აქ მოყვანილი ქმედებები არ არის ამომწურავი, რადგანაც წინადადება გრძელდება სიტყვებით: "... ან სხვა ქმედება, რაც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას..." სხვა ქმედებაში შეიძლება ვიგულისხმოთ: მეწყერის გამოწვევა,

წყლის მიშვება, ავარიის მოწყობა ტრანსპორტზე, კატასტროფის ან მარცხის გამოწვევა, წყლისა და პროდუქტების მოწამვლა, ეპიდემიის გამომწვევი მიკრობების გავრცელება, ისეთ ობიექტებზე თავდასხმა, რომლებიც მოითხოვენ განსაკუთრებული უსაფრთხოების ზომების დაცვას. მაგალითად, ბირთვული ელექტროსადგურები, ქიმიური ქარხნები და ა.შ. ასევე ავარიული სიტუაციის გამოწვევას ისეთ ობიექტებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის წყლით, გათბობით ელექტრო ენერგიით მომარაგებას და ა.შ.

კანონში მოყვანილ ქმედებებსა და დამდგარ საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირებიდან გამომდინარე, პირველ ჯგუფში შემავალი ხერხები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

1. ზემოქმედების ისეთ ხერხებად, რომლებიც თავისთავად უკვე ქმნიან ადამიანთა სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის და სხვა მძიმე შედეგის დადგომის საფრთხეს (მაგ. აფეთქება, ცეცხლის წაკიდება);

2. ზემოქმედების ხერხებად, რომლებიც ქმნიან პირობებს მძიმე შედეგის გამოსაწვევად (მაგალითად, სასიცოცხლო ობიექტებზე ავარიის მოწყობა, მეწყერის გამოწვევა და ა.შ.).[6-10]

თავის მხრივ, ყველა ჩამოთვლილი ქმედება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა საშუალებით. მაგალითად, აფეთქება შეიძლება გამოწვეულ იქნას ასაფეთქებელი მოწყობილობის მოქმედებაში მოყვანით, სპეციალური ნივთიერების აფეთქებით, ადვილად აალებად შენაერთებზე ცეცხლის ნაკადებით. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტმა აშშ-ში აფეთქებისა და ხანძრის გამოწვევის სრულიად ახალი ხერხი დაგვანახა.

ამავე დროს, ცეცხლის წაკიდება ანუ აალება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ხანძარი, შეიძლება განხორციელდეს პიროტექნიკური საშუალებებით, ელექტროსადენების შეერთებით, ჩვეულებრივი ასანთით და ა.შ.

რაც შეეხება ავარიას, კრიმინალისტიკური თვალსაზრისით ეს არანაკლებ რთული მოვლენაა. სიტუაციიდან გამომდინარე, ავარია შეიძლება იყოს ტერაქტის შედეგი ან მისი განხორციელების ერთ-ერთი ხერხი. მაგალითად, თუ ავარია მოხდა აფეთქების ან ცეცხლის წაკიდების შედეგად, მაშინ სწორედ ეს ქმედებები ჩაითვლება დანაშაულის ჩადენის ხერხად, რადგანაც ისინი პირდაპირ არიან ჩამოთვლილი კანონში, ხოლო თუ ავარია გამოწვეულ იქნა

ელექტრომომარაგების გათიშვით, რამაც გამოიწვია კანონში მითითებული საფრთხე, მაშინ ეს ქმედება ჩაითვლება ტერაქტის განხორციელების ხერხად. ტერაქტის ჩადენის ხერხის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად უნდა ჩაითვალოს კანონში მითითებული შემადგენლობის დადგომის საფრთხის რეალურობა. ყველა კონკრენტულ შემთხვევაში საფრთხის რეალურობა დამოკიდებულია დანაშაულის ჩადენის ადგილზე, დროზე, ობიექტური მხარის განხორციელების ფორმაზე.

ვინაიდან ტერორიზმი დამთავრებულად ითვლება, როდესაც აფეთქებამ, ცეცხლის წაკიდებამ ან სხვა ქმედებამ კანონით დაცული ინტერესებისათვის რეალური საფრთხე შექმნა, ამიტომ თვით შედეგი სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით არ შეიძლება ჩაითვალოს ტერაქტის ჩადენის ხერხის შემადგენელ ნაწილად.

კანონმდებელი ასევე იძლევა ორი სახის "სხვა" შედეგს:

- სხვა მძიმე შედეგების განხორციელების საშიშროება;
- სხვა მძიმე შედეგი;

პირველი "სხვა" შედეგები გადმოცემულია 323-ე მუხლის 1 ნაწილში, ხოლო რაც შეეხება მეორე "სხვა" შედეგებს, რომლებიც იმავე მუხლის III ნაწილშია ასახული, მათ კანონმდებელი დამამძიმებელ გარემოებებს აკუთვნებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს შედეგები არ არის ტერაქტის ჩადენის ხერხის შემადგენელი ნაწილები, ისინი მაინც მჭიდროდ არიან მასთან დაკავშირებული.

ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ის შედეგები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდებიან კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. შედეგების მეორე ჯგუფი ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხეს არ უქმნის, მაგრამ დაკავშირებულია მის ყოფასთან: მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის მიყენება, დასახლებულ პუნქტში დესტაბილიზაცია, პანიკა, ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის და მართვის დეზორგანიზაცია და ა.შ.

ტერორიზმის ჩადენის ხერხების დახასიათებისათვის მნიშვნელოვანია არამარტო ტერიტორიული ქმედებების შემადგენლობის განსაზღვრა, არამედ მათი ხასიათიც. ასეთი ქმედებები უნდა ატარებდნენ საზოგადოებრივ ხასიათს, აუცილებელი პირობაა, რომ მათი განხორციელების შესახებ გაიგოს პირთა

ფართო წრემ. დანაშაულის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ის შეიძლება ცნობილი გახდეს როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებისა და საზოგადოებრივი ან პოლიტიკური მოღვაწეებისთვის, ასევე მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვისაც. თუ აფეთქებას, ცეცხლის წაკიდებას ან სხვა ქმედებას, რაც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის დადგომის საშიშროებას, არ ექნება მასობრივი ხასიათი, მაშინ არ იქნება მიღწეული დანაშაულის მიზანი. დამნაშავისთვის მთავარია, რომ ყველასათვის თვალნათელი იყოს, რომ ეს იყო ტერაქტი და არა უბედური შემთხვევა ან სხვა რაიმე დანაშაული.[9-თ.23]

ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ ტერორისტულ ქმედებაზე საუბრისას უნდა ვიგულისხმოთ ასეთი ქმედების ორი სახეობა:

- ერთჯერადი ტერაქტები (საცხოვრებელი სახლის აფეთქება ღამით) ან რამდენიმე ერთჯერადი ქმედება ერთიანი ჩანაფიქრის ფარგლებში (აფეთქებები რამოდენიმე ადგილას ერთდროულად ან სხვადასხვა დროს);
- ქმედებების სერია, რომელიც საბოლოო ჯამში ტერორისტული მიზნის მიღწევის საშუალებას იძლევა (ატომურ ელექტროსადგურზე ავარიის მოწყობა, რისთვისაც ხორციელდება რამოდენიმე თანმიმდევრული ქმედება, რასაც საბოლოო ჯამში მოჰყვება ავარია);

პირველი ვარიანტის გამოძიების ორგანიზაცია შედარებით ადვილია, რადგანაც დანაშაულის ჩადენის ხერხად გვევლინება ერთჯერადი აქტი.

ხოლო სერიული ქმედებების დროს ჩადენის ხერხის სტრუქტურა მნიშვნელოვნად რთულდება, რადგანაც ისინი დაკავშირებულია მიზეზ-შედეგობრივ ქმედებათა მთელ ჯაჭვთან, რომელთა ცალ-ცალკე გამოძიებასაც აქვს თავისი კრიმინალისტიკური მნიშვნელობა და რომლებიც ტერორიზმის, როგორც სისტემის გამოძიების მნიშვნელოვან ნაწილს უნდა წარმოადგენდნენ. ასეთ სიტუაციაში მთლიანად ტერორიზმის ჩადენის ხერხი მოიცავს ყველა ცალკეული აქტის ჩადენის ხერხებს, რაც, თავის მხრივ, ქმნის გარკვეულ ჯაჭვს. ასეთი ქმედებები შეიძლება იყოს: აფეთქება, ცეცხლის წაკიდება და ა.შ. ხერხების მრავალფეროვნებამ არ უნდა შეაფერხოს ერთიანი ჩანაფიქრის შეფასება.

რაც შეეხება ტერორისტული აქტის განხორციელების შესახებ მუქარას, ის შეიძლება უშუალოდ ან შაუმავლის მეშვეობით მოხდეს. ამასთანავე (I) მუქარა

შეიძლება გადაეცეს უშუალოდ იმ პიროვნებას ან ორგანოს, რომლის მიმართაც უნდა განხორციელდეს აქტი; (II) მუქარის გადაცემა შეიძლება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით (ტელეფონი, რადიო, ტელევიზია და ა.შ.) წერილობითი ფორმით (წერილი, ბარათი) ან მესამე პირის ხელით (უცხო პირის მეშვეობით).

უნდა აღინიშნოს, რომ მესამე პირად უნდა ჩაითვალოს ის ადამიანი, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს იმ პირთან ან ორგანიზაციასთან, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია მუქარა. თუ ეს მუქარა გადაეცა პირს, რომელიც იქ მუშაობს, მაშინ მუქარის გადაცემის ხერხად ჩაითვლება I ფორმა.

მუქარის გამოხატვის სხვაგვარი კლასიფიკაციის საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის სუბიექტის ვინაობის გახსნილობა: 1. მუქარა, რომელშიც დამნაშავე ასახელებს ვინაობას; 2. მუქარა, რომელიც ანონიმურია.

მუქარის სუბიექტის ვინაობის გახსნილობას არანაირი სისხლისამართლებრივი მნიშვნელობა არ აქვს. ხოლო კრიმინალისტიკური თვალსაზრისით, მუქარის ხასიათიდან გამომდინარე, მას გარკვეული დატვირთვა ენიჭება, მით უმეტეს, რომ მუქარის ანონიმურობა შეიძლება გამოყენებულ იქნას არამარტო დანაშაულის ჩადენის ხერხის აღსაწერად, არამედ დამნაშავის მიერ კვალის დაფარვის ხერხის შემადგენელ ნაწილადაც.

მუქარის რეალურობა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე კანონში ჩამოთვლილი შედეგების დადგომის რეალურობა. მაგრამ მუქარისა და საფრთხის რეალურობა სხვადასხვაგვარად განისაზღვრება. მუქარის რეალურობის გადაწყვეტისას ყურადღება ექცევა იმ ფაქტს, გამოიწვია თუ არა მან შიში იმ ადამიანებში, რომელთა მიმართაც იგი გამოითქვა.

მაშ ასე, აქ გავაანალიზეთ ტერორიზმის ჩადენის ხერხების ელემენტები ვიწრო გაგებით, მაგრამ კრიმინალისტიკური თვალსაზრისით ეს საკმარისი არ არის დანაშაულის ნამდვილი სურათის წარმოსადგენად. მიუხედავად იმისა, თუ რა ხერხით განხორციელდა ტერაქტი, ის უნდა განხილულ იქნას, როგორც მრავალეტაპიანი ოპერაცია. ამ ოპერაციის განხორციელების ხერხები მოიცავს ურთიერთდაკავშირებულ მოქმედებათა სისტემას, რომელიც მიმართულია ერთიანი მიზნის მიღწევისკენ. მხოლოდ ასეთი მიდგომა მოგვცემს საშუალებას რაციონალურად ვებრძოლოთ მოცემული კატეგორიის დანაშაულს.

- ზოგადად, ტერიტორიზმის განხორციელების ხერხი გულისხმობს დანაშაულებრივი ჩანაფიქრის რეალიზაციის შემდეგ ეტაპებს:
- კონკრეტული დანაშაულის ჩადენის ან დანაშაულებრივი ფორმირების შექმნის შესახებ იდეის გაჩენას;
- ისეთი ორგანიზაციული ფორმების შექმნას, სადაც როლები გადანაწილებულია ან არა;
- იმ პირების მოძებნას და ჩართვას დანაშაულებრივ საქმიანობაში, რომელთა გონებრივი შესაძლებლობები საჭიროა ტერაქტის მომზადებისა და განხორციელებისთვის;
- დანაშაულის ჩადენისთვის საჭირო საგნების, იარაღების, დოკუმენტების და ა.შ. შეძენას;
- დანაშაულის მომზადებისა და განხორციელების დეტალურ დაგეგმვას (ადგილის, დროის და ა.შ.);
- გარკვეულ პირობებში გარკვეული დროით დანაშაულის, ცალკეული კვალის, ასევე შემსრულებლების დაფარვის დაგეგმვას.

ტერორისტული ფორმირების (ჯგუფის) საქმიანობა ყოველთვის არ არის ორგანიზებული ამ სქემის შესაბამისად. მომზადების სტადიას შეიძლება აკლდეს რომელიმე აქ ჩამოთვლილი ელემენტი, რაც საკმაოდ ხშირია იმ შემთხვევებში, როცა მომზადება ხდება უმოკლეს დროში და დამნაშავეებს არა აქვთ საშუალება გულდასმით მოემზადონ მიზნის განხორციელებისთვის.

ამავე დროს, მომზადების პროცესის დანაწევრება აუცილებელია, რადგანაც მის ყველა ეტაპზე დამნაშავეები ტოვებენ კვალს, რომლის აღმოჩენაც ხელს შეუწყობს როგორც მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებას, ასევე პროფილაქტიკური ღონისძიებების დაგეგმვას.

სამწუხაროდ, მომზადების ეტაპებს არასაკმარისი ყურადღება ექცევა დანაშაულის გახსნის შემდეგაც კი. არადა ამას დიდი კრიმინალისტიკური მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, თუ გამოყენებულია ასაფეთქებელი მოწყობილობა, აუცილებლად უნდა დადგინდეს მისი შეძენის ან დამზადების პირობები. თუ დამნაშავემ თვითონ დაამზადა იგი, საიდანღაც ხომ უნდა ეშოვა მოწყობილობის ნაწილები. აღნიშნული გარემოების დადგენა საშუალებას მოგვცემს გამოვამზეუროთ ყველა ის პირი, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებულები არიან ტერორისტულ ქმედებასთან. გარდა ამისა, ასაფეთქებელი მოწყობილობის ან მისი ნაწილების შეძენის მოცემული "არხები"

შეიძლება გამოიყენონ სხვა დამნაშავეებმა სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩასადენად.

ტერორისტული დანაშაულის ჩადენის ხერხის არჩევა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგრამ პირველ რიგში ისეთ ელემენტებზე, როგორიცაა:

- დანაშაულებრივი ქმედებების მიზნები და მოტივები;
- სპეციალური ცოდნა, უნარი-ჩვევები, ფსიქიკური თავისებურებები, ასევე დამნაშავის პიროვნებისთვის დამახასიათებელი სხვა თვისებები;
- დანაშაულის ადგილის თავისებურებები, აგრეთვე ვითარება, სადაც უნდა განხორციელდეს აქტი.

დანაშაულის ჩადენის ხერხიდან გამომდინარეობს იარაღის შერჩევა, ადგილის და დროის განსაზღვრა და ა.შ.

ბოლო ეტაპია დამნაშავეების დაფარვა. ტერორიზმი არ ითვალისწინებს შედეგების დაფარვას, რაც დამახასიათებელია უმეტესი დანაშაულისთვის. როგორც ითქვა, ტერორიზმის არსი მის დემონსტრაციულობაშია. დამნაშავეების დაფარვას კი, როგორც წესი, დიდი ყურადღება ეთმობა.

ტერორიზმის სპეციფიკურობის განმსაზღვრელი ელემენტია დაზარალებულებისა და თვითმხილველების უსუსური მდგომარეობა, რომელიც წარმოიშობა ტერაქტის შედეგად. ტერაქტის სუბიექტები ჩვეულებრივ იყენებენ ზემოქმედების ისეთ ხერხებს, მეთოდებს და საშუალებებს, რომლებიც თავიანთი არაადამიანური სისასტიკით შოკში აგდებს დაზარალებულ მხარეს. ასეთი აგრესიის გარეგანი გამოხატულება თავისი პრიმიტიულობით მიმართულია იმისკენ, რომ შიში და პანიკა გამოიწვიოს და ეს მდგომარეობა მიზნის საბოლოოდ მიღწევამდე შეინარჩუნოს.

სანამ გადავიდოდეთ მიზნების კრიმინალისტიკური ასპექტის განხილვაზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მიზნები კანონში პირდაპირ არის დაფიქსირებული: ა) საზოგადოებრივი უსაფრთხოების დარღვევა; ბ) მოსახლეობის დაშინება; გ) ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენა. როგორც ცნობილია, ტერორიზმი თავისი მიზნით განსხვავდება დივერსიის, ტერაქტის, საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირებზე თავდასხმისა და სხვა მრავალი დანაშაულისაგან, რომლებიც მიმართულია კონკრეტული პირების წინააღმდეგ.[9]

სხვა მიზნების არსებობა შესაძლებელია, მაგრამ ისინი მხოლოდ დამატებით როლს ასრულებენ. რაც შეეხება, ძირითად (კანონში მითითებულ) მიზეზებს, მათი არსებობა აუცილებელია, რადგან სწორედ ამ მიზეზებს უკავშირებს კანონმდებელი პასუხისმგებლობის დადგომის საკითხს.

როგორც აღვნიშნეთ, ტერორისტებს შეუძლიათ როგორც ერთჯერადი, ასევე სერიული ქმედებების განხორციელება. ამიტომ დამატებითი მიზნები თითოეული ცალკეული ქმედებისთვის შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. ასეთ შემთხვევაში ისინი უნდა განიხილებოდნენ, როგორც შუალედური მიზნები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ დანაშაულებრივი ჩანაფიქრის წარმატებით განხორციელებას.

ამასთანავე, მიზნები შეიძლება იყოს როგორც გლობალური ხასიათის, ასევე ლოკალური. ტერორიზმი შეიძლება ორიენტირებული გახლდეთ პოლიტიკური კურსის შეცვლაზე, ქვეყნის ან ცალკეული რეგიონის ხელმძღვანელობის ჩამოგდებაზე, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაზე, გარკვეული რელიგიური ან ეთნიკური სტანდარტების თავს მოხვევაზე, საზოგადოებისა და მოსახლეობის გარკვეული ნაწილის დაშინებაზე და ა.შ. კანონმდებელი არ აკონკრეტებს სიტყვა "მოსახლეობის" გაგებას. ამიტომ, როცა განიხილება ტერორისტების დანაშაულებრივი მიზნები, შეიძლება საუბარი იყოს ცალკეული რეგიონის მოსახლეობაზეც. ამასთანავე ცხადია, რომ რაოდენობრივი მხარე არ შეიძლება გადამწყვეტი იყოს. პირთა თუნდაც მცირე ჯგუფზე ზემოქმედება გარკვეულ პირობებში შეიძლება მთლიანად მოსახლეობაზე ზემოქმედებად ჩაითვალოს.

დისპოზიციაში ჩამოთვლილი ნებისმიერი მიზნის მიღწევა შეიძლება საკმარის პირობად მივიჩნიოთ ქმედების ტერორისტული ხასიათის ასაღიარებლად. აღარაფერს ვამბობთ სიტუაციაზე, როდესაც ტერორისტები აღწევენ ორ და სამივე ჩამოთვლილ მიზანს.[14-80-90]

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ტერორისტული ქმედებები შეიძლება იყოს ჩადენილი ერთი ბოროტმოქმედის მიერაც, თუმცა მეტ საშიშროებას მათი ჯგუფური მოქმედება წარმოადგენს. ამ დროს შეიძლება განხორციელდეს რამოდენიმე აქტი ერთდროულად ან დროის გარკვეულ შუალედებით ერთი ან რამდენიმე რეგიონის სხვადასხვა წერტილში. შესაბამისად იზრდება მსხვერპლისა და ზარალის რაოდენობაც.

დამნაშავეები შეიძლება იყვნენ საქართველოს მოქალაქეები, უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები. ტერორისტული ჯგუფი შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისგან, თუმცა, მასში ასევე შეიძლება გაერთიანდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან/და მოქალაქეობის არმქონე პირები. არ არის გამორიცხული, რომ ჯგუფის ფორმირება მოხდეს მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისგან ან/და მოქალაქეობის არმქონე პირებისგან. ყოველი ჯგუფი შეიძლება მიეკუთვნებოდეს სამი სახეობიდან ერთ-ერთს:

- ჩვეულებრივ პირთა ჯგუფს;
- ორგანიზებულ ჯგუფს;
- დანაშაულებრივ ორგანიზაციას.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ორგანიზებული ჯგუფი და დანაშაულებრივი ორგანიზაცია შეიძლება იყოს საერთო კრიმინალური ან უშუალოდ ტერორისტული ხასიათის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირველ შემთხვევაში ჯგუფს შეუძლია ჩაიდინოს, როგორც ტერორისტული, ასევე სხვადასხვა ხასიათის დანაშაული. თუ ჯგუფი თავიდანვე ტერორისტული ქმედების განსახორციელებლად იქმნება, ან თუ ასეთ მიზანს თავისი არსებობის უფრო გვიანდელი ეტაპისთვის ისახავს, როგორც ძირითადს, ასევე თუ საქმე ეხება ორგანიზაციას, რომელიც ძირითად მიზნად ტერორისტული ქმედების განხორციელებას ისახავს, მაშინ მას ტერორისტული ჰქვია. ასეთი დაყოფა პირობითია. არ შეიძლება გამოირიცხოს შესაძლებლობა, რომ დანაშაულებრივი ჯგუფი ან ორგანიზაცია, რომელიც ზოგად-კრიმინალური ხასიათისაა, არ გადაიზრდება ტერორისტულში და პირიქით. არ შეიძლება იმის გამორიცხვაც, რომ ტერორისტული ჯგუფი ტერაქტების გარდა ჩაიდენს სხვა დანაშაულებსაც. ძალიან ხშირად ტერაქტის ჩასადენად ტერორისტები ქირაობენ პირებს, რომლებიც უკვე შედიან სხვა დანაშაულებრივი ჯგუფებისა და ორგანიზაციების შემადგენლობაში. ასეთი შეთანხმებები შეიძლება მიღწეულ იქნას როგორც ხელმძღვანელებთან, ასევე რიგით შემსრულებლებთან, რომლებიც ჯგუფურად ჩადიან ზოგადი კრიმინალური მიმართულების დანაშაულებს.[8-65]

ლიტერატურაში ტერორისტული ორგანიზაციების სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია არსებობს. მიზნების ხასიათიდან გამომდინარე, ისინი შეიძლება იყოს: პოლიტიკური, ნაციონალურ-სეპარატისტული, ნაციონალური, რელიგიური,

კრიმინალური; ჩატარებულ ოპერაციათა რაოდენობის მიხედვით – მრავალჯერადი და ერთჯერადი ოპერაციების განმახორციელებელი ჯგუფები; ტერიტორიული გავრცელების დონის მიხედვით, ადგილობრივი და საერთაშორისო ტერორისტული ფორმირებები და ა.შ.

თვით იმის ცოდნა, თუ რამდენი სახის ტერორისტული ორგანიზაცია არსებობს, საჭიროა წარმატებული პროფილაქტიკური ღონისძიებების საწარმოებლად. იმ შემთხვევაში, თუ რეგიონში გამოვლინდება შექმნის პროცესში მყოფი ან უკვე შექმნილი რელიგიური, ნაციონალური და მითუმეტეს პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელთაც ფორმულირებული ტერორისტული მიზნები გააჩნიათ, უნდა მოხდეს არსებული ინფორმაციის ოპერატიული გადამოწმება. ასეთი ინფორმაციის მიღება შეიძლება თვით ორგანიზაციის საპროგრამო დოკუმენტებიდან, ხელმძღვანელთა გამოსვლებიდან, (გამოქვეყნებული მასალიდან (გაზეთები, ბროშურები და ა.შ.).

რაც შეეხება ტერორისტული ფორმირების კლასიფიკაციას ქმედებების ხასიათის მიხედვით, ზემოთ ჩამოთვლილს მიზანშეწონილია, დაემატოს სერიული ტერაქტების განმახორციელებელი ორგანიზაციები. ისინი არ აწარმოებენ ხანგრძლივ და რელიგიურ ომს, მაგრამ არც ერთჯერადი ტერორისტული აქციებით იფარგლებიან.

დიდი კრიმინალისტიკური მნიშვნელობა აქვს ტერორისტული ორგანიზაციების კლასიფიკაციას.

პირველ რიგში ისინი უნდა დავყოთ:

1. რეგიონულ ორგანიზაციებად, რომლებიც ერთი რეგიონის შიგნით მოქმედებენ;
2. რეგიონთაშორის ორგანიზაციებად, რომლებიც მოქმედებენ რამოდენიმე რეგიონის ან მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე;
3. საერთაშორისო ორგანიზაციებად, რომლებიც მოქმედებენ ერთი ან რამდენიმე ქვეყნის ტერიტორიაზე;

მოყვანილ კლასიფიკაციას გააჩნია არამარტო თეორიული, არამედ ღრმა პრაქტიკული მნიშვნელობაც, ვინაიდან დანაშაულებრივი ფორმირების ტიპის განსაზღვრისას სამართლადამცავი ორგანოები ამოწმებენ, გამოაშკარავებულია თუ არა ყველა ასეთი ფორმირება, აქვთ თუ არა მათ კავშირი ანოლოგიურ დანაშაულებრივ ჯგუფებთან და ა.შ. ეს ინფორმაცია იძლევა აგრეთვე

საშუალებას გამოძიების საწყის ეტაპზევე განისაზღვროს, თუ რომელი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები (რეგიონული, სრულიად ქვეყნის) უნდა ჩაერთონ ოპერატიულ-სამძებრო ჯგუფის საქმიანობაში. გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ რეგიონული და ლოკალური ჯგუფებისათვის სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დროული და აქტიური წინააღმდეგობის გაუწევლობის შემთხვევაში, ლოკალური დაჯგუფებები შეიძლება, გაერთიანდნენ რეგიონთაშორის ორგანიზაციებად.

ნათელია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფებისა და ფორმირებების სახეობები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან რაოდენობით, სტრუქტურითა და სხვა პარამეტრებით.

როგორც ცნობილია, ნებისმიერი დანაშაულებრივი ჯგუფის (მათ შორის ტერორისტულისაც) ყველაზე მარტივი სტრუქტურა შეიძლება წარმოვიდგინოთ ორდონიანი პირამიდის სახით, სადაც მაღლა დგას ჯგუფის ლიდერი, ხოლო ქვემოთ – მისი რიგითი წევრები. ასეთი სტრუქტურის არსებობისას რიგითი წევრები იცნობენ ხელმძღვანელს, ხოლო ის, თავის მხრივ, ხშირად მონაწილეობს ტერორისტული ქმედების არამარტო მომზადებაში, არამედ მის განხორციელებაშიც.

უფრო რთული სტრუქტურის მქონე ფორმირებებსაც პირამიდის სახე აქვს, მაგრამ მეტი დონე გააჩნია. ფორმირებას ხელმძღვანელობს ლიდერი. ფორმირების მობილურობის უზრუნველყოფის, მისი საქმიანობის ეფექტურად განსახორციელების მიზნით შეიძლება შეიქმნას ხელმძღვანელი ჯგუფი ("შტაბი"), რომელიც ეხმარება ლიდერს ჯგუფების მართვაში, ტერორისტული ქმედებების დაგეგმვასა და ორგანიზებაში.

ერთის მხრივ, ლიდერსა და "შტაბს" შორის და მეორე მხრივ, მასა და როგით შემსრულებლებს შორის იმყოფებიან დანაშაულებრივი ჯგუფის ის წევრები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ამ ფორმირებების შემადგენლობაში არსებულ მცირე ჯგუფებს. ასეთი ჯგუფები შეიძლება საკმაოდ ბევრი იყოს: “ბოევიკები” (ახორციელებენ უშუალოდ ტერორისტულ ქმედებებს), მზვერავები (მოიპოვებენ ტერორისტთა მომზადებისათვის საჭირო ინფორმაციას), ე.წ. “დაფარვის ჯგუფი” (უზრუნველყოფს ტერორისტული ოპერაციის განხორცილების ადგილიდან “ბოევიკების გაყვანას”) და ა.შ.

როდესაც პრაქტიკა გვიჩვენებს, კარგად ორგანიზებულ ტერორისტულ ფორმირებაში შეიძლება არსებობდნენ სხვა ქვეჯგუფებიც. მაგალითად, უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ქვეჯგუფი, რომელშიც შედიან ორი კატეგორიის ადამიანები; პირველები უზრუნველყოფენ მთლიანად ჯგუფის ან მისი ცალკეული წევრის საქმიანობის კონსპირაციულობას, მეორე კატეგორიის პირები კი მათ სხვადასხვა სახის რეგულარულ დახმარებას უწევენ (ესენი შეიძლება იყვნენ ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების კორუმპირებული და არაკორუმპირებული წარმომადგენლები).

ტერორისტული ჯგუფის სტრუქტურის ცოდნა საშუალებას აძლევს გამომძიებელს (საგამოძიებო ჯგუფს) სწორად წარმართოს გამოძიება, განსაზღვროს იმ სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ხასიათი, რომელთა შესახებ ინფორმაცია არ არსებობს ან არასაკმარისია.

ასეთი გამოძიება რთულდება იმით, რომ ამ ჯგუფის რიგითმა წევრებმა არ იციან არამარტო ერთმანეთის საქმიანობის შესახებ, არამედ დანაშაულებრივი ფორმირების სხვა სტრუქტურული ერთეულების შესახებაც. მათი დაკითხვა წინასწარი მომზადების გარეშე არ მოგვცემს აუცილებელ შედეგს. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა, გაირკვეს ჯგუფის ვერტიკალური კავშირები, რაც საშუალებას მოგვცემს, გამოვააშკარავოთ ქვედა ერთეულები და გამოვავლინოთ ჯგუფის ყველა წევრი.[66-50]

ჯგუფის შემადგენლობაში არიან სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელი და განსხვავებული ხასიათის მქონე ადამიანები, რაც განსაზღვრავს კიდეც მათზე სხვადასხვაგვარი ფუნქციის დაკისრებას. ეს გარემოება გამოწვეულია არამარტო მთლიანად ოპერაციის სირთულითა და მრავალეტაპიანობით, არამედ დანაშაულებრივი ქმედების ხასიათითაც.

პირველ რიგში, აუცილებლად უნდა გამოვაცალკევოთ ერთმანეთისგან ორგანიზატორი და ჯგუფის ლიდერი. ჯგუფის არსებობის გარკვეულ ეტაპზე მისი ორგანიზატორი შეიძლება ასრულებდეს ლიდერის ფუნქციებს. თუ ჯგუფის შექმნის შემდეგ დიდი დრო არ გასულა ან ორგანზატორი მას ქმნიდა იმ მიზნით, რომ უშუალოდ მიეღო მონაწილეობა ჯგუფის დანაშაულებრივ საქმიანობაში, ის თავად ასრულებს ლიდერის ფუნქციებს.

მაგრამ დრო გამოშვებით სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს. ამის მიზეზი შეიძლება იყოს:

- ძალების გადანაწილება ჯგუფებში (ლიდერად მოგვევლინებიან ისინი, ვისაც სხვა “თანამდებობა” ჰქონდა ფორმირების შიგნით ან საერთოდ არ შედიოდა მის შემადგენლობაში);
- ხელმძღვანელის მიერ თავისი ზრახვების შეცვლა (ახალი ცხოვრების დაწყების სურვილი და ა.შ.);
- სხვადასხვა.

შესაბამისად, ჯგუფის ხელმძღვანელის ფუნქციები შეიძლება გადაეცეს სხვა პირს. ამასთანავე, ჯგუფის არსებობის გარკვეულ ეტაპზე მის ორგანიზატორად და ლიდერად შეიძლება მოგვევლინოს სხვადასხვა პიროვნება.

გამოძიების პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ორგანიზატორის ფენომენის გარკვევას. გარდა ჯგუფის ორგანიზატორისა და ლიდერისა, მასში შეიძლება გამოვყოთ კონკრეტული დანაშაულის ორგანიზატორიც. არ არის აუცილებელი, რომ ის ჯგუფის ხელმძღვანელი ან ორგანიზატორი იყოს. მას შეიძლება დაევალოს ცალკეული ტერაქტის მომზადება და განხორციელება. ამავე დროს, დანაშაულის ადგილი, დრო და ობიექტი მანამდე განისაზღვრება დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელის ან შემკვეთის მიერ (ტერორისტული ქმედებების ჩადენა შეკვეთით). მაგრამ, შესაძლებელია, რომ მოცემული აქტის ჩადენის გადაწყვეტილება მიიღოს თვით კონკრეტული დანაშაულის ორგანიზატორმა, იმ პირობით, რა თქმა უნდა, თუ ამის უფლებას მას ჯგუფის ხელმძღვანელი მისცემს.

ნებისმიერ დანაშაულებრივ ჯგუფში, მათ შორის ტერორისტულშიც, ასევე უნდა შედიოდეს შემსრულებელი (ან შემსრულებლები). სერიოზული აქტების შემთხვევაშიც კი არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ ისინი ჩადენილია ერთი და იგივე პირის მიერ. რამოდენიმე შემსრულებელი საჭიროა მაშინ, როცა იგეგმება ტერორისტული აქტების ერთდროულად ან დროის უმნიშვნელო შუალედით განხორციელება ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულ ადგილებში.

ტერორისტული ქმედებების განხორციელებისათვის შემსრულებლის შერჩევა შემთხვევით არ ხდება. ორგანიზატორები დარწმუნებული უნდა იყვნენ პირველ რიგში იმაში, რომ შემსრულებელს ექნება შესაძლებლობა იმყოფებოდეს საჭირო დროს საჭირო ადგილზე; ასევე მნიშვნელოვანია, რომ შემსრულებელს ჰქონდეს საკმარისი ცოდნა და უნარი დანაშაულებრივი ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის; მაგალითად, თუ იგეგმება ტერაქტის განხორციელება რომელიმე

დაწესებულებაში, შემსრულებელი, როგორ წესი, შეირჩევა ამავე დაწესებულებიდან.

დანაშაულებრივ ჯგუფში (ან ორგანიზაციაში) შეიძლება შედიოდნენ ასევე პირები, რომელთა ფუნქციას წარმოადგენს იარაღით, ასაფეთქებელი მოწყობილობებითა და სხვა საჭირო საგნებით ჯგუფის უზრუნველყოფა. მაგრამ ასეთი პირების ყოლა არ არის აუცილებელია, რადგანაც ზოგჯერ თვითონ შემსრულებელი იძენს დანაშაულის ჩადენის საშუალებას.

თუ საქმე ეხება დანაშაულებრივ ორგანიზაციას, მასში შეიძლება შედიოდნენ ასევე დაზვერვის (კონტრდაზვერვის) ჯგუფები. დანაშაულებრივ ჯგუფში ასეთი ფუნქცია შეიძლება იკისრონ რიგითმა წევრებმა, რადგან მათი ამოცანები, როგორც წესი, ლოკალური ხასიათისაა, მაშინ როცა, დანაშაულებრივმა ორგანიზაციებმა შეიძლება ისეთი მიზნები და ამოცანები დასახონ, რომლებიც საერთო სახელმწიფოებრივ ან სახელმწიფოთაშორის სფეროებს მოიცავენ, რაც ორგანიზაციის წევრებს შორის ფუნქციების განაწილებისას დიფერენცირებულ მიდგომას საჭიროებს.

რაც შეეხება დანაშაულის ჩადენის საშუალებებს, ისინი, პირველ რიგში, უნდა დაიყოს ორ ჯგუფად:

- იარაღი, ასაფეთქებელი ნივთიერებები და ასაფეთქებელი მოწყობილობები;
- სხვა საგნები;

პირველ ჯგუფში შედის იარაღის ისეთი სახეობები, როგორიცაა: ცეცხლსასროლი, ცივი და ა.შ., ასევე ასაფეთქებელი მოწყობილობები;

მეორე ჯგუფში შემავალი საგნები დანიშნულებისა და ინდივიდუალური მახასიათებლების მიხედვით შეიძლება დაიყოს 3 ჯგუფად:

- საყოფაცხოვრებო ნივთები (მათ შორის თოკი, პროდუქტების ყუთები, დანები, ნაჯახები და ა.შ.);
- საწარმოო მოწყობილობები (დანადგარები, აგრეგატები, მექანიზმები და სხვა).
- სატრანსპორტო საშუალებები (მსუბუქი, სატვირთო, წყლის და საჰაერო ტრანსპორტი); რასაკვირველია, საზოგადოებრივად უფრო საშიშია ცეცხლსასროლი, ასაფეთქებელი ნივთიერებისა და მოწყობილობის

გამოყენება, რამაც დიდი მსხვერპლი შეიძლება, გამოიწვიოს. ყველაზე ხშირად ტერორისტები იყენებენ საბრძოლო იარაღს.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ იარაღი ტერორისტებს შეიძლება ხელში სხვადასხვა გზით ჩაუვარდეთ.[72-78]

პირველ რიგში, იარაღი ქვეყანაში შეიძლება შემოიტანონ კონტრაბანდული გზით როგორც ახლო, ისე შორეული საზღვარგარეთიდან. ამასთანავე, გამყიდველმა ხშირად არ იცის, რომ ეს იარაღი გამოყენებული იქნება ტერორისტული მიზნებისათვის. ხანდახან ისინი ფიქრობენ, რომ ამარაგებენ ნაციონალურ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში ჩართულ შეიარაღებულ ფორმირებებს. თუმცა, ასეთ შემთხვევები იშვიათობაა. როგორც წესი, მან, ვინც იარაღს ყიდის, კარგად იცის არამარტო ის, რომ დანაშაულს ჩადის, არამედ ისიც, რომ მყიდველი იარაღს კრიმინალური საქმიანობისთვის გამოიყენებს. სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ გამყიდველისთვის არა აქვს არსებითი მნიშვნელობა იმას, თუ რატომ იძენენ მისგან იარაღს.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა ტერორისტული ფორმირების კონკრეტული შეკვეთით საზღვარგარეთიდან იარაღის პარტია შემოდის.

იარაღის მოპოვების მეორე წყარო საბრძოლო მასალებისა და მოწყობილობების საწყობებია (როგორ საომარ ზონაში, ასევე მის გარეთ).

გარდა ამისა, დამნაშავეები იარაღს იძენენ იმ პირებისგან, რომლებიც მას საომარ რაიონებში (მათ შორის, ანტიტერორისტული ოპერაციის განხორციელების რაიონში) პოულობენ.

ხშირად დანაშაულის ჩადენის საშუალებად გამოიყენება ასაფეთქებელი მოწყობილობები, რომლებიც შედგება აფეთქების გამომწვევი ურთიერთდაკავშირებული ელემენტებისგან. მათ შეიძლება გააჩნდეთ მრავალი დამატებით ელემენტი: შემნელებელი, კორპუსი, კომუფლაჟი. ძირითადი კრიმინალისტიკური მნიშვნელობა აქვს ასაფეთქებელი მოწყობილობების კლასიფიკაციას დამზადების ხერხის მიხედვით: სამრეწველო წარმოების ასაფეთქებელი მოწყობილობები, თვითნაკეთი (გადაკეთებული ან აწყობილი სამრეწველო წარმოების ნაწილებისაგან) და კომბინირებული.

ასაფეთქებელი მოწყობილობის ასამოქმედებლად საჭიროა გარკვეული მაინიცირებული საშუალებები. მათი კლასიფიცირება შეიძლება

1. მოქმედების ხერხის მიხედვით: საცეცხლე საშუალება (ცეცხლწამკიდი ან დეტონირებული თოკი, კაპსულა-დეტონატორი, წითელი ძაფით ან პლასტირით მარკირებული), მექანიკური, ქიმიური, რადიოტექნიკური (რადიომართვადი), კომბინირებული;
2. ამოქმედების დროის მიხედვით: მყისიერად მოქმედი, შენელებული მოქმედების (შენელება შეიძლება გამოიწვიონ სხვადასხვა საშუალებით: მექანიკური; რადიო-ელექტრონული, ქიმიური და ა.შ.).

ასაფეთქებელი მოწყობილობების შენიღბვის მრავალი ხერხი არსებობს:

- საყოფაცხოვრებო ნივთებში მათი კომუფლირება ისე, რომ მოცემული ნივთის მოთავსებამ კონკრეტულ ადგილზე კონკრეტულ დროს ეჭვი არ გამოიწვიოს.
- მოწყობილობის დაყენება ისეთ ადგილას, სადაც მისი მოძებნა ძნელია;
- ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადება არამაგნიტური მასალისგან სპეციალური ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენებით, რაც არ იძლევა მათი აღმოჩენის საშუალებას ტრადიციული საძებნი საშუალებებით;
- შენიღბვის კომბინირებულ საშუალებები.

სამწუხაროდ, მოქალაქეები ხშირად სწორად არ აფასებენ იმ საშიშროებას, რასაც ასაფეთქებელი მოწყობილობა წარმოადგენს. უფრო მეტიც, ისინი არა მხოლოდ ცდილობენ თვითონ გაერკვნენ საგნის რაობაში, რომელიც ასაფეთქებელ მოწყობილობას წააგავს, არამედ გარშემო ნაცნობებს ან უცნობ ხალხს იკრებენ, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს დანაშაულებრივი მიზნის მიღწევას და მსხვერპლის რაოდენობის გაზრდას.

გახშირდა შემთხვევები, როცა ტერორისტები ამონტაჟებენ არა ერთ, არამედ რამოდენიმე ასაფეთქებელ მოწყობილობას, რომლებიც მოქმედებაში სხვადასხვა დროს მოდიან. ხანდახან ამოქმედების დრო ისეა განაწილებული, რომ ასაფეთქებელმა მოწყობილობამ იმსხვერპლოს სხვა მოქალაქეები, რომლებიც ცნობისმოყვარეობის გამო აფეთქების პირველ კერას უახლოვდებიან და მეორე ასაფეთქებლის რადიუსში აღმოჩნდებიან.

კრიმინალისტიკური მნიშვნელობა ენიჭება ასაფეთქებელი ნივთიერებების დაყოფას ინიცირებულ, ანუ პირველად ნივთიერებად, რომლებიც ძალიან მგრძნობიარენი არიან გარეგანი ზემოქმედების მიმართ, და მეორად ნივთიერებებადად, რომლებიც ნაკლები მგრძნობიარობით ხასითდებიან.

ტერორისტული აქტის განხორციელებისას ცეცხლის წაკიდების ადგილას დამნაშავეები იყენებენ მასალებს, რომლებიც არ საჭიროებენ სპეციალურ მომზადებას (მაგ.: ადვილად აალებადი შენადნობი, რომელიც ინახება ობიექტზე) ან სხვა სპეციალურად მომზადებული საშუალებებს.

დამნაშავეებმა შეიძლება ცეცხლის თვითწაკიდების პირობები შექმნან. ამ შემთხვევაში დანაშაულის საშუალებებად შესაძლოა მოგვევლინონ ჩვეულებრივი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები.

§ 3.3. ტერორისტული აქტების გამოძიების სტრატეგია

ტერორისტული აქტის გამოძიების დროს დგინდება **რეჟიმი კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების ზონაში.** ეს არის განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც შეიძლება დამყარდეს დროებით, კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების პერიოდში და რომელიც ითვალისწინებს ტერორიზმთან ბრძოლის სუბიექტებისათვის კანონით განსაზღვრული სპეციალური უფლებამოსილების მინიჭებას, რომელიც აუცილებელია მძევალთა განთავისუფლების, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ნორმალური ფუნქციონირებისათვის.[19-27,45]

ძიების პროცესში შესაბამისმა უწყებებმა მხედველობაში უნდა იქონიონ **ტერორიზმის მიზნები.** თითოეული ტერორისტული აქტი ჩაფიქრებულია რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი კონკრეტული მიზნის მისაღწევად:

- შეძლონ იმ საქმის გახმაურება-აღიარება, რომლისთვისაც ისინი იბრძვიან მსოფლიო, ეროვნული და ლიკალური მასშტაბით;
- აიძულონ მთავრობა, შექმნას ტერორისტებისადმი თანაგრძნობის ატმოსფერო;
- თავს დაესხან ხელისუფლებას, მისი უშიშროების ძალებს, რათა მოსახლეობას მოუსპონ მათი იმედი;
- მოახდინონ ექსპროპრიაცია ფულის, იარაღისა და აღჭურვილობის ხელში ჩაგდების მიზნით;

- გაანადგურონ ქვეყნის ტაქტიკური ან სიმბოლური მნიშვნელობის სამიზნეები;
- დაუკარგონ სურვილი უცხო ქვეყნებს, განახორციელონ ინვესტიციები და დახმარებები;
- ზემოქმედება იქონიონ ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე, კანონმდებლობაზე ან არჩევნებზე;
- გაათავისუფლონ ტყვეები;
- ჩაიდინონ ქმედება შურისძიების მიზნით;
- ააგორონ პარტიზანული ომის ტალღა.

ამასთანავე უნდა გააცნობიერონ **ტერორიზმთან ბრძოლის მიზნები:**

- პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს დაცვა ტერორიზმისგან;
- ტერორისტული საქმიანობის პროგნოზირება, მის შესახებ წინმსწრები ინფორმაციის მიღება, ქმედების თავიდან აცილება და აღკვეთა, მოსალოდნელი მსხვერპლისა და მატერიალური ზარალის მინიმუმამდე დაყვანა;
- ტერორისტული საქმიანობის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენა, მათი აღკვეთა, თავიდან აცილება.

<u>ოპერატიული საქმიანობის წარმოებისას გასათვალისწინებელია, რომ:</u>

- ოპერატიულმა თანამშრომელმა არ უნდა განახორციელოს თვითნებური ქმედებები ასაფეთქებელ მოწყობილობებთან ან საეჭვო ნივთებთან, ამას შეიძლება მოჰყვეს აფეთქება, მსხვერპლი და ნგრევა;
- ასაფეთქებელი მოწყობილობა შეიძლება კარგად შეფუთული ან გაფორმებული იყოს, ჰქონდეს წარწერა, ჰყავდეს ადრესატი, იყოს მსუბუქი, იდოს ჩანთაში, პაკეტში, სათამაშო ყუთში და სხვა.
- ასეთი საეჭვო ნივთების აღმოჩენისას სასწრაფოდ უნდა მოხდეს შენობიდან ხალხის ევაკუაცია და მისადგომების გათავისუფლება სპეციალური ჯგუფის მისვლისათვის, უნდა გაიცეს განკარგულება იმ პერიმეტრის დასაცავად, სადაც ასეთი ნივთია აღმოჩენილი. [2-23]

- სატრანსპორტო საშუალებების ხელში ჩაგდება.

ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგიის შესამუშავებლად სამართალდამცავებისთვის ასევე მნიშვნელოვანია, კარგად იცნობდნენ ტერორისტული საქმიანობის ხერხებს.

სატრანსპორტო საშუალებების ხელში ჩაგდება ტერორისტული საქმიანობის ერთერთი გავრცელებული ხერხია თანამედროვე მსოფლიოში. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით ხშირი ხასიათი მიიღო თვითმფრინავებისა და საზღვაო ტრანსპორტის ხელში ჩაგდების ფაქტებმა, სადაც ძირითადად დიდი რაოდენობით მგზავრები იმყოფებიან. აღნიშნული ქმედებები იწვევს ფართო საზოგადოებრივ რეზონანსს. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ხელში ჩაგდება ხშირ შემთხვევაში ახალ ბოროტებასთანაა დაკავშირებული. მაგალითად, ბენზინმზიდის გატაცებისას შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მალე იგი ტერორისტთა რომელიმე სამიზნის ახლოს აფეთქდება. მსუბუქი ავტომანქანების გატაცების შემთხვევები ბევრია საქართველოშიც. ხშირად ტერორისტები ასეთ მანქანებს სხვა დანაშაულის ჩადენისთვის იყენებენ. მაგალითად, 2002 წელს უცხოელი ბიზნესმენის, პიტერ შოუს გატაცებისას ტერორისტებმა გამოიყენეს წინა დღეებში გატაცებული ავტომანქანა. ასევე გატაცებული ავტომანქანა იყო გამოყენებული პარლამენტარ პეტრე ცისკარიშვილის საქმესთან დაკავშირებით. გატაცებული თვითმფრინავები გამოიყენეს ტერორისტებმა 2001 წლის 11 სექტემბერს, როდესაც ტერორისტული აქტები განახორციელეს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ფართოდაა გავრცელებული ტერორისტული საქმიანობის ისეთი ხერხიც, როგორიცაა **მძევლად აყვანა,** რომლის დროსაც ტერორისტებს ტყვეობაში ჰყავთ ადამიანები, რათა ისინი საკუთარი პირობების წამოყენებისას გამოიყენონ. ტერორისტები ამ შემთხვევაში შეიძლება განლაგდნენ ნებისმიერი ადგილზე, რომელსაც გააჩნია ზღუდე ან წარმოადგენს გამყოფს ერთი მხრივ სამართალდამცავებსა და მეორე მხრივ ტერორისტებსა და მძევლებს შორის. მაგალითად, თვითმფრინავი, გემი, ავტომანქანა, ეზო, სახლი, კინოთეატრი და ა.შ. ზოგ შემთხვევაში ფარად შეიძლება გამოიყენონ თვითონ მძევლები.

ამის ნათელი მაგალითია 2002 წელს ქ. მოსკოვში, ერთ-ერთი თეატრის, „ნორდ-ოსტის“ სპექტაკლზე ტერორისტების (მათ შორის ქალების) მიერ მძევლად

აყვანილი მსახიობები და მაყურებელი. ამ შემთხვევაში ტერორისტებს ჰქონდათ პოლიტიკური მოთხოვნები. [112-34]

მძევლები (მათ შორის ორი უცხოელი) იყვნენ აყვანილი საქართველოშიც 1998 წელს ზუგდიდის რაიონში, სოფ. ჯიხაშკარში. ტერორისტები აქაც მათი სიცოცხლის ხელყოფის მუქარით გარკვეულ მოთხოვნებს უყენებდნენ ხელისუფლებას. გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად მძევლები უვნებლად გაათავისუფლეს.

ჩეჩნური დაჯგუფების – „შეიხ შამილის შვილიშვილების“ წევრებმა 1996 წლის იანვარში მძევლად აიყვანეს სტამბულის ნავსადგურიდან გატაცებულ ხომალდ „ავრასიას“ გემბანზე მყოფი 120 მგზავრი. ტერორისტების მოთხოვნა იყო დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ დაღესტანსა და ჩეჩნეთში დაპატიმრებული მათი თანამებრძოლები, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველ 10 წუთში თითო მძევლის მოკვლით იმუქრებოდნენ. რუსეთში განვითარებული პროცესების შემდეგ (19 იანვარს პერვომაისკში ოპერაცია ჩაიშალა, სალმან რადუევმა მაშინ გაქცევით უშველა თავს) ჯგუფის წევრები მიხვდნენ აქციის უაზრობას და თურქეთის ხელისუფლებას ჩაბარდნენ, თუმცა მათმა უმეტესობამ საიდუმლო ვითარებაში მოახერხა გაცქევა და სხვა ქვეყანაში მიმალვა, მათ შორის იყო მუჰამედ ემინ თოქჩანიც.

ამავე დაჯგუფების წევრებმა, რომელსაც კვლავ თოქჩანი თავკაცობდა, 1999 წელს ქ. სტამბულის ხუთვარსკვლავიან სასტუმრო **შწისსოტელ-ბოსპჰორცეს**-ის შენობაში მძევლად აიყვანეს 120 კაცი (მათ შორის ჩვენი თანამემამულე, ვინმე მერაბიშვილი) და ფაქსებით დედამიწის ყველა საინფორმაციო სააგენტოს ამცნეს ამ აქციის პოლიტიკური მნიშვნელობა, მისი მიზანი – შეწყდეს რუსეთის მხრიდან მათი სამშობლოს – ჩეჩნეთის სისხლიანი ხელყოფა. საბედნიეროდ, ეს პროცესი სულ რამდენიმე საათს გაგრძელდა. თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრის უშუალო ჩარევის შემდეგ ტერორისტებმა დაყარეს იარაღი და ხელისუფლებას ჩაბარდნენ.[97-45]

ცრუ განგაში

ცრუ განგაში მიზნად ისახავს ტერორისტის, ან ტერორისტული ჯგუფის მიერ ინფორმაციის გავრცელებას არარსებული საფრთხის შესახებ. აფეთქების შესახებ ცრუ ინფორმაციის გავრცელებამ შესაძლებელია ხელი შეუწყოს რაიმე დაწესებულების ჩვეული ფუნქციონირების პარალიზებას.

ტერორისტების ძირითად სამიზნეს ჩვეულებრივ სამთავრობო შენობები, საელჩოები და სამხედრო ობიექტები წარმოადგენენ, მაგრამ სამოქალაქო ობიექტების ნაკლებად დაცულობის გამო, ამ უკანასკნელთა მიმართ განხორციელებული ცრუ ზარების რიცხვი საგრძნობლად დიდია.

კონკრეტული მიზნების გათვალისწინებით, ტერორისტულ აქტებს შეიძლება ჰქონდეს ფარული, შენიღბული და დემონსტრაციული ხასიათი.

ფარული ხასიათის ტერორისტული აქტი არის ქმედება გამოხატული ძალადობრივი დანაშაულით, რომლის აფიშირებაც არ ხდება. მომხდარია ფაქტი, მაგალითად, მოკლულია რამდენიმე პოლიტიკური პირი, აფეთქებულია შენობა, მოტაცებულია ადამიანი, მაგრამ ტერორისტები დუმან, მომხდარზე პასუხისმგებლობას არავინ იღებს.

შენიღბული ხასიათის ტერორისტული აქტი – ჩადენილია დანაშაული, მომხდარია ტერაქტი, ტერორისტისათვის სასურველი შედეგი სახეზეა, მაგრამ ყველაფერი ისეა გათვლილი და გაკეთებული, რომ ქმედებას ჰქონდეს შემთხვევითობის სახე. მაგალითად, რომელიმე პოლიტიკური მოწინააღმდეგისათვის ავტოკატასტროფის მოწყობა, სპეციალური საშუალებებით ისეთი დაავადების გამოწვევა, რომლებიც იწვევენ უეცარ სიკვდილს (გულის კუნთის ინფარქტს, ინსულტს – თავში სისხლის ჩაქცევას), მაღალი რადიაქტიული გამოსხივების მქონე ნივთიერების მოთავსება სამუშაო ან საცხოვრებელ ადგილებში, საწარმოებში ხანძრის ან საყოფაცხოვრებო აფეთქების მოწყობა, მეწყერული მოვლენების გამოწვევა და ა.შ. ასეთ შემთხვევებში დამნაშავეები ასწრებენ დანაშაულის ადგილიდან მიმალვას და შეუმჩნეველნი რჩებიან.

დემონსტრაციული ხასიათის ტერორისტული აქტი – ქმედება, როდესაც ტერორისტებს მარტო მსხვერპლი კი არ აინტერესებთ, არამედ მიზნად ისახავენ საზოგადოების ყურადღების მიპყრობასაც, ხელისუფლებისა და მოსახლეობის დაშინებას, საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებათა თუ რელიგიური მრწამსის პროპაგანდას. ამისათვის ისინი ხშირად იყენებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ხალხში სამუშაოდ გამოყოფილ პირებს, რითაც მოსახლეობაში აყალიბებენ ტერორისტთა წინაშე სახელმწიფოს უსუსურობის შესახებ აზრს.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ტერორისტული აქტი შეიძლება ჩადენილი იყოს როგორც ერთი პირის, ასევე პირთა ჯგუფის მიერ. ბოლო პერიოდისთვის, ტერორიზმისთვის უფრო მეტად ჯგუფურობა და ორგანიზებულობაა დამახასიათებელი. მაშინაც კი, როცა ტერორისტულ აქტს ერთი პირი სჩადის, ხშირად პასუხისმგებლობას რომელიმე ტერორისტული ორგანიზაცია იღებს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტერორისტული საქმიანობისთვის უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები ხშირად იყენებენ ბანდიტურ ფორმირებებსაც. ეს ფორმირებები წარმოადგენენ მყარ, კარგად დაკომპლექტებულ შეიარაღებულ ჯგუფებს, რომლებიც ხასიათდებიან ორგანიზებულობითა და სიმტკიცით. თავიანთ საქმიანობაში იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორიცაა – სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების, სახელმწიფო დაწესებულებების (მათ შორის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებისა და შეიარაღებული ძალების) მუშაკების, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის ფიზიკური განადგურება, სამხედრო და სამრეწველო ობიექტების დაზიანება, კომუნიკაციების, სატრანსპორტო საშუალებების, კავშირგაბმულობის ობიექტების ხელში ჩაგდება, მოსახლეობაზე მტრული იდეურ-პოლიტიკური და მორალური ზემოქმედება, მოსახლეობის დაშინება, მათში პანიკის დათესვა და დეზორიენტაცია. ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობისაკენ, მტრული დანაშაულებრივი საქმიანობისაკენ წაქეზება ამბოხებისა და მასობრივი არეულობის მიზნით, არალეგალური ჯგუფების შექმნა.

<u>ტერორისტული აქტების კომპონენტები</u>

ტერორისტული აქტი (აქტები) შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: ორგანიზება, დაგეგმვა, მომზადება და რეალიზაცია.

ორგანიზება – ეს არის ქმედებები ტერორისტული აქტის ჩაფიქრებიდან მისი შესრულების ჩათვლით. აუცილებელია იმის გადაწყვეტა, თუ სად უნდა

განხორციელდეს ტერორისტული აქტი, ვის მიერ, რა მიზანს ემსახურება მისი განხორციელება, როგორი იქნება შედეგი, რა თანხები და ძალები იქნება საჭირო ასეთი ქმედებისათვის და ა.შ.

დაგეგმვა – დგება გეგმა იმის შესახებ, თუ როგორ და რა მეთოდებით უნდა განხორციელდეს კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედება. რა ფუნქციები ეკისრებათ ტერაქტის შემსრულებლებსა და დამხმარე პირებს, ვინ არის პასუხისმგებელი ამა თუ იმ კონკრეტული ქმედების შესრულებაზე, რა სპეცსაშუალებებია საჭირო ტერორისტული აქტის შესასრულებლად და როგორ, რა სიტუაციაში უნდა იქნენ ისინი გამოყენებული. როგორი იქნება შემთხვევის ადგილზე ჯგუფის (ან ერთი წევრის) გასვლის მარშრუტი, შეკრების ან ტექნიკის კონცენტრაციის ადგილი, კავშირის საშუალებები, სიტუაციის შეცვლის შემთხვაში როგორი იქნება ჯგუფის შემდგომი ქმედებები და ა.შ. ტერორისტული აქტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება ყველა დეტალი, ყველა ნიუანსი, რაც კი დაკავშირებულია იმ პირთან ან ობიექტთან, რომლის მიმართაც ეს აქტი ხორციელდება.

მომზადება – ხდება წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. ტერორისტები გადიან სპეციალურ მომზადებას იმ პირობებში, რომელიც ახლოს დგას რეალურთან, ხდებიან უფრო შეუმჩნევლები, აკვირდებიან ობიექტს, უკეთ სწავლობენ მას. ცდილობენ კონკრეტული სიტუაციისთვის შეიქმნან ალიბი (ეს შეიძლება იყოს სხვაგან გამგზავრება, ავადმყოფობა, მეგობართან ყოფნა) იმარაგებენ ცეცხლსასროლ იარაღს ან ასაფეთქებელ მოწყობილობებს, შესაძლებელია მოახდინონ მათი მონტაჟიც, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სახის ტერაქტს ამზადებენ და რა პირობებში, არიან უფრო მობილიზებულები და ელოდებიან ხელსაყრელ მომენტს ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის.

რეალიზაცია – ტერორისტის მიერ ჩაფიქრებული, დაგეგმილი და მომზადებულია ქტის განხორციელება, პროცესი რომლის დროსაც ის ცდილობს იმოქმედოს მოულოდნელად, სწრაფად, აგრესიულად, მოქნილად, რათა შეასრულოს დავალება. ამ შემთხვევისთვის დამახასიათებელია მოქმედების, სტრატეგიისა და ტაქტიკის სრული დაცვა, ე.ი. იმ პირის სიკვდილი, გატაცება, მძევლად აყვანა, ვიზეც არის გათვლილი ტერორისტული აქტი. რეალიზაციის პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ასევე ტერორისტის მიმალვა (თუ ის, რა თქმა

უნდა, არ არის „ცოცხალი ნაღმი“), ანუ შემთხვევის ადგილიდან რაც შეიძლება სწრაფად გაცლა, შენიღბვა, შესაძლებელია ქვეყნის გარეთ გაღწევაც. [2]

<u>ტერორისტების თავდასხმის ობიექტები</u>

თავდასხმის ობიექტები ხშირად არიან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, პოლიტიკური მოღვაწენი, ძალოვანი სტრუქტურები და მათი წარმომადგენლები, კომერციული საწარმოები, სატრანსპორტო საშუალებები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, მოსახლეობა.

პოლიტიკური მოღვაწეები, სახელმწიფო დაწესებულებათა თანამშრომლები და სახელმწიფო საკუთრება ყველაზე ხშირად ხდებიან ტერორისტების თავდასხმის ობიექტები იმ მიზნით, რომ:

– **შეიცვალოს პოლიტიკური კურსი**, ანუ მიაღწიონ საშინაო და საგარეო პოლიტიკის შეცვლას (ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული ტერორისტული აქტების ძირითადი მიზანი, სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის შეცვლა იყო. პროდასავლურისა-პრორუსულით);

- **შეიცვალოს პოზიცია** გარკვეულ პოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით;

- **გამოიწვიოს მოქალაქეთა უკმაყოფილება**, ანუ ძირი გამოუთხაროს სახელმწიფოს უნარს, უზრუნველყოს ისეთი სისტემების ნორმალური ფუნქციონირება, როგორიცაა: ელექტრომომარაგება, წყალმომარაგება, გაზმომარაგება, სატელეფონო კავშირები და სხვა. გავიხსენოთ ქვეყანაში თუ ქვეყნის ტერიტორიის გარეთ მომხდარი ხშირი აფეთქებები ელექტროგადამცემ ხაზებზე „კავკასიონი“ და გაზგამტარ მილებზე, რომელთა მიზანი სწორედ ხალხის უკმაყოფილების გამოწვევა გახლდათ პრორუსული ორიანტაციის უზრუნველსაყოფად;

- **დაფიქსირდეს პოზიცია**, ანუ საჯაროდ იქნეს დემონსტრირებული, რომ აგრესიული ქმედებები მიმართულია არა მთლიანად მოსახლეობის, არამედ მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურებთან დაკავშირებული პიროვნებების წინააღმდეგ;

- **წამოყენებულ იქნეს** ტერორისტებისთვის საინტერესო **მოთხოვნები**, მაგალითად, დაპატიმრებულ თანამოაზრეთა გათავისუფლება, დიდძალი ფულის ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოძალვა და სხვა.

ვინაიდან ძალოვანი სტრუქტურები წარმოადგენენ ამა თუ იმ სახელმწიფოს მმართველობით ბერკეტებს, ტერორისტები მათ თავდასხმის ობიექტებად შემდეგი მიზნების მისაღწევად იყენებენ:

- **მოახდინონ ძალოვანი სტრუქტურების სისუსტის დემონსტრირება**, ანუ აჩვენონ მოსახლეობას, რომ ისინი ვერ უზრუნველყოფენ მათ დაცვას;

- **მოახდინონ ზედმეტად მკაცრი საპასუხო რეაქციის პროვოცირება**, ანუ სამართალდამცავთა მხრიდან არაადეკვატურმა რეაგირებამ უნდა დაანახოს მოსახლეობას სახელმწიფო აპარატის სისასტიკე, მმართველი პარტიისა თუ ხელისუფლების წარმომადგენლების როლი მასში.

- **შური იძიონ** – სამართალდამცავი სტრუქტურების წარმატების გამო ტერორისტული ორგანიზაციის წინააღმდეგ განხორციელებულ ოპერაციაში;

- **აიძულონ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ითანამშრომლონ ტერორისტებთან** – ამისათვის ხშირად ესხმიან თავს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა ოჯახებს, აშინებენ, უწყობენ ტერორისტული აქტების იმიტაციას და სხვა.

კომერციული საწარმოების (იურიდიული პირების), ცალკეული მოქალაქეების წინააღმდეგ ტერორისტული აქტები ხორციელდება შემდეგი მოტივებით:

- **ფულადი სახსრების მიღება** – როდესაც ტერორისტებს ესაჭიროებათ საარსებო საშუალებები, მოწყობილობები და ა.შ.;

- **წინასწარ განსაზღვრული საწარმოების შერჩევა ტერორისტული ხელყოფისთვის** – რომლებიც რაიმე ფორმით დაკავშირებული არიან სახელმწიფო მმართველობით ორგანოებთან ან გამოირჩევიან საქმიანი აქტიურობით;

- **დაშინება** – რომელმაც შეიძლება აიძულოს მოსახლეობა, უარი თქვას საქმის დაჭერაზე ტერორისტების მიერ სამიზნედ ამორჩეულ საწარმოსთან, მაგალითად, 2003 წლის 22-23 ივლისს ესპანეთში, საკურორტო ზონის რამოდენიმე ქალაქის სასტუმროებში განხორციელებული აფეთქებები, რომლებმაც ტურისტების დაშინება გამოიწვია. ფირმებმა, რომლებიც მუშაობდნენ ტურიზმზე, დიდი ფინანსური ზარალი ნახეს.

ცალკეული პირების მოტაცება და მძევლად აყვანა მიზნად ისახავს საქვეყნოდ სახელის მოპოვებას და ფულადი სახსრების მიღებას კომერციული საწარმოებიდან და ცალკეული პირებიდან. გავიხსენოთ პანკისის ხეობაში გატაცებული ესპანელი ბიზნესმენები, ინგლისის მოქალაქე პიტერ შოუ, მათ ერთ-ერთ ლიდერს ბოლომდე ეგონა, რომ მას სამართალდამცავები ვერასოდეს მოერეოდნენ. მაგალითად გამოდგება აგრეთვე მოსკოვში ფირმა „ლუკოილის“ პრეზიდენტის გატაცების ფაქტიც, რომლის დროსაც გამტაცებლები ღიად სთხოვდნენ ფულად თანხებს ფირმის წარმომადგენლებს და უგულვებელყოფდნენ სამართალდამცავთა შესაძლებლობებს.

მოსახლეობის მოლოდინის გაცრუება იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებას. როცა ეს იმედები არ მართლდება, მოსახლეობის მხრიდან მოსალოდნელია ნეგატიური განწყობა ხელისუფლების მიმართ. მაგალითად, 2001 წლის ბოლოს, პანკისის ხეობის რიგ სოფელში მეტად გამწვავდა კრიმინალური ვითარება, გახშირდა გატაცების ფაქტები, მკვლელობები, ყაჩაღობები. ამან ახმეტის რაიონის მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია და ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით შეიქმნა „სახალხო ლაშქარი“, რომელმაც უნდობლობა გამოცხადა ადგილობრივი უშიშროებისა და პოლიციის თანამშრომლებს. „საქართველოს ავღანელთა კავშირის“ რეგიონულმა რგოლმა კარვებიც კი გაშალა მოთხოვნით, რომ ხელისუფლებას ისინი სიტუაციის დარეგულირებაში ჩაერთო და მათთვის იარაღი მიეცა. მართალია, აქციებს მართავდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის დაკვეთითაც, მაგრამ მოსახლეობის მოლოდინის ფაქტორმა მათ გამართვაში დიდი როლი მაინც შეასრულა.

მოსახლეობის თანაგრძნობა გაცილებით დიდია მსხვერპლისადმი, ვიდრე ტერორისტულ დაჯგუფებებთან დაკავშირებული პირებისადმი. ამ მიზეზით, მოსალოდნელია, საზოგადოებამ დაჟინებით მოითხოვოს ხელისუფლებისაგან ტერორისტთა მოთხოვნების შესრულება.

<u>**მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე თავდასხმისას იკვეთება შემდეგი მოტივები:**</u>

- **ტერორისტების ინფორმაციული მხარდაჭერა** – ფაქტობრივად ხორციელდება მათ მიერ ჩადენილი ქმედების თუ ქმედებების გაშუქებით, მით უმეტეს მაშინ,

როცა ადგილი ეთმობა ტერორისტთა შეხედულებების გაშუქებას მომხდარის შესახებ.

- **გაზვიადების შესაძლებლობა** – საშუალებას აძლევს ტერორისტებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, ჟურნალისტებმა კალმის ერთი მოსმით, ერთი შეხედვით უმნიშვნელო შემთხვევა საერთაშორისო ყურადღების ცენტრში მოაქციონ.

ტერორისტთა ხელშემწყობი ფაქტორები

1. **მცირე საიდუმლო ჯგუფებით მოქმედება**

თითოეული ჯგუფი პირობითად 4-6 კაცისგან შედგება, იცავენ მკაცრ კონსპირაციას, ადგილზე ყოფნისა თუ მუშაობის არგუმენტაციისთვის მოგონილი აქვთ სათანადო ლეგენდა. დავალებიდან გამომდინარე, ჯგუფები შესაძლებელია გაერთიანდნენ „სექციებში“, თითოეული სექცია 2-3 რგოლისგან შედგება. აქვთ მუდმივი კავშირი ერთმანეთთან. ხშირად ახორციელებენ ვიზუალურ კონტროლს ობიექტზე თავდასხმის წინ.

2. ტერორისტები არცთუ იშვიათად არიან ადგილობრივი მაცხოვრებლები და არაფრით გამოირჩევიან სხვებისგან

ყოველთვის ცდილობენ, ტერორისტული აქტების განხორციელების მიზნით გამოიყენონ ადგილობრივი მაცხოვრებლები, რადგან ისინი ყველაზე მეტად არიან შეგუებული არსებულ გარემოს, ტრადიციებს, თვით სამართალდამცავებსაც კი. ეს ტერორისტებს ათავისუფლებს ისეთი პრობლემებისგან, როგორიცაა: საყოფაცხოვრებო, სავიზო, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა.

3. ტერორისტები თავად არჩევენ ობიექტს, თავდასხმის ადგილსა და დროს –ყოველივე ეს იგეგმება ტერორისტულ ორგანიზაციებში, შესაძლოა სხვა ქვეყნებშიც, რომლის დროსაც ყველაფერს განსაზღვრავს მიზანი. ამიტომ ობიექტზე თავდასხმის ადგილისა და დროის დადგენა ნებისმიერი ტერორისტული ორგანიზაციისათვის მეტად დიდ პრობლემას წარმოადგენს, თუ, რა თქმა უნდა, ასეთ ორგანიზაციებს არ ჰყავთ გადმობირებული ინფორმატორები.

4. ბოროტად სარგებლობენ დემოკრატიული კანონებით –

მაგალითად, სახელმწიფოებს შორის სავიზო რეჟიმების პროცედურის გამარტივება იწვევს უცხოელთა დიდი რაოდენობით შესვლას ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, ეს კი ქმნის საფუძველს იმისათვის, რომ მათ შორის აღმოჩნდნენ უცხო ქვეყნის ტერორისტები.

5. არ არიან შეზღუდული კანონებით – ეწევიან რა კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, ისინი არ ცნობენ არც საერთაშორისო და არც იმ ქვეყნის კანონებს, სადაც მოქმედებენ.

6. ზოგჯერ მოიპოვებენ არაოფიციალურ დიპლომატიურ მხარდაჭერას და თავშესაფარსაც კი სხვა ქვეყნებში

გავიხსენოთ 1998 წლის 8 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტზე განხორციელებული ტერაქტის რამოდენიმე მონაწილე, რომლებიც წლების განმავლობაში იმალებოდნენ რუსეთის ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ მათი ზუსტი ადგილსამყოფელი კონტრტერორისტული დეპარტამენტისათვის ცნობილი იყო და ამის შესახებ იცოდნენ რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმაც, მათი დაკავებისა და ექსტრადიციის საკითხი ყოველთვის ღიად რჩებოდა. უცხო ქვეყნის ტარიტორიას აფარებს თავს 1995 წლის აგვისტოს ტერაქტში მონაწილე რამოდენიმე პირიც, რომლებიც იმყოფებიან ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა რუსეთი, ბელორუსია, საუდის არაბეთი.

7. ზოგიერთი დიდი ორგანიზაცია თავს აფარებს პოლიტიკურ ჯგუფებს როდესაც ესა თუ ის ტერორისტული ჯგუფი ან ტერორისტი ამოფარებულია რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციას.

8. ხშირად შეიძლება მოიპოვონ საერთაშორისო მხარდაჭერა –

მაგალითად, ჩეჩნურმა ტერორიზმმა მხარდაჭერა მოიპოვა მსოფლიოს რიგ მუსულმანურ ქვეყანაში, რომლებმაც ჩეჩნების ქმედება აღიქვეს, როგორც "საღმრთო ომი" ურჯულოთა წინააღმდეგ. ტერორისტები მათი მხრიდან მარაგდებოდნენ ფინანსებით, საბრძოლო იარაღითა და აღჭურვილობით, ცოცხალი ძალით.

9. ტერორისტები ხშირად მხარს უჭერენ ადამიანთა ინტერესებს, რათა სანაცვლოდ მოიპოვონ მათი მხარდაჭერა –

თუნდაც იგივე რუსული საზღვაო ხომალდის „ავრასიას“ ხელში ჩაგდება და იმის მოთხოვნა, რომ რუსებს ჯარები გამოეყვანათ ჩეჩნეთიდან; პოლიტპატიმრების გათავისუფლების მიზნით თვითმფრინავების ხელში ჩაგდება და სხვა.

10. არიან მობილურები – გააჩნიათ კარგი სადაზვერვო შესაძლებლობები, იცავენ უსაფრთხოებას, აქვთ შედარებით მაღალი საბრძოლო და საგანმანათლებლო დონე, ასევე ძლიერი პოლიტიკური მოტივები და ფანატიკური ერთგულება.

11. თვლიან, რომ „მიზანი ამართლებს საშუალებას”.

12. აქვთ თავიანთ რიგებში ხელისუფლებით უკმაყოფილოთა მოზიდვის უპირატესობა.[72-34]

ტერორისტთა სუსტი მხარეები

ტერორისტების, ტერორისტული ჯგუფების თუ ტერორისტული ორგანიზაციების დიდ უმრავლესობას აქვს სუსტი მხარეებიც, კერძოდ:

1. **სისხლისსამართლებრივი დევნისადმი დაქვემდებარება** – ტერორისტული საქმიანობა და ტერორისტული აქტების განხორციელება იკრძალება ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობით. აქედან გამომდინარე, მათ მუშაობა უხდებათ შიშის, მუდმივი სტრესის ქვეშ, ამიტომ ხშირია შეცდომები, მათი ზრახვების გამოაშკარავებისა და ჩავარდნის ალბათობაც.

2. **ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით ტერორისტთა საქმიანობის ეფექტურობის შეზღუდვა** – ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამები არსებობდა მანამდეც, მაგრამ 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ მათ უფრო გლობალური ხასიათი მიიღეს. გაეროს უშიშროების საბჭოსთან შეიქმნა ანტიტერორისტული კომიტეტი, რომელთანაც აქტიურად თანამშრომლობენ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები, მათ შორის საქართველოც, მიღებულია და ხელმოწერილია საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ეროვნული, რეგიონული

ანტიტერორისტული პროგრამები, კონვენციები; ფართოვდება თანამშრომლობა ცივილიზებულ ქვეყნებს შორის.

3. შეზღუდვები გადაადგილებაში, სირთულეები იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების ტრანსპორტირებისას – რაც უფრო ძლიერია ამა თუ იმ ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოები, მით მეტია ტერორისტებისათვის მიცემული დავალების შეუსრულებლობის რისკი, მით უფრო შეზღუდულია მათი თავისუფლად გადაადგილება, იარაღის გადატანა, ტერორისტული აქტის განხორციელება.

4. **დაბრკოლებები მაღალეფექტური იარაღის შეძენისას** – ვინაიდან მას ყოველთვის საიმედოდ იცავენ უცხო ხელში მოხვედრისგან.

5. **სიძნელეები ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლისას** – ჩატარებული ტერორისტული აქტის შემდეგ, გამკაცრებული სასაზღვრო და სავიზო რეჟიმის ფონზე, დიდია „ჩავარდნის“ ალბათობა, საჭირო ხდება სხვა გზების გამონახვა ან ქვეყანაში დიდი ხნით დარჩენა, რაც დაკავშირებულია რისკთან.

6. **პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმების მუდმივი საჭიროება** – რაც კონსპირაციის მიზნით კეთდება და რისკთანაა დაკავშირებული, ვინაიდან შესაძლებელია ყალბი დოკუმენტებით პირის გაშიფვრა.

7. **პოლიტიკური კლიმატის ცვლილებებზე დამოკიდებულება** – სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის დარეგულირებამ, გაუმჯობესებამ, შესაძლებელია მათ საქმიანობაზე იქონიოს გავლენა.

8. **ობიექტებზე შეღწევის შესაძლებლობის შეზღუდვა (სარეჟიმო და დახურული ობიექტები)** – ასეთ ობიექტებზე ყოველთვის არის დაცვის დანაყოფები ან ისინი აღჭურვილი არიან სპეციალური ტექნიკით.

9. **სატრანსპორტო საშუალებების ნაკლებობა** – ადგილზე მათი მოძიება, შოვნა, დაქირავება გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

10. **ხშირი გადაადგილებები ერთი ადგილიდან მეორეზე, ბინების ცვლა** – რათა დარჩნენ შეუმჩნეველი და არ მოხვდნენ სამართალდამცავი ორგანოების მხედველობის არეში.

11. **ოპერატიულ საკითხებზე დავა და შეუთანხმებლობა** – დავა ოპერაციის მართებულად შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ ყოველთვის წარმოშობს კონფლიქტურ სიტუაციას ტერორისტებს შორის და არასტაბილურ გარემოს ქმნის.

12. **დეზერტირობა, კავშირის გაწყვეტა ჯგუფთან** – ჯგუფის თვითნებურად მიტოვება, დავალების შესრულებაზე უარის თქმა, სამართალდამცავებისთვის ინფორმაციის გამჟღავნება.

13. **ფიზიკური დანაკარგები და სხვა**. – ნებისმიერი ტერორისტული ორგანიზაცია ცდილობს ფიზიკური დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანას (კამიკაძეების გამოკლებით), რადგან კარგი ტერორისტის მომზადება ძნელია და დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.[76-22]

ტერორისტული აქტების გამოძიების ორგანიზაცია და დაგეგმვა

სირთულეები, რომლებიც თავს იჩენენ გამოძიების საწყის ეტაპზე, პირველ რიგში, დაკავშირებულია იმასთან, რომ კანონი პასუხისმგელობას ითვალისწინებს ტერორიზმის ორ ფორმაზე: ტერორისტული ქმედების განხორციელებასა და ასეთი ქმედების განხორციელების მუქარაზე.

აქედან გამომდინარე, საგამოძიებო ღონისძიებები იმის მიხედვით უნდა შეირჩეს, განხორციელებულია ტერორისტული ქმედება თუ გამოთქმულია მუქარა ტერორისტული ქმედების განხორციელების თაობაზე.

პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს აფეთქებასთან, ცეცხლის წაკიდებასთან ან სხვა ქმედებასთან, რაც იწვევს ადამიანების სიცოცხლის მოსპობას, მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანის მიყენებას ან სხვა საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომას. მეორე შემთხვევაში კი გამოთქმულია მუქარა ასეთი ქმედებების განხორციელების შესახებ.

ტერორისტული საქმეების გამოძიების თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი შეიძლება წარმოებდეს ორი მიმართულებით: ა) კონკრეტული ტერაქტის გამოძიებიდან მთლიანად ტერორისტული ფორმირების საქმიანობის გახსნამდე; ბ) ასეთი ფორმირების საქმიანობის შესწავლიდან მის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულის გახსნამდე.[19-34]

პირველადი ინფორმაციის ხასიათიდან გამომდინარე შეიძლება განვიხილოთ ტიპური საგამოძიებო სიტუაციები, როდესაც

- მიღებულია ინფორმაცია ტერორისტული ფორმირების (ან მისი ნაწილის) არსებობის შესახებ გარკვეულ ტერიტორიაზე;

- მიღებულია ინფორმაცია ტერორისტული აქტის (აფეთქება, ცეცხლის წაკიდება და ა.შ.) ან მისი განხორციელების მუქარის შესახებ;

პირველ სიტუაციაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა გადამოწმდეს უკვე არსებული ინფორმაცია და დაზუსტდეს უფრო დეტალური მონაცემები დანაშაულებრივი ფორმირების, მის წევრთა რაოდენობის, დისლოკაციის ადგილის, დანაშაულებრივი გეგმებისა და ა.შ. შესახებ.

მეორე სიტუაციაში გამოძიების ორგანიზება დამოკიდებულია მთელ რიგ დამატებით გარემოებებზე.

როგორც უკვე ითქვა, ტერორისტული ქმედების ჩადენა შეიძლება სხვადასხვა ხერხითა და საშუალებით. ყოველ ქმედებას გააჩნია გარკვეული თავისებურება, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია მოვლენების განვითარების თავისებურებებით. ამიტომ ისეთი საგამოძიებო სიტუაციის შერჩევა, რომელიც საერთო იქნება ყველა ხერხით ჩადენილი ტერორისტული ქმედებისთვის, შესაძლებელია მხოლოდ ზოგადი სახით.

ტერორიზმის ორივე ფორმის შემთხვევაში საერთო საგამოძიებო სიტუაციების კლასიფიკაცია შეიძლება ინფორმაციის წყაროს მიხედვით. კერძოდ,

- როდესაც დამნაშავე ან დამნაშავეები ატყობინებენ სამართალდამცავ ორგანოებს ტერაქტის ჩადენის ან მისი განხორციელების მუქარის შესახებ;

- როდესაც სამართალდამცავებს მიმართავს დაზარალებული;

- როდესაც თვითმხილველები ატყობინებენ შესაბამის სამსახურებს ტერორისტული ქმედების ან მომხდარი აფეთქების, ხანძრისა თუ ავარიის შესახებ;

- როდესაც სამართალდამცავი ორგანოები ტერორისტული აქტის შესახებ იგებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან;[66-45]

გამოძიებისთვის შედარებით ხელსაყრელია პირველი ორი სიტუაცია. ტერაქტის თაობაზე დამნაშავის თუნდაც ანონიმური მიმართვის შემთხვევაში, დიდია ალბათობა მაქსიმალური წერილობითი ინფორმაციის მიღებისა ტერორისტების ზრახვებისა და სხვა გარემოებათა შესახებ. თუ დამნაშავე იმუქრება აფეთქებით, ცეცხლის წაკიდებით, მაშინ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს შეუძლიათ აღკვეთონ მუქარის სისრულეში მოყვანა.

მეორე შემთხვევაში გამომძიებელი და ოპერატიული თანამშრომლები სხვადასხვა ტაქტიკური ხერხის გამოყენებით უნდა დაეხმარონ დაზარელებულს, რომ მაქსიმალურად დაწვრილებით გადმოცეს მისთვის ცნობილი ყველა ფაქტი. დაზარალებულები, როგორც წესი, ფლობენ საკმაო რაოდენობის ინფორმაციას.

თვითმხილველებთან მუშაობისას, გამომძიებელი, პირველ რიგში, უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ მოქალაქემ სწორად გაიგო მოვლენის ხასიათი, რომლის მოწმეც ის გახდა და არ ცდება მის შეფასებაში. მისი ინფორმაცია, ალბათ, არასრული იქნება, მაგრამ მას მაინც დიდი კრიმინალისტიკური მნიშვნელობა ექნება გამოძიების მიმართულების განსაზღვრისათვის საწყის ეტაპზე და დამატებითი ინფორმაციის მოძიებისთვის.

მეოთხე სიტუაციაში გამომძებლისა და ოპერატიული თანამშრომლების ძირითადი ამოცანაა ინფორმაციის წყაროს გამოვლენა, შემთხვევის ადგილის დათვალიერება და თვითმხილველების დადგენა.

საგამოძიებო სიტუაციების კრიმინალისტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კლასიფიკაცია შეიძლება დამდგარი შედეგების ხასიათის მიხედვითაც:

- მოხდა აფეთქება;
- მოხდა ცეცხლის წაკიდება, რამაც გამოიწვია ხანძარი;
- დამნაშავეების ქმედებამ გამოიწვია ავარია ობიექტზე;

იქედან გამომდინარე, თუ რას შედეგები გამოიწვია დამნაშავეთა ქმედებამ, გამომძიებელი განსაზღვრავს ოპერატიული სამძებრო ჯგუფის შემადგენლობას, იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი სპეციალისტები მოიწვიონ დათვალიერების ეფექტურად ჩატარებისთვის, რა ტექნიკური საშუალებები უნდა გამოიყენონ შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას.

გამომძიებელი შემთხვევის ადგილზე მოვლენების განვითარების სხვადასხვა სტადიაზე შეიძლება მოხვდეს:

- ტერორისტული ქმედების (აფეთქების, ხანძრის ჩაქრობის და ა.შ.) შემდეგ;

- ტერორისტული ქმედების დასრულებამდე (მაგ: იმ დროს, როცა ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოჩენილია, მაგრამ არაა განაღმული, არის ხანძრის გაჩენის საშიშროება და ა.შ.);

ცხადია, რომ ამ სიტუაციებში გამომძიებლის ამოცანები და მოქმედებები სხვადასხვა იქნება. პირველ შემთხვევაში აქცენტი გადადის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ორგანიზებაზე და საგამოძიებო მოქმედების განხორციელების მომზადებაზე.

მეორე შემთხვევაში კი წინა პლანზეა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ორგანიზება, რა თქმა უნდა, მისი ყველა მონაწილის უსაფრთხოების უზრუნველყოფით.

ზოგჯერ გამოძიების საწყის ეტაპზე შესაძლებელია განისაზღვროს, რომ ქმედება კრიმინალურია, ე.ი. თავიდანვე ნათელია, რომ მომხდარი ჩვეულებრივი დანაშაულებრივი ქმედების შედეგია. მაგრამ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ისიც, აფეთქება, ხანძარი ან სხვა მოვლენა, რამაც გამოიწვია მსხვერპლი, შეიძლება იყოს არაკრიმინალური ქმედების შედეგი.

მაგალითად, აფეთქება შეიძლება გამოიწვიოს დაუძლეველი ძალის (ბუნებრივი მოვლენები – ჭექა-ქუხილი, მიწისძვრა და ა.შ.) მოქმედებამ ან უბედურმა შემთხვევამ. აფეთქების მიზეზი შეიძლება გახდეს ასაფეთქებელი ან სხვა საშიში ნივთიერებების მიმართ გაუფრთხილებელი მოპყრობა. აქედან გამომდინარე, პირველ რიგში უნდა დადგინდეს აფეთქების მიზეზი. ტიპური საგამოძიებო ვერსიებიდან გამომდინარე, მომხდარის მიზეზად შეიძლება განიხილებოდეს:

1. დაუძლეველი ძალა (მაგ. სტიქიური უბედურება),

2. დადგენილი წესებისა და მოთხოვნების შეუსრულებლობა;

აფეთქების ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება გაჩნდეს ახალი ვერსია, რომლის დროსაც სახეზეა აფეთქების ორი სახეობა, რომელთაგან პირველი ჩადენილია

მიზანმიმართულად ასაფეთქებელი ნივთიერებების ან მოწყობილობის გამოყენებით - ხოლო მეორე ხდება დაუგეგმავად პირველი აფეთქების შედეგად (მაგალითად, საყოფაცხოვრებო გაზის ბალონების, საღებავის შემცველი ყუთების და სხვათა აფეთქება).

ამას გარდა, უნდა წამოიჭრას და გადამოწმდეს ვერსიები იმის შესახებ, რომ დამნაშავეების მიზანი არ იყო საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელყოფა, მოსახლეობის დაშინება ან ხელისუფლების ორგანოებზე ზემოქმედება. სხვა სიტყვებით რომ ეთქვათ, ადგილი ჰქონდა არა ტერაქტს, არამედ სხვა დანაშაულს: მკვლელობას ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებას, ქონების დაზიანებას და სხვა.

გამომძიებელმა არსებული ინფორმაციის შეფასების შემდეგ უნდა წამოჭრას რომელიმე ვერსია ან ვერსიები. ყოველ შემთხვევაში არ არის სავალდებულო ყველა მათგანის გადამოწმება. ასეა, თუ, მაგალითად, ტერორისტმა გააფრთხილა მოსალოდნელი აფეთქების შესახებ და სამართალდამცავი ორგანოების მცდელობის მიუხედავად, მაინც განახორციელა მუქარა მოწმეების თვალწინ.

სიტუაციები, რომლებიც გამომდინარეობენ ტერაქტის განხორციელების მუქარიდან, შეიძლება ასევე დაიყოს რამოდენიმე ნიშნის მიხედვით. პირველ რიგში, მათ ყოფენ იმის მიხედვით, თუ ვის შეატყობინეს მუქარა:

- სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელს;

- სხვა მოქალაქეს, მათ შორის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელს.

ყოველ ჯგუფში, თავის მხრივ, შეიძლება გამოიყოს დამნაშავის ქცევის მიხედვით აღმოცენებული სიტუაციები:

- როდესაც დამნაშავე ასახელებს თავის თავს;

- როდესაც ის ანონიმურად გამოთქვამს მუქარას.

პირველ სიტუაციაში გამომძიებელს მთელი ყურადღება გადააქვს იმ მონაცემების შემოწმებაზე, რომლებიც მიაწოდა დამნაშავემ. მეორე სიტუაციაში კი მისი ამოცანა მნიშვნელოვნად რთულდება, რადგანაც საჭიროა გაირკვეს დამნაშავის ვინაობა, მისი ადგილსამყოფელი. მხოლოდ საკმარისი დამატებითი

ინფორმაციის მოპოვების შემდეგაა შესაძლებელი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის დაკავება.

გამოძიების ორგანიზაციისას გათვალისწინებული უნდა იქნას ისიც, თუ ვის მიმართ იყო გამოთქმული მუქარა:

- კონკრეტული პირის მიმართ;

- ამ პირის ოჯახისა და ახლობლების მიმართ(აც).

- იმ დაწესებულების ან ორგანიზაციის მიმართ, სადაც ეს პიროვნება მუშაობს.

ლიტერატურაში გვხდება ასევე საგამოძიებო სიტუაციების სხვა კლასიფიკაციებიც. გამომძიებლის ზემოქმედების დონის მიხედვით ისინი შეიძლება დაიყოს კონტროლირებად, ნაწილობრივ კონტროლირებად და არაკონტროლირებად სიტუაციებად. რა თქმა უნდა, ყველაზე რთული სიტუაცია უკანასკნელია. გამომძიებელმა უნდა მოახერხოს საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების მეშვეობითთ მისი გადაყვანა ნაწილობრივ კონტროლირებად და შეძლებისდაგვარად კონტროლირებად სიტუაციებში.

ტერორისტული დანაშაულის გამოძიების ორგანიზაცია და დაგეგმვა ბევრადაა დამოკიდებული არსებულ საგამოძიებო სიტუაციაზე.

თუ არსებობს ინფორმაცია ტერორისტული ფორმირების შექმნის შესახებ, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის საწყის ეტაპზე აქცენტი გადატანილ უნდა იქნას ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებზე. სწორედ ისინი გახდიან შესაძლებელს მიღებულ იქნას საჭირო ინფორმაცია არამარტო დანაშაულებრივ ჯგუფზე, არამედ მის მიერ ჩადენილ ან მომზადებულ დანაშაულებზეც.

ტერაქტის გამოძიების დაგეგმვისა და ორგანიზაციის თავისებურებები განპირობებულია იმითაც, რომ, როგორც წესი, ასეთი აქტის შემდეგ ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული ყველა საფრთხე. მოსალოდნელია შემდგომი აფეთქებები. ეს მნიშვნელოვნად ართულებს საგამოძიებო ჯგუფის მუშაობას, ვინაიდან, მაშინაც კი, როცა გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი კვალის განადგურების საფრთხე იქმნება, პირველ რიგში, უნდა მოხდეს

დაზარალებისთვის დამხმარების აღმოჩენა, განმეორებითი აფეთქების თავიდან აცილება და ა.შ.

ძიების საწყის ეტაპზე აუცილებელია, დადგინდეს: არის თუ არა მსხვერპლი, ცოცხლები არიან თუ არა დაზარალებულები, გადაიყვანეს თუ არა ისინი საავადმყოფოებში და ა.შ. სხვა სიტყვებით, პირველივე წუთში უნდა მოგროვდეს ინფორმაცია იმ პირების შესახებ, რომლებიც შემდგომ შესაძლებელია დაზარალებულებად აღიარონ.

არსებობს საგამოძიებო ჯგუფის ჩამოყალიბების მრავალი გზა, მაგრამ ხშირად ჯგუფი ფორმირდება უკვე მას შემდეგ, რაც ჩადენილია დანაშაული. ტერაქტის ადგილზე, როგორც წესი, მიდიან სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები, რომლებიც ერთმანეთს არ ექვემდებარებიან, რაც ართულებს შეთანხმებული გადაწყვეტილებების მიღებას იმაზე, თუ ვინ რა ფუნქციები უნდა განახორციელოს.

ჩვენს დროში ძალიან ხშირია ტერორისტული ხასიათის დანაშაული. ამიტომ, ალბათ, მიზანშეწონილია, ყოველ რეგიონში შეიქმნას მუდმივმოქმედი საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფი, რომელიც მხოლოდ ტერორისტული დანაშაულის გამოძიებით იქნება დაკავებული. რეგიონის სიდიდიდან გამომდინარე შეიძლება შეიქმნას რამდენიმე ასეთი ჯგუფი და ფუნქციები საგამოძიებო, ოპერატიულ და ექსპერტულ ქვეჯგუფებს შორის გადანაწილდეს. ამასთანავე, პრაქტიკა მოწმობს, რომ საჭიროა შეიქმნას აგრეთვე უსაფრთხოებისა და მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან კავშირის უზრუნველმყოფელი ქვეჯგუფები. უკანასკნელის აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ აფეთქება, ხანძარი ან ავარია ყოველთვის ექცევა მოსახლეობის და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყურადღების ცენტრში. ცნობების არადროულად გადაცემამ ან ფაქტების არასწორმა ინტერპრეტაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს პანიკის ზრდას და ტერორისტული მიზნების მიღწევას. ამიტომ ჯერ კიდევ ჯგუფის ფორმირებისა და ფუნქციების გადანაწილების ეტაპზე უნდა გადაწყდეს საკითხი იმის შესახებ თუ ვინ, რა დროს და რა თანმიმდევრობით გადასცემს ინფორმაციას მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს.[68-15-20]

ჯგუფის მუშაობის უფრო ეფექტურად ორგანიზებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რაც შეიძლება ადრე განისაზღვროს ჯგუფის ხელმძღვანელი და განაწილდეს ფუნქციები. საგამოძიებო ჯგუფის ეფექტურად

მუშაობისათვის მეტად საყურადღებოა მისი წევრების ფსიქოლოგიური მომზადება, რადგან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტერორისტებთან მოლაპარაკებების წარმოებას, როდესაც ისინი იმუქრებიან.

პირველ რიგში, ზუსტად უნდა განისაზღვროს ის ფაქტორი, რაც განაპირობებს დანაშაულის სუბიექტის სიჯიუტეს, სისასტიკეს, უკომპრომისობას, ეს შეიძლება იყოს იდეური თვითშეგნება, ემოციური დაძაბულობა, წყენა, შურისძიების გრძნობა და სხვა. მეორე რიგში, უნდა განისაზღვროს სუბიექტის ფსიქიკური მდგომარეობა, მაგალითად, განისაზღვროს პარანოიდული თუ ეპილეპტიკური ტიპია ის, რამდენად გაწონასწორებულია ემოციურად. ამ საკითხის გარკვევა შესაძლებელს ხდის დადგინდეს მისი კრიტიკული ქცევის (მუქარის აღსრულება) საზღვრები.

ამის შემდეგ საჭიროა, გაირკვეს სუბიექტის ძირითადი მოტივაცია. მოლაპარაკების ტაქტიკა უნდა იყოს დინამიური და იცვლებოდეს ექსპრეს ანალიზის პარალელურად. ვინაიდან მოლაპარაკების მწარმოებელი პირებისთვის საჭიროა სპეციალური ცოდნა, ამიტომ მიზანშეწონილია, რომ საგამოძიებო-ოპერატიულ ჯგუფში ჩართულ იქნან ფსიქოლოგები და ფსიქიატრები ცალკე ჯგუფის ან ქვეჯგუფის სახით.

საგამოძიებო ჯგუფში ყველა შემთხვევაში უნდა შედიოდეს გამომძიებლის ქვეჯგუფი, რომელიც შეისწავლის ყველა საჭირო დოკუმენტს იმ დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის შესახებ, რომლის ტერიტორიაზეც განხორციელდა ტერაქტი. ასეთი ინფორმაცია საშუალებას მოგვცემს გამოვამზეუროთ გამოძიებისათვის საინტერესო დოკუმენტები, მივიღოთ ცნობები დაზარალებულებისა და დამნაშავეების შესახებ და ა.შ.

საგამოძიებო ჯგუფის საქმიანობის სხვა მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს მოწმეებთან მუშაობა. ხშირად დანაშაულის თვითმხილველად (თუნდაც არა თავიდანვე) გვევლინებიან სხვადასხვა ორგანოს მუშაკები, პირველ რიგში, ისინი, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ ტერაქტის შედეგების ლიკვიდაციას და დაზარალებულების გადარჩენას. მაგრამ ინფორმაცია, რომელსაც ისინი ღებულობენ თავიანთი უშუალო სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას ყოველთვის არ ხდება გამოძიების საგანი. გამომძიებლები მხედველობიდან უშვებენ ასეთი მოწმეების დაკითხვის შესაძლებლობას, არ გამოითხოვენ შესაბამის დოკუმენტაციას (მათ შორის, ინფორმაციის მატარებლებს,

რომლებზეც კეთდებოდა ჩანაწერები მიმდინარე მოვლენების შესახებ იმ ინსტრუქციის თანახმად, რომელიც ამა თუ იმ დაწესებულების მიერაა რეგლამენტებული) და ა.შ.

საგამოძიებო ჯგუფი თავის მუშაობას აგებს იმის მიხედვით, თუ როგორ ვითარდება სიტუაცია შემთხვევის ადგილზე ან სხვაგან.

რაც შეეხება დაგეგმვას, მისი ფორმა კანონმდებლობით არ არის დადგენილი და მას გამომძიებელი თავად არჩევს. ძირითადად ის შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სქემის სახით:

რაც შეეხება დაგეგმვას მისი ფორმა კანონმდებლობით დადგენილი არ არის და მას გამომძიებელი თვითონ არჩევს. ძირითადად ის შეიძლება წარმოდგენილი იქნას ასეთი ცხრილის სახით:[66-78]

გამოძიებით დასადგენი გარემოებები	რა არის ცნობილი მოცემული გარემოებების შესახებ, ვერსიების აგება	რისი დადგენაა აუცილებელია	ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ან საგამოძიებო მოქმედებები	ვადა	შემსრულებელი	შედეგი (მოკლედ)
1	2	3	4	5	6	7

პირველ სვეტში ჩამოთვლილია ის გარემოებები, რომლებიც ძიებას ექვემდებარებიან.

როგორც არაერთხელ აღინიშნა, ტერორისტული საქმეების გამოძიების საწყისი ეტაპი საკმაოდ რთულია, მაგრამ საქმის გარემოებების გამოძიება შემდგომაც არ არის იოლი. გამოძიების დროს, გარდა ტრადიციულად გამოსაძიებელი გარემოებებისა, უნდა დადგინდეს ისეთებიც, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ტერორისტებს თავიანთი ჩანაფიქრის რეალიზებაში. სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ მათი გამოძიება რეალურად შეიძლება სხვა დანაშაულის ძიებად იქცეს. მაგალითად, თუ ტერორისტებმა გამოიყენეს ასაფეთქებელი მოწყობილობები, მაშინ დაწვრილებით უნდა გამოიძიონ მათი დაუფლების გარემოებები. ეს კი შეიძლება დაკავშირებული იყოს ქურდობასთან, კონტრაბანდასთან და სხვა დანაშაულებთან.

მეორე სვეტში მოცემულია ის გარემოებები, რომლებიც უკვე დადგენილია გამოძიების გეგმის შედგენისას. საყურადღებოა, რომ ამ სვეტში უნდა იყოს მოცემული მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც მოპოვებულია კონკრეტული გარემოების კვლევის საწყის ეტაპზე.

მესამე სვეტში ფიქსირდება ის შეკითხვები, რომლებიც ჩნდება ყოველი გარემოების თაობაზე არსებული ინფორმაციის ირგვლივ. ხოლო თუ ინფორმაცია არ არსებობს, სვეტში განთავსდება აუცილებლად გასარკვევი საკითხები, რომლებიც დაგვეხმარება მაქსიმალურად სრული წარმოდგენა შევიქმნათ ყოველი გარემოების შესახებ. ინფორმაციის დეფიციტის შემთხვევაში ეს საკითხები დაგვეხმარება ძირითადი მიმართულებების განსაზღვრაში.

მეოთხე სვეტში მოცემულია ის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები და საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოცემული გარემოებების სრულ გამოძიებას. აქ მოკლედ ჩამოითვლება ამ მოქმედებებისა და ღონისძიებების ძირითადი მიზნები.

მეხუთე სვეტში მითითებულია ღონისძიებების განხორციელების ვადები. ამის მითითება დაგეგმვის დროს აუცილებელია, განსაკუთრებული ისეთ სიტუაციაში, როცა ვითარება არ იძლევა გამოძიების კანონით დადგენილ დროში დამთავრების საშუალებას.

გამოძიების უფრო ეფექტური ორგანიზებისთვის, ჯგუფის ხელმძღვანელმა უნდა განსაზღვროს ჯგუფის ყოველი წევრის საქმიანობის მიმართულება, აგრეთვე კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა განხორცელებას იგი თითოეულ მათგანს ავალებს. ყველაფერი ეს უნდა დაფიქსირდეს მეექვსე სვეტში.

მეშვიდე სვეტში მოკლედ უნდა აისახოს განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებების ან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგები.

ძიებისას ყურადღება უნდა მიექცეს დამნაშავეებს, მათ ახლო ნათესავებსა და ნაცნობებს შორის არსებული კავშირის სქემის შედგენას. ხანდახან ასეთი ურთიერთობები იმდენად ჩახლართულია, რომ სქემის გარეშე შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რა ურთიერთობაში იყვნენ ერთმანეთთან ესა თუ ის პირები. ასეთი სქემები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ დიდი და კარგად ორგანიზებული ტერორისტული ფორმირების საქმიანობის გამოძიებისას.

ამის გარდა, ასეთი სქემები შეიძლება დაგვეხმაროს გამოძიებისათვის უცნობი კავშირების დადგენაშიც.

თუ ხდება დიდი ხნის წინ შექმნილი ტერორისტული ფორმირების საქმიანობის გამოძიება, აუცილებლად გაირკვევა, რომ მისი შემადგენლობა უცვლელი არ რჩებოდა და დანაშაულებს სჩადიოდნენ არა ერთი და იგივე პირები. ასეთ

შემთხვევაში დიდი დახმარება შეიძლება გაგვიწიოს ცხრილმა, რომელშიც ასახულია ცნობები ყველა ეპიზოდის შესახებ იმის მითითებით, თუ ვინ მონაწილეობდა მასში.

გამოძიებისათვის საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია შეიძლება მოგვცეს დამნაშავეებისა და დაზარალებულების გადაადგილების სქემებმა. ისინი გამოძიების საწყის ეტაპზევე გვეხმარებიან, დაახლოებით მაინც განვსაზღვროთ, თუ რამდენ დამნაშავეს შეეძლო განეხორციელებინა შესაბამისი ქმედებები ერთდროულად ან დროს მცირე მონაკვეთში, სად შეიძლება დარჩენილიყო აუფეთქებელი მოწყობილობები და ა.შ.

§ 3.4. ცალკეული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების თავისებურებები

ტერორიზმთან ბრძოლა დღეისათვის სამართალდამცავი ორგანოების წინაშე მდგარი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ტერორისტული დანაშაულის გამოძიება და გახსნა საკმოდ რთულია. სწორედ ამიტომ გამომძიებელმა უნდა გამოიყენოს კანონით დაშვებული ყველა შესაძლებლობა, რათა წარმატებით გადაწყვიტოს მის წინაშე მდგარი ამოცანა.

საგამოძიებო დათვალიერებები

პირველ რიგში, განვიხილოთ საგამოძიებო დათვალიერებები, რომლის გარეშეც წარმოუდგენილია ტერორიზმის გამოძიება. ტერორისტული დანაშაულის ძიებისას ყველა სახის დათვალიერებას მიმართავენ, მაგრამ მათგან უმთავრესი შემთხვევის ადგილის დათვალიერებაა.[19-23]

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკის განსაზღვრა საკმაოდ რთულია. პირველ რიგში, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, არსებობს დანაშაულის ჩადენის ორი ფორმა: ტერაქტის განხორციელება და მისი განხორციელების მუქარა.

ცხადია, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერება დასახელებულ სიტუაციებში არსებითად განსხვავება ერთმანეთისგან.

თუ ადგილი ჰქონდა მუქარას, შემთხვევის ადგილზე აუცილებლად დარჩება კვალი. მაგალითად, თუ მუქარა ტელეფონით განხორციელდა, მაშინ იმ

ადგილას, საიდანაც დარეკეს, შეიძლება იყოს თითის ანაბეჭდები ყურმილზე, ტანსაცმლის მიკრონაწილები, ფეხსაცმლის კვალი იატაკზე და ა.შ.

თუ მოთხოვნები წამოყენებულ იქნა წერილობით, უნდა დადგინდეს მისი დაწერის ადგილი, რათა აღმოჩენილ იქნას ტრადიციული კვლები. აუცილებელია ასევე თვით წერილის დაწვრილებით დათვალიერება, თუმცა ეს უკვე დოკუმენტის დათვალიერებაა და არა შემთხვევის ადგილის.

ტერაქტების შედეგად, როგორც წესი, ზიანდება სხვადასხვა ობიექტი. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ჯერ კიდევ არის იმის საშიშროება, რომ მოხდეს განმეორებითი აფეთქება, ჩამოინგრეს ნაგებობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას დათვალიერებაში მონაწილე პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ამიტომ, პირველ რიგში, შემთხვევის ადგილზე ლიკვიდირებულ უნდა იქნას ყოველგვარი საფრთხე. ასეთი ადგილის დათვალიერებისას აუცილებელია დიდი მოცულობის საგამოძიებო და საექსპერტო სამუშაოს ჩატარება კვალთან და ნივთიერ მტკიცებულებებთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ფიქსაციურ მამტკიცებელ საშუალებად გამოყენებულ იქნას ვიდეოჩანაწერი. ეს საშუალება, სხვებთან შედარებით, ყველაზე სრულად ასახავს შემთხვევის ადგილზე ვითარებას და იგი საშუალებას იძლევა, შემთხვევის ადგილი კარგად შეისწავლონ იმ პირებმაც კი, რომლებიც პირველდაწყებითი დათვალიერების დროს იქ არ იყვნენ. იმის გამო, რომ გამომძიებელს დიდი მოცულობის სამუშაო აქვს ჩასატარებელი, მას შეიძლება გაეპაროს რიგი წვრილმანი. ის ობიექტები, რომლებიც ვერ დაფიქსირდა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში, მაგრამ მოხვდა ვიდეო ჩანაწერში, შეიძლება შემგომ გამოიყენონ პროცესუალური მტკიცების დროს.

როგორც პრაქტიკა მოწმობს, ტერორისტული ქმედებები ხშირ შემთხვევაში გამოიხატება აფეთქებაში. ამოტომაც მნიშვნელოვანია, განვიხილოთ სწორედ ასეთი შემთხვევის ადგილის დათვალიერების ორგანიზებისა და განხორციელების თავისებურებები.

დამდგარი შედეგების მიხედვით გამოყოფენ სიტუაციებს, როდესაც

1. აფეთქება იწვევს დიდ საზოგადოებრივ რეზონანსს (მოხდა დიდი სიმძლავრის აფეთქება, რასაც მოჰყვა მნიშვნელოვანი მსხვერპლი).

2. აფეთქება არ იწვევს ასეთ რეზონანსს (მოხდა მცირე სიმძლავრის აფეთქება მსხვერპლისა და დიდი ნგრევის გარეშე).

პირველ სიტუაციაში გამომძიებელი შემთხვევის ადგილზე შედის სპეციალისტ-გამნაღმველთან ერთად ან მის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხოება.

მეორე სიტუაციაში გამომძიებლის ამოცანა უფრო რთულია: ხშირად სწორედ მან უნდა გადაწყვიტოს ჩართოს თუ არა სპეციალისტთა ჯგუფი შემთხვევის ადგილზე მუშაობისას. გამომძიებელმა უნდა უზრუნველყოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების უსაფრთხოება. ამიტომ მიზანშეწონილია აფეთქების ადგილის შესწავლა პერიფირიიდან ცენტრისაკენ.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში ყველა მონაცემი უნდა დაფიქსირდეს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს არსებული გარემოებების დასადგენად.

თუ ასაფეთქებელი მოწყობილობა გააუვნებელყოფეს აღმოჩენის ადგილზე, მაშინ მას ლუქავენ და შემდეგ კანონის შესაბამისად გამოიყენებენ, როგორც ნივთიერ მტკიცებულებას.

თუ განაღმვა შეუძლებელია, მაშინ შემთხვევის ადგილი შეძლებისდაგვარად უნდა აღიწეროს აფეთქებამდე და მის შემდეგ.

ოქმში უნდა აღინიშნოს ასაფეთქებელი მოწყობილობების აღმოჩენის დრო და ბუნებრივი პირობები, აგრეთვე აფეთქების მომენტი, აფეთქების ხერხები, ტრანსპორტირების პირობები და ა.შ. დათვალიერების პროცესში აუცილებელია მიღებულ იქნას სპეციალისტების მიერ მოძიებული მასალების ნიმუშები შემდგომი საექსპერტო კვლევისათვის.

ასაფეთქებელი მოწყობილობების გაუვნებელყოფა უნდა მოხდეს შესაბამისი მოთხოვნებისა და წესების დაცვით გამომძიებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ნივთიერი მტკიცებულების განადგურების შესახებ აქტი ეგზავნება იმ პირს, ვინც დანიშნა ექსპერტიზა. გამომძიებელთან შეთანხმებით შეიძლება გარკვეული დროით გადაიდოს ასაფეთქებელი ობიექტების განადგურება იმ მიზნით, რომ ისინი ექსპერიმენტული აფეთქების დროს გამოიყენონ.

ასაფეთქებელი ნივთიერებები შეიძლება განადგურდეს ორი გზით: აფეთქებით და ცეცხლის წაკიდებით, რომელთაგან უპირატესობა უნდა მიენიჭოს უფრო უსაფრთხო ცეცხლის წაკიდებას. ძირითადი მოთხოვნები აქაც იგივეა. ასაფეთქებელი ნივთიერებები შეიძლება აფეთქებული იქნან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აუცილებლად მთლიანად განადგურდებიან.

ცეცხლის წაკიდებით გამოწვეული ხანძრის ადგილის დათვალიერებას აქვს თავისი სპეციფიკა. შემთხვევის ადგილზე მისვლისთანავე გამომძიებელმა უნდა მიიღოს მონაცემები იმ ჯგუფის შესახებ, რომელიც აქრობდა ხანძარს, უნდა დააფიქსიროს ხანძრის გაჩენის შესახებ პირველადი ინფორმაცია, თავად დარწმუნდეს ადგილის უსაფრთხოებაში. ყურადღება უნდა მიექცეს ხანძრის ჩაქრობის დროს გამოყენებულ ხერხებს, ვინაიდან წყლის გამოყენება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დანაშაულის კვალის გაქრობას.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების მოსამზადებელ ეტაპზე აუცილებელია განისაზღვროს ქარის მიმართულება და სიმძლავრე ხანძრის დაწყების სტადიისთვის. ეს განსაკუთრებით აუცილებელია იმ შემთხვევებში, როცა ხანძარი მოედო გვერდით მდგარ ობიექტებს. ასეთი მონაცემები აუცილებლად შეტანილი უნდა იქნას ოქმში.

თუ გამომძიებელი ხანძრის დროს მივიდა შემთხვევის ადგილზე, მას თვითონ შეუძლია ქარის მიმართულებისა და სიმძლავრის განსაზრვრა (ბოფორტის შკალის გამოყენებით) მაგრამ ეს იქნება მონაცემები მისი ადგილზე მისვლის მომენტისათვის.

წინასწარი მონაცემების მიღების შემდეგ გამომძიებელმა უნდა დაათვალიეროს შემთხვევის ადგილი, ყურადღება მიაქციოს ხანძრის ადგილთან მისასვლელებს, შენობის კონსტრუქციის თავისებურებებს და ა.შ.

თუ გამომძიებელი შემთხვევის ადგილზე მივიდა ხანძრის ლიკვიდაციამდე, მაშინ დათვალიერების ოქმში უნდა შევიდეს:

- ქარის მიმართულება და სიმძლავრე;
- ხანძრის გავრცობის დინამიკა, რომელ ადგილებშია იგი უფრო ინტენსიური,
- ალის ფერი, სუნი;
- ხანძრის ქრობის დროს არსებული ან არარსებული აალებები;

- მეხანძრეების მოქმედებები;

- ცვლილებები, რომლებიც მოხდა ხანძრის ადგილას, ასევე მათი მიზეზები.

ხანძრის ლიკვიდაციის შემდეგ იწყება ხანძრის კერის დათვალიერება, რომელზეც შეიძლება მიუთითონ თვითმხილველებმა. ოქმში უნდა აღინიშნოს არსებობს თუ არა შენობის გარე კედლებზე ხანძრის კვალი. თუ აღმოჩენილია ელექტროგამათმობელი მოწყობილობები, დათვალიერების ოქმში უნდა აღინიშნოს, ჩართული იყვნენ ისინი ელექტროქსელში თუ არა.

ყველაზე ხშირად ტერორისტული ქმედებები ხორციელდება დაწესებულებებში და სხვა სამეურნეო ობიექტებზე, რომელთა დათვალიერებისას უნდა გაირკვეს: არსებობს თუ არა ობიექტზე თვითაალებადი, ადვილად აალებადი ნივთიერებები, ნახევარფაბრიკატები, საწვავი, სად მდებარეობს სხვადასხვა აპარატურა და ა.შ.

ეს მონაცემები რეკომენდებულია მიღებულ იქნას არამარტო დათვალიერებისას არამედ მის დაწყებამდე დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლების დაკითხვის მეშვეობით.

თუ ობიექტი მთლიანად განადგურდა, მაშინ უნდა მოხდეს ნარჩენების შესწავლა. სქემის შედგენის დროს რეკომენდებულია აღინიშნოს (წითელი ფანქარით) შენობის ის ნაწილები და ნივთები, რომლებიც დაიწვა.

სასიცოცხლო ობიექტზე ავარიის შემთხვევაში, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში შეტანილ უნდა იქნეს: ჩამრთველების, გამომრთმველების, ღილაკებისა და დოკუმენტების რაოდენობა, რომლებიც უნდა იყოს ამა თუ იმ ადგილზე, ნგრევისა და დაზიანებების მოცულობა და ხასიათი.

ამას გარდა, კანონის თანახმად, თუ დავალიერების საწარმოებლად დიდი დროა საჭირო, ის საგნები, რომლებსაც შეიძლება კავშირი ჰქონდეს საქმესთან, უნდა იქნეს ამოღებული, დალუქული და დამოწმებული გამომძიებლისა და დამსწრეების ხელმოწერით. ასეთ შემთხვევაში შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში უნდა დაფიქსირდეს დათვალიერების მიმდინარეობა და მისი შედეგები, უნდა ჩამოითვალოს და აღიწეროს ყველა ამოღებული ნივთი, მათი დალუქვის წესი და ისიც, თუ სად გაიგზავნა ეს ნივთები.

დაკითხვის ტაქტიკური თავისებურებები

დაზარალებელის დაკითხვის მომზადების, განხორციელებისა და შედეგების შეფასებისათვის საჭიროა გათვალისწინებულ იქნას მისი ფსიქიკური მდგომარეობა. ტერაქტის შემდგომ დღეებში დაზარალებულები შეიძლება გაურბოდნენ მომხდარის შესახებ საუბარს, იყონ არაგულწრფელები. ყოფილა შემთხვევები, როდესაც აცხადებენ, რომ არანაირ ტერაქტს ადგილი არ ჰქონია.

ხშირად ფიქსირდება "რეგრესიის" რეაქცია – ბავშვური მოქცევა და არაკორექტული პასუხები. არცთუ ისე იშვიათად დაზარალებულები შოკს იწვევენ თავიანთი გამონათქვამებით, გარკვეულწილად ამართლებენ ტერორისტების ქმედებას, რაც ფსიქიკური ტრავმით აიხსნება.

აქედან გამომდინარე, დაზარალებულთან საუბრისას ან მისი დაკითხვისას უნდა გათვალისწინებულ იქნას, რომ პირდაპირმა კითხვებმა ფსიქომატრავმირებელ გარემოებებთან დაკავშირებით შეიძლება გააძლიერონ მოწმის ფსიქიკური ჩაკეტილობა. ამიტომ ხშირად უფრო პროდუქტიულია "შემოვლითი" შეკითხვების დასმა. გარდა ამისა, გათვალისწინებულ უნდა იქნას ის გარემოებაც, რომ პოსტტრავმული, სტრესული მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ დაზარალებულებს ახსენდებათ გამოძიებისათვის საინტერესო ისეთი ფაქტები, რომლებზეც მანამადე ყურადღება არ გაუმახვილებიათ. ამიტომ გამართლებულია განმეორებითი საუბრები დაზარალებულთან ნახევარი წლის შემდეგაც კი.

ტერორიზმის ჩამდენი სუბიექტის დაკითხვის სპეციფიკა დამოკიდებულია მის პიროვნულ თავისებურებებზე. პარანოიდული ტიპის სუბიექტები მტკივნეულად აღიქვამენ მათი იდეების პირდაპირ ან ირიბ დაცინვას. ისინი დიდი სიამოვნებით ერთვებიან ფილოსოფიურ გარჩევებში, უსმენენ მხოლოდ საკუთარ თავს. ასეთ დროს მათ არ უნდა შევაწყვეტინოთ საუბარი, და ნელნელა გადავიყვანოთ ფილოსოფიური ინტონსიკაციის მდგომარეობაში, რომლის დროსაც ღირებული ინფორმაცია შეიძლება, მივიღოთ.

იმპულსური პირები წვრილმანებშიც კი იცავენ თავიანთ უფლებებსა და ინტერესებს, გამოირჩევიან დიდი გამძლეობითა და სიჯიუტით გრძელვადიანი დაკითხვების პერიოდშიც. მათ გააჩნიათ კარგი მეხსიერება და ახსოვთ ერთი შეხედვით არაარსებითი მოვლენები. [105-25]

სოციოპათები ყველაფერზე ადვილად თანხმდებიან და ყველაფერს იოლადვე უარყოფენ. ისინი იტყუებიან, რათა თავიდან აიცილონ უსიამოვნებები და სასჯელი. ერთადერთი, რაც მათ მობილიზებულს ხდის, ეს არის ყოველგვარი გამონათქვამებისა და განაცხადის გადამოწმება და საუბრისას მკაცრი სუბორდინაციის დამყარება.

ემოციურად გაუწონასწორებელმა პირებმა დაკავების, დაპატიმრების, დაკითხვის დროს შეიძლება განახორციელონ დემონსტრაციული სუიციდური ქმედებები. ამიტომ დაკითხვამდე ისინი უნდა დაწვრილებით გაიჩხრიკონ. დაკითხვის პროცესში გამოუვალ მდგომარეობაში მათმა ჩაყენებამ შეიძლება პროვოცირება მისცეს "კრიმინალურ ისტერიკას" მუქარითა და შანტაჟით.

თვითმხილველი მოწმეების დაკითხვის მომზადების, წარმოების და შედეგების შეფასების თავისებურებები ანალოგიურია დაზარალებულის დაკითხვის თავისებურებებისა, ვინაიდან, მართალია, ნაკლები დოზით, მაგრამ თვითმხილველებიც ფსიქომატრავმირებელ ზემოქმედებას დაექვემდებარნენ.

ექსპერტიზები

ტერორისტული დანაშაულის გამოძიებისას ინიშნება შემდეგი ტიპური ექსპერტიზები:

- სასამართლო-სამედიცინო;
- სასამართლო-ბალისტიკური;
- ტრასოლოგიური;
- ფეთქებად-ტექნიკური ექსპერტიზა;
- სასაქონლო ექსპერტიზა;
- ქიმიურ-ბიოლოგიური ექსპერტიზა;

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა იძლევა პასუხებს სამედიცინო და ბიოლოგიური ხასიათის კითხვებზე. მის ამოცანაში შედის: გვამის ექსპერტიზა, რომლის მიმართაც განხორციელდა ტერაქტი ან იმ დაზიანების გამოკვლევა, რომლებიც მიადგა პირს, აგრეთვე ბიოლოგიური წარმოშობის კვლევისა და სხვა ნივთმტკიცებების ექსპერტიზა ლაბორატორიული მეთოდების გამოყენებით.

გვამის გამოკვლევისას კითხვების ხასიათი და რაოდენობა, რომლებიც ისმევა ექსპერტიზის წინაშე, დამოკიდებულია დანაშაულის ჩადენის ხერხზე, გვამის აღმოჩენის დროზე და სხვა გარემოებებზე. ძირითადად პასუხი უნდა გაეცეს სტანდარტულ შეკითხვებს. მაგალითად, რა არის სიკვდილის გამომწვევი მიზეზი; როდის დადგა სიკვდილი; რა სახის დაზიანებებია გვამზე; რომელი მათგანი არის მიყენებული სიცოცხლის დროს და რომელი სიკვდილის შემდეგ; რომელმა დაზიანებამ გამოიწვია სიკვდილი; დაზიანების მიღების შემდეგ რამდენ ხანს იცოცხლა დაზარალებულმა.

სხეულის დაზიანების გამოკვლევისას ექსპერტიზამ უნდა უპასუხოს შეკითხვებს: რა სახის დაზიანებები აქვს მიყენებული დაზარალებულს, რა ხარისხის, რა იარაღით; თუ დაზიანება რამოდენიმეა, როგორია მათი მიყენების თანმიმდევრობა; როგორი იყო დაზარალებულისა და თავდამსხმელის ურთიერთგანლაგება დაზიანების მიყენებისას და ა.შ.

ნივთმტკიცებათა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზას ძირითადად ექვემდებარება სისხლი, სპერმა, თმა, ოფლი და სხვა. უნდა დადგინდეს ობიექტზე არსებული მასა სისხლია თუ სხვა ნივთიერება; ეკუთვნის თუ არა იგი ადამიანს; თუ სისხლია, როგორია მისი ზონალური *წარმოშობა* (ვენოზურია თუ არტერიული), ეკუთვნის იგი მამაკაცს თუ ქალს; რა რაოდენიბით არის გამოყოფილი ესა თუ ის ნივთიერება; სისხლის მსგავსად, როგორც ცნობილია, ყველა ამ ნივთიერებას გააჩნია ჯგუფური კუთვნილება და ხდება მათი იდენტიფიკაცია ადამიანის სისხლის ჯგუფთან.

სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზა - იკვლევს იარაღს, საბრძოლო მასალებს, რომელთა მეშვეობით მიყენებულ იქნა დაზიანება. მის წინაშე დგას შემდეგი ამოცანები: აღმოჩენილი მასრების, ტყვიების გასროლის კვლების მეშვეობით იარაღის სახეობის და მოდელის დადგენა. იარაღის გამოკვლევისას შეიძლება დადგინდეს ვარგისია თუ არა ის სახმარად; შესაძლებელია თუ არა მოცემული კალიბრის ტყვიებით გასროლა მოცემული იარაღიდან; კუსტარული თუ ქარხნული წარმოებისაა იგი; როდის მოხდა ბოლოს გასროლა აღნიშნული იარაღიდან და ა.შ.

ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული დაზიანებების გამოკვლევისას სასამართლო-ბალისტიკურმა ექსპერტიზამ შეიძლება დაადგინოს: არის თუ არა მოცემული დაზიანება მიყენებული ცეცხლსასროლი იარაღიდან; რა მანძილიდან

განხორციელდა გასროლა; რომელია ტყვიის სხეულში გავლის შედეგად გაჩენილი ხვრელებიდან შემავალი და რომელი გამომავალი; ხომ არ ჰქონდა ადგილი რიკოშეტს; როგორი იყო დაზარალებულისა და თავდამსხმელის ურთიერთგანლაგება გასროლის დროს (ვიზირება).[19-56,77]

ფეთქებად-ტექნიკური ექსპერტიზა – ინიშნება აფეთქების კერის, ასაფეთქებელი ნივთიერებების სახეობის, რაოდენობისა და ხასიათის, აფეთქების რეალური ან შესაძლებელი შედეგების, ასაფეთქებელი მოწყობილობების მექანიზმების თავისებურების, მათი დამზადების დროისა და ადგილის დასადგენად; იმის გასარკვევად, თუ რომელი ასაფეთქებელი სისტემა იქნა გამოყენებული (მინა, ხელყუმბარა, თვითნაკეთი მოწყობილობა) და ა.შ.

ტრასოლოგიური ექსპერტიზა – ტერორიზმთან დაკავშირებით ყველაზე ხშირად გამოიყენება ფეხის კვალის შესასწავლად. ამ დროს ექსპერტიზის ძირითადი დანიშნულებაა იმ ფეხსაცმლის დადგენა, რომელმაც დატოვა კვალი ან იმ ადამიანის იდენტიფიკაცია, რომელმაც შემთხვევის ადგილზე ფეხშიშველმა გაიარა. გარდა ამისა, არსებული ანაბეჭდების საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს შემდეგი მონაცემები: რამდენი ადამიანი მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში: მათი სქესი, სიმაღლე, აგებულება და სხვა; სტერეოტიპის ინდივიდუალურ-ფუნქციონალურ ნიშნებს გვაძლევს აგრეთვე სიარულის მანერის განსაზღვრა.

სასაქონლო ექსპერტიზა ინიშნება, თუ აღმოჩენილია რაიმე სამრეწველო ან საყოფაცხოვრებო ნივთი, მისი ნაგლეჯი, სიგარეტის ყუთი და სხვა. ამ ექსპერტიზის ძირითადი ამოცანაა ამ ნივთების ჯგუფური კუთვნილების, წარმოშობის, დამზადების დროისა და ადგილის დადგენა.

რიგ შემთხვევაში ინიშნება კომპლექსური ბიო-ქიმიურ ექსპერტიზა შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ობიექტების იდენტიფიკაციის და ჯგუფური კუთვნილების დასადგენად (საღებავების ნაწილაკები, სიგარეტის ნამწვი), აგრეთვე იმ მიკრონაწილაკების გამოსაკვლევად, რომლებიც აღმოჩენილია ეჭვმიტანილის ტანსაცმელზე ან სხეულზე, მის საცხოვრებელში და ა.შ.

ამრიგად, როგორც უკვე აღინიშნა, ტერორიზმის საშიშროება არ გამოიხატება მხოლოდ მსხვერპლისათვის ზიანის მიყენებაში. არანაკლები საფრთხე ექმნება საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და საერთოდ კონსტიტუციურ წყობილებას. შიში, რომელსაც ტერორისტები თესავენ საზოგადოებაში, უმწეობის განცდა,

მოსახლეობის მიერ სახელმწიფო სტრუქტურებისადმი ნდობის დაკარგვა – აი, ის მეტნაკლებად აშკარა შედეგები, რაც მოყვება ხოლმე ტერორიზმის წინააღმდეგ არასაკმარისად ეფექტურ ბრძოლას.

ტერორიზმის მასშტაბები უკვე კარგა ხანია გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და შესაბამისად ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებელი პირობა საერთაშორისო თანამშრომლობა უნდა იყოს. როგორც ცნობილია, დღეისათვის გაერო ანტიტერორისტული კომიტეტის ფარგლებში აქტიურად მუშაობს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის უნივერსალური სტრატეგიისა და საერთაშორისო თანამშრომლობის კომპლექსური პროგრამის შესაქმნელად.

საერთაშორისო თანამეგობრობის ფარგლებში კონტრტერორისტული გამოცდილება იძლევა იმის საშუალებას, რომ გამოიყოს თანამშრომლობის ყველაზე მთავარი და აქტუალური მიმართულებები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში:

- ინფორმაციის სისტემატური გაცვლა სპეცსამსაურებსა და სხვა კომპეტენტურ ორგანოებს შორის;
- კანონმდებლობის უნიფიკაცია;
- ურთიერთმოქმედება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების კომპლექსური ჩატარებისას, საერთაშორისო ტერორიზმისა თუ სხვა ექსტრემისტული გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლის დროს;
- ანტიტერორისტული დანაყოფების სპეციალისტებისა და ინსტრუქტორების მომზადებაში ურთიერთდახმარება;
- იმ პირების ძებნასა და დაკავებაში ხელშეწყობა, რომლებმაც ჩაიდინეს ტერორისტული ხასიათის დანაშაული და ემალებიან მართლმსაჯულებას;
- ერთობლივი ღონისძიებების (მათ შორის სამხედრო-ტექნიკური ხასიათისაც) ორგანიზაცია ტერორისტული ჯგუფების და ორგანიზაციების გამოსავლენად და აღსაკვეთად, ასევე მათი ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფის წყაროების დასადგენად და სამწვრთნელი ბაზების გასანადგურებლად;
- ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდიკის გამომუშავება და ა.შ.

ასეთი მრავალმხრივი მიდგომა ზუსტად შეესაბამება ტერორიზმის რთულ სტრუქტურას. მაგრამ მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, მაინც ვერ ხერხდება ამ

მოვლენის სრულყოფილად ახსნა და ადეკვატური კონტროლი. მსოფლიოს მოსახლეობა შეშინებულია ტერორიზმით, ხოლო ხელისუფლებებს, თავის მხრივ არ შესწევთ ძალა ამ საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური ხერხების შესამუშავებლად.

არარეალურია იმის მტკიცება, რომ შესაძლებელია ტერორისტული ძალადობის სრულად აღმოფხვრა თავისუფალ საზოგადოებაში. მაგრამ შესაძლებელია ტერორიზმის ასპექტების მრავალმხრივი და ფუნდამენტური კვლევა, რაც უფრო საფუძვლიანს გახდის ჩვენს წარმოდგენას ამ რთული მოვლენის შესახებ და შესაბამისად, საშუალებას მოგვცემს, უფრო ეფექტურად ვებრძოლოთ მას.

თავი IV

ტერორიზმის პრევენციასთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტები

§ 4.1 ტერორიზმის პრევენციასთან დაკავშირებული პრობლემები

ტერმინი „პრევენცია“ ნიშნავს – წინასწარ მიღებული ზომებით რაიმეს თავიდან აცდენას, არიდებას, დასწრებას, მომხდარზე ადრე რაიმეს გაკეთებას.

ჩვენი აზრით, ტერორიზმის პრევენცია შეიძლება განხილულ იქნას, სულ მცირე, ორ ასპექტში. პირველ რიგში, ტერორიზმის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის გაზრდა – ნებისმიერი თანამედროვე სახელმწიფოს პირველხარისხოვანი ამოცანაა; და მეორე, ტერორიზმის პრევენცია არის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და იურიდიული ხასიათის ზომების კომპლექსური სისტემა, რომელიც მიმართულია: ტერორისტული ორგანიზაციების (დაჯგუფებების), ტერორისტული აქტების განხორციელების, ტერორიზმის შედეგების თავიდან აცილებაზე და მისი მიზანია მოსახლეობის საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სახელმწიფოს საერთაშორისო, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების დაცვა. [129]

ამასთან, ვიდრე ტერორიზმის პრევენციულ ზომებზე ვისაუბრებდეთ, აუცილებელია, გავამახვილოთ ყურადღება ამ ზომების გამოყენების შემაფერხებელ ფაქტორებზე, რათა მომავალში შევძლოთ მათი დახვეწა.

ვ.ნ. ანტონოვი სამართლიანად მიიჩნევს, რომ „თანამედროვე პირობებში მოხდა ტერორიზმის ტრანსფორმირება საკმაოდ მასშტაბურ და რთულ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენად, რომელიც სისტემატურად მეორდება და განპირობებულია იმ მრავალფეროვანი წინააღმდეგობებით, რომლებიც საზოგადოებაში არსებობს და ცხოვრების ძირითად სფეროებს მოიცავს.“[65-33]

დაღესტნის პროკურორის მოადგილემ, ჰ. ალიევმა გამოყო ის თავისებურებები, რაც ტერორიზმის პრევენციასა და მის წინააღმდეგ ბრძოლაზე ახდენს გავლენა: [64-45]

1) ტერორისტული მიმართულების დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ხორციელდება მეტწილად უკვე ჩადენილ დანაშაულზე რეაგირებისას;

2)დანაშაულებრივი ხელყოფის პრევენციის, დანაშაულებრივ დაჯგუფებათა საერთაშორისო და რეგიონთაშორისი კავშირების მოშლის და, ამის შედეგად, ტერორისტული ორგანიზაციების ლიკვიდაციის მიზნით ერთობლივი სამუშაოები არ ტარდება;

3) დღესდღეობით ჯერ კიდევ არ არსებობს ტერორისტული დაჯგუფებების მიერ ყველა ადრე ჩადენილი დანაშაულისა და ამ დაჯგუფებათა წევრების შესახებ მონაცემთა ერთობლივი და სრულფასოვანი საინფორმაციო ბაზა;

4) ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულის აღრიცხვისა და რეგისტრაციის საკითხებში შიდაუწყებრივი გათიშულობაა. შედეგად ხდება სტატისტიკური მონაცემების დამახინჯება, ირღვევა სისხლის სამართლის საქმეთა თანმიმდევრული რეგისტრაცია, რაც იწვევს საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების დუბლირებას, შეუძლებელს ხდის ოპერატიული ინფორმაციის გაცვლას;

5) ყურადღების მიღმა რჩება ტერორისტული ხასიათის დანაშაულისთვის ადრე სასჯელმოხდილი ბევრი პირი. ზოგიერთი მათგანი განაგრძობს ანტისაზოგადოებრივ საქმიანობას, ინახავს ცეცხლსასროლ იარაღს, იფარავს ძებნაში მყოფ პირებს;

6) შინაგან საქმეთა ორგანოების ინიციატივით ტერორისტული დაჯგუფებების სავარაუდო წევრების საცხოვრებელ ადგილებში არაერთგზის ჩატარებული ჩხრეკა შედეგს არ იღებს. ზოგიერთ სისხლის სამართლის საქმეზე დაფიქსირდა მოსალოდნელი საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებების თაობაზე ინფორმაციის გაჟონვა.

ამასთან, პრობლემატურია ტერორიზმის თანამედროვე ტენდენციების საკითხიც. მხოლოდ ამ ტენდენციების გათვალისწინებითაა შესაძლებელი ტერორიზმის პრევენციისა და მასთან ბრძოლის ეფექტურ სისტემაზე საუბარი. პროფესორი ვ.ვ. ლუნეევი თანამედროვე ტერორიზმის ძირითად ტენდენციად ასახელებს საზოგადოებრივი საშიშროების ზრდის მიმართულებით მის ინტენსიურ ცვლას:

- **ზრდისა და მატების ტემპების მიხედვით** (ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოში მხოლოდ გახმოვანებული და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქებული 10 ათასზე მეტი ტერორისტული აქტი განხორციელდა);

- **ორგანიზების დონის მიხედვით** (ბოლო ასწლეულის განმავლობაში ტერორიზმმა დიდი ევოლუციური გზა განვლო მარტოხელა-ტერორისტებიდან ტერორისტული დაჯგუფებების, მსხვილი ორგანიზაციებისა და პოლიტიკური ტერორისტული ფორმირებების შექმნამდე, ალ–ქაიდას ტიპის ტრანსნაციონალური ტერორისტული გაერთიანებების ჩამოყალიბებამდე);

- **მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის მიხედვით** (ხანჯლისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებიდან ტერორისტული აქციების მსოფლიო დამფინანსებელი ცენტრების მეშვეობით შეძენილ კოლოსალური აფეთქებების გამომწვევ და მასობრივი განადგურების საშუალებების ფლობამდე);

- **ტერორისტული საქმიანობის ნაციონალური და ტრანსნაციონალური მასშტაბების მიხედვით** (ტერორიზმის მასშტაბები ფართოვდება ცალკეული დანაშაულის ადგილიდან მთელ ქალაქებამდე, ქვეყნებამდე და რეგიონებამდე);

- **შედეგის სიმძიმის ხარისხისა და ადამიანური მსხვერპლის რიცხოვნობის მიხედვით** (ადამიანური მსხვერპლის ზრდის ტემპი საშუალოდ აღემატება თავად ტერორისტული აქტების მატების ტემპს. მსხვერპლი შეიძლება იყოს ცალკეული პირიდან დაწყებული ათი ათასობით უდანაშაულო ადამიანით დამთავრებული);

- **მიზნების ხასიათისა და მოცულობის მიხედვით** (დღესდღეობით, დიაპაზონი საკმაოდ ფართეა: დაწყებული ცალკეულ პირთა მკვლელობით და ლეგიტიმური ხელისუფლებების ჩამოგდებით, სახელმწიფოთა და მთელი ერების ფაქტობრივი განადგურებით დამთავრებული);

- **ტერორიზმის სოციალური ბაზის გაფართოების მიხედვით** (ტერორისტებს არამარტო ცალკეული პოლიტიკური, ნაციონალისტური თუ რელიგიური ორგანიზაციები, არამედ მთელი ერები (ხშირად მოტყუებული), ან მათი მნიშვნელოვანი ფენები უერთდებიან.[95-35,36]

საქართველოში ტერორიზმის პრევენციის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი **სპეციალურ სუბიექტებს** უკავიათ:

1. შსს კონტრტერორისტული ცენტრი, კონტრდაზვერვის, კონსტიტუციური უსაფრთხოების და სპეციალურ-ოპერატიულ დეპარტამენტები ახორციელებენ

ოპერატიულ–სამძებრო საქმიანობას ტერორიზმის გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით.

2. **საქართველოს მთავარი პროკურატურა** თავისი კომპეტენციის ფარგლებში ზედამხედველობას ახორციელებს ტერორიზმის ფაქტებზე ოპერატიული ინფორმაციის მოგროვების ხარისხზე, ანალიზსა და კანონიერებაზე.

3. **საქართველოს დაზვერვის სამსახური,** საგარეო დაზვერვის სხვა ორგანოების მსგავსად, ახდენს პოლიტიკური მიმართულების მქონე ტერორისტული საქმიანობის პრევენციას საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული დაწესებულებების, მათი თანამშრომლებისა და ოჯახის წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზით.

4. **საქართველოს თავდაცვის სამინისტრო** უზრუნველყოფს მის შეიარაღებაში არსებული მასობრივი განადგურების, სარაკეტო და საუწყებო იარაღის, ტყვია-წამლისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების უსაფრთხო შენახვას, სამხედრო ობიექტების დაცვას; გარდა ამისა, მონაწილეობს სახელმწიფო საზღვაო ნაოსნობის, საჰაერო სივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და კონტრტერორისტული ოპერაციების ჩატარებაში.

5. **საქართველოს სასაზღვრო სამსახური** ახორციელებს პოლიტიკური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას მისი პრევენციის, გამოვლენისა და ტერორისტების მიერ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის, რუსეთის ტერიტორიაზე, ან პირიქით, მისი ტერიტორიიდან იარაღის, ასაფეთქებელი და სხვა სახის ნივთიერებების (რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული ტერორისტული დანაშაულის ჩადენის საშუალებად) უკანონოდ გადაზიდვის აღკვეთის გზით.

6. **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო** ტერორიზმს ებრძვის ტერორისტული ხასიათის მქონე ანგარებით ჩადენილი დანაშაულის პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის გზით. ტერორიზმში ბრალდებული პირების ძებნისა და პასუხისგებაში გადაცემის მიზნით თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფოსთან ინტერპოლის ცენტრალური ეროვნული ბიუროს მეშვეობით.

§ 4.2 ტერორიზმის თავიდან აცილების სამართლებრივი თავისებურებანი

ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლების კუთხით ფრიად საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა. მისი ნებისმიერი მუხლი შეიძლება გამოყენებულ იქნას საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით. ოცამდე კანონს ამერიკის შეერთებული შტატების სამართალდამცავები აქტიურად იყენებენ ტერორიზმთან საბრძოლველად. ამ კანონთა ერთი ნაწილი მიღებულია და შემუშავებულია კონვენციების საფუძველზე, მეორე კი იცავს აშშ-ს ინტერესებს საზღვარგარეთ.

დანაშაულთან ბრძოლის შესახებ 1984 წელს მიღებული ყოვლისმომცველი კანონის მიხედვით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ტერორისტულ აქტად მიჩნეულია დანაშაულები, რომლებიც დაკავშირებულია ძალადობრივი ხასიათის ქმედების ჩადენასთან, თუ იგი საშიშია ადამიანის სიცოცხლისათვის, არღვევს ფედერალურ სისხლის სამართლის კანონს ან თუ მასზე ვრცელდება ნებისმიერი შტატის იურისდიქცია. ეს კანონი ტერორისტულ აქტს მიაკუთვნებს ნებისმიერ ძალმომრეობით ქმედებას, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, მიზნად ისახავს მოსახლეობის დაშინებას, ან მათ იძულებას განახორციელონ რაიმე ქმედება.

საერთაშორისო თანამეგობრობამ შეიმუშავა მთელი რიგი სპეციფიკური საპროცესო წესები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ნაციონალურ კანონმდებლობაზე.

მაგალითად, საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილია ახალი თავი, რომელიც ეთმობა ტერორიზმის შესახებ საქმის წარმოების თავისებურებას, კერძოდ ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტურად ბრძოლის მიზნით შეცვლილია დაკავების ვადები, განსჯადობა, დიდი ყურადღება ეთმობა წამახალისებელ ნორმებს და შესაბამის შეღავათებს ტერორისტულ აქტებზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში. დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა სამართალდამცავ ორგანოებს ტერორისტული ორგანიზაციის ქონების კონფისკაციის განხორციელების უფლებას აძლევს, შემუშავებულია დამატებითი საპროცესო გარანტიები საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვის თავიდან ასაცილებლად. გათვალისწინებულია ზოგიერთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების სპეციფიკა, კერძოდ, საგამოძიებო მოქმედებები ტარდება დამსწრეთა გარეშე.

ნაციონალურ კანონმდებლობასთან ერთად დიდი როლი ენიჭება საერთაშორისო ნორმატიულ აქტებს, რომლებიც მიღებულია მსოფლიოში ტერორიზმის შემცირების მიზნით. აქ ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უკავია მსოფლიო თანამეგობრობის მიერ საერთაშორისო კონვენციებში ჩამოყალიბებულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ვალდებულია გადასცეს ტერორისტი სახელმწიფო ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს სასამართლო დევნის განხორციელებისათვის. იმ შემთხვევაში კი, თუ ტერორიზმის ორგანიზატორს გაეროს წევრი ქვეყანა ეხმარება, ასეთი ქვეყნის მიმართ გამოყენებული იქნება პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის სანქციები.

§ 4.3. ტერორიზმის პრევენცია, მსოფლიო გამოცდილება

კრიმინოლოგიის ზოგად თეორიაში დანაშაულის პრევენციის ორ ძირითად სახეობას გამოყოფენ: დანაშაულის **ზოგად (ზოგადსოციალურ)** და **სპეციალურ** პრევენციას.[78-342] პირველი ზოგადად საზოგადოების, მისი ყველა ინსტიტუტის ანტიკრიმინოგენული პოტენციალის რეალიზებას ახდენს. მეორე მიზანმიმართულია დანაშაულის დაუშვებლობაზე. [17-239-245]

ზოგადი (ზოგადსოციალური) პრევენცია მოიცავს მსხვილ, გრძელვადიანი ხასიათის მქონე სოციალური პრაქტიკის სახეებს, ამ სიტყვის ფართე გაგებით.

ასე მაგალითად, ეკონომიკის სფეროში ეს არის თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოების განვითარება, კარგად მოფიქრებული სტრუქტურული და საინვესტიციო სტრატეგია, ეროვნული ვალუტისა და მთელი საფინანსო სისტემის გაძლიერება, ინფლაციის შემცირება და ა.შ. პოლიტიკურ სფეროში ეს არის ახალი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება და განვითარება, დემოკრატიის გაძლიერება, ხელისუფლების ყველა შტოს გამყარება და სხვა. სოციალურ სფეროში (ამ სიტყვის ვიწრო გაგებით) დიდი ანტიკრიმინოგენური მნიშვნელობა აქვს საზოგადოების მკვეთრად განსხვავებულ სოციალურ ფენებად დაშლის ტენდენციის აღკვეთას, ხელმოკლე მოქალაქეთა მხარდაჭერას, ოჯახური ღირებულებების განმტკიცებას, უმუშევრობისა და ადამიანთა იძულებითი მიგრაციის უარყოფითი შედეგების შეზღუდვას და ა.შ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოების ცხოვრების სულიერ სფეროს, ვინაიდან ზნეობა ყოველთვის უპირისპირდება დანაშაულს, ხოლო უზნეობა წარმოშობს მას.

დანაშაულის **სპეციალური პრევენციის ზომები** მრავალფეროვანია და სხვადასხვა საფუძვლის მიხედვით კლასიფიცირდება. ასე მაგალითად, სპეციალურ-კრიმინოლოგიური ზომები განსხვავებულია შინაარსის (ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურულ-აღმზრდელობითი და სხვ.); მოქმედების მასშტაბების (ზოგადსახელმწიფოებრივი, რეგიონული და სხვ.) მიხედვით. სამართლებრივი ხასიათის მიხედვით გამოირჩევა შემდეგი სოციალურ-კრიმინოლოგიური ზომები: სამართლის ნორმების საფუძვლის მქონე, მაგრამ მათ მიერ არარეგლამენტირებული (მაგალითად, სამართლებრივი განათლება, აღზრდა) და იურიდიული ნორმებით დეტალურად რეგულირებადი (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებულ პირებზე მილიციის ადმინისტრაციული ზედამხედველობა).

სოციალური პრევენციის ზომების დიფერენციაციის სხვა საფუძვლებიც არსებობს.

ზემოაღნიშნული ზომების გამოყენება სრულად შეიძლება ტერორიზმთან მიმართებაშიც. ამის მაგალითია ს. გონჩაროვის მიერ შემოთავაზებული ანტიტერორისტული საქმიანობის ზომების კლასიფიკაცია. ეს ზომებია:[76-68]

- საკანონმდებლო;
- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი;
- სისხლის სამართლის;
- სოციალური;
- ფინანსურ-ეკონომიკური;
- პოლიტიკური;
- სამხედრო;
- პროპაგანდისტური;
- პროფილაქტიკური და სხვ.

ს. გონჩაროვის აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს ვ. ველიჩკო, რომლიც მიიჩნევს, რომ მოყვანილ კლასიფიკაციაში აუცილებლია აგრეთვე ნაციონალურ და საერთაშორისო მონაწილეთა ერთობლივი საქმიანობის ჩართვა. ავტორი

სამართლიანად აღნიშნავს, რომ ძალობრივი მეთოდების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ბოლო სტადიზე, რაც ტერორისტების განადგურებას გულისხმობს.[72-62]

მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს ვ. პეტრიშევიც,[106-89] რომლის მიხედვით, ტერორიზმის აღსაკვეთად ახალი სიტუაცია მოითხოვს შეთანხმებული საერთაშორისო პოლიტიკის გატარებას. ავტორის აზრით, მთავრობებს შორის ზოგიერთ პრინციპულ პოზიციაზე შეთანხმება უნდა მოხდეს, კერძოდ: რა დიპლომატიური ზომებით იქნება შესაძლებელი ანტიტერორისტული საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა; როგორი უნდა იყოს ტერორიზმის სპონსორი სახელმწიფოს წინააღმდეგ ეკონომიკური ემბარგოს დაწესების მექანიზმი; რა დათმობებზე შეიძლება წასვლა ტერორისტებთან მოლაპარაკების დროს. ამასთან, ავტორი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ დღევანდელ პირობებში მკაცრი პრინციპი „არანაირი დათმობა“ უძლურია. და სხვა.

ყოფილი რუსეთის გენერალური პროკურორის, ვ. სტინოვის[116-56] აზრით,.” ტერორიზმის წინააღმდეგ ადეკვატური სახელმწიფო სტრატეგიის ფორმირების უმნიშვნელოვანესი ასპექტია ამ უკანასკნელის განხილვა არა მარტო დანაშაულის პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის კუთხით, არამედ მთლიანობაში – უსაფრთხოების უზრუნველყოფის მრავალფუნქციური და მრავალდონიანი საერთო სისტემის ფარგლებში. ვ. უსტინოვის აზრით, ტერორისტული საქმიანობის პრევენციაში აუცილებელია როგორც ამ პროცესში საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი სახელმწიფო მმართველობის ყველა ორგანოს, ისე არასახელმწიფოებრივ სტრუქტურათა შესაძლებლობების სრულად გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ დეტექტივთა მსოფლიო ასოციაციის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ, დ. ტალმა, ადრეც გაუსვა ხაზი უშიშროების კერძო სამსახურების როლს ტერორიზმის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მისი მოსაზრებით, პროფესიული ორგანიზაციები შეიძლება იდეისა და ძალისხმევის მატარებლად და ხელისუფლების, სამართალდამცავი ორგანოებისა და უშიშროების კერძო სამსახურთა ინდუსტრიის დამაკავშირებელ ხიდად იქცნენ. მისი რუსი კოლეგა, უშიშროების არასახელმწიფოებრივ სტრუქტურათა ასოციაცია „არგუსის“ პრეზიდენტი, ი. ლევიცკი ასევე აღნიშნავს უშიშროების არასახელმწიფოებრივ საწარმოთა როლს ტერორიზმის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ფედერალურ სისტემაში. [114-106]

ი. ლევიცკის აზრით, ტერორიზმის პრევენციაში უშიშროების არასახელმწიფოებივ სტრუქტურათა მონაწილეობის ფორმებია: [91-114]

- საეჭვო პირების, ფირმების, კონკრეტული ფაქტების შესახებ სამართალდამცავი ორგანოების დროული ინფორმირება;

- სამართალდამცავი ორგანოების მიერ მასშტაბური ოპერატიული ღონისძიებების (დაკავება, დაპატიმრება, ჩხრეკა, ამოღება, მოწმეებით უზრუნველყოფა და ა.შ.) ჩატარებისას დაცვის არასახელმწიფოებრივ სტრუქტურათა სწრაფი რეაგირების ჯგუფების ძალოვანი მხარდაჭერა;

- ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემაში კარგად ჩახედული სამართალდამცავი ორგანოების ყოფილი თანამშრომლების პრესაში პუბლიკაცია და ტელეეთერით ექსპერტის როლში გამოსვლა;

- ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება და კონსულტაციის გაწევა;

- სპეცსამსახურებისა და სახელმწიფო სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით საზოგადოებრივი ღონისძიებების (კონფერენციების, „მრგვალი მაგიდების“, სემინარების და სხვ.) ორგანიზება;

- კრიზისულ სიტუაციებში მსხვილი ქალაქების საცხოვრებელი კვარტლების პატრულირების მიზნით დაცვის კერძო სამსახურების თანამშრომელთა მოწვევა;

- ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო საზოგადოებრივ კომიტეტებსა და მოძრაობებში მონაწილეობა;

- არასახელმწიფოებრივი საწარმოების მიერ სამართალდამცავი ორგანოებისთვის, სპეცსამსახურებისა და სხვა დაცვის კერძო საწარმოთათვის იარაღის, ასაფეთქებელი მოწყობილობებისა და ფეთქებადი ნივთიერებების გამოვლენის სპეცტექნიკისა და აფეთქების საწინააღმდეგო საშუალებების (მაგ. რადიოამფეთქებლის/დეტონატორის ბლოკირატორი) შემუშავება, წარმოება და მიწოდება. მასობრივი თავშეყრის ადგილებში საკონტროლო-გამშვები პუნქტების აღნიშნული ტექნიკით აღჭურვა.

ტერორიზმის პრევენციულ ზომებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს ამ უარყოფითი მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსული იურიდიული მეცნიერების მნიშვნელობა. ასე, საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემაზე საუბრისას,

აკადემიკოსი ვ. კუდრიავცევი აღნიშნავდა, რომ მეცნიერებს შესწევთ უნარი, გამოიმუშავონ პოტენციური ბოროტებისგან დაცვის, მათ შორის, ტერორისტთა ფსიქოლოგიისა და ფსიქიკის შესწავლის სიბრტყეში არსებული თანამედროვე საშუალებები. [109-2]

ზოგიერთი რუსი მეცნიერი (ა.ი. დოლგოვა, ვ.ვ. ლუნეევი, გ.მ. მინკოვსკი, ა.ვ. ნაუმოვი, ვ.ე. პეტრიშევი, ვ.პ. რევინი და სხვ.)[79-89] მიიჩნევს, რომ ტერორიზმის პრევენციის ეფექტურობის ამაღლებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ზომების დახვეწისათვის აუცილებელია სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა. ამ ცვლილებებისა და დამატებების არსი შემდეგში მდგომარეობს: ტერორიზმის ცნების დაზუსტება; ორგანიზებული ტერორისტული საზოგადოების (ორგანიზებული ტერორისტული დაჯგუფების) ცნების შემოტანა; რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენა მთელ რიგ ახალ დანაშაულებებზე, მაგალითად, ტერორისტული ქმედების ჩადენის შესახებ მითითების შემცველი ინფორმაციის გავრცელებაზე, საერთაშორისო ტერორიზმზე და სხვ.; რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში თანამონაწილეობისა და ხელშეწყობის სპეციფიკური ფორმების გათვალისწინება: ტერორისტებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება, მათი ინტერესების წარმოდგენა და სხვა. აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით განსაკუთრებული პროცესუალური წარმოების შემოღება, რაც სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეთა უსაფრთხოების მიზნით მათ შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვას უზრუნველყოფს; რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლთა კორექტირება, სადაც აღწერილია ტერორისტული საქმიანობის ნიშნების მქონე შემადგენლობა.

ამასთანავე, ტერორიზმის პრევენციის სტრატეგია უნდა მოიცავდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კომპეტენტურ საინფორმაციო პოლიტიკას. დღესდღეობით, მეცნიერების სხვადასხვა სფეროს სპეციალისტები (იურისტები, ფილოსოფოსები, თეოლოგები, ფსიქოლოგები, მედიკოსები და სხვ.) აღნიშნავენ მოსახლეობის ფსიქოლოგიურ და შესაბამისად, ქცევით განწყობაზე გარკვეული საინფორმაციო პროდუქტის უარყოფითი ზეგავლენის ნეგატიურ ტენდენციას (მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სისასტიკის, ძალადობის, სისხლის აღების, რადიკალურ – ნაციონალისტური განწყობისა და ქცევის მორალურად დამახინჯებული სტერეოტიპების პროპაგანდა და ა.შ.).[99-45]

§ 4.4 საერთაშორისო თანამშრომლობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში (საერთაშორისო ორგანიზაციები)

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2003 წლის აქტის 1–ლი ნაწილი ადგენს სამართლებრივი ურთიერთდახმარების ძირითად ფარგლებს. გაერთიანებული სამეფო არ მოითხოვს ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების არსებობას სხვა ქვეყნისთვის დახმარების გაწევის მიზნით (თუმცა, ჩვეულებრივ, თანამშრომლობას მივმართავთ). გამონაკლისს წარმოადგენს საბანკო აქტივების კონფისკაცია და დაკავება, რა დროსაც მოვითხოვთ (გაერთიანებული სამეფოს მხარე) ორმხრივ ან მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.[128]

ექსტრადიციის შიდა სამართლებრივ ჩარჩოს წარმოადგენს ექსტრადიციის შესახებ 2003 წლის აქტი, რომელიც ძალაში 2004 წლის 1-ელ იანვარს შევიდა. ამ აქტის 1-ლ იანვარს შევიდა. ამ აქტის 1–ელ და მე–2 ნაწილებში მოცემულია ის 100 ქვეყანა, რომლებთანაც ექსტრადიციის საკითხებში გაერთიანებულ სამეფოს აქვს ურთიერთობები. 193-ე სექცია ითვალისწინებს ექსტრადიციას იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებთანაც გაერთიანებულ სამეფოს არ გააჩნია საერთო საექსტრადიციო ურთიერთობები, მაგრამ რომლებიც მიერთებული არიან გაერთიანებული სამეფოს სხვადასხვა კონვენციებს.

გაერთიანებული სამეფოს მიერ ხდება როგორც თავისი, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქის ექსტრადიცია და მისი კანონმდებლობა ექსტრადიციის შესახებ ვრცელდება ტერორისტული სახისა და სხვა სახის დანაშაულებზეც.[131]

გაეროს კონვენცია ტერორიზმის შესახებ გაერთიანებულმა სამეფომ ხელი მოაწერა და მიიღო ტერორიზმთან მიმართებაში არსებულ გაეროს თორმეტივე კონვენციას. გაერთიანებული სამეფო მხარს უჭერს გაეროს უშიშროების საბჭოს 1373–ე რეზოლუციას, რომელიც ყველა სახელმწიფოს უდგენს მოვალეობებს ტერორიზმის წინააღმდეგ და მის აღსაკვეთად ზომების მიღებისთვის.

ევრო კავშირში გატარებული ზომები:

გაერთიანებული სამეფო ერთობლივ მუშაობას წარმართავს ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებთან ერთად, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის დროულ, უსაფრთხო და ეფექტურ გაცვლა/მიწოდებას, ტერორისტული საქმიანობის დაფინანსების კოორდინირებას, მუშაობას წარმართავს იმ ფაბრიკების მიმართ, რომლებიც ტერორიზმის დაფინანსებასა და ამდაგვარ საქმიანობაში არიან ჩართულნი. გაერთიანებული

სამეფო 2005 წლის მეორე ნახევრისთვის დაიკავებს ევროკავშირის პრეზიდენტურას.

დიდი რვიანი

გაერთიანებული სამეფო დიდი რვიანის წევრია და 2005 წელს ჯგუფის პრეზიდენტურის სტატუსს მიიღებს მისი პრიორიტეტები აქ იგივეა, როგორიც ევროკავშირში, მაგრამ მას ემატება აშშ ში თI-ის ინიციატივების ტრანსპორტისა და მგზავრობის უსაფრთხოების შესახებ.

ევროსაბჭოს კონვენციები – გაერთიანებული სამეფო	ხელმოწერის დრო	რატიფიცირების დრო
ტერორიზმის აღკვეთის ევროპის კონვენცია (თშ 90)	27/1/1977	27/1/1978
ოქმი შესწორებების შეტანის შესახებ (თშ 190)	15/5/2003	
ევროპული კონვენცია ექსტრადიციის შესახებ (თშ 24)	21/12/1990	13/2/1991
მეორე დამატებითი ოქმი (თშ 98)	9/11/1992	8/3/1994
ევროპული კონვენცია სისხლის სამართლებრივ საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ (თშ 30)	21/5/1991	29/81991
ირველი დამატებითი ოქმი (თშ 99)	21/6/1991	29/8/1991
მეორე დამატებითი ოქმი (თშ 182)	8/11/2001	
ევროპული კონვენცია ძალადობრივი დანაშაულების მსხვერპლთა კომპენსაციის შესახებ (თშ 116)	24/11/1983	7/2/1990
სისხლის სამართალწარმოებიდან გათეთრების, ამოღების, კონფისკაციის შესახებ ევროპული კონვენცია (თშ 141)	8/11/1990	28/9/1992
ონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ (თშ 185)	23/11/2001	

გერმანელთა აზრით ტერორიზმთან ბრძოლაში განსაკუთრებული ადგილი უკავია საერთაშორისო თანამშრომლობას. ამასთან დაკავშირებით გერმანია აქტიურად მონაწილეობს ექსტრადიციის და საერთო დახმარების სფეროში, ასევე მხარს უჭერს და მონაწილეობს საერთაშორისო ორგანიზაციებში,

რომლებიც იბრძვიან ტერორიზმის წინააღმდეგ (ასეთი ორგანიზაციებია გაერო და ევროკავშირი).

გერმანიამ მიიღო სპეციალური ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობს სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობას ტერორიზმთან და დანაშაულის სხვა ფორმებთან ბრძოლის საკითხებში, განსაკუთრებით კი ექსტრადიციის და ერთობლივი დახმარების სფეროში. კრიმინალურ საკითხებში საერთაშორისო დახმარების სახელმწიფო კანონის საფუძველზე გერმანიას შეუძლია სხვა სახელმწიფოებისათვის უზრუნველყოს ერთობლივი სამართლებრივი დახმარება და ექსტრადირება გაუკეთოს უცხოელებს. ამასთან ერთად გერმანია წარმოდგენილია სხვადასხვა ხელშეკრულებების მონაწილედ, მათ შორის 1957 წლის ექსტრადაციის შესახებ ევროპული კონვენცია და 1959 წლის კრიმინალურ საკითხებში ერთობლივი დახმარების ევროპული კონვენცია. კანონის და ხელშეკრულებების გამოყენება ტერორისტული შემთხვევების დროს.

1997 წლის ტერორიზმის დახშობის შესახებ ევროპული კონვენცია, რომელსაც გერმანიამაც მოაწერა ხელი და მოახდინა მისი რატიფიცირება, სპეციალურად არის შექმნილი, რათა ხელი შეუწყოს იმ პირთა ექსტრადირებას, რომლებმაც განახორციელეს ტერორისტული აქტები.

გერმანიამ ხელი მოაწერა აგრეთვე გაეროს თორმეტ ანტიტერორისტულ კონვენციას და აღნიშნული თორმეტი კონვენციიდან ამ დროისათვის რატიფიცირებულია თერთმეტი.. გერმანია ხელს უწყობს გაეროს უშიშროების საბჭოს მუშაობას და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის ვალდებულებები ტერორიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ გერმანიაში უკვე განხორციელებულია.

როგორც ვხედავთ, ტერორიზმი უკვე დიდი ხანია ნაციონალურ საზღვრებს გასცდა და საერთაშორისო ხასიათი მიიღო. ოცდამეერთე საუკუნის ამ ყველაზე დიდ საფრთხესთან საბრძოლველად კი აუცილებელია სახელმწიფოების ერთიანობა და თანამშრომლობა. საერთაშორისო ორგანიზაციები ცდილობენ საჭირო ნაბიჯები გადადგან ტერორიზმთან ბრძოლაში საერთაშორისო-სამართლებრივი ინსტრუმენტების ეფექტურობის ამაღლების მიზნით.

დასკვნა

ამგვარად, ძალადობა წარმოშობს ძალადობას. ტერორიზმი იწვევს ტერორიზმს და, სწორედ ამიტომ, ტერორი, ზოგადად რომ ვთქვათ, გარდაუვალია. აღნიშნული მოსაზრება შესაძლოა არაპოპულარული აღმოჩნდეს, განსაკუთრებით ტერორიზმის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლისკენ მუდმივი და საყოველთაო მოწოდებების ფონზე. თუმცა, შეგვიძლია გავაკეთოთ უფრო მოულოდნელი განცხადებაც: ტერორიზმის წინააღმდეგ არ უნდა იბრძოლო. ეს უაზრო და უშედეგო საქმეა. როდესაც ქუჩებში აფეთქებებია, ხოლო ტერორისტული ორგანიზაციები თვალსა და ხელს შუა მრავლდება და ასობით წევრს ითვლის (როგოც ეს დღევანდელ პალესტინასა და მიმდებარე ქვეყნებში ხდება), ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა უშედეგოა. ეს არ არის უბრალო ტერორიზმი, არამედ ომია, რომელიც უკვე მიმდინარეობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს არა მარტო ტერორიზმის წარმოქმნის მიზეზები (რომლებიც საკმაოდ აშკარაა), არამედ მისი განვითარების თავიდან აცილების ძირითადი გზებიც. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანს გამოვყოფთ. წინასწარ უნდა ითქვას, რომ ქვემოთ მოყვანილი მომენტები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განვიხილოთ როგორც იურიდიული, იდეოლოგიური, რელიგიური, სოციალური, პოლიტიკური თუ ცალკე აღებული სხვა სფეროს კუთვნილება. ეს, უპირველეს ყოვლისა, სოციალურ-ფსიქოლოგიური ანტიტერორისტული მოსაზრებებია და ყველა ზემოაღნიშნულ სფეროს ეხება.

პირველი. ყოველთვის შენარჩუნებული უნდა იყოს ტერორისტებთან დიალოგის შესაძლებლობა, ანუ ასეთი ტიპის კონტაქტისთვის „კარი უნდა იყოს ღია“. ტერორისტული აქტის ორგანიზებისა და განხორციელების გარდა, პოტენციურ ტერორისტებს აუცილებლად უნდა მიეცეთ საშუალება, განაცხადონ საკუთარი თავის შესახებ, შეატყობინონ თავიანთი მოთხოვნები. ეს შესაძლებელია, თუ ტერორიზმი ჯგუფური ხასიათისაა, მაგრამ გაცილებით რთულია, თუ საქმე ინდივიდუალურ ტერორიზმს ეხება. პირველი ტიპის მაგალითია საკმაოდ ხშირი კონტაქტები და პერიოდული შეთანხმებები ინგლისის ხელისუფლებასა და ირლანდიის რესპუბლიკური არმიის პოლიტიკურ ფრთას შორის. აღნიშნული კონტაქტები ამცირებს ტერორისტული აქტების რაოდენობას, მიუხედავად იმისა, რომ ტერორისტული აქტების ალბათობა სრულად გამორიცხული არ არის.

მეორე. სახელმწიფოები არ უნდა იყვნენ ექსტრემისტულნი საკუთარი მოქალაქეების მიმართ და არც ერთმანეთისადმი. ექსტრემიზმი წარმოშობს ექსტრემიზმს, აქედან კი ტერორიზმამდე არც თუ ისე შორია. უნდა გვახსოვდეს: ხალხი ქმნის სახელმწიფოს თავისი ურთიერთობების რეგულირებისათვის, მაგრამ ეს არ აძლევს სახელმწიფოს უფლებას, დაჩაგროს ხალხი. განვითარებულ ქვეყნებში ამ შეგნების საფუძველზე ჩამოყალიბდა ის, რასაც დღეს სამოქალაქო საზოგადოებას უწოდებენ. ასეთი საზოგადოება თავისთავზე იღებს თვითრეგულირების პრობლემებს, ზღუდავს სახელმწიფოს ექსტრემისტულ გამოვლინებებს. რაც უფრო განვითარებულია სამოქალაქო საზოგადოება, მით ნაკლებია ტერორიზმის აღმოცენების საფუძველი. სამოქალაქო საზოგადოებას, როგორც წესი, ძალუძს თვითშეზღუდვაც დაუწესოს საკუთარ თავს, რაც აუცილებელია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ამა თუ იმ ეტაპზე, თანამედროვე პირობებში ამის მაგალითია ცხოვრების ზოგიერთი ჩვეული დემოკრატიული ნორმის შეზღუდვა.

მესამე. ტერორიზმის რეალური პრევენცია, როგორც წესი, გულისხმობს მის „ღრმა ფესვებზე“ ზემოქმედებას. აზრს მოკლებულია შიდა, ფსიქოლოგიური საფუძვლების ჩამოთვლა – მათზე ზემოქმედება კაცობრიობისთვის ჯერ კიდევ რთულია. ტერორიზმი ვითარდება ხუთ ძირითად „გარე“ საფუძველზე დაყრდნობით. ეს არის იდეოლოგიური, რელიგიური, სოციალური, პოლიტიკური და გეოპოლიტიკური საფუძვლები.

იდეოლოგიურ საფუძვლებთან დაკავშირებით ვითარება მეტნაკლებად ნათელია. რადიკალური იდეოლოგიური კონსტრუქციების წარმოქმნის ეტაპზევე სასარგებლოა განმარტებითი სამუშაოს ჩატარება – თუნდაც ასეთი იდეოლოგიის მომხრეების ზედმეტი რადიკალიზმის თავიდან აცილების მიზნით. უარღესად განვითარებული დემოკრატიის პირობებშიც კი, სახელმწიფოს არასდროს შეუძლია მოიხსნას იდეოლოგიური ფუნქცია. ნებისმიერი სახელმწიფოს მთავარი იდეაა სტაბილურობის შენარჩუნება თავად სახელმწიფოს შენარჩუნებისთვის. რაოდენ მიუღებელიც არ უნდა იყოს „განმარტებითი სამუშაო“, უკეთესია, ის ჩატარდეს წინასწარ, მსუბუქი ფორმით. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მისი ჩატარება უკიდურესი აუცილებლობით იქნება განპირობებული, სამუშაოს დაწყებისთანავე საჭირო გახდება მკაცრი ზომების გატარება, რაც გულისხმობს სახელმწიფო სანქციებსა და საკანონმდებლო აკრძალვებს: მაგალითად, ფაშისტური ან სხვა

ნაციონალისტური იდეოლოგიის აკრძალვა შესაბამისი პარტიებისა და სხვა იდეურ-პოლიტიკური სტრუქტურების ლიკვიდაციით. რაც შეეხება რელიგიურ საფუძვლებს, აქაც ვითარება მეტნაკლებად ნათელია. პრაქტიკულად ყველა ტრადიციული მსოფლიო რელიგია დიდი ხანია „სარწმუნოებრივად შემწყნარებელია“. ისინი აშკარად უარყოფენ ტერორიზმს და წარმატებით თანაარსებობენ როგორც სახელმწიფოსთან, ისე ერთმანეთთან. შეშფოთებას იწვევს ე.წ. არატრადიციული რელიგიები ან უკიდურესად ექსტრემისტული რელიგიური სექტები და ორგანიზაციები. აქაც საკმაოდ ეფექტურია ანტირადიკალისტური და ანტიექსტრემისტული განმარტებითი სამუშაოს ჩატარება ეკლესიასთან ერთად (რაოდენ შორს არ უნდა იდგეს რელიგია სახელმწიფოსგან, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ორივე მხარე ერთნაირად დაინტერესებულია მშვიდობასა და სტაბილურობაში). ცხადია, ეს გაცილებით ნაყოფიერია, ვიდრე „არატრადიციული სექტებისა“ და „ახლადმოვლენილი კულტების“ მოღვაწეობის დაგვიანებული ფორმალური აკრძალვები, ახლადგამოცხადებული „მესიებისა“ და „წინასწარმეტყველების“ დაპატიმრებები.

ტერორიზმის სოციალური საფუძვლები, როგორც წესი, უკავშირდება სოციალურ და ეკონომიკურ უთანასწორობას. გასაგებია, რომ ასეთი უთანასწორობის სრული ლიკვიდაცია არის სოციალისტური ან კომუნისტური უტოპია, რაც უკავშირდება სოციალური ერთგვარობის მიღწევის არარეალიზებად იდეას. მიუხედავად ამისა, აღნიშნული იდეის ნაწილი – ე.წ. საშუალო კლასის ჩამოყალიბება და გაფართოება – ცივილიზებულ ქვეყნებში არსებული სახელმწიფო წყობის სტაბილურობის რეალურ გარანტად არის მიჩნეული. თვითშენარჩუნებითა და სოციალური ბაზის, აგრეთვე თავისი „საშუალო ფენის” გაფართოებით დაინტერესებულია ნებისმიერი სახელმწიფო“. ეს გულისხმობს ისეთი საერთო სახელმწიფოებრივი საშემოსავლო პოლიტიკის არსებობას, რომელიც მოსახლეობის უკიდურესად გაჭირვებული ფენების ლიკვიდაციის საშუალებას იძლევა და უზრუნველყოფს გარკვეულ კონტროლს სოციალური დოვლათის შედარებით სამართლიან განაწილებაზე იმგვარად, რომ საზოგადოებაში არ დაგროვდეს აშკარა უთანასწორობის ისეთი განცდა, რომლის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ რადიკალური ძალადობრივი საშუალებებით.

ეკონომიკური საფუძველი არა იმდენად ადამიანთა ეკონომიკურ უთანასწორობაში მდგომარეობს, რამდენადაც ასეთი უთანასწორობის

უჩვეულობაში ან მის მეტისმეტად დია, შემზარავ და ამიტომ, ხალხისთვის გამაღიზიანებელ ხასიათში. ღარიბები და მდიდრები ერთმანეთის წინააღმდეგ ტერორისტულ აქტებს აწყობენ არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც უკიდურესი ზღვარია ღარიბსა და მდიდარს შორის და ეს სხვაობა განსაკუთრებით დიდი და ფსიქოლოგიურად დაუძლეველი ხდება, ანდა როდესაც ადამიანთა ერთი ნაწილი სხვა ადამიანთა ეკონომიკურ ინტერესებს აშკარად ლახავს.

ტერორიზმის პოლიტიკური საფუძვლები ქვეყნის შიგნით ძალაუფლების არათანაბარ განაწილებას უკავშირდება. ტერორიზმის გეოპოლიტიკური საფუძვლები კი კავშირშია სახელმწიფოთა განსხვავებულ ინტერესებსა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებთან. წინააღმდეგობრივი ინტერესები და გამძაფრებული ურთიერთობები ხშირად სახელმწიფოთაშორისო ტერორიზმს წარმოშობს. ზოგიერთი ქვეყნის მიდრეკილება იდეოლოგიური, ეკონომიური, საინფორმაციო და ა.შ. ექსპანსიისადმი განზოგადებულად ვლინდება გეოპოლიტიკურ ექსპანსიაში. შემთხვევითი არ არის, რომ თანამედროვე „ცივილიზებული სამყაროსთვის“ სახელმწიფოთაშორისო საზღვრების სტაბილურობა უსაფრთხოების შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის მოვლენები განიხილება როგორც სახელმწიფოთაშორისო ტერორიზმის ექსტრემალური გამოვლინება, ქვეყნების უმეტესობა აუცილებლად მიიჩნევს მისი შედეგების შენარჩუნებას, უპირველეს ყოვლისა გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. ამ შედეგების გადახედვის ნებისმიერი მცდელობა განიხილება, როგორც ომისშემდგომი მსოფლიო წყობის სტაბილურობის ხელყოფა და მძაფრი დაპირისპირების მიზეზი ხდება.

მეოთხე. უაღრესად დემოკრატიულმა სახელმწიფომაც კი არ უნდა დაუშვას გადამეტებული დემოკრატია. ვერაფერს გახდები: დემოკრატია ხშირად ტერორიზმის მეორე მხარედ იქცევა, აძლიერებს რა ყოველდღიურ ცხოვრებისეულ რისკს და ანიჭებს რა ტერორისტებს ზედმეტ თავისუფლებას მათ საქმიანობაში. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, „მეტისმეტი დემოკრატია“ შესაძლოა მოქალაქეთა კონტროლის ავტორიტარული მეთოდების შემოღების მიზეზი გახდეს. ასე რომ არ მოხდეს, საჭიროა დემოკრატიული პროცესის თანმიმდევრული განვითარება. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ქვეყნებს, რომლებიც ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიაში გარდამავალ სტადიაზე იმყოფებიან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია. თბილისი 1995 წლის 24 აგვისტო 2009 წლის თებერვლის მონაცემებით

2. .საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, თბილისი –2007, 27ივნისი

3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი – თბილისი 1997 წლის 22 ივლისი, 2008 წლის მდგომარეობით

4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი – თბილისი 1998 წლის 20 თებერვალი, 2008 წლის მდგომარეობით

5. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის კომენტარები, ტომი II, თბილისი – 2007 წელი.ა

6. ავტორთა კოლექტივი. კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემები, – თბილისი თბილისი – 2002 წელი.

7. ავტორთა კოლექტივი. კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატები და საქართველო – მთავარი რედაქტორი გიორგი ღლონტი. თბილისი 2003 წ

8. ავტორთა კოლექტივი. კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში. გ.ღლონტის სამეცნიერო რედაქტორობით. თბილისი – 2008 წელი.

9. ავტორთა კოლექტივი. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ.სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისთავი XXII-XXIV), ოთარ გამყრელიძის დირექტორობით, თბილისი გამომცემლობა „მერიდიანი“-2008 წ

10. ოთარ გამყრელიძე. სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება (ზოგადი ნაწილი) თბილისი-2008 წ.

11. ევროპის საბჭოს დოკუმენტთა კრებული ადამიანის უფლებების დაცვისა და დანაშაულთან ბრძოლის შესახებ – 1998.

12. ნოდარ თოფურიძე, ზვიად ცაგარეიშვილი. საერთაშორისო სისხლის სამართალი – თბილისი 2003 წელი.

13. მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი „პასუხისმგებლობა საერთაშორისო დანაშაულისათვის“ -, -თბილისი 2003

14. მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი დანაშაული სახელმწოფოსა და სასამართლო ხელისუფლების წონააღმდეგ. -თბილისი 2002 (გვ.56-98)

15. ნატოს გენერალური მდივნის ლორდ ჯორჯ რობერსტრონის 2002 წლის 17 აპრილის ათენში საერთაშორისო კონფერენციაზე “ახალი უსაფრთხოების ქსელი XXI საუკუნისათვის" გამოსვლის ტექსტი.

16. „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის პრობლემა კავკასიაში”

   გ. ღლონტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო

პროექტი – 1999-2000 წლები.

17. გ. ღლონტი ტერორიზმი, კრიმინოლოგია და დამართალდამცავი სისტემები. თავი 12 გგ. 239-254

18. გ. ლობჟანიძე, საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა–თბილისი 2002წელი

19. ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური საგამოძიებო ბიუროს მასალები „შემთხვევის ადგილის დათვალიერება ტერორისტული აქტების გამოძიების დროს" – 2002 წელი.

20. ჯემალ ჯანაშია, საუკუნის გამოწვევა, თბილისი, 2001წ. გვ.16-17.

21. ჯემალ გახოკიძე "ეროვნული უსაფრთხოების თავისებურებანი საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში", თავი მესამე 205-249 თბილისი 2003წ.

22. სამუელ ჰანტინგტონი- "პოლიტიკური სტატიები",თბილისი 2001წ. გვ.7.

23. 1961 Vienna Convention on Diplomatic Relations

24. UN 1963 Vienna Convention on Consular Relations

25. UN 1963 Convention on Offenses and Certain Other Acts Committed On Board Aircraft (Tokyo Convention, agreed 9/63—safety of aviation)

26. UN 1970 Convention for the Suppression of Unlawful Seizure of Aircraft (Hague Convention, agreed 12/70)

27. UN 1971 Convention for the Suppression of Unlawful Acts Against the Safety of Civil Aviation (Montreal Convention, agreed 9/71)

28. UN 1979 Convention on the Physical Protection of Nuclear Material (Nuclear Materials Convention, agreed 10/79)

29. UN 1988 Protocol for the Suppression of Unlawful Acts of Violence at Airports Serving International Civil Aviation (agreed 2/88)

30. UN 1988 Convention for the Suppression of Unlawful Acts Against the Safety of Maritime Navigation

31. UN 1988 Protocol for the Suppression of Unlawful Acts Against the Safety of Fixed Platforms Located on the Continental Shelf

32. UN 1991 Convention on the Marking of Plastic Explosives for the Purpose of Identification

33. UN Security Council Resolution 731 (January 21, 1992)

34. UN Security Council Resolution 748 (March 31, 1992)

35. UN Security Council Resolution 883 (November 11, 1993)

36. UN International Convention for the Suppression of Terrorist Financing 1999

37. UN September 28, 2001 United Nations Security Council Resolution 1373 adopted under

38. Chapter VII of the United Nations Charter, which makes it legally binding to member states. Among other provisions, it favored the exchange of intelligence between member states and legislative reforms. It established the Counter Terrorism Committee (CTC) to monitor state compliance with its provisions. The large majority of member states have subsequently adopted anti-terrorism legislation in order to comply to the Resolution. Later resolutions concerning the same matter were Resolutions 1390, 1456, 1535 (which restructured the CTC), 1566, and 1624.

39. Council of Europe 1977 European Convention on the Suppression of Terrorism (Strasbourg, January 1977)[5]

40. Council of Europe 2003 Protocol (Strasbourg, May 2003)[6]

41. Council of Europe 2006 Council of Europe Convention on the Prevention of Terrorism[7]

42. G. Glonti. Analyses of International Cooperation in the Fight against International Terrorism in Georgia: Organizations & Approaches. Materials of International NATO Conference. Washington, USA, 2006; g.

43. Jonatathan R.White- "Terrorizm" - "Mutating Forms of Terrorizm"- 7-17 Grand Valley State University , THOMSON // wadsworth (fourth edition)

44. Jonatathan R.White- "Terrorizm" - "The Origins of Modern Terrorizm " - 66-77 Grand Valley State University THOMSON // wadsworth (fourth edition)

45. Jonatathan R.White- "Terrorizm" - "Individual and Group Behavior"-18-30 Grand Valley State University THOMSON // wadsworth (fourth edition)

46. Jonatathan R.White- "Terrorizm" - "Changing Group Structures and the Metamorphosis of Terrorism" -31-45 Grand Valley State University THOMSON // wadsworth (fourth edition)

47. Jonatathan R.White- "Terrorizm" - "Terrorizm and the Media" - 256-266, 2003

48. Bailey/Hale:Popular Cultture,Crime,and Justice,2003

49. Chesney-Lind/Shelden:Girls,Delinqincy,andJuvenile Justice,2003

50. Jonson: Death Work:A study of the Modern Execution Process,2002

51. Pollock:Ethics,Crime and Justice:Dilemmas and Decisions,2002

52. Walker:Sense and Nonsense About Crime and Drugs,2002

53. Rosenbaum/Lurigo/Davis:The prevention of Crime,2002

54. Walker/Spohn/DeLone;The color of Justise,2002

55.Shelden/Trasy/Brown:Youth Gangs in American Society,2001

56.Sacco/Kennedy:The criminal Event,2002

57.Laqueur, Walter. No End to War - Terrorism in the 21st century, New York, 2003,

ISBN 0-8264-1435-4

58.Lerner, Brenda Wilmoth & K. Lee Lerner, eds. Terrorism : essential primary sources.

59.Thomson Gale, 2006. ISBN 9781414406213 Library of Congress. Jefferson or

Adams Bldg General or Area Studies Reading Rms LC Control Number: 2005024002.

60.Dr. Jeffrey Record, Bounding the Global War on Terrorism

61.Williams, Phil (2008). "Violent Non-State Actors and National and International Security

62.Pastor, James F. Terrorism & Public Safety Policing: Implications of the Obama Presidency. New York, NY: Taylor & Francis. ISBN 978-1-4398-1580-9.

63. Адельханян Р. Признаки террористического преступления по международному праву. // Российская юстиция, 2002. № 8.

64. Алексенко Д.М. Актуальность новых подходов в борьбе с терроризмом. // Мировое сообщество против глобализации преступности и терроризма. – М.: «Междунар. отношения», 2002.

65. Антонов В.Н. Современный терроризм: теория и реальность. // Азиатско-Тихоокеанский регион. Экономика. Политика. Право, 2002. № 2.

66. Артамонов И.И. Терроризм: способы предотвращения, методика расследования. – М.: Изд-ль Шумилова И.И., 2002

67. Беляев С.С. О борьбе с международным терроризмом. // Государство и право, 1998. № 9

68. Биккинин Б. О мерах по координации взаимодействия национальных силовых структур Беларуси и России в борьбе с терроризмом. // Мировое сообщество против глобализации преступности и терроризма. – М.: «Межд. отношения», 2002.

69. 32. Бойко А., Ушаков С. Компьютерная форма терроризма и ее легализация. – http://www.crime-research.org/library/kiber1.htm (04.01.2003).

70. Бутгер М. Электронный терроризм угроза XXI века. - http://www.crime-research.org/library/kiber.htm (04.01.2003).

71. Василенко В. Методологические подходы к организации борьбы с терроризмом. // Мировое сообщество против глобализации преступности и терроризма. – М.:, 2002.

72. Величко В. Некоторые аспекты проблемы борьбы с терроризмом в России. // Мировое сообщество против глобализации преступности и терроризма. – М.: 2002.

73. Вилкс А. Политические и криминологические проблемы современного терроризма. // Мировое сообщество против глобализации преступности и терроризма. – М.:, 2002.

74. Голубев В., Сайтарлы Т. Проблемы борьбы с кибертерроризмом в современных условиях. - http://www.crime-research.org/library/e-terrorism.htm (04.01.2003).

75. Голубев В. Кибертерроризм как новая форма терроризма. - http://www.crime-research.org/library/Gol_tem3.htm (04.01.2003).

76. Гончаров С. Актуальные проблемы борьбы с терроризмом. // Мировое сообщество против глобализации преступности и терроризма. – М.: 2002.

77. Даниленко Н.Н. О проблеме терроризма в Российской Федерации. // Мировое сообщество против глобализации преступности и терроризма. – М.: 2007.

78. Долгова А.И. Совершенствование системы уголовно-правовых норм Особенной части УК, направленных на борьбу с терроризмом. // Проблемы правовой и криминологической культуры борьбы с преступностью. – М., Российская криминологическая ассоциация, 2002.

79. Долгова А.И. Совершенствование уголовно-правовой основы борьбы с организованной преступностью, коррупцией и терроризмом. // Проблемы правовой и криминологической культуры борьбы с преступностью. – М., Российская криминологическая ассоциация, 2002.

80. Емельянов В.П. Терроризм и преступления террористической направленности. – Харьков: «Рубикон», 1997.

81. Емельянов В.П. Террористический акт и акт терроризма: понятие, соотношение, разграничение. // Законность, 2002. № 7.

82. Емельянов В.П. Терроризм и преступления с признаками терроризирования: уголовно-правовое исследование. – СПб.: Издательство «Юридический центр Пресс», 2007.

83. Изъюров Е. У терроризма большое будущее ? // «Владивосток», 2002. 22 ноября.

84. Кабанов П.А. Политический терроризм: криминологическая характеристика и меры сдерживания. – Н-к: ИПЦ «Гузель»,1998.

85. Кириллов И.А. О проблеме причин терроризма. // Сибирский юридический вестник, 2002. № 2.

86. Ковалев Н.Д. Актуальные проблемы международного сотрудничества в борьбе с терроризмом. // Мировое сообщество против глобализации преступности и терроризма. – М.: «Междунар. отношения», 2002.

87. Комиссаров В.С. Терроризм, бандитизм, захват заложника и другие тяжкие преступления против безопасности общества. По новому УК РФ. – М.: Издательство «Кросна-Лекс», 1997.

88. Короткова М. Региональное сотрудничество стран СНГ в области борьбы с терроризмом. // Мировое сообщество против глобализации преступности и терроризма. – М.: 2007.

89. Кудинов В. Проявить искреннюю коллективную политическую волю в борьбе с международным терроризмом. // Мировое сообщество против глобализации преступности и терроризма. – М.: 2005.

90. Кудрявцев В.Н. Генезис преступления. Учебное пособие. – М., 1998.

91. Левицкий Ю.В. Роль негосударственных предприятий безопасности в федеральной системе мер борьбы с терроризмом. // Мировое сообщество против глобализации преступности и терроризма. – М.:, 2002.

92. Лизен А.-М. Заметки по поводу эффективной борьбы против терроризма. // Мировое сообщество против глобализации преступности и терроризма. – М.: «Междунар. отношения», 2002.

93. Литвинов Н.Д. Антигосударственный терроризм: понятие и виды (историко-криминологический аспект). // Терроризм: современные аспекты. Сб. науч. статей. – М., 1999.

94. Лукашев А. Некоторые новые взгляды на системный подход к борьбе с терроризмом. // Мировое сообщество против глобализации преступности и терроризма. – М.:, 2005.

95. Лунеев В.В. Организованная преступность и терроризм в условиях глобализации. // Мировое сообщество против глобализации преступности и терроризма. – М.: «Междунар. отношения», 2002.

96. Лунеев В.В. Тенденции терроризма и уголовно-правовая борьба с ним. // Государство и право, 2002. № 6.

97. Ляхов Е.Г. Терроризм и межгосударственные отношения. – М.: «Международные отношения», 1991.

98. Мальцев В.В. Терроризм: проблема уголовно-правового регулирования. // Государство и право, 1998. № 8.

99. Микеев А.К. Технологический терроризм – современная реальность. // Терроризм: современные аспекты. Сб. науч. статей. – М., 1999.

100. Миньковский Г.М., Ревин В.П. Характеристика терроризма и некоторые направления повышения эффективности борьбы с ним. // Государство и право, 1997. № 8.

101. Михайлов В. Правовое обеспечение противодействия экстремизму. // Российская юстиция, 2002. № 7.

102. Номоконов В.А. Глобализация – криминологические аспекты. // Мировое сообщество против глобализации преступности и терроризма. – М.: «Междунар. отношения», 2002.

103. Нечипоренко О.М. Терроризм – древний и смертельно опасный спутник человечества. // Мировое сообщество против глобализации преступности и терроризма. – М.: «Междунар. отношения», 2002.

104. Овчинникова Г.В. Терроризм: Серия «Современные стандарты в уголовном праве и уголовном процессе» / Науч. редактор проф. Б.В. Волженкин. – СПб., 1998.

105. Ольшанский Д.В. Психология терроризма. – СПб.: Питер, 2002.

106. Петрищев В.Е. Правовые и социально-политические проблемы борьбы с терроризмом. // Государство и право, 1998. № 3.

107. .Петрищев В. Новые вызовы современного терроризма. // Мировое сообщество против глобализации преступности и терроризма. – М.: «Междунар. отношения», 2002.

108. Пропуск к боеголовкам нашли у террориста. // Р 2002 г.,1 ноября.

109. Раскопали корни терроризма. // Российская газета (Российская научная газета), 2002, 26 ноября.

110. Савинков Б.В. Воспоминания террориста. // Антология мировой правовой мысли. Т. V. Россия: конец XIX-XX в. – М.: «МЫСЛЬ», 1999.

111. Салимов К.Н. Современные проблемы терроризма. – М.: Издательство «Щит-М», 1999.

112. Сердюк Л.В. Насилие: криминологическое и уголовно-правовое исследование. / Под ред. Заслуженного деятеля науки РФ, проф. С.П. Щербы. - М.: ООО Изд-во «Юрлитинформ», 2002.

113. «Суицидный терроризм». // Уголовное право, 2002. № 3.

114. Таль Д. Роль частных служб безопасности в войне против терроризма. // Мировое сообщество против глобализации преступности и терроризма. – М.: «Междунар. отношения», 2002.

115. «Терроризм: психологические корни и правовые оценки». – Круглый стол журнала «Государство и право». // Государство и право. 1995. № 4.

116. Устинов В. Экстремизм и терроризм: проблемы разграничения и классификации. // Российская юстиция, 2002. № 5.

117. Цепелев В. Европейская конвенция о пресечении терроризма теперь обязательна и для России. // Российская юстиция, 2001. № 2.

118. Цой Л.Н. Новый взгляд на борьбу: с терроризмом или с террористом ? (размышления социолога). // Терроризм: современные аспекты. Сб. науч. статей. – М., 1999.

119. Шабалин В.А. Политика и преступность. // Государство и право. 1994. № 4

120. http://www.coe.fr –ევროპის საბჭოს წებ გვერდი

121. http://www.dhdirhr.coe.fr-ადამიანის უფლებათა დაცვა\

122. http://www.dhcour.coe.fr- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

123. კრებული „უცხოელი მეცნიერები 90-იანი წლების საქართველოს შესახებ",თბილისი,1998.გვ.160-165.

124. www.un.org/russian/documen/convents/**terrorism**.htm Конвенция о взаимной правовой помощи и выдаче в целях борьбы с терроризмом

125. www.lnb.lt/lnb/selectPage.do?docLocator=16400D0BE1B81... – Международный терроризм

126. dic.academic.ru/dic.nsf/enc_law/2253/Терроризм - самое тяжкое преступление

127. www.un.org/russian/**terrorism**/instruments.shtml **....**Select topics tagged with

128. www.medialaw.ru/laws/other_laws/european/decl-17062005.htm

Парламентская ассамблея Совета Европы

129. www.un.org/russian/terrorism/ga.shtml Конвенции о предупреждении и пресечении терроризма

130. Murphy J.F. Punishing International terrorists.US,1985.

131. http://www.supcourt.ru/1/frames.htm. (20.02.2003). Конвенция о взаимной правовой помощи и выдаче в целях борьбы с терроризмом.

132. www.lnb.lt/lnb/selectPage.do?docLocator=16400D0BE1B81... - 46k

133. http://www.un.org/russian/documen/convents/**terrorism**.htm. Международная конвенция о борьбе с бомбовым терроризмом 1997 года.

134. dic.academic.ru/dic.nsf/enc_law/2253/Терроризм - 31k по борьбе с терроризмом// www.un.org/russian/terrorism/instruments.shtml

135. www.medialaw.ru/laws/other_laws/european/decl-17062005.htm - 14 "Шанхайская Конвенция о борьбе с терроризмом " 15.06.2001 г.

136. www.ruleoflaw.ru/content/view/600/1/ - 22k**.** Мы не сможем победить терроризм. 4 мар 2008

137. www.referat.freecopy.ru/referat/Терроризм - Конвенции о предупреждении и пресечении терроризма

დანართი№1



ამერიკის ფედერალურ კანონმდებლობაში ჩადებულია ტერორიზმს მიკუთვნებული რამდენიმე დანაშაულის დეფინიცია. ფედერალურ სისხლის სამართლის კოდექსში - ტერორიზმთან დაკავშირებით, აღწერილია რამდენიმე ახალი დანაშაული, მათ რიცხვს მიეკუთვნება "ტერორიზმის ის აქტები, რომლებიც ჩადენილია სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ", "მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება", "საფინანსო საქმისწარმოება" ტერორიზმის დაფინანსებისთვის. რამდენიმე შტატმა აამოქმედა მსგავსი კანონები, რომელთა უმრავლესობა ემყარება გაეროს კონვენციებს. ყველაზე დიდი ტერორისტული აქტი, რომელიც შეიძლება ტერორისტმა განახორციელოს, არის მკვლელობა, ხანძარი, მოტაცება და ა.შ. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა განმარტა ტერორიზმი, როგორც, "სპეციალურად, პოლიტიკურად მოტივირებული ძალადატანება, არა მებრძოლი ძალების წინააღმდეგ, არამედ საიდუმლო აგენტებისკენ". არის სხვა განსაზღვრებაც, რომელიც გულისხმობს ძალადობას და სხვა უამრავი კრიმინალური გზით მიზნის მიღწევას. ან კიდევ ზეგავლენა "შიშზე დაყრდნობით იმ ხალხსა ან სახელმწიფოებზე, ვისი დასჯაც სურთ წარსულში ქმედებების გამო, და კანონის იმდაგვარად შეცვლა და გამოყენება რომ ხელი შეუწყოს ტერორისტებს და მათ საქმიანობას" ესაა ტერორიზმის ერთ-ერთი საკვანძო განმარტება კრიმინოლოგებისთვის.

პირველი თაობის ალ-ქაიდა



11 სექტემბრის ტერაქტების შემსრულებლები – „ალ-ქაიდას“ წევრები

იყვნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები სხვადასხვა ცხოვრებისეული გამოცდილებით.

აღარ შემოიფარგლებოდნენ ტრადიციული ნაციონალისტური მიზნებით.

უმრავლესობას ჰქონდა დიდი „საერთაშორისო“ გამოცდილება – ცხოვრობდნენ დასავლეთის და „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში.

ბავშვობიდან ცოტა მათგანი იყო რელიგიური ფანატიკოსი, „ღრმა მორწმუნეებად“ კირითადად ჩამოყალიბდნენ ევროპის ქვექნებში ცხოვრებისას.

ზოგი მათგანი ბრწყინვალედ სწავლობდა, მაგრამ თითქმის (ან საერთოდ) არ ჰყავდა მეგობრები საკუთარი ძალზე ვიწრო წრის გარდა.

დანართი№3



იერარქია – ზემოდან ქვემოთ

სქემების დანართი

დაკითხვა








ოპერატიული გზით მიღებული ინფორმაცია
ინფორმაციის მომწოდებელი შესაძლოა თვითონ იყოს დამნაშავე
უშუალოდ უნდა მოხდეს მათან გასაუბრება
შესაძლებელია სხვა დანაშაულის გახსნაში დაგვეხმაროს მათი ინფორმაცია


ეჭვმიტანილი
მოწმეები, რომლებიც საეჭვო ჩვენებებს იძლევიან
მოწმე შეიძლება ეჭვმიტანილი გახდეს
ჩვენება უნდა შემოწმდეს ფიზიკურ სამხილებთან შედარების გზით


ხალხთან საუბრის გარეშე შეუძლებელია ინფორმაციის მიღება
თუ არ მივიღებთ ინფორმაციას–არ გვექნება მტკიცებულებები
მონაცემების გარეშე არ გვექნება ფაქტები
ფაქტების გარეშე შეუძლებელია რაიმეს მტკიცება


დოკუმენტი
გაკეთდეს ჩანაწერი
ზეპირი თხრობა
წერილობითი ჩვენება


ზეპირი ჩვენება
ვისგან მიიღეთ ინფორმაცია
არავითარი არასწორი ინფორმაცია
არავითარი გადაჭარბება


წერილობითი ჩვენება
წერილობითი ჩვენების გარეშე არაეფექტურია გამოძიება
მოწმეს არ უნდა დაუსვათ მისახვედრებელი (მიმნიშნებელი კითხვა)
შესაძლებელია ჩვენების დასაკონკრეტებლად კითხვების დასმა


დასაკითმა პირმა უმჯობესია წერილობით თვითონ ჩამოაყალიბოს ჩვენება
დასვით რაც შეიძლება მეტი კითხვა
რა ნახა, რა გააკეთა, რა გაიგონა


არ უნდა უკარნახოთ მოწმეს და არ უნდა გააკეთოთ ნაადრევი დასკვნები
მხოლოდ ფაქტები
ნუ დასვამთ ისეთ კითხვებს, რომლებზეც გიპასუხებენ მხოლოდ ‘’დიახ’’ ან “არას’’


თავისუფალი თხრობის დროს მოსაუბრე შეიძლება წახალისდეს სხვადასხვა შეკითხვით
“და შემდეგ ... ”
“კიდევ რა ნახეთ... ”
“და რა მოხდა ამის შემდეგ ... ”
“რას გულისხმობდით... ”


აღწერილობითი ნაწილი
გააკეთდეს ზუსტი ჩანაწერი
შესაძლებელია საჭირო გახდეს რამდენჯერმე შეხვედრა
ჩანაწერი უნდა ჩამოყალიბდეს
შესავალი ნაწილი
ძირითადი ნაწილი
დასკვნითი მოქმედებები
შესავალი
საუბრის მიზანი
სად?
რა?
როდის?
ვინ?
რატომ?
ბიოგრაფიული მონაცემები
ქმედების აღწერა

დათვალიერება






აფეთქების ადგილზე მოქმედება
ყურადღება უნდა მიექცეს ყველა იმ ობიექტს, რომელიც შემთხვევით შეიძლებოდა აღმოჩენილიყო აფეთქების ადგილზე
რაც უფრო მეტი გვეცოდინება ასაფეთქებელი მოწყობილობების შესახებ, მით უფრო კვალიფიციურად ვიმოქმედებთ შემთხვევის ადგილზე.
მუშაობის პროცესში მუდმივად დაიცავით უსაფრთხოების ზომები..


აფეთქების ადგილზე მოქმედება
კოორდინაცია გაეწიოს ძებნით სამუშაოებს
უნდა მოხდეს შემთხვევის ადგილის ფოტოგრაფირება
გათვალისწინებული უნდა იქნეს ადგილზე მომუშავე სპეციალისტების აზრი


აფეთქების ადგილზე მოქმედება
შემთხვევის ადგილზე მყოფმა ყველა ჯგუფის წევრმა უნდა იცოდეს, რა ნივთმტკიცებულებები იქნა ამოღებული
გამომძიებლებს უნდა ჰქონდეთ მჭიდრო ურთიერთობა შემთხვევის ადგილზე მომუშავე ექსპერტ-კრიმინალისტებთან და ჯგუფის სხვა წევრებთან
გათვალისწინებული უნდა იქნეს შემთხვევის ადგილის დაცვის თანმიმდევრობა.


შემთხვევის ადგილზე ინფორმაციის მიღება
თარიღი, დრო და ინფორმაციის მომწოდებელი პიროვნების მონაცემები
რა ინფორმაცია იქნა მიღებული?
შემთხვევის ადგილი
განისაზღვროს ის პირები, ვინც მონაწილეობს შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში
მონაცემები ადგილზე მყოფი პოლიციელების შესახებ
გაირკვეს, ვის გაესაუბრა ადგილზე მყოფი პოლიციელი და რა დავალება მისცა მათ


შემთხვევის ადგილზე ინფორმაციის მიღება
გამოკითხული უნდა იყვნენ თვითმხილველები აფეთქებასთან დაკავშირებით.
უნდა გაირკვეს, რამე უცნაური, ხომ არ შეუმჩნევიათ?
უნდა მოხდეს თვითმხილველების მოწმეების სახით დაკითხვა.
განსაზღვრული უნდა იქნას, თუ საიდან დაიწყოს შემთხვევის ადგილის დათვალიერება
უნდა გაირკვეს, საიდან შეიძლებოდა, რომ მოეტანათ ასაფეთქებელი მოწყობილობისა თვის საჭირო კომპონენტები


შემთხვევის ადგილზე ინფორმაციის მიღება
რა ინფორმაცია მოიპოვა შემთხვევის ადგილზე მყოფმა პოლიციელმა
თვითმხილველების მონაცემები, რომლებიც ფლობენ ინფორმაციას ფაქტის შესახებ
ნივთმტკიცებების ამოღების დრო
გარემო პირობები, რომლებიც დაგვხვდა შემთხვევის ადგილზე მისვლის პროცესში
ამოღებული ნივთმტკიცებები უნდა დაილუქოს და გაფორმდეს შესაბამისი წესების
დაფიქსირდეს ყველა დეტალი, კერძოდ: იყვნენ, თუ არა გარდაცვლილები, სად იქნენ გადაყვანილი ისინი, რა დახმარება აღმოუჩინეს დაჭრილებს და


შემთხვევის ადგილის დათვალიერების ეტაპები
შემთხვევის ადგილზე მისვლა
მიმოხილვითი დათვალიერება
პერიმეტრის დაცვა
ფოტოგრაფირება
სქემატური ჩანახატი
თითის კვლების აღმოჩენა
სამხილების ძებნა
დეტალური ძებნა
დათვალიერების შედეგად მიღებული მონაცემების გადახედვა
აღწერა
ნივთმტკიცებების ამოღება, შეფუთვა და დალუქვა
დათვალიერების დასკვნითი სტადია


შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების თანმიმდევრობა
განისაზღვროს შემთხვევის ადგილის ფარგლები (რადიუსი)
გაკეთდეს დამცავი ბარიერი (ლენტი
დათვალიერდეს მიმდებარე შენობები, მანქანები, და სხვა ობიექტები
გაკეთდეს ყველაზე შორს მდებარე ფრაგმენტების სქემატური ჩანახატი
განისაზღვროს შემთხვევის ადგილზე შესასვლელი ბილიკი
მოიძებნოს ნივთმტკიცებები


აფეთქების კერის დათვალიერება
დაცული უნდა იქნას უსაფრთხოე
გაიზომოს და განისაზღვროს აფეთქების კერა
ფოტოგრაფირების შემდეგ უნდა შეიფუთოს
დაფიქსირდეს ახლოს მყოფი ავტომობილების საიდენტიფიკაციო მონაცემები
მოიძებნოს ფეხის და სატრანსპორტო საშუალების კვლები.
მოხდეს ფოტოგრაფირება და გაკეთდეს სქემატური ჩანახატი
განისაზღვროს უშუალოდ აფეთქების არეალი (ტერიტორია)
უნდა მოხდეს შემთხვევის ადგილის


ფუნქციების განაწილება შემთხვევის ადგილზე მოქმედებისას
ფოტოგრაფი
სქემის შემდგენი
თითის კვლების ამომღები პირი
შემთხვევის ადგილის შემმოწმებელი პირი
პირი, რომელიც აწარმოებს თვითმხილველთა გამოკითხვას
ჯგუფის ხელმძღვანელი
ტვიფრის ამომღები პირი
დათვალიერების ოქმის შემდგენელი
ექსპერტ-კრიმინალისტები
ნივთმტკიცებების ამოღების კოორდინატორი
საჭირო ინვენტარით და ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა


ჯგუფის ხელმძღვანელი
შემთხვევის ადგილზე მისვლა
დაცვა
ფოტოგრაფირება
თითის კვლების ძებნა
დეტალური დათვალიერე
მოპოვებული მასალების და დოკუმენტაციის გადამოწმება
მიმოხილვითი დათვალიერება
სქემატური ჩანახატი
სამხილების
აღწერა
ნივთმტკიცებების დალუქვა და გაფორმება
შემთხვევის ადგილიდან


ფოტოგრაფი
გადაიღებს აფეთქების მთელ რაიონს
გადაიღებს გვამებს, მანქანებს, ხალხის მასას
აწარმოებს მიმოხილვით, საკვანძო და დეტალურ ფოტოგადაღებებს
ახდენს იქ არსებული დოკუმენტების ფოტოგრაფირებას
ამზადებს ფოტოცხრილებს
გადაიღებს კვლებს და ნივთმტკიცებებს


გამომძიებელი
ავსებს დათვალიერების ოქმს
აღადგენს ასფეთქებელ მოწყობილობას
აფორმებს ნივთმტკიცებებს
ახდენს ნივთმტკიცების
აგზავნის ნივთმტკიცებებს ლაბორატორიაში
კოორდინირებას უწევს ადგილზე მომუშავე სპეციალისტებს
ყოფს სექტორებად შემთხვევის ადგილს
უზრუნველყოფს ნივთმკიცებებთან თანმიმდევრულ მუშაობას
მიუთითებს სამხილებზე
უზრუნველყოფს ნივთმტკიცებების დაცვას
ზემდგომ ორგანოს აწვდის ინფორმაციას ამოღებული სამხილების შესახებ
აკონტროლებს ნივთმტკიცებების ამოღების პროცესს


შემთხვევის ადგილზე მომუშავე პირთა მოვალეობები
დააკვირდეს და აწარმოოს ფოტოგადაღებები
უზრუნველყოფილ იქნას შემთხვევის ადგილის დაცვა
დაცული იქნას უსაფრთხოებ
განახორციელონ კვლების ძებნა
მოძებნონ სატრანსპორტო საშუალების კვლები
ჩაატარონ წინასწარი დათვალიერება
მოამზადონ კონტეინერები ასაფეთქებელი მოწყობილობების ნარჩენების ამოსაღებად
გაიტანონ სწრაფფუჭებადი ობიექტები


სპეციალისტი
აკეთებს უშუალოდ აფეთქების ადგილის სქემატურ ჩანახატს
მიუთითებს ძირითად ნიშნებზე
მიანიშნებს მეზობელ შენობებს, ოთახებს, ავეჯს და სხვა საჭირო ობიექტებს
ჯგუფის ხელმძღვანელთან ერთად კოორდინირებას უწევს სამხილების ამოღებას


განახორციელონ მცირე ზომის კვლების ძებნა
თითის უხილავი ანაბეჭდები
ნაგლეჯე ბის
ხელნაწერი მასალები
გატეხვის იარაღებით მიყენებული დაზიანებების კვლები
ფეხის კვლები


დაათვალიერონ მკაფიოდ გამოკვეთილი
მინა, საღებავი, ხის მასალები
სისხლი
თმები, ფრჩხილები.
ნიადაგი, ხალიჩა, ბოჭკოები
ასაფეთქებელი მოწყობილობის ნაწილები (აუფეთქებელი დეტალები)

ც ნ ო ბ ა

2005 წლის 10 მაისს ა.შ.შ.-ს პრეზიდენტის - ჯ.ბუშის საქართველოში ვიზიტის დროს ტერორისტული აქტის განხორციელების შესახებ

2005 წლის 10 მაისს ქ.თბილისში, თავისუფლების მოედანზე, 13[35]-საათზე ა.შ.შ.-ის პრეზიდენტის ჯ.ბუშის საქართველოს მოსახლეობისადმი მიმართვის დროს დაუდგენელი პირის მიერ ხალხის მასაში ამერიკის პრეზიდენტის მიმართულებით ნასროლი იქნა საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი, ცხვირსახოცში გახვეული „რგდ"-5 ტიპის ხელყუმბარა. აღნიშნულ ფაქტზე შ.ს.ს.-ს კონტრტერორისტულ ცენტრში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე №051585, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-ე მუხლით, 323 მუხლის I ნაწილით, 236 მუხლის I და II ნაწილებით.
საქმეზე ჩატარებული ოპერატიულ-ტექნიკური და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგენილ და დაკავებულ იქნა ზემოაღნიშნულ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი:

ვლადიმერ ვლადიმერის ძე არუთინიანი, დაბ. 12.03.1978წ., ეროვნებით სომეხი, საქართველოს მოქლაქე, მცხ. ქ. თბილისი, ვაშლიჯვრის დას. XI კორპ., ბ. 35., პასპ: 098769; პ/მ ა0059664; პ/ნ 01024004521 გაც. 14.06.95წ.

ვ. არუთინიანი აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობდა 1983 წლიდან დედასთან – ანჟელა კაზარიანთან ერთად, რომელიც მუშაობდა „ორგტექმშენ"-ში, საშენმასალათა საპატენტო განყ. 1987 წლამდე, შემდეგ 1990 წლამდე სოფლის მეურნეობის სამინისტროში. მამა – ვალოდია არუთინიანი მუშაობდა მშენებლობის სამინისტროში სამშენებლო ტრესტში მუშად, გარდაიცვალა 20 წლის წინ. ვოვა არუთინიანმა დაამთავრა 158-ე საშ. სკოლა, შემდეგ სწავლა გააგრძელა 62 საშ. სკოლაში. ეწეოდა კარჩაკეტილ ცხოვრებას. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სამეგობრო წრე არ გააჩნდა. მეზობლის თქმით სახლში იმყოფებოდა პერიოდულად. კარგად ერკვევა ელექტროტექნიკაში, სახლში გააჩნდა შესაბამისი ინსტრუმენტები და აღჭურვილობა.

- *დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, შედგა პირველადი სქემა, იმ მომენტისათვის არსებული ინფორმაციების საფუძველზე განისაზღვრა ხელყუმბარის სროლის ტრაექტორია და მისი დაცემის სავარაუდო ადგილი.*

- *დაინიშნა კომპლექსური დაქტილოსკოპიური და ბალისტიკური ექსპერტიზა, რომლის მიხედვითაც ხელყუმბარა იყო ვარგისი და მოყვანილი საბრძოლო მდგომარეობაში, ხოლო ცხვირსახოციდან აღებული იქნა დ.ნ.მ.-ის ანალიზი.*
- *დადგინდნენ და დაიკითხნენ სამართალდამცავი ორგანოების ის თანამშრომლები, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ ა.შ.შ.-ის პრეზიდენტის ვიზიტის დროს.*
- *დადგნდა და გამოიკითხა ყველა ის პირი, რომლებიც სპეციალური საშვით იმყოფებოდა თავისუფლების მოედანზე საქართველოსა და ა.შ.შ.-ის პრეზიდენტების გამოსვლის დროს.*
- *ამოღებული იქნა ფოტო და ვიდეო მასალა ყველა ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიისგან, აგრეთვე აკრედიტირებული ჟურნალისტებისა და ცალკეული პირებისგან.*
- *ამოღებული ფოტო და ვიდეომასალის მიხედვით დადგინდა და დაიკითხა ყველა ის პირი, ვინც უშუალოდ იმყოფებოდა თავისუფლების მოედანზე.*
- *გატარებული ოპერატიულ ტექნიკური ღონისძიებების შედეგად, შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებებით ამოღებული იქნა ყველა მობილური სატელეფონო კომპანიის იმ აბონენტთა დემოგრაფიული მონაცემები, რომლებიც იმყოფებოდანენ თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ანძების გადაფარვის ზონაში. ყველა მათგანი გამოიკითხა შ.ს.ს.-ს მიერ.*
- *ღონისძიებების მსვლელობისას დადგინდა და დიაკითხა პიროვნება, რომელიც იმყოფებოდა ხელყუმბარის სროლის ადგილას, მისი ჩვენებით მიღებული იქნა ხელყუმბარის მსროლელის გარეგნული აღწერილობა.*
- *შედგა ხელყუმბარის მსროლელის ფოტორობოტი.*
- *18 საჭვო პირისაგან აღებული იქნა დ.ნ.მ.-ისა და სუნის ანალიზი.*
- *ხელყუმბარის მსროლელის ამოცნობის მიზნით, მოწმესთან ერთად განხილული იქნა მოპოვებული ვიდეო და ფოტომასალა, მოწმის მიერ ამოცნობილი იქნა პოლონელი ჟურნალისტის - მაკლოვსკის მიერ გადაღებულ ფოტოსურათზე გამოსახული დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი.*
- *ეჭვმიტანილის მონაცემების დადგენის მიზნით გადაისინჯა სახელმწიფოში არსებული ყველა ის მონაცემთა ბაზა, სადაც შესაძლებელია ფოტოსურათით პიროვნების იდენტიფიცირება.*

- *ორიენტირებული იქნა შ.ს.ს.-ს ცენტრალური და რეგიონალური დანაყოფები ეჭვმიტანილი პირის იდენტიფიცირების მიზნით.*
- *მიღებული იქნა გადაწყვეტილება ეჭვმიტანილი პირის სურათის მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გამოქვეყნების შესახებ.*
- *ოპერატიული ღონისძიებების პერიოდში შ.ს.ს.-ში გახსნილი იყო ცხელი ხაზი, მიმდინარეობდა შემოსული ინფორმაციების გადამოწმება-დამუშავება.*
- *2005 წლის 20 ივლისს მიღებული იქნა ოპერატიული ინფორმაცია დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის – ვლადიმერ ვლადიმერის ძე არუთინიანის, დაბ. 1978წ.-ს, მცხ. ვაშლიჯვარის დასახლება 11 კორპუსი – შესახებ. ბრძანების შესაბამისად ეჭვმიტანილი აყვანილ იქნა ცოცხლად, რათა გამორიცხულიყო ყველანაირი ეჭვი. ცპეცოპერაციის დროს, ეჭვმიტანილის მხრიდან შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისას, დაიღუპა კონტრტერორისრული ცენტრის თანამშრომელი – ზურაბ ქვლივიძე.*

ზემოაღნიშნული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების დროს ქვეყნის მასშტაბით მოწმის სახით დაიკითხა 42 პირი, გამოიკითხა 10 000 პირზე მეტი.

საქმეზე ჩატარებული ყველა საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიება ტარდებოდა ამერიკელ კოლეგებთან კოორდინირებულად.
2005 წლის 20 ოქტომბერს ვლადიმერ არუთინიანს სხვადასხვა დანაშაულებისთვის წარედგინა საბოლოო ბრალდება, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 250-ე მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით; 177-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და III ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით; 362-ე მუხლის I ნაწილით; 363 მუხლის II ნაწილით; 236-ე მუხლის I და II ნაწილებით; 323-ე მუხლის I ნაწილით; 325-ე და 326-ე მუხლებით; 109-ე მუხლის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით; მე-19, 109-ე მუხლის „ა“, „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით. 2005 წლის 20 ოქტომბერს სსს-ზე დამთავრდა წინასწარი გამოძიება და ამავე წლის 31 ოქტომბერს არსებითად განსახილველად წარიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სსს-თა კოლეგიაში. 2006 წლის 11 იანვარს ვლადიმერ არუთინიანს მიესაჯა სასჯელის ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთა.

საქმეზე ჩატარებული ყველა საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიება ტარდებოდა ამერიკელ კოლეგებთან კოორდინირებულად.